ქუმის ეკლესია საქართველოში გავრცელებული ირნავიანი ეკლესიების ნიმუშია. უმეტესობა მათგანში მთავარი და გვერდითა ნავები ერთი საყრდენითა და ორი თაღითაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან[7]. ამ საკმაოდ იშვიათ არქიტექტურულ ტიპის შესწავლაში უდიდესი წვლილი ი. ელიზბარაშვილს ეკუთვნის, რომელმაც დისერტაცია და რამდენიმე ფუნდამენტური ნაშრომი მიუძღვნა მას[8]. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მის ნაშრომებში ქუმის ეკლესია არაა მოხსენიებული, და, ამდენად, ძეგლის განხილვა კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ჩვენთვის. ჩვენი მიზანია დავაზუსტოთ ქუმის ტაძარის აგების თარიღი და ადგილი მივუჩინოთ ქართული ორნავიანი ეკლესიების არქიტექტურული ტიპის ევოლუციურ სქემაში.

თავად ორნავიანი ეკლესიების არქიტექტურულ ტიპზე უნდა ითქვას, რომ, როგორც ამას ხშირად ვხედავთ შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, კლასიკური ბაზილიკური კომპოზიცია ქართულ ნიადაგზე ისეა გადამუშავებული და სახეცვლილი, რომ მას რთულია კიდეც ვუწოდოთ ბაზილიკა. მსგავსი მიდგომა საქართველოში მრავალ საუკუნეს ითვლის. ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა უწოდა უძველეს ქართულ ბაზილიკებს სათუო ბაზილიკები, იმდენად ნიველირებული იყო მათში ამ არ-

[7] გამონაკლისს წარმოადგენს ზედა ვარძიისა და ბზიანას ეკლესიები, სადაც ნავების გამყოფად ორი ბურჯი და სამი თაღია გამოყენებული.

[8] ი. ელიზბარაშვილი. ქილდის ორნავიანი ეკლესია. ძეგლის მეგობარი. თბ. 1986. №71, გვ. 28-33; ი. ელიზბარაშვილი. დანკალის ორნავიანი ეკლესია. ძეგლის მეგობარი. თბ. 1993, №1, გვ. 17-21; ი. ელიზბარაშვილი. ორნავიანი ეკლესიების ლიტურგიკულ-ფუნქციური დატვირთვის შესახებ. აკადემია. №2, თბ. 2002, გვ. 66-74. ი. ელიზბარაშვილი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია, ზველის (ძველის) წმინდა გიორგის ეკლესია, ღართის ეკლესია. თბ. 2013, გვ. 484-488, 594-596; ი. ელიზბარაშვილი, ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია. ძეგლის მეგობარი. თბ. 1984, №67, გვ. 6-11; И. Г. Элизбарашвили, К вопросу об эволюции двухнефных церквей Грузии. 4-ый Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб. 1983, გვ. 2.

ქიტექტურული ფორმის თვისებები: როგორც ცნობილია, კლასიკური ბაზილიკა სპეციფიკური ტიპის შენობაა, სადაც შენარჩუნებულია ანტიკური ბაზილიკებისთვის დამახასიათებელი სწორკუთხა, ლონგიტუდინური გეგმარება. უმეტეს შემთხვევაში ქრისტიანული ბაზილიკის მოკლე ფასადზე არსებული მთავარი შესასვლელის საპირისპიროდ საკუთხევლის აფსიდია განლაგებული. ინტერიერი სვეტების რიგების წყობა გარკვეული მიმართულების მქონე, პერსპექტივაში განვითარებად შიდა სივრცეს ქმნის, სადაც სვეტებისა და სხვა ელემენტების თანაბარი რიტმი აფსიდისაკენ მიემართება. ამრიგად, არქიტექტურული კომპოზიციის ფოკუსში საკურთხეველი ექცევა. საქართველოში ბაზილიკები სრულიად სხვაგვარია: შესასვლელი უმეტესად გრძივი კედლის ცენტრშია, ისე რომ მნახველი პირდაპირ შენობის ცენტრში ხვდება; სვეტების რაოდენობა მცირეა, შენობის აბრისი კვარდატს უახლოვდება. მეტიც, საქართველოში შეიმუშავეს ქრისტიანული სამყაროსთვის სრულიად უჩვეულო, სამეკლესიანი ბაზილიკის ფორმა,რომელიც სვეტების მწკრივებით ნავებად დაყოფილი ინეტერიერის მაგიერ სამ იზოლირებულ სათავსს, ან ცენტრალური ნავის გაშემო სამმხრივ გარშემოსავლელს ქმნის. ამრიგად, კლასიკური ბაზილიკის ხასიათი შუა საუკუნეების საქართველოში მუდამ ხდება იმპროვიზაციის საგანი და მნიშვნელოვნად სცილდება კლასიკურ პირველსახეს. ამ მხრივ ძალზე სიმპტომატურია ორნავიანი ბაზილიკებიც: ეს, როგორც ვთქვით, არც თუ მრავალრიცხოვანი ჯგუფი დაახლოებით ორ ათეულ ნიმუშს მოიცავს (შალაურის (VI ს-ის I ნახ..), ბაღიანთკარის (VI ს.), ბაიხოს (VII ს.), ქოჩალოს (VI-VII სს.), ბზიანას (VIII ს.), ახმეტის ღვთაების (IX-X სს.), საკვირიკეს (IX), ღართას (IX ს.), დვირის (X ს-ის I ნახ.), ვანის (X), ზველის (ძველის) (X ს.), ქილდის (X ს.), დანკალის (X ს.), ზემო ვარძიის (X-XI სს. მიჯნა), ტაბაკინის (VI-VII, X-XI სს.) მღვიმევის (XIII ს.) და სხვ. ეკლესიები). საკმაოდ გავრცელებულია ასეთი ტიპის ნაგებობები სამცხე-ჯავახეთში და მათი უმეტესობა გარდამავალ ხანას, ან X ს-ს განეკუთვნება. ასეთ ეკლესიებში გვერდითა ნავი ზოგჯერ მთავარზე მოკლეა (ქილდა) (სურ. 8), ზოგჯერ ფართო, კარგად განათებული, დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობის მქონე სათავსია (შალაური, ბაღიანთკარი), ზოგჯერ კი ვიწრო, ბნელი დერეფნის სახე აქვს და მთავარი ნავის თითქოს დანამატს წარმოადგენს (ქილდა, ზემო ვარძია). გვერდითა ნავს უმეტესად აფსიდი აქვს, ზოგჯერ კი აღმოსავლეთიდან სწორი კედლით სრულდება. თითქმის ყველა შემთხვევაში ნავებს ცალკე გადახურვა აქვს:

მაღალი ორფერდა სახურავი ცენტრალურს და დაბალი, ცალქანობა – გვერდითას. უფრო გართულებულ კომპოზიციებში, სადაც ეკლესიას ემატება სტოა ან ეკვდერი, ამ დაბალ სეგმენტსაც ცალკე გადახურვა აქვს. გამონაკლისია მხოლოდ ზემო ვარძიის ეკლესია, სადაც ორივე ნავი და სტოა ერთიან ორფერდა გადახურვაშია მოქცეული სხვენში სამალავების არსებობის გამო. ქუმის ეკლესიის შემთხვევაში, ნავების სიმაღლეებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია. საკურთხევლის აფსიდის ნახევარწრე ორნავიან ეკლესიებში ყოველთვის ჩაწერილია გეგმის სწორკუთხედში, ამ მხრივ ქუმის ეკლესიაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. ერთადერთი შვერილაფსიდიანი ორნავიანი ტაძარი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს (მღვიმევის ეკლესია)[9].

პასტოფორიუმების მოწყობა გეგმის თავისებურების გამო ორნავიან ეკლესიაში რთულდება. ამ ტიპის ნაგებობებში მხოლოდ ერთი სათავსის მოწყობაა შესაძლებელი – გვერდითა ნავის საპირისპირო მხარეს (უმეტესად, ჩრდილოეთით - მაგ., შალაური, ბაიხო, ბზიანა[10], ახმეტა, ქორჭალო, მღვიმევი, ზედა ვარძია, იშვიათად - სამხრეთით, მაგ, ღართა[11]) . ზოგჯერ ასეთ ეკლესიებს, ქუმის მსგავსად, საერთოდ არ აქვს პასტოფორიუმები: ეს უმეტესად X ს-ის ძეგლებია (ქილდა[12], დვირი, საკვირიკე, ვანი).

ქუმის ეკლესიის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ორნავიანი ტაძრების უმეტესობისგან განსხვავებით, სადაც ნავების გამოყოფი ორი თაღი საკმაოდ განიერია და ღიობები თითქმის მთელი გრძივი კედლის სიგრძეს იკავებს, აქ ღიობები ვიწრო და დაბალია და მხოლოდ კედლის აღმოსავლეთი, აფსიდისწინა მონაკვეთი უჭირავს. გვერდითა ნავის შედარებით მეტი იზოლირებულობის მაგალითს ღართას, ქილდას და საკვირიკეს ეკლესიები გვაძლევს, თუმცა არსად თაღები ასეთი მცირე არაა ნაგებობის საერთო ზომებთან შეფარდებით, როგორც ქუმის ეკლესიაში.

ქუმის ეკლესიაში, X ს-ის ძეგლების, საკვირიკესა და ქილდის ტაძრების, მსგავსად, გვერდითა ნავი განათებულია ორი, დასავლეთისა და

[9] ნ. ჯაბუა. ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში. თბ. 2012, გვ. 56-63.
[10] ი. ელიზბარაშვილი. ბზიანის წმ. გიორგის ეკლესია, გვ. 6-11.
[11] ი. ელიზბარაშვილი. ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია. ღართის ეკლესია, გვ. 594-596
[12] ი. ელიზბარაშვილი. ქილდის ორნავიანი ეკლესია, გვ. 28-33.

აღმოსავლეთის მხარეს გაჭრილი თითო სარკმლით. ორ ნავს შორის საგრძნობი განსხვავება სიმაღლესა და სიგანეში თითქოს შერბილებულია კონსტრუქციული წყობის მსგავსებით: ორივე ნავში ხაზგასმულადაა აქცენტიურებული მძლავრი საბჯენი თაღები და თუმცა მცირე ნავს მხოლოდ აფსიდისპირა პილასტრები აქვს, მათი მძლავრი ფორმები და მასიური კაპიტელები და კამარის ორი საბჯენი დაკიდებული თაღის კონსოლები თითქოს იმეორებს დიდი ნავის კონსტრუქციების რიტმს და ფორმებს. კონსტრუქციების მონუმენტური არქიტექტონიკის ხაზგასმა და რიტმულობა ერთგვარად აკომპენსიერებს შენობის დეკორის სიმცირეს და მის მკაცრ იერსახეს. მსგავს მხატვრულ გადაწყვეტას ვხედავთ ასევე დანკალის ეკლესიაში[13]. ქუმის ეკლესიის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი აფსიდი ასიმეტრიულია -მისი ჩრდილოეთის კუთხე ღიაა, თაღის ღიობს წარმოადგენს, სამხრეთის აფსიდისპირა შვერილის სიმეტრიულად აქ სვეტია განლაგებული.


ორნავიანი ეკლესიების არქიტექტურული ტიპის გავრცელება საქართველოში დაახლოებით ემთხვევა სამეკლესიანი ბაზილიკების პოპულარობის ხანას. გეოგრაფიულადაც ამ ორი ტიპის გავრცელების არეალი უმეტესად მსგავსია: მრავლად შენდება ორნავიანი ეკლესია და სამეკლესიანი ბაზილიკა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, ბორჯომის ხეობაში, ისტორიულ კუდაროში თუ თორში. არქიტექტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ქუმის ეკლესიის უახლოეს პარალელებად ქილდის, დვირის, საკვირიკეს, დანკალის[14] ორნავიანი, მასთან გეოგრაფიულადაც ახლოს მდებარე ეკლესიები გვესახება. ამ ნიმუშების უმეტესობა X ს-ის განმავლობაშია აგებული, უფრო სავარუდოდ – ამ საუკუნის შუახანებში. დაახლოებით ამავე ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს ქუმის ეკლესიაც. ნაგებობის დასავლეთ ფასადზე არსებული სარკმლის საპირე და კარის პორტალი, ორნამენტის სტილური თავისებურებებიდან და ჩუქურთმის კვეთის ტექნიკური ხერხებიდან გამომდინარე, ცოტათი მოგვიანებით, სავარაუდოდ, XI ს-ში უნდა იყოს შესრულებული. მთლიანობაში ამ ფასადის პერნაგი, ვფიქრობთ, გვიანდელი გადაწყობის კვალსაც ატარებს.


[13] ი. ელიზბარაშვილი. დანკალის ორნავიანი ეკლესია, გვ. 20-21.
[14] ი. ელიზბარაშვილი. დანკალის ორნავიანი ეკლესია, გვ. 19-21.





სურ. 1. ქუმის ეკლესია






სურ. 2. ქუმის ეკლესია, გეგმა, ჭრილი







სურ. 3. ქუმის ეკლესია, ინტერიერი, ნავების გამყოფი თაღედი





სურ. 4. ქუმის ეკლესია, გვერდითა ნავი

სურ. 5. ქუმის ეკლესია, მთავარი ნავი




სურ. 6. ქუმის ეკლესია, ინტერიერის დეკორის ელემენტი





სურ. 7. ქუმის ეკლესია, დასავლეთი ფასადი





სურ. 8. ქილდის ეკლესია, გეგმა ი. ელიზბარაშვილის მიხედვით

Nino Silagadze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

ST. GEORGE'S CHURCH OF QUMI

Summary

St. George's Church of Qumi (the same as Qomi or Khomi) in historical province of Georgia – Samtskhe – is located about 15 km from Akhaltsikhe, in vicinity of the modern village Sviri and historical settlement Tornisi. Fragments of the building reached us in the form of ruins. Around the church, there are architectural details and stones, adorned with ornaments. The local population refers to this territory by the toponym Qomi/Khoma/Qumi, the entire valley is known by the same name. The church seems to be built in high Middle Ages. Traces of monastic buildings can be clearly observed around the church. The main building of monastery complex is a two-nave church, it consists of the main nave and a smaller nave adjacent to it from the north. In addition, the building has a trapezoidal outbuilding on the northern facade, another one – a small chapel – was attached to the southern facade. The main nave of the church is connected to the small northern nave by a two-arched passage. The main nave is quite wide and tall. The external structure on the western facade is relatively well preserved. Here, the portal of the entrance door is decorated with braided carving, a decorative cross above the door and a ornaments of window frame are still visible.

Qumi church is a sample of two-nave churches, which is not very common for medieval Georgia (there are some 20 samples preserved until nowadays). In most of the structures, the main and side naves are separated from each other by one pillar and two arches. Many Georgian scientists made the great contribution to the study of this rather rare architectural type, although the Qumi Church is not mentioned in these works, and thus, its analysis and interpretation becomes even more relevant for us. The purpose of our article is to specify the date of construction of the Qumi Church and give it a place in the evolutionary scheme of the architectural type of Georgian two-nave churches.

Buildings of this type are quite common in Samtskhe-Javakheti, and most of them belong to the 10th century. In such churches, the side nave is sometimes shorter than the main nave, sometimes it is a wide, well-lit, independent space with artistic significance, and sometimes it has the appearance of a narrow, dark corridor and seems to be an addition to the main nave. The side nave usually has an apse, but sometimes it ends with a straight wall from the east. In almost all cases, the both naves have a separate roof: a high roof with pediment for the central one and a low, shed roof for the side one. In more complicated architectural compositions, where a stoa or an outbuilding is added to the church, this lower segment also has a separate roof. In the case of the Qumi Church, the difference between the heights of the naves is significant. The semicircle of the apse in the two-nave churches is almost always inside in the right angle of the plan, and so it is in the case of the Qumi Church too.

Arrangement of side-rooms of the altar in two-nave churches is very difficult due to the peculiarity of the plan. In this type of buildings, only one side-room can be arranged – on the opposite side of the small nave. In our case, there are no side-rooms at all, as in a many other two-nave chruches, built during the 10th century in Georgia.

The peculiarity of the Qumi Church is the fact that, unlike most two-nave churches, where the two arches separating the naves are quite wide and the openings occupy almost the entire length of the longitudinal wall, here the openings are narrow and low and occupy only the eastern section of the wall, in front of the apse. Some other 10th century two-nave churches (e.g. Gharta, Kilda and Sakvirike in Samtskhe-Javakheri region) give us an example of the isolation of the side nave too, but nowhere are the arches so small compared to the overall dimensions of the building, as in the church of Qumi. Another peculiarity of the Qumi Church is an asymmetrical apse – its northern corner is open: here is located the arch, and a column is posted symmetrically to southern pillar of the apse.

Based on the architectural features, the closest parallels to the Qumi Church seem to be the two-nave churches of Kilda, Dviri, Sakvirike and Dankali, which are also geographically located close to it. Most of these two-nave churces were built during the 10th century, more likely – in the middle of the century. The church of Qumi should belong to the same era.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

მამუკა წურწუმია
ისტორიის დოქტორი

რიშელიე, ლა-როშელი... და ქართული სახელმწიფო დროშა*

სულ ახლახანს, 2022 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში, ახალგაზრდა და მეტად ნაყოფიერმა ქართველმა მკვლევარმა ბექა ჭიჭინაძემ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა უაღრესად საყურადღებო ცნობა შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფო სიმბოლოს შესახებ. ამ ინფორმაციას ავტორი შესავალშივე გვაწვდის:

> ჟან დუ პაის მიერ გამოცემულ შესანიშნავ თხზულებაში, სახელწოდებით: „სუვერენულ სახელმწიფოთა ხელისუფალნი“, ქართველთა შესახებ ასეთი საგულისხმო ჩანაწერია მოცემული: „[ქართველები] იმედოვნებენ, რომ ქრისტიანთა ძალისხმევით იერუსალიმის სამეფო დაუბრუნდება [მის მესაკუთრე] ფლანდრიის გრაფებს, რის სახსოვრადაც ისინი თავის ნიშნად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს (იერუსალიმის ჯვარი წარმოადგენს ცნობილ ხუთჯვრიან სიმბოლოს. – ბ. ჭ.), რომელიც ფლანდრიის ჯვარიცაა.[1]

მოხმობილი ცნობის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია იმის გათვალისწინებით, რომ ქართველების მიერ იერუსალიმის აღმნიშვნელი ხუთჯვრიანი დროშის გამოყენების შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დღემდე სადავო პორტოლანური საზღვაო რუკების მონაცემებს, ნარატიული მონაცემები სანთლით საძებნია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეს ინფორმაცია, რომელიც თავისებურ ახსნას უძებნის საქარ-

* სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით FR-21-2041.

[1] ბ. ჭიჭინაძე. საქართველოს ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობა და ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობები. თბ. 2022, გვ. 4.

თველოში იერუსალიმის ხუთჯვრიანი სიმბოლოს დამკვიდრების ფაქტს, სამეცნიერო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

უპირველესად, მოვიყვანოთ ამ მონაკვეთის სრული თარგმანი, რათა დავაზუსტოთ და შესაბამის კონტექსტში შევაფასოთ მთლიანი ინფორმაცია.

> აზიის ქრისტიანი მთავრები
> ფლანდრიის გრაფიები პრეტენზიას აცხადებდნენ იუდეასა და იდუმეაზე, რომლებსაც მათი წინაპრები დიდი ხნის განმავლობაში ფლობდნენ. როდესაც დიდმა სულთანმა სალადინმა განდევნა ქრისტიანები, ისინი საქართველოში წავიდნენ და მათგან მოდიან ქრისტიანები, რომლებსაც დღეს ქართველებად უხმობენ. ისინი თავს კათოლიკეებს უწოდებენ, თუმცა იმდენად თავისუფლად ცხოვრობენ, რომ, როგორც ჩანს, ქრისტიანის სახელს მხოლოდ ძალიან მარტივი და სულელური რწმენით ატარებენ და, შესაძლოა, მხოლოდ ღვინის დასალევად. თურქებმა ვერ შეძლეს მათი დამორჩილება და, მცირე ხარკის სანაცვლოდ, თავისუფლად ცხოვრების საშუალება მისცეს.
> ისინი დღესასწაულობენ და ღვთისმსახურებენ იერუსალიმში, თუმცა არ არიან რელიგიურნი; ისინი აქორწინებენ ძმებს, დებს და ახლო ნათესავებს და ამბობენ, რომ ამას აკეთებენ თურქებთან ან ებრაელებთან კავშირის თავიდან ასარიდებლად; შვეიცარიელთა მსგავსად, მათ ქირაობენ და უხმობენ როგორც დამხმარე ძალას; მაგრამ ისინი იმედოვნებენ, რომ ქრისტიანთა ძალისხმევით გათავისუფლებული იერუსალიმის სამეფო დაუბრუნდება ფლანდრიის გრაფთა მემკვიდრეებს, რომელთა სამახსოვრადაც ისინი თავიანთ გერბად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს, ფლანდრიის [გერბს] ზემოთ.[2]

ახლა კი მონაკვეთებად დავყოთ ზემომოხმობილი ინფორმაცია და ცალ-ცალკე განვიხილოთ მათი ავკარგიანობა:

ფლანდრიის გრაფიები პრეტენზიას აცხადებდნენ იუდეასა და იდუმეაზე, რომლებსაც მათი წინაპრები დიდი ხნის განმავლობაში ფლობდნენ – დასაწყისში ავტორი გვამცნობს ფლანდრიის გრაფების პრეტენზიას წმინდა მიწაზე (იუდეასა და იდუმეაზე), რომელსაც მათი წინაპრები

[2] Interets et maximes des princes & des estats souverains. Cologne, 1666, გვ. 205-206.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ფლობდნენ, რაც მართებულია ისტორიულად;[3]

როდესაც დიდმა სულთანმა სალადინმა განდევნა ქრისტიანები – სწორია;

ისინი საქართველოში წავიდნენ და მათგან მოდიან ქრისტიანები, რომლებსაც დღეს ქართველებად უხმობენ – ეს, რა თქმა უნდა, მცდარია;

ისინი თავს კათოლიკეებს უწოდებენ – სწორია, საუკუნეების განმავლობაში ქართულ ეკლესიას „კათოლიკე" (საყოველთაო) ეწოდებოდა. ასე, როგორც „კათოლიკე" ან „წმიდა კათოლიკე და სამოციქულო კათოლიკე" მოიხსენიება ქართული ეკლესია 1072 წელს დაწერილ გიორგი II-ის სიგელში შიომღვიმისადმი,[4] 1170 წ. გიორგი III-ის სიგელში შიომღვიმისადმი,[5] 1188 წ. თამარ მეფის სიგელში გელათისადმი,[6] 1245-50 წწ. გრიგოლ სურამელის სიგელში შიომღვიმისადმი,[7] 1569 წ. კახთა მეფის ლეონის სიგელში სვეტიცხოველისადმი,[8] 1592 წ. სიმონ I-ის სიგელსა[9] და 1749 წ. თეიმურაზ II-ის წიგნში;[10]

იმდენად თავისუფლად ცხოვრობენ, რომ, როგორც ჩანს, ქრისტიანის სახელს მხოლოდ ძალიან მარტივი და სულელური რწმენით ატარებენ – დასავლეთევროპელის ასეთი შეხედულება ქართულ ქრისტიანობაზე გასაკვირი არაა. საკმარისია ითქვას, რომ XVII საუკუნის ევროპელი მისიონერების რეპორტები სავსეა იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების, მათი ცრურწმენებისა და მათ მიერ შესრულებული ნათლობისა თუ სხვა ქრისტიანული საიდუმლოებების კრიტიკით;[11]

---

[3] წმინდა მიწაზე ჯვაროსნების მიერ შექმნილი იერუსალიმის სამეფოს პირველი მმართველები, ძმები გოდფრუა ბუიონი (1099-1100) და ბალდუინ I ბულონელი (1100-18), ბალდუინ I რკინის მკლავის (830-79) მიერ დაარსებული ფლანდრიის გრაფთა სახლის უმცროს შტოს (ბულონის სახლს) წარმოადგენდნენ. ფლანდრიის გრაფები იდგნენ 1204 წელს დაარსებული კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერიის სათავეშიც.

[4] ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბ. 1965, გვ. 12.

[5] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 21.

[6] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 25.

[7] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

[8] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 194.

[9] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 205, 207.

[10] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, გვ. 398.

[11] მაგალითისათვის, ასეთივე ტექსტს ვპოულობთ დონ არქანჯელო ლამბერტის რელაციაში: „კოლხიდელები, თუმცა ქრისტიანები არიან, მაგრამ მხოლოდ სახელით, რადგან დაივიწყეს ჭეშმარიტი წესი ნათლობისა და მასთან ერთად სხვა საიდუმლოთა წესები". დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე

შესაძლოა, მხოლოდ ღვინის დასალევად – ქართველების სიყვარული ღვინისადმი საყოველთაოდ იყო ცნობილი;[12]

თურქებმა ვერ შეძლეს მათი დამორჩილება და, მცირე ხარკის სანაცვლოდ, თავისუფლად ცხოვრების საშუალება მისცეს – აქ რეალობა ძირითადად სწორადაა ასახული;

ისინი დღესასწაულობენ და ღვთისმსახურებენ იერუსალიმში – ეს მონაკვეთიც, სადაც ავტორი აღნიშნავს ქართველების ერთგულებას იერუსალიმისადმი, მართებულია;

ისინი აქორწინებენ ძმებს, დებს და ახლო ნათესავებს – ერთი შეხედვით ეს ცნობა სრულ აბსურდად შეიძლება მოგვეჩვენოს, რადგან აღმოსავლეთის საქრისტიანოში დამკვიდრებული კანონიკის კვალდაკვალ, ქართული ეკლესიაც კრძალავდა მეშვიდე ხარისხის ნათესავების ქორწინებას, მაგრამ საქმე ასე იოლადაც არ არის. რიგითი მოკვდავებისათვის სავალდებულო კანონებს სამეფო საგვარეულო და დიდებულები იოლად არღვევდნენ ხოლმე. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი (913-59) აღნიშნავდა, რომ ბაგრატიონთა სახლის წევრები, მიიჩნევდნენ რა თავს ებრაელთა ჩამომავლებად, ტრადიციულად ქორწინდებოდნენ თავიანთ ნათესავებზე.[13] პორფიროგენეტს თავადვე მოჰყავს ბიძაშვილებს შორის ასეთი ქორწინების ორი მაგალითიც.[14] როგორც გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, ქართულ სამეფო საგვარეულოებში პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით განპირობებულ ენდოგამიას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. შემდგომში, გვიან შუასაუკუნეებში ასეთი შემთხვევე-

---

ჭყონიამ. გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ილია ანთელავამ. თბ. 1991, გვ. 8. დამატებით იხ. დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოზე XVII საუკუნე). შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა. თბ. 1977, გვ. 35-37, 58; დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, გვ. 105-19; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1964, გვ, 27, 39, 47, 94, 108-12; დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1976, გვ. 109, 203, 220

[12] ამის თაობაზე ევროპელ ავტორთა ცნობები იხ. რენე ჟანენი. ქართველები იერუსალიმში. ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ. სტამბოლი, 1921, გვ. 28-29; დონ არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 16, 48-50; დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, გვ. 80, 117, 145.

[13] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტ. IV/2. თბ. 1952, გვ. 255-56. იქვე იხ. ს. ყაუხჩიშვილის კომენტარი სხვა მაგალითებით: გვ. 256, შენ. 1

[14] გეორგიკა. ტ. IV/2, გვ. 275-76, 278.

ბი მხოლოდ მეხუთე-მეექვსე ხარისხის ნათესავებს შორის შეინიშნება;[15]

შვეიცარიელთა მსგავსად, მათ ქირაობენ – სწორია, ქართველ დაქირავებულ მეომრებს ხშირად ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის (და არა მარტო) არმიების რიგებში;

ისინი თავიანთ გერბად ატარებენ იერუსალიმის ჯვარს, ფლანდრიის [გერბს] ზემოთ – ეს ცნობა ადასტურებს პორტოლანების მონაცემებს ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ და თავისებურ ახსნას უძებნის მას, აკავშირებს რა ფლანდრიის გრაფებთან. საინტერესოა შემდეგი პარალელიც: ფლანდრიის გერბი არის უკანა თათებზე მდგომი ლომი (სურ. 1აბგ), ლომები კი ფიგურირებენ უძველეს ქართულ გერბებშიც, რომლებიც ვახტანგ VI-ის მიერ არის შემუშავებული. მისი პირველი ნიმუში 1709 წელს ახალგახსნილ თბილისის სტამბაში დაბეჭდილ „სამოციქულოში" გვხვდება, სადაც ბაგრატიონთა გერბზე ლომი ფარის ქვემოთაა გამოსახული (სურ. 2), ხოლო 1724-37 წლებში შექმნილ ვახტანგ VI-ის პირად გერბზე ორი ლომი უკვე კლასიკური ფარისმტვირთავების პოზაში არიან განთავსებულნი (სურ. 3).[16] სავარაუდოა, რომ თავის მხრივ, ვახტანგ VI-ც რაღაც ტრადიციას ან გადმოცემას ემყარებოდა, როდესაც ლომი შემოჰყავდა ქართულ ჰერალდიკაში. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ტრადიციის გამო თვლის ქართული გერბის შემადგენელ ნაწილად ლომს ევროპელი ავტორიც, რომელიც ამ ჰერალდიკურ ფიგურასაც ფლანდრიასთან აკავშირებს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ შემთხვევაშიც ის წერს საქართველოში რეალურად არსებულ ტრადიციაზე.

საერთო ჯამში, უნდა დავასკვნათ, რომ დასავლეთევროპელისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ცდომილების გარდა, ავტორის მონათხრობი ძირითადად სწორია.

ყველაზე საინტერესო ბოლო მონაკვეთია, საიდანაც ვიგებთ ქართველების მიერ გამოყენებული იერუსალიმის ჯვრის შესახებ, მაგრამ სანამ ამ ცნობის წარმოშობასა ან საიმედოობაზე ვიმსჯელებდით, თავად მისი გამოცემის ვითარება დავაზუსტოთ.

ჩვენთვის საინტერესო ცნობა ერთი თავია საკმაოდ ვრცელი ნაშრომისა *მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები და მაქსიმები* (*Interets et maximes des princes & des estats souverains*), რომელმაც 1666 წელს იხილა დღის სინათლე. ამ წიგნში ორი თხზულებაა გაერთიან-

[15] გ. ნადარეიშვილი. ძველი ქართული საოჯახო სამართალი. თბ. 1996, გვ. 12-18.
[16] თ. ასათიანი. ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა). თბ. 2010, გვ. 17-19.

ებული – *მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები* და *მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების მაქსიმები*. თავფურცლის მიხედვით წიგნი გამოიცა ჟან დუ პაის მიერ კიოლნში 1666 წელს. სინამდვილეში კი „ჟან დუ პაი“ არარსებული სახელია. ამ პერიოდში, საფრანგეთში გაბატონებული ცენზურის გამო, წიგნები ხშირად გამოდიოდა ყალბი საგამომცემლო სახლების სახელით, რეალურად კი ჰოლანდიაში იბეჭდებოდა. ეს წიგნიც დაბეჭდილი უნდა იყოს დანიელ ელსევიერის (ელზევირის)[17] მიერ ამსტერდამში.[18] როდესაც ელსევიერებს არ სურდათ თავიანთი ემბლემა დაეტანათ წიგნის სატიტულო ფურცელზე, მას სფეროთი ანაცვლებდნენ.[19] ასეთ სფეროს ვხედავთ „მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების“ კიოლნის გამოცემაზეც (სურ. 4). ზემოხსენებული პირველი თხზულება (*მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესები*) ანრი დე როჰანის ნაშრომზე – *მთავრებისა და ქრისტიანი სახელმწიფოების ინტერესები* (*De l'intérêt des princes et états de la chrétienté*) – არის დაფუძნებული და შესაბამისი თავები ფაქტობრივად უცვლელია, მხოლოდ მრავალი თავია დამატებული. სწორედ ამიტომ, როგორც მისი თხზულების ახლახანს გამომცემელი ჟან-ფრანსუა ბლანი წერს, მას ანრი დე როჰანს აკუთვნებენ.[20]

ვინ იყო ანრი დე როჰანი და რა ინფორმაცია შეიძლება ჰქონოდა მას საქართველოსა და ქართული რეალობის შესახებ?

ანრი დე როჰანი (1579-1638), საფრანგეთის პერი, როჰანის ჰერცოგი და ლიონის პრინცი, წარმოდგებოდა ერთ-ერთი უძველესი წარჩინებული ფრანგული გვარიდან, რომელიც XI საუკუნიდან იყო ცნობილი (სურ. 5).[21] ბავშვობიდანვე ინტელექტუალებითა და მეცნიერებით გარშემორტყმული, ანრი სამხედრო კარიერისათვის ემზადებოდა და თავიდანვე მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ თავს: ცოტა ეძინა, მცირედით კმაყოფილდებოდა, სასმელს არ ეტანებოდა და ცხენიდან არ ჩამოდიო-

[17] დანიელ ელსევიერი (1626-80) ცნობილი ჰოლანდიური საგამომცემლო დინასტიის წარმომადგენელი იყო.

[18] Henri de Rohan. Intérêts réciproques des princes et des états souverains. Ed. Joan Francés Blanc. Strasbourg, 2016, გვ. V.

[19] Elzevir. The Encyclopædia Britannica. Vol. 9. 11th ed. Cambridge, 1910, გვ. 304.

[20] Henri de Rohan. Intérêts réciproques des princes et des états souverains, გვ. V-VI.

[21] Jonathan Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, 1550-1715. University Park, PA, 2015, გვ. 14-16. დედამისი, ეკატერინე დე პართენი, ამაყობდა, რომ ლუზინიანების სამეფო სახლის ჩამომავალი იყო. Jack Alden Clarke. Huguenot Warrior: The Life and Times of Henri de Rohan, 1579-1638. Hague, 1966, გვ. 1-2.

და.[22] ის 18 წლიდან მონაწილეობდა სამხედრო კამპანიებში და თავი გამოიჩინა ამიენის ალყის დროს 1597 წელს.[23]

ანრი დე როჰანი ახალგაზრდობაში ბევრს მოგზაურობდა და 1599-1601 წლებში მოიარა გერმანია, იტალია, ავსტრია, უნგრეთი, ნიდერლანდები, ინგლისი და შოტლანდია. ინგლისში დედოფალმა ელისაბედ I-მა (1558-1603) მას თავისი რაინდი უწოდა, შოტლანდიაში კი ჯეიმს VI-მ შვილი, ინგლისის მომავალი მეფე ჩარლზ I (1625-49) მოანათლინა.[24] 1606 წელს დე როჰანი ნიდერლანდებში ებრძვის ესპანელებს ნასაუს პრინცის მორისის მხარდამხარ, 1610 წელს ომობს გერმანიაში, ხოლო 1617 წელს – იტალიაში.[25]

საფრანგეთის მეფის ანრი IV-ის (1589-1610) სიკვდილის შემდეგ, ანრი დე როჰანი ფრანგი კალვინისტი პროტესტანტების (ჰუგენოტების) წინამძღოლი გახდა. ის იარაღით ხელში სამჯერ გამოვიდა სამეფო ტახტის წინააღმდეგ, როდესაც მან ჰუგენოტთა შევიწროება დაიწყო.[26] ამ აჯანყებების სერიას ზოგჯერ როჰანის ომებსაც უწოდებენ. პირველი ამბოხის დროს, 1621-22 წლებში ანრი წარმატებით იბრძოდა სამეფო ჯარების წინააღმდეგ. ომი დასრულდა მასსა და ლუი XIII-ს შორის დადებული 1622 წლის მონპელიეს ზავით, რითაც ჰუგენოტებმა შეინარჩუნეს თავიანთი მდგომარეობა და უფლებები.[27] ხელისუფლებამ არ დაიცვა ზავის პირობები, რასაც მოჰყვა მეორე აჯანყება 1625-26 წლებში, რომელიც დასრულდა პარიზის ზავით, სადაც გარკვეული დათმობების ფასად ჰუგენოტებმა საკუთარი ორგანიზაცია და რწმენის თავისუფლება შეინარჩუნეს.[28] მესამე გამოსვლის დროს, 1627-29 წლებში ანრი დე როჰანი სამხრეთ საფრანგეთში იბრძოდა და სისწრაფისა და მოქნილობის ხარჯზე გაცილებით რიცხვმრავალ სამეფო ჯარებს უნარიან წინააღმდეგობას უწევდა. ამ ომში, 14-თვიანი ალყის შემდეგ დაეცა ჰუგენოტთა მთავარი

[22] Dewald, Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 39-43; Clarke. Huguenot Warrior, გვ. 8-10.

[23] Andreas Nijenhuis-Bescher. Les Provinces-Unies, une nouvelle Rome? Henri II de Rohan (1579-1638), République et Calvinisme. Chrétiens et sociétés, 22, 2015, გვ. 59; Clarke. Huguenot Warrior, გვ. 11.

[24] Rohan, Henri. The Encyclopædia Britannica. Vol. 23. 11th ed. Cambridge, 1911, გვ. 460.

[25] Clarke. Huguenot Warrior, გვ. 21-22, 26-27, 64.

[26] Olivier Ribière. Le duc de Rohan: officier et penseur militaire du XVIIe siècle. Dans Stratégique, 88/1, 2007, გვ. 146.

[27] Clarke. Huguenot Warrior, გვ. 82-108.

[28] Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 65; Clarke. Huguenot Warrior, გვ. 119-35.

სიმაგრე ლა-როშელი, რომელსაც ანრის უმცროსი ძმა იცავდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ დე როჰანი იძულებული გახდა ვენეციაში წასულიყო.[29]

სახელგანთქმულ ჰუგენოტ მეთაურს კათოლიკური იტალიაც კი პატივით დახვდა: „მისი გამარჯვებებით საზღვარგარეთ უფრო აღფრთოვანებულნი არიან, ვიდრე საფრანგეთში", – უხალისოდ აღიარებდა კარდინალი რიშელიე.[30] 1630 წელს ანრი დე როჰანი ვენეციური არმიის სარდლად დანიშნეს,[31] ხოლო როდესაც ოცდაათწლიანი ომის (1618-48) დროს საფრანგეთს კვლავ დასჭირდა მისი სამსახური, 1631 წელს რიშელიეს თხოვნით ლომბარდიაში ვალტელინის გადასასვლელის[32] დაცვა ითავა.[33] მომდევნო წლების სამთო ომებმა მისი სამხედრო ნიჭი ყველაზე ცხადად გამოავლინა. 1635 წელს ანრი დე როჰანი ერთდროულად ებრძვის ესპანელთა და ავსტრიელთა არმიებს, რომლებსაც ოთხჯერ ზედიზედ ამარცხებს. 1636 წელს დე როჰანმა საომარი მოქმედებები ლომბარდიის ბარში გადაიტანა, მეხუთედ დაამარცხა ესპანელები, კომოს ტბის ბატონ-პატრონი გახდა და გზა გახსნა მილანზე, მაგრამ ეს შესაძლებლობა საფრანგეთის სამეფო კარმა ვერ გამოიყენა.[34] არმიას ისევ ჩამოცილებული, ანრი შვეიცარიაში წავიდა და 1638 წელს რაინფელდენთან ბრძოლაში საფრანგეთის მოკავშირე საქსონელთა რიგებში ყოფნისას სასიკვდილოდ დაიჭრა.[35]

ანრი დე როჰანი სამართლიანად ითვლება XVII საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო მეთაურად. სამი სამოქალაქო ომის დროს, ყოველთვის უმცირესობაში მყოფი, ის წინააღმდეგობას უწევდა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი სამეფოს არმიას, ხოლო იტალიაში ხუთჯერ დაამარცხა

[29] Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 66; Clarke. Huguenot Warrior, გვ. 150-79.

[30] Clarke. Huguenot Warrior, გვ. 181.

[31] Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 68.

[32] ვალტელინის გადასასვლელი იტალიისა და გერმანიის დამაკავშირებელი ე.წ. „ესპანური გზის" უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი იყო. „ესპანური გზა", იგივე „ესპანური ტერციების გზა", იყო სამხედრო გზა, რომელიც XVI-XVII საუკუნეებში ესპანეთიდან, მილანის გავლით, ნიდერლანდებამდე მიდიოდა.

[33] Clarke. Huguenot Warrior, გვ. 187-89. 1632 წელს შვედეთის მეფე გუსტავ-ადოლფ დიდი, რომელიც ზედიზედ ამარცხებდა ჰაბსბურგთა ჯარებს გერმანიაში, პირადად სთხოვდა ანრი დე როჰანს ჩაეკეტა ეს გზა. იქვე, გვ. 190.

[34] Clarke. Huguenot Warrior, გვ. 190-205. ეს გამარჯვებები მას სამთო ომების ყველა დროის საუკეთესო მეთაურებს შორის აყენებს. Ribière, "Le duc de Rohan", გვ. 146.

[35] Clarke. Huguenot Warrior, გვ. 212.

საღვთო რომის იმპერიისა და ესპანეთის ჯარები.[36] ის ნაყოფიერი მწერალიც გახლდათ, რომლის კალამს ეკუთვნის როგორც მემუარული ხასიათის ლიტერატურა (*Voyage du duc de Rohan*; *Mémoires du duc de Rohan*), ისე სამხედრო და პოლიტიკური ტრაქტატები (*Le Parfait Capitaine*; *De l'intérêt des princes et états de la chrétienté*). ჯერ კიდევ თავისი მოგზაურობების ანრი დე როჰანმა დროს გაიცნო ევროპის მმართველი წრეები და დაინახა მათი ინტერესები, რამაც შეუქმნა ადეკვატური წარმოდგენა ეპოქის გეოპოლიტიკური რეალობის შესახებ. მისი *De l'intérêt des princes et états de la chrétienté* პოლიტიკური ცხოვრების მამოძრავებელი ძალების შესახებ ნოვატორული კვლევაა. დე როჰანი ფაქტობრივად პირველი ევროპელი მწერალი იყო, რომელმაც შეიმუშავა პირადი ინტერესების თეორია, როგორც ადამიანთა საქმიანობის წარმმართველი ძალა. როგორც თავად წერდა: „მთავრები მართავენ ხალხებს და ინტერესი მართავს მთავრებს. ამ ინტერესის გაგება ისევე მაღლა დგას მთავრების ქმედებებზე, როგორც ისინი დგანან ხალხზე მაღლა... სახელმწიფოების გადარჩენა ან დაღუპვა ინტერესების სწორ ან არასწორ გაგებაზეა დამოკიდებული".[37] ანრი განათლებული მოღვაწე იყო, ჰქონდა მიმოწერა ევროპელ ინტელექტუალებთან და ლაშქრობების დროსაც თან ატარებდა პირად ბიბლიოთეკას.[38] მისი ნაწერები XVII საუკუნის მემუარული ჟანრის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება. „კალმისა და დაშნის" კაცი, როგორც მას პიერ და სოლანჟ დეიონებმა უწოდეს,[39] და რომლის სიკვდილსაც ვოლტერმა ეპიტაფია მიუძღვნა,[40] „ანრი დე როჰანი იმ დიდ მეთაურებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც ფლობდნენ კეისრის ორივე უნარს – გამარჯვებისა და წერის ხელოვნებას".[41]

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ისტორია სიყრმიდანვე ანრი დე რო-

[36] Ribière. Le duc de Rohan, გვ. 147.

[37] Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 6, 74.

[38] ცნობილია, სულ მცირე, 104 დასახელების წიგნი, რომელთაც ის ჯორებზე დატვირთული დაატარებდა. Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 71.

[39] Pierre et Solange Deyon. Henri de Rohan, huguenot de plume et d'épée, 1579-1638. Paris, 2000, გვ. 1-224.


[40] „დაბადებისას, ზეცამ მას ყველა ნიჭი მომადლა,
ის მოქმედებდა როგორც გმირი, და წერდა როგორც ბრძენი.
იყო დიდებული, როდესაც ებრძოდა საკუთარ ბატონს,
და უფრო დიდი, როდესაც მას მსახურებდა".

[41] Ribière. Le duc de Rohan, გვ. 147.

ჰანის მთავარ ინტელექტუალურ საქმიანობას წარმოადგენდა,[42] არ უნდა გაგვიკვირდეს მისი ჩახედულობა აღმოსავლეთის საქრისტიანოს საქმეებში. დევნილობაში მყოფი როჰანი ერთი ხანობა კუნძულ კვიპროსის შეძენასაც კი აპირებდა ოსმალეთისაგან; მას კავშირები ჰქონდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ კირილესთან. კვიპროსი და აღმოსავლეთი მას იზიდავდა ლუზინიანებთან კავშირის გამოც, რომელთა ჩამომავლობითაც ის ამაყობდა.[43] „მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესებში“ მოყვანილი ცნობები საქართველოს შესახებ, ალბათ, ამ ინტერესების ერთგვარი გამოვლინებაა, სადაც მან სცადა აეხსნა ფაქტი, თუ როგორ გაჩნდა იერუსალიმის ხუთი ჯვარი ქართულ დროშაზე. თავად ეს ფაქტი კი, როგორც ჩანს, ევროპელებისათვის უკვე კარგა ხანია ცნობილი იყო.

[42] Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 71.
[43] Dewald. Status, Power, and Identity in Early Modern France: The Rohan Family, გვ. 82-83.

ილუსტრაციები:




სურ. 1 ფლანდრიის გერბი (ა), ფლანდრიის გერბი გელრეს არმორიალში (ბ) და მისი თანამედროვე რეკონსტრუქცია (გ).



სურ. 2 ბაგრატიონთა გერბი.



სურ. 3 ვახტანგ VI-ის გერბი.



სურ. 4 ელსევიერების სფერო „მთავრებისა და სუვერენული სახელმწიფოების ინტერესებისა და მაქსიმების“ კიოლნის გამოცემაზე.



სურ. 5 ანრი დე როჰანი. ბალთაზარ მონკორნეს გრავიურა.

Mamuka Tsurtsumia
PhD in History,
Tbilisi, Georgia

RICHELIEU, LA ROCHELLE... AND THE GEORGIAN STATE FLAG

Summary

In the anonymous work *Interets et maximes des princes & des estats souverains*, published in Cologne in 1666, there is interesting information about the Georgian state symbol in the Middle Ages. According to this work, Georgians used the Jerusalem cross as their coat of arms. The significance of this information is particularly noteworthy, given the scarcity of narrative data regarding the Georgians' use of the five-cross flag, unless we consider the data from the Portolan sea charts that are still under discussion to date.

The aforementioned work is attributed to Henri de Rohan (1579-1638), the Duke of Rohan and Prince of Lyons, who belonged to one of the oldest noble French families. Surrounded by intellectuals and scholars since childhood, Henri prepared for a military career and participated in military campaigns from the age of 18. In his youth, he extensively traveled, visiting Germany, Italy, Austria, Hungary, the Netherlands, England, and Scotland between 1599 and 1601.

After the death of King Henri IV of France (1589-1610), Henri de Rohan became the leader of the French Calvinist Protestants (Huguenots). He opposed the royal throne three times with arms in hand when it began to oppress the Huguenots. This series of rebellions is sometimes referred to as the Rohan Wars. After the defeat of the rebellion, de Rohan was forced to seek refuge in Venice. During the Thirty Years' War (1618-48), France required his services again. In 1631, at Richelieu's request, he was assigned to guard the Valtellina Pass in Lombardy. In 1635, Henri de Rohan simultaneously fought the Spanish and Austrian armies, defeating them four times in a row. In 1636, de Rohan shifted hostilities to the Lombardy region, defeating the Spaniards for the fifth time, capturing Lake Como, and opening the way to Milan. He met his end in 1638, mortally wounded in the Battle of Reinfelden while fighting alongside the Saxons, allies of France.

Henri de Rohan is rightly considered one of the greatest military commanders of the 17th century. During three civil wars, always outnumbered, he resisted the army of one of the most powerful kingdoms in Europe. In Italy, he defeated the armies of the Holy Roman Empire and Spain five times. He was also a prolific writer, producing memoir literature such as *Voyage du duc de Rohan* and *Mémoires du duc de Rohan*, as well as military and political treatises like *Le Parfait Capitaine* and *De l'intérêt des princes et états de la chrétienté*. During his travels, Henri de Rohan acquainted himself with the ruling circles of Europe and gained insight into their interests, contributing to an adequate understanding of the geopolitical reality of the era. His work *De l'intérêt des princes et états de la chrétienté* is a groundbreaking study of the driving forces of political life. De Rohan was the first European writer to develop a theory of self-interest as a guiding force in human activity. Henri, an educated man, corresponded with European intellectuals and carried part of his personal library on his travels. His writings are considered the best examples of 17th-century memoir genre literature. A man of "pen and sword," as Pierre and Solange Deyon called him, and to whose death Voltaire dedicated an epitaph, "Henri de Rohan belonged to those great commanders who possessed both the qualities of Caesar, the art of winning and the art of writing."

Considering that history was Henri de Rohan's main intellectual pursuit since childhood, it is not surprising that he had insight into the affairs of Eastern Christianity. During his exile, Rohan even planned to purchase the island of Cyprus from the Ottomans and had connections with Patriarch Kirill of Constantinople. Cyprus and the East appealed to him due to his connection with the Lusignans, whose ancestry he proudly acknowledged. The references to Georgia in *Interets et maximes des princes & des estats souverains* are likely manifestations of these interests, where he attempted to explain how the five crosses of Jerusalem appeared on the Georgian flag. This fact itself appears to have been known to Europeans for a long time.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

აკაკი ჩოქობავა
ისტორიის დოქტორი

გლეხი ქართულ საისტორიო საბუთებსა და სამართლის ძეგლებში (პირველადი დაკვირვების შედეგები)*

„მაგრამ იმის თქმა, რომ დოკუმენტაცია „შერყვნილია ინტერპრეტაციებით", ნიშნავს ჯეროვნად არ დააფასო ინკვიზიტორთა ანთროპოლოგიური გამჭრიახობა
კარლო გინძბურგი

შუა საუკუნეებში გლეხი ძირითად საწარმოო საშუალებას წარმოადგენდა. ბატონს უფლება ჰქონდა გლეხი მიწიანად ან უმიწოდ გაეყიდა. საბეგრო ვალდებულება მომდინარეობდა გლეხის დამოკიდებულებისგან, ბატონის მიწას ამუშავებდა ის, თუ, მას პიროვნულად ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ გლეხი ქართული სამართლის ძეგლებში უამრავჯერ იხსენიება, ის მაინც არ წარმოადგენს სუბიექტს შუა საუკუნეებში, როგორც ყველგან, ფეოდალური ურთიერთობების განმავლობაში.

მაგალითად, ე.წ. ნიკორწმინდელის დაწერილში, თითქოს წინამძღვარი გლეხისგან ყიდულობს მიწას. მაშინ ისმის შეკითხვა, თუ გლეხი თვითონ წარმოადგენს საწარმოო საშუალებას და სხვის საკუთრებას, საიდან გააჩნია მას უფლება მიწაზე, რომელიც იმ პერიოდისთვის სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო და საწარმოო საშუალებაა. ქართული დოკუმენტების და სამართლის ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნიკორწმინდის დაწერილში ან სხვა დოკუმენტებში გლეხის მოხსენიება მიწის ყიდვასთან დაკავშირებით რეესტრისთვის აუცილებელი პირობაა, რადგან გლეხი კი არ არის მიწის მესაკუთრე და უშუალო გამყიდველი, არამედ, ის ეკუთვნის ბატონს, მის გარეშე ვერანაირი ოპერაციის ჩატარება არ შეუძლია.

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტის დაფინანსების კონკურსის ფარგლებში. YS-22-679.

ბექას სამართალის 76-ე მუხლში ვკითხულობთ, თუ გლეხმან, მისი პატრონის ხელ-ჩაურთავად გაყიდოს რამე, ბატონს შეუძლია არ დათმოს, ან გაყიდულის საზღაური გამყიდველისგან აიღოს.[1]

ბექას სამართლის 45-ე მუხლის თანახმად, საკარგავის ან საგლეხო მამულის შემთხვევაშიც, თუ ბატონის მონაწილება არ ჩანს, ბატონს შეუძლია გაყიდული არ დათმოს, ან გაყიდულის ფასი, როგორც გამყიდველისგან, ისე მყიდველისგან ნახევერ-ნახევარი აიღოს.[2]

როგორც სამართლის ძეგლებიდან ირკვევა, გლეხს, არა მხოლოდ მიწის გაყიდვა არ შეეძლო ბატონის უკითხავად, არამედ, მიწაზე არსებული ნაგებობის თუ დამხმარე საწარმოო საშუალებებისაც.

სამართლის მიხედვით, გლეხი ვალდებულია მის ფინანსურ ოპერაციებში ბატონი ყავდეს ჩარეული, ან როგორც ხელჩამრთველი. თუ მაგალითად გლეხი გლეხს თავდებად დაუდგებოდა, აღნიშნული გლეხი საპატიო კაცის გლეხი უნდა ყოფილიყო და მისი პატრონის ხელჩართვაც აუცილებელი იყო.[3]

ამ სამართლის ნორმების მიხედვით გლეხს არანაირი უფლება არ გააჩნია, არა თუ სამართლის სუბიექტი ყოფილიყო, არამედ ყიდვა-გაყიდვის დროსაც. გლეხის მიერ მიწის გაყიდვის ფაქტის რეგისტრაცია მხოლოდ იმიტომხდება, რომ მებატონე ასხვისებს გარკვეულ ნაკვეთს. მხოლოდ გლეხის, საგლეხო კომლის, როგორც ამ მიწის მფლობელისა და ფისკალური სუბიექტის,როგორც პროდუქტის შემქმნელის დაფიქსირება წმინდა ეკონომიკური ფაქტორიდან გამომდინარეობს. გლეხობის დაფიქსირება ყიდვა-გაყიდვის რეესტრში, აუცილებელია მხოლოდ იმიტომ რომ აღწერილი იყოს გაყიდულ მიწაზე რომელი გლეხი ზის.[4]

ქართულ საისტორიო დოკუმენტებში, ძირითადად მაღალი კლასის სურვილები და მოთხოვნებია წარმოდგენილი, რაც ლოგიკურია. მათ ხელშია საგანმანათლებლო და სასამართლო სისტემა. ქვეყნის 4% იცის წერა-კითხვა და ძალაუფლება თანხმობის წარმოება მათ ხელშია.ქართული ეკლესია მონოპოლისტია განათლებაზე. ანტონიო გრამშის თანახმად, შუასაუკუნეების ინტელიგენციას (ორგანულ ინტელიგენციას) წარმოად-

[1] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი. თბ. 1953, გვ. 322.
[2] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 305-306.
[3] ი. დოლიძე. ძველი ქართული სამართალი, გვ. 150.
[4] აკ. ჩიქობავა. მიწის გაყიდვა-გაყიდვის პოლიტეკონომია ფეოდალურ საქართველოში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII. თბ. 2020, გვ. 79-108.

გენენ საეკლესიო პირები, რომლებიც მონოპოლიას ფლობენ იმ დროის მეცნიერებასა და ფილოსოფიაზე, მორალსა და სამართალზე.[5] ფეოდალიზმის გამარჯვებასთან ერთად საბოლოოდ იმარჯვებს მაღალი კლასების ენა და ის სისტემის გაძლიერებასა თუ გაფართოებას ემსახურება. გლეხი, როგორც სუბიექტი რა თქმა უნდა გამქრალია, უფრო სწორად, როგორც სუბიექტი არ არსებობს. ის მხოლოდ რეესტრის მონაცემებისთვის გამოიყენება. თუმცა, სანამ ფეოდალური ურთიერთობები საბოლოოდ გაიმარჯვებდა, ბრძოლა მიმდინარეობდა ე.წ. მაღალ სტილისა და ხალხური მეტყველებას შორის. ნიკო მარმმა, აღნიშნული პროცესი ადიშის ოთხთავის მაგალითზე შენიშნა.

ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვება მტკივნეულად მიმდინარეობა, მოსახლების სრული გაგლეხება, თავისუფალი მწარმოებლების გაქრობა, მიწების კოლონიზაცია. თუ კაპიტალისტური წარმოების დამკვიდრებას თან ახლავს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პროცესი, ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვების პროცესის თანმდევად შეგვიძლია პირობითად წარმოვიდგინოთ ფეოდალური დაგროვება, სადაც თავისუფალი მეთემე სრულად დამოკიდებული ხდება ანუ წარმოიქმნება გლეხობა, როგორც კლასი, ქონების კონცენტრაცია ხდება ერთეულების ხელში, იცვლება წარმოების წესი და საკუთრების ფორმა.ამ პროცესს, ივანე ჯავახიშვილი, სოციალურ ტეხილს უწოდებს. სიტყვები მნიშვნელობას და შინაარს იცვლიან. მაგალითისთის სიტყვა სოფელი, რომელიც აღნიშნავდა ქვეყანას, მსოფლიოს, VIII საუკუნიდან იცვლის სემანტიკას და დღევნდელი მნიშვნელობით მკვიდრდება. მაგალითად დაბა წარმოადგენდა დასახლებულ პუნტქს, როგორც დღეს ვხმარობთ, თუმცა იქ მცხოვრებს ეწოდებოდა მდაბიორი, მდაბიო ერი, მდაბიური, ანუ „ერი“/ხალხი, რომელიც დაბაში ცხოვრობდა. ისინი საერთო/სათემო საკუთრების ფორმით ფლობდნენ მიწას და შრომის ორგანიზებას საზაზოგადოებრივი ფრომა ფქონდა. ახლად გაძლიერებული კერძო საკუთრების ფორმა კი, გვაროვნულის და სათემო საკუთრების მტერი იყო, მას უნდა მოესპო ის, რადგან მიწები თუ ადამიანები, კონკრეტული სამხედრო პირების პირად დამოკიდებულებაში გადასულიყო. სწორედ ამ პროცესში იცვლის მნიშვნელობას სიტყვა მდაბიო ერი, მდაბიო და VIII-IX საუკუნეების მერე იხმარება დღევანდელი მნიშვნელობით. მარგინალიზება

[5] A. Gramsci. Prison Notebooks. The Intellectuals. The Formation of the intellectuals. An anthology of western Marxism. Oxford University press. 1989, გვ. 113-119.

ხდება თავისუფალი მწარმოებლის ან მათი ვინც ადრე თავისუფალ მეთემს წარმოადგენდა და დღეს უკვე საკუთრებით თუ პიროვნულად კონკრეტული ოჯახისსადმი ვალდებულებაში იმყოფება. შესაბამისად სისტემამ, ის ვინ დაამცრო და დაიმორჩილა, მისი მარგინალიზება უნდა მოახდინოს.[6] იგივე კატეგორიას მიეკუთვნება ტერმინი გლეხი, რომელიც მეცნიერების დაკვირვებით, სიტყვა გლახადან უნდა იყოს ნაწარმოები. ანუ ის - გლეხი, რომელიც, როგორც კლასი არ არსებობდა, ხოლო „ფეოდალური რევოლუციის“ პირობებში ჩნდება როგორც კლასი, რომელიც ამიერიდან დაექვემდებარება ახალ შექმნი ფეოდალურ კლას, რომლისთვისაც საფუძველშივე ნეგატიური დატვირთვა მუნდა მიენიჭებინათ, თითქოს მათი ბრძოლა სერთო საკუთრების შენარჩუნებისთვის არალეგიტიმური იყო.[7]

ამ ყველაფრის პარალელურად ფეოდალის აღმნიშვნელი სიტყვა მაღალ შეფერილობას იძენს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს პროცესი ერთნაირია ყველგან, სადაც საკუთრების და წარმოების ფეოდალური წესი არსებობდა, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა თუ ეკონომიკური სისტემების აშორიშორებისა. მაგალითად პატრონი, ფეოდალი, ქართულმა ენამ მონიშნა როგორც უფალი, იგივე პროცესია ლათუნურ ენაში, სომხურსა თუ რუსულში. Dominus გახდა ფეოდალის აღმნიშვნელი სიტყვა, ისევე, როგორც სომხური ტერ და რუსული Господи.[8]

ასეთია ფეოდალიზმის ეკონომიკური და კულტურული განზომილება, როგორ ქმნის თანხმობას, ოღონდ უკვე ხმლით მოპოვებულ წესრიგში.ე.წ. ევროპული ჰარმონიული საზოგადოების დანაწილება: მეომარი, მლოცველი, მშრომელი ქართულ რეალობაშიც წარმოჩინდება. ვეფხისტყაოსანში ნათლთდაა დაფიქსირებული „მიწყივ მუშა მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“, ეს იმ საზოგადოებისთის დამახასიათებელი შრომის დანაწილებაა, სადაც სოციალური მობილობა შეუძლებელია. ყველა იქ იცხოვრებს, რა საზოგადოებრივ ფენაში დაიბადა.[9]

---

[6] იხ. აკ. ჩიქობავა. კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური ურთიერთობები. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV. 2018, გვ. 115-130.

[7] ილ. აბულაძე. ძველი ქართული ლექსიკონიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. ტ. I. თბ. 1959, გვ. 170; ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობების ისტორიიდან. თბ. 1961, გვ. 120.

[8] იხ. აკ. ჩიქობავა. კლასობრივი ენის საკითხი და ფეოდალური ურთიერთობები, გვ. 115-130.

[9] იხ. აკ. ჩიქობავა. განვითარებული ფეოდალიზმის გენეზისი და მასთან დაკავშირებული იტორიულ-გეოგრაფიული ასპექტები. ისტორიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

მოგვიანებით, XIV საუკუნეში, როდესაც შავი ზღვის მეშვეობით ვაჭრობა მიმდინარეობს გენუის ფაქტორიებთან, ჩემი დაკვირვებით, ქართველ-მეფე მთავრთა განკარგულებაში მყოფი ვაჭრები, უკვე სოციალური სტატუს შეცვლილი პირები უნდა იყვნენ (ვინმე კაცაძე და სხვები), მათ შორის სავარაუდებელია „მსახურთა“ ფენიდან ამოიზარდოს ვაჭრები თუ მაღალკვალიფიციური ხელოსნები[10]. ლოგიკურია ის, რომ სწორედ გენუელებთან ვაჭრობის პირობებში ქართული წარმოშობის ვაჭრებსაც ვხდებით, რომლებიც ადრე სავარაუდოდ ხელოსნობას მისდევდნენ და აღნიშნულ სიტუაციაში პოლირიკური ხელისუფლების ნება-სურვილით საზღვაო ვაჭრობაში ებმებიან. აქ ხელოსნებთან ერთად ნაოსნობის ოსტატებიც შეიძლება მოვიაზროთ. რატომ არის ლოგიკური ეს გენუელებთან კავშირში? იტალიელი ეკონომისტის და სოციოლოგის ჯოვანი არიგის თანახმად, ამ კაპიტალიზმის დაგროვების პირველი ცენტრი სწორედ გენუა უნდა იყოს, სადაც იწყება შრომის დანაწილების ახალი ეტაპი. ადგილობრივი სავაჭრო კომპანიები და სამხედრო არისტოკარტია ქმნიან ბანკებს მევახშეობის საპირწონედ. კაპიტალისტური ფორმის საერთაშორისო ვაჭრობის საწარმოებლად ადგილობრივ მესვეურებს ზღვასთან და ხელოსნობასთან დაკავშირებული პირების ჩართვა უფრო აქტიურად მოუწევდათ.[11]

თუმცა ეს გამონაკლისი უნდა იყოს საქართველოს ისტორიაში, რადგან სწორედ ამ ტიპის სავაჭრო კაპიტალთან ურთიერთობას შეეძლო ამგვარი პროცესის შექმნა. მოგვიანებით, როდესაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა და ბატონყმობის ეტაპზე გადადის, ან სულაც ბატონყმობის კვლავწარმოება ხდება, გლეხის ექსპლუატაცია კვლავ ბეგარისა და ზედმეტი შრომის ხარჯზე ხორციელდება. ნატურალური, შრომამიგებითი და ფულადი ბეგარა გლეხის შრომა ან შრომის ნაყოფია, რომელსაც ბატონი ითვისებდა.

ამ შრომის პროცესში, გლეხობა, როდესაც ვერ ახერხებდა ბეგარის დროზე ან სრულად გადახდას, იძულებული იყო ვალისთის მიემარ-

წარდგენილი დისერტაცია. თბ. 2019.

[10] აკ.ჩიქობავა. საქართველოს კონტაქტები კაპიტალის დაგროვების პირველ ცენტრთან (ვაჭრობა და კრედიტი). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები – ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. გორი. 2024, გვ. 152-164.

[11] Джовани Арриги. Долгий Двацатый Век. Деньги, Власть и истоки Нашего Времени. Перевод А. смирнова и Н. Зделмана. Москва. 2006.

თა. ვალი უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა საგლეხო მეურნეობას. ხშირად გლეხს პროცენტის სახით იმაზე მეტის გადახდა უწევდა, ვიდრე მისი საბეგრო ვალდებულება წარმოადგენდა.

ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს სასესხო დოკუმენტები, სადაც განსაზღვრულია ვალის აღების საჭიროება, პროდუქტის ოდენობა, პროცენტის ოდენობა და ვალის ამღები და გამცემი პირები. ადრეულ შემორჩენილ საბუთებში, როგორც ჩანს სესხის გამცემი იყო ეკლესია, მიუხედავად იმისა, რომ მათვის ამგვარი საქმიანობა სჯულის კანონით იყო აკრძალული. ნიკორწმინდის წინამძღვარი ცხილათს როდესაც მიწას მოიგებს, მათვე მისცემს საკაბალოდ. მოგება აქ ყიდვას არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ყიდვისგან განსხვავებულ ფორმას. გაზიარებულია მოსაზრება, რომ ეს ვალში წამოღებული მიწაა, რომელიც მევალეებს უკან კაბალის სახით, ანუ მძიმე გადასახადით დაუტოვეს სარგებლობაში[12]

ვალის სანაცვლოდ გლეხის გამორთმევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგალითად 1726 წლის არზაში, მამულა ბერიკაშვილის ვალის თაობაზე, სურამელი ურია, როგორც თვითონ წერს, მეფეს ავედრებს, რომ ჩხეიძისთვის მიცემულ ვალს ის არ აბრუნებს, მეტიც ამ საქმეში შუამავლად რევაზ მურვანისშვილი ყოფილა, რომელსაც თავის მხრივ მამულას ვალი ჩხეიძისგან აუღია ორი გლეხის სანაცვლოდ, მას ერთი გაუყიდია და ერთი დაუტოვებია. სწორედ ამ გლეხს სთხოვს მამულა რევაზ მურვანისშვილის.[13] გლეხი ვალის გადახდის საშუალებაა. არზის განჩინებაში წერია, რომ მამულამ ვერ დაამტკიცა ვალის არსებობა და საქმე შეწყდა.

გარდა ამისა, ვახტანგის სამართლის მიხედვით, სამართალი ბერძნული, მუხლი 166-ე, ნასყიდ ყმას, ანუ გლეხს ვალის აღების უფლება არ აქვს, და ვერაფერს ვერ გადაიხდის, და მისი თუ სხვას მართებს, ვალს ბატონი აიღებს.[14]

იმავე სამართლის 199-ე მუხლის მიხედვით, თუ მოვალე ვალს ვადაში ვერ აბრუნებს, ვადას აძლევენ ოთხ თვეს, რომ ამ ოთხ თვეში მამული გაყიდოს და გადაიხადოს, თუ მდიდარი იყოსო. და თუ ღარიბი იყოს, მისი

[12] მ. ბერძნიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ (ნიკორწმინდელის დანერილი). თბ. 1979, გვ. 58-59.

[13] ქსძ. ტ. IV, გვ. 483.

[14] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1963, გვ. 171.

სამართალი პირდაპირ მევალეზე კიდიაო, მისი ნება სურვილის მიხედვით მოხდება.[15]

1722 წლის 21 აპრილის საბუთით ვიგებთ, რომ ჯავახიშვილს თარხნიშვილის ფული ემართა, ამ ვალის სანაცვლოდ ორი გლეხი ჰყავდა სარგებელში. ისე რომ მევალისთვის არ შეუტყობინებია, ერთი გლეხი გაუყიდია და მის სანაცვლოს ავედრებს ჯავახიშვილს და სარგებლის გადახდასაც გლეხებს მიაწერს.

სურათი შემდეგია, გლეხი ვალის გიროაშიც გვხვდება, საჭიროების სანაცვლოდ ყიდიან, და გირაოში ერთ გლეხს მეორეთი ანაცვლებენ და თუ გაჭირდა ვალის სარგებელიც გლეხისგან უნდა ამოიღოს მევალემ.[16]

1727 წლის კაცია ქართველიშვილის საბუთიდან ვიგებთ, რომ მას ცოლის მოყვანისას გაუჭირდა და ისესხა 76 ნახევარი მარჩილი, რაშიც გლეხი დაწინდა. პირობად დადო, რომ თუ ვალს ვერ გადაიხდია გლეხი მახარობელი კოჩაძე მევალეს უნდა დარჩენოდა. მაგალითისთვის 1 მარჩილი=3 აბაზს. XVIII საუკუნის 40-იან წლებში ახალუხი ღირდა სამი აბაზი, ხოლო დღიურად სამუშაოზე ოსტატისთის, სამი შეგირდისთვის და ორი ხუროსთვის 6 აბაზი და ერთი მინალთუნი, ხოლო 1851 წლის ჩანაწერებით 11 მუშისთვის 3 აბაზი გადაუხდიათ დღიურ სამუშაოზე.[17] 76.5 გავამრავლოთ 3-ზე, მივიღებთ 229.5 აბაზს. თუ უხეშად დავთვლით 11 მუშა რომ 100 დღე ამუშაო, ჯამაგირი 300 აბაზი გამოდის, 300 აბაზი კი დაახლოებით 77 მარჩილია. ქართველიშვილი კოჩაძეს ვალის სანაცვლოდ ტოვებდა თუ ვერ გადაიხდიდავალს. გამოდის რომ ვალში გაცემული კონკრეტული გლეხი უდრიდა 11 მუშის ყოველდღიური სამუშაოს ანაზღაურების საფასურს 100 დღეზე.

გლეხებშიც კატეგორიებადაა გაყოფილი თუ ვის შეუძლია ვალის აღება. ნასყიდს რომ არ შეუძლია ცალსახაა, ის პატრონის სრული საკუთრებაა. ასევე, გლეხი საკუთრივ ვალის გადახდის საშუალებაცაა. ყველა ამ საბუთში თუ სამართლის ძეგლში, გლეხი მუდამ მესამე პირშია ნახსენები, არცერთი საბუთი არ საუბრობს გლეხის პირით. ნახსენებია მათი ვინაობა, თუმცა ეს მხოლოდ რეესტრისთვის საჭირო გარემოებაა, რომელიც ესაჭიროება მყიდველს თუ ვალის გამცემს.

[15] ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 175.

[16] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.). ტ. I. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1947, გვ. 197.

[17] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. წ. I (ხელფასი, ქირა, ფასები). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბ. 1938, გვ. 6-8.

თუმცა გვაქვს გამონაკლისები, როდესაც გლეხები საბუთებში პირველ პირში საუბრობენ. რამე განსაკუთრებულ მოვლენასთან ხომ არ გვაქვს საქმე, გლეხი როგორც სუბიექტი ხო არ დაფიქსირებულა. რა თქმა უნდა არა. საბუთები სადაც გლეხები პირველ პირში საუბრობენ, ან სამევახშეო დოკუმენტებია, ან სასამართლო ოქმები.

ყველაზე ადრეული დოკუმენტი, რომელიც ვალის აღებას ეხედა XIII საუკუნით თარიღდება: „ქ. სახელითა ღ(მრ)თისაითა და თავსდებობითა სუეტისა ცხოველისაითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩ{უ}ენ, **ბურჯელთა: კავთულამა და თევდორემა და ჩ{ე}ენთა შვილთა: ბასილმა და მშუიდამა**.დაგუეჭირუა ჰავისა ჟამისაგან და ხარაჯობისაგან და ავიღეთ თქუენმოძღუარისაგან დემეტრესაგა{ნ} ტოხუაისძისაგა{ნ} სამოცი თეთრი დეკენბერსა ათსა და გაგიჩინეთ ოცი კოკაჲ ტკბილი წელიწადსა შიგა მზაი, რომე უსიტყუელადა ჴელთამოგაჴსენებდეთ, ვირემდისცაღა ამა თეთრსა შენსა ჴელთამოგაჴსენებდეთ.**ამისანი მოწამენი არიან ჴარაისძე ებაი და წამალაისძე აი.**“

პირველივე დოკუმენტში რომელშიც ვალის გაცემა დასტურდება, გლეხები ვალს იღებენ სვეტიცხოვლის წინამძღვრისგან. სადაც საბუთის შედგენის წესით მიხედვით დასახელებულია ამღებიც და გამცემიც. მეტიც, ვალის ამღებები მთელი მისი მემკვიდრეებით არიან ნახსენები. საჭარაუდოდ იმისთვის რომ ვალი შემდგომ მემკვიდრეებზე გადასულიყო, რადგან საბუთის დამწერები, მარტო კავთულა და თევდორე კი არ არიან, მათი შვილებიც.

ქართულ საისტორიო საბუთებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ გლეხობა საბუთებში მხოლოდ მესამე პირში, ხშირად ბატონის სახელით, ხანაც მისივე სახელით იხსენიება. ერთადერთი ფაქტი როდესაც გლეხი პირველ პირში საუბრობს, ეს არის სამევახშეო საბუთები, სადაც ის ვალდებულებებს იღებს ვალის გადახდის სანაცვლოდ. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, საქართველოშიც გლეხის სიტყვა შეზღუდულია ან გამქრალია, ისინი თუ საუბარს იწყებენ, იწყებენ მხოლოდ ვალდებულებითი საბუთებიდან, ექსპლუატაციის ზრდის ფონზე, არა აჯანყებით, არა საგლეხო გამოსვლით, არამედ კანონით დადგენილი ზომების შესრულების პასუხისმგებლობით.

როდესაც ევროპელი ისტორიკოსებისთვის ინკვიზიციის არქივები გაიხსნა, ზოგიერთი მათგანისთვის ნათელი გახდა, რომ გლეხობა რომლის ხმა არ ისმოდა საუკუნეების მანძილზე, მხოლოდ ინკვიზი-

ციის დაკითხვის ოქმებში ლაპარაკობდნენ.[18] საქართველოს საისტორიო საბუთებზე დაკვირვებამ კი, როგორც აღვნიშნე, ჩვენთვის ცნობილი საბუთების ანალიზისას გვიჩვენა, რომ გლეხობა საუბარს იწყებს მხოლოდ ვალის აღების დროს. როგორია ქართველი გლეხის ყოველდღიურობა, როგორია მისი სამუშაო პროცესი ბეგარის გადახდის მოლოდინში, მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ახლა ამას დავუმატოთ სამუშაო პროცესის და ექსპლუატაციის ზრდა, როდესაც გლეხი საკუთრივ არის გავალიანებული, ან სულაც ბატონის ვალის გამო მუშაობა უწევს პროცენტის გადასახდელად და ცალკე ბატონის ყოველდღიურობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ანუ გლეხობა, მთელი შუასაუკუნებიის მანძილზე, საბუთებში პირველ პირში საუბარს იწყებს ან ამეტყველებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ვალს იღებს მევახშისგან. მისი მეტნაკლები ან ეფემერული „სუბიექტურობა“, მხოლოდ მაშინ გაიელვებს, როცა ის ეკონომიკური უღელის სამევახშეო ფორმაში აღმოჩნდება.

[18] კ. გინძბურგი. ინკვიზიტორი როგორც ანთროპოლოგი. ნაკვლევები, მითები, მიკროისტორია. ესსები ევროპის ისტორიისა და კულტურის შესახებ. თარგმანების კრებული. თბ. 2011, გვ. 93-107.

Akaki Chikobava
PhD in History,
Tbilisi, Georgia

PEASANTS IN GEORGIAN HISTORICAL AND LEGAL DOCUMENTS (THE RESULTS OF THE INITIAL OBSERVATION)

Summary

Peasants were the primary means of production during the Middle Ages. Lords had the authority to sell peasants, with or without a land. The tax obligations of a peasant depended on their status, specifically whether the land they cultivated belonged to the lord or to the peasant themselves. Although peasants are frequently mentioned in Georgian legal documents, they do not constitute an independent subject during the Middle Ages, which is typical to the feudal social relations everywhere.

It is not surprising that historical documents from Georgia primarily reflect the interests and demands of the upper classes, as they controlled both the educational and judicial systems. During this time, the literacy rate among the general population was only 4%, placing the power to shape public consent firmly in the hands of the elite. The Georgian Church enjoyed monopoly on education sphere. According to Antonio Gramsci, medieval intellectuals, or "organic intellectuals", were represented by ecclesiastical entities that held a monopoly over morality, law, science, and philosophy of the period. With the rise of feudalism, the language of the upper classes prevailed, contributing to the expansion and reinforcement of the feudal system. In this context, the peasant is largely absent as a subject; they were often mentioned only in registries. However, before feudal relations were fully established, there was a conflict between what were termed high and folk languages. Nikolai Marr analyzed this process through his study of the four chapters of the Adishi Gospels.

Historical documents from Georgia reveal that the peasantry is typically referred to in the third person, often as representatives of their lords and sometimes by their lords' names. The only instances where peasants speak in

the first person occur in documents involving commitments made in exchange for debt repayment. Overall, the voice of the peasantry is either limited or entirely absent in medieval Georgia. We hear their perspective not through rebellions or peasant protests, but through obligatory documents that reflect rising exploitation, specifically regarding their responsibilities under the law.

The opening of the Inquisition archives has led some historians to believe that the European peasantry, which had been largely invisible for centuries, can primarily be heard through the interrogation protocols of the Inquisition. In a similar vein, Georgian historical documents indicate that the voice of the peasantry is often only heard in the context of debt. Georgian historiography tends to depict the everyday lives and work processes of peasants mainly in relation to their obligations to pay feudal taxes. Furthermore, it is important to consider the increase in workload and exploitation that occurs when a peasant is in debt – either due to their own liabilities or because of their lord's debts. In such cases, peasants must undertake additional work to pay off the interest on their lord's debts, in addition to their usual labor.

The majority of the medieval Georgian population, which was predominantly composed of peasants, begins to express themselves in the first person in documents primarily when they take out loans from pawnbrokers. Their somewhat ephemeral "subjectivity" becomes evident when they find themselves burdened by the economic constraints of pawnbroking.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ემილ ავდალიანი
პროფესორი,
ევროპის უნივერსიტეტი

ქართული სამეფოების საგარეო ვაჭრობა და ქართველი ვაჭრები XV-XVIII საუკუნეებში

XV-XVIII საუკუნეები საქართველოს ისტორიაში რთულ პერიოდად ითვლება. შიდა პოლიტიკურმა არეულობამ და უცხო ძალების შემოსევებმა ქვეყნის დასუსტებას და მის საბოლოო დაშლას შეუწყო ხელი, რაც ფორმალურად 1490 წელს გაფორმდა კიდევაც.

აღნიშნულ ეპოქაში საქართველო და, ზოგადად კავკასიის რეგიონი, სამ დიდ იმპერიას – ოსმალეთს, სეფიანთა ირანსა და რუსეთს – შორის მოექცა. გეოპოლიტიკურად ეს დამღუპველი იყო, რადგან ამ სამივე ექსპანსიონისტურ ძალას ექსკლუზიური პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გავრცელება სურდა მთელ კავკასიაზე, რამაც ჯერ სპარსეთსა და ოსმალეთს შორის, შემდეგში კი ამ ორ ძალასა და რუსეთს შორის ომები გამოიწვია. ასეთ ვითარებაში რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ერთეულებს ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი გაეტარებინათ. მეტიც, რიგი გამონაკლისების გარდა, სამი დიდი იმპერიის ამბიციები არც თუ დიდ ეკონომიკურ გასაქანს იძლეოდა.

მართალია, ეკონომიკურად კავკასიას საკვანძო მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ რუსეთი, ოსმალეთი და სპარსეთი მაინც მიილტვოდნენ რეგიონში არსებული რესურსების, გზებისა თუ საზღვაო პორტების ხელში ჩაგდებისკენ. ხშირი იყო სავაჭრო გზების მორღვევა ომიანობისა თუ ხელოვნური შეზღუდვების დაწესების შედეგად, რაც ამცირებდა ქართული სამეფოების ეკონომიკურ აქტივობას. მაგალითად, XVI საუკუნის ვენეციელ დიპლომატ მიკელე მემბრესთვის სამეგრელო არ იყო მდიდარი რეგიონი, არც ქუთაისი იყო რამე განსაკუთრებული. ვერც გორს დაუტ-

ოვებია მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, ხოლო „თბილისის უმეტესი ნაწილი კი დანგრეულია იმ ბევრი ომის შედეგად, რასაც ქართველები ერთმანეთში აწარმოებდნენ“[1].

მიუხედავად ამ მძიმე გეოპოლიტიკური ვითარებისა, სამ დიდ იმპერიას შორის მოქცევა ადგილობრივ ვაჭრებს, მაგალითად, ქართველებსა და სომხებს, დიდ სავაჭრო გზებზე გასვლის საშუალებას აძლევდა. მათ ხშირად ადგილობრივი პროდუქცია გაჰქონდათ საერთაშორისო ბაზარზე, ან წარმატებით ითვისებდნენ შუამავლების როლს.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პერიოდის სავაჭრო გზებზე საუბრისას ყურადღება უფრო გამახვილებულია სომხების, ინდოელების და სხვა ეთნიკური ჯგუფების კომერციულ აქტივობაზე[2]. ქართველი ვაჭრები იშვიათად, ან საერთოდ არ განიხილებიან, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ჯგუფი. არადა, ზუსტად XVI-XVIII საუკუნეებზე მოდის საქართველოდან გამოსული ვაჭრების განსაკუთრებული გააქტიურება, რომელიც შეიძლება ვერ უტოლდებოდა სომხური ან ინდური დიასპორების სიძლიერეს, მაგრამ, როგორც ეს ქვემოთ გამოჩნდება, საკმაოდ მოძლიერებულ სავაჭრო ჯგუფს წარმოადგენდა.

ქართველი ვაჭრები 1453 წელს კონსტანტინოპოლის თურქების ხელში ჩავარდნამდეც აქტიურები იყვნენ. მაგალითად, ვენეციელი ვაჭარი ჯაკობო ბადოერი 1436-1440 წლებში, კონსტანტინოპოლში ცხოვრებისას, ვინმე გიორგი „მეგრელს“ ახსენებს, რომელიც ძვირფასი მაუდით ვაჭრობდა[3]. ამავე პერიოდში საქართველოსა და რუსულ სამთავროებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობაზე ირიბი ცნობის ამოკითხვა არის შესაძლებელი რუსი ვაჭრის, აფანასი ნიკიტინის მონათხრობიდანაც, როდესაც ის ქართულ მიწას საკმაოდ მდიდარ მხარედ მოიხსენიებს[4].

თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, XVI საუკუნიდან, მიუხედავად გაუარესებული გეოპოლიტიკური ვითარებისა, საქართველოდან წამოსული ვაჭრებისთვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის მეტი პერსპექტივა გაჩნდა. ამის მიზეზი კი არა მხოლოდ სპარსეთის, ოსმალეთისა თუ მზარდი რუსული სახელმწიფოს ამბიცია იყო, რომ კავკასია თავის ეკონ-

[1] მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში. თბ. 2021, გვ. 432-433.
[2] F. Dale. The Muslim Empires of the Ottomans, Safavids, and Mughals. Cambridge University Press. 2010, გვ. 120.
[3] თ. ბერაძე. ზღვაოსნობა საქართველოში. თბ. 2022, გვ. 207.
[4] Хожение за три моря Афанасия Никитина 1466-1472 гг. Москва-Ленинград. 1958, გვ. 84.

ომიკურ გავლენას დაექვემდებარებინათ, არამედ საკუთრივ რეგიონში ისეთი პროდუქციის წარმოება, რომლითაც ხერხდებოდა ახლო აღმოსავლეთში სავაჭრო-ეკონომიკურ კონკურენციაში შესვლა. ერთ-ერთ ასეთ პროდუქტს აბრეშუმი წარმოადგენდა.

XV-XVIII საუკუნეების საქართველოში აბრეშუმის წარმოება საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. როდესაც 1578 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ხარაჯის გადახდა დაეკისრა, მის მნიშვნელოვან ნაწილს ოცდაათი იუქის ოდენობის აბრეშუმი წარმოადგენდა[5]. ამავეს ადასტურებენ რუსული დიპლომატიური საბუთები[6]. XVII საუკუნეში პავლე ალეპოელის მიერ შედგენილ საქართველოს აღწერილობაში სამეგრელო, იმერეთი, ქართლი და კახეთი ნახსენებია, როგორც აბრეშუმით განთქმული რეგიონები[7]. XVII საუკუნის გერმანელი დიპლომატი და მწერალი, ადამ ოლეარიუსი, სპარსეთში ყოველწლიურად წარმოებული აბრეშუმის რაოდენობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საქართველო ბევრად მდიდარია, ვიდრე ირანის რომელიმე ცალკეული პროვინცია[8]. XVII საუკუნის დასაწყისის რუსულ დიპლომატიურ საბუთებში კი ნახსენებია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში აბრეშუმი მოიპოვებოდა, ისევე როგორც ეს სპარსეთში იყო[9].

XVI საუკუნეში, იტალიელი ტომაზო მინადოი აღმოსავლეთ საქართველოს აღწერისას ახსენებს, რომ იქ „ბლომადაა აბრეშუმი“[10].

---

[5] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბ. 1964, გვ. 42.

[6] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов. Тбилиси. 1937, გვ. 13.

[7] ნ. ასათიანი. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისთვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა. თბ. 1973, გვ. 72-75. თუმცა კახეთის შემთხვევაში არსებობს ალტერნატიული ცნობებიც. ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ კლიმატური პირობების გამო, კახეთის აბრეშუმი არ იყო უმაღლესი ხარისხის. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I. ქართული თარგმანი. თბ. 1971, გვ. 292).

[8] A. Olearius. The voyages and travells of the ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the King of Persia begun in the year M.DC.XXXIII. and finish'd in M.DC.XXXIX: containing a compleat history of Muscovy, Tartary, Persia, and other adjacent countries: with several publick transactions reaching near the present times: in VII. books. Forgotten Books. 2018, გვ. 242.

[9] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, გვ. 161.

[10] G-T. Minadoi. The War between the Turks and the Persians: Conflict and Religion in the Safavid and Ottoman Worlds. Translated by Abraham Hartwell. I.B. TAURIS. 2019, გვ. 34.

სხვაგან მინადოი ზაგემზეც წერს, როგორც ქალაქზე, რომელიც სავსე იყო აბრეშუმით[11]. მეტიც, მინადოი ახსენებს ქართველებს, ვისთანაც კავკასიაში ოსმალების ლაშქრობის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა გადამოწმებული. უდავოა, რომ ალეპოში მცხოვრები ეს „ქართველები" ვაჭრები უნდა ყოფილიყვნენ[12]. მართლაც, ერთ-ერთ პასაჟში ვენეციელი ქართველ და სომეხ ვაჭრებს აბრეშუმით მოვაჭრეებად მოიხსენიებს[13]. მინადოის ცნობა იმითაც საინტერესოა, რომ ავტორი XVI საუკუნის ბოლო მეოთხედზე საუბრისას, მრავალი წლის განმავლობაში ალეპოში ცხოვრობდა[14] და ქართული აბრეშუმის ხსენება არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი ხასიათის.

ალეპოსა და ქართულ აბრეშუმს ერთ კონტექსტში ინგლისელი ვაჭარი, არტურ ედვარდსიც ახსენებს. არ არის გამორიცხული, რომ აბრეშუმის ექსპორტით უშუალოდ ქართველი ვაჭრებიც ყოფილიყვნენ დაკავებულები, თუმცა ედვარდსი უფრო სომეხ, დიდი ალბათობით, ჯულფადან წამოსულ ვაჭრებზე ამახვილებს ყურადღებას[15]. ქართველების ჩაბმა ალეპოში აბრეშუმის ექსპორტის საქმეში საინტერესოა, რადგან ამ ქალაქიდან ვაჭრობა ხმელთაშუა ზღვის და ევროპის ქვეყნებთან იმართებოდა. ეს კი უდავოდ ქართული ნაწარმის ხარისხზე და ქართველების ფართო სავაჭრო ქსელზე მეტყველებდა.

XV საუკუნეში ალეპოს დაწინაურება განპირობებული იყო მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და სახარბიელო გეოპოლიტიკური ვითარებით, როდესაც მზარდი ოსმალეთის იმპერია შავ ზღვასა და აღმოსავლეთ ანატოლიას დაეუფლა. მეტიც, ოსმალების მიერ ბაღდადის და ბასრას დაკავებამ სპარსეთის ყურიდან ალეპომდე სავაჭრო გზას შეუწყო ხელი. ამით მოხდა თავრიზსა და ტრაპიზონს შო-

[11] G-T. Minadoi. The War between the Turks and the Persians, გვ. 40.
[12] G-T. Minadoi. The War between the Turks and the Persians, გვ. 67-68.
[13] G-T. Minadoi. The War between the Turks and the Persians, გვ. 233.
[14] G-T. Minadoi. The War between the Turks and the Persians, გვ. vii-xiii.
[15] მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, გვ. 377, 432-433. სომხური სავაჭრო დიასპორა მთელ აზიაში იყო გავრცელებული. იხ. Bhattacharya, Bhaswati. "Armenian European Relationship in India, 1500-1800: No Armenian Foundation for European Empire?" Journal of the Economic and Social History of the Orient, vol. 48(2). 2005, გვ. 277-322; S. Babaie, K. Babayan, I. Baghdiantz-McCabe, M. Farhad. Slaves of the Shah. New Elites of Safavid Iran. I. B. Tauris. 2004, გვ. 49-79; P. D. Curtin. Cross-cultural Trade in World History. Cambridge University Press. 1984, გვ. 187-206.

რის დამაკავშირებელი სახმელეთო გზის დაქვეითება[16]. სპარსული აბრეშუმით მოვაჭრეებისთვის მოსულსა და ალეპოზე გავლა ბევრად კომფორტული იყო. თუმცა ალეპოზე გამავალმა გზამ[17] საქართველოს სამხრეთ საზღვრიდან სავაჭრო გზების უფრო ქვემოთ გადატანა გამოიწვია.

ქართული აბრეშუმი შავი ზღვის სანაპიროებზეც გადიოდა[18]. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი, აღნიშნავს, რომ თაფლთან, ცვილთან, ტილოსთან, ძაფთან და ბზის ხეებთან ერთად, ოსმალებს სამეგრელოდან აბრეშუმიც გაჰქონდათ[19]. კიდევ ერთი არეალი იყო აღმოსავლეთ კავკასია. ოლეარიუსის მოგზაურობის მეხუთე წიგნში საუბარია ქალაქ შემახაზე, სადაც მრავალი ქართველი და სომეხი ცხოვრობდა და მისდევდა მეაბრეშუმეობას[20]. შემახაში ქართველებს ასევე ახსენებს ინგლისელი ჯონ კარტრაიტი, რომელიც რეგიონს XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ესტუმრა[21].

აღმოსავლეთ საქართველოში აბრეშუმის ინტენსიურ წარმოებას დაემთხვა ქართული ქალაქების დაწინაურება. მაგალითად, XVI-XVII საუკუნეებში, შაჰ-აბასის დამანგრეველი ლაშქრობების გამოკლებით, კახეთი განსაკუთრებით წარმატებული იყო სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით. ბაზარი (ზაგემი), გრემი, ყარაღაჯი და სხვა ქალაქები XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქებს წარმოადგენდნენ. აქტიური სავაჭრო ურთიერთობები უნდა ყოფილი-

[16] J-C. David. "Aleppo: From the Ottoman Metropolis to the Syrian City". The City in the Islamic World. Volume 1. General editor S. K. Jayyusi. Special editors: R. Holod, At. Petruccioli, A. Raymond. Brill. 2008, გვ. 331.

[17] მოგვიანებით, XVIII საუკუნეში, ალეპო ქალაქ იზმირმა დაჩრდილა. ალეპოს დაჩრდილვა ასევე დაკავშირებული იყო XVIII საუკუნეში სახმელეთო სავაჭრო გზების ნელ დაქვეითებასთან. სეფიანების დაცემამ და საოკეანო სავაჭრო გზების მოძლიერებამ პირდაპირი უარყოფითი შედეგი იქონია ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო-სატრანზიტო პოტენციალზე. იხ. B. Masters. The Origins of Western Economic Dominance in the Middle East Mercantilism and the Islamic Economy in Aleppo, 1600-1750. New York University Press. 1988, გვ. 8-32.

[18] მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, გვ. 369-373.

[19] არქანჯელო ლამბერტი. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ. 1938, გვ. 158.

[20] A. Olearius. The voyages and travells of the ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, გვ. 166.

[21] J. Cartwright. "The Preacher's Travels". A Collection of Voyages and Travels. London. 1745, გვ. 725.

ყო გაჩაღებული მეზობელ სპარსეთთანაც[22]. ზაგემი განსაკუთრებით დაწინაურებული იყო, რადგან, როგორც ჩანს, ქალაქს, ირანის გარდა, ასევე რუსეთთან, შირვანთან და ხმელთაშუა ზღვის რეგიონთან ჰქონდა აბრეშუმით აქტიური სავაჭრო ურთიერთობები. ქალაქის მნიშვნელობაზე მასში ზარაფხანის არსებობაც მეტყველებს[23]. არაა გასაკვირი, რომ ქალაქი შაჰ-აბასის ლაშქრობების სამიზნე გახდა.

აბრეშუმის გარდა, აღმოსავლეთ საქართველო განთქმული იყო ღვინის და ასევე ენდროს ექსპორტით, რომლისგანაც მაღალი ხარისხის საღებავები იქმნებოდა[24]. როგორც ჩანს, XVII საუკუნის დასაწყისში ქართული ცხენი დიდად ფასობდა, რაც მისი ინდოეთში ექსპორტით დასტურდება[25]. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მჭიდრო ეკონომიკური კავშირების არსებობას საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთს შორის, მაგალითად, მიკელე მემბრე, საქართველოში მგზავრობისას, ხშირად ახსენებს ბერძნებს, სომხებს და ებრაელებს[26].

საქართველოდან ერთ-ერთ ტრადიციულ საექსპორტო „პროდუქტს" მონები წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ქართველი მონატყვევების გაყიდვა[27] მხოლოდ ხმელთაშუა ზღვისპირეთში არ ხდებოდა, არამედ აღმოსავლეთის მიმართულებითაც. როდესაც თურქი მოგზაური, ევლია ჩელები, ბაქოს სტუმრობდა ერთ-ერთი ქორწილის დროს, მან ქართველი ვაჟების სასაჩუქრედ გადაცემა აღწერა[28]. შემახაში ქართველ მონებს მოიხსენიებს XVII საუკუნის ჰოლანდიელი

[22] სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა. თბ. 1990, გვ. 32.

[23] Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики). Тбилиси. 1979, გვ. 14-23; ნ. ხოფერია. „დაკარგული ქართული ქალაქი სახელად „ბაზარი"". Forbes Georgia. 27 ივლისი, 2023. https://forbes.ge/dakarguli-qarthuli-qalaqi-sakhelad-bazari/

[24] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტომი II. თბ. 1983, გვ. 146-147. ენდროს წარმოებით და ექსპორტით განსაკუთრებით დიდ სარგებელს ნახულობდა სეფიანთა ირანი. მაგალითად, ტურნეფორი აღნიშნავს, რომ ერზერუმში სპარსეთიდან ენდროს დიდი რაოდენობა შემოდიოდა (იხ. ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1988, გვ. 32).

[25] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბ. 1969, გვ. 70.

[26] მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, გვ. 432.

[27] C. Ch. Peyssonnel. Observations historiques et géographiques, sur les peuples barbares qui ont habité les bords du Danube & du Pont-Euxin. 1765. Paris, გვ. 55.

[28] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნაკვ. I, გვ. 281.

მოგზაური, იოანე სტრუისიც, რომელიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართველები, სხვებისგან განსხვავებით, ხშირად თვითონ ყიდდნენ თავის შვილებს[29]. ფრანგი ბოტანიკოსი ჟოსეფ ტურნეფორი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან ექვსი-შვიდი წლის ლამაზ გოგონებს იტაცებდნენ და სპარსეთსა და ოსმალეთში მიჰყავდათ[30]. ჟან შარდენი, კიდევ ერთი ფრანგი მოგზაური, ისფაჰანში ყოფნისას აღნიშნავდა, რომ ყავის სახლებში მრავალი ახალგაზრდა ქართველი ბიჭი მსახურობდა[31].

აღმოსავლეთ საქართველოს ფართო სავაჭრო კავშირებმა გამოიწვია ქართველი ვაჭრების შორეულ ადგილებში გადაადგილება. მაგალითად, როდესაც ინგლისელი ვაჭარი, ჯაილ ფლეტჩერი, XVI საუკუნის ბოლოს მოსკოვს ეწვია, იქ ის ისეთი ქვეყნებიდან ჩამოსულ ვაჭრებს შეხვდა, რომელთა შორის თურქები, სპარსელები, ქართველები და სომხები იყვნენ[32]. ქართველი ვაჭრები კონსტანტინოპოლშიც ჩადიოდნენ. ახალ ქართლის ცხოვრებაში ნახსენებია ოსმალეთის დედაქალაქში მოვაჭრე ქართველი დიაკვნისშვილი, რომელმაც სიმონ მეფის ნეშტი ჩამოიტანა. ქართველი ვაჭრები ვენეციაშიც ჩადიოდნენ და იქიდან ხშირად პროდუქცია ირანში ჩაჰქონდათ[33].

მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, ქართველი ვაჭრები აქტიურები იყვნენ ისფაჰანში, სადაც მრავალ ევროპელ ვაჭართან ერთად აქტიურ აღებ-მიცემობაში იყვნენ ჩართულები[34]. სეფიანთა დედაქალაქში ქართველებს ინდოელ, სომეხ და ევროპელ ვაჭრებთან ერ-

[29] The perillous and most unhappy voyages of John Struys Through Italy, Greece, Lifeland, Muscovia, Tartary, Media, Persia, East-India, Japan, and other places in Europe, Africa and Asia. London. 1683, გვ. 272, 281.

[30] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 57.

[31] R. Matthee. The Pursuit of Pleasure. Drugs and Stimulants in Iranian History, 1500-1900. Princeton University Press. 2005, გვ. 170.

[32] E. Monahan. The Merchants of Siberia. Trade in Early Modern Eurasia. Cornell University Press. 2016, გვ. 44.

[33] A. Olearius. The voyages and travells of the ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the King of Persia, გვ. 240.

[34] The perillous and most unhappy voyages of John Struys, გვ. 321. ირანში ქართველების სავაჭრო აქტივობა სეფიანთა სამეფო კარზე ქართველების დანინაურების პარალელურად მიმდინარეობდა. ამ საკითხის მოკლე მიმოხილვა – R. Matthee. "Georgians in the Safavid Administration". Encyclopædia Iranica. Edited by E. Yarshater. Vol. X. Bibliotheca Persica Press. 2001, გვ. 493-496.

თად ოლეარიუსიც ახსენებს[35]. მეტიც, გერმანელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართველ ვაჭრებს და მათ სომხების სავაჭრო აქტიურობას უტოლებს. ავტორი ერთ საინტერესო დაკვირვებასაც გვთავაზობს, რომელიც, შესაძლოა, ნაწილობრივ ხსნიდეს XVII საუკუნეში ქართველი ვაჭრების როლის მიჩქმალვას: ქართველი ვაჭრები მოგზაურობდნენ ინდოეთსა და ევროპაში, თუმცა ხშირად სომხებად იწოდებოდნენ[36].

შაჰ-აბასის მიერ ირანში ძალდატანებით გადასახლებულ ხალხებს შორის ქართველები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ სპარსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საქმეში. მაგალითად, გილანის პროვინციაში აბრეშუმის წარმოება, კახეთიდან ირანში გადასახლებული ქართველი ებრაელის, ხოჯა ლალაზარ იაჰუდის ხელში გადავიდა[37].

როგორც ჩანს, ქართველი ვაჭრები ისეთ შორეულ ადგილებშიც იყვნენ, როგორიც არის სპარსეთის ყურე, კერძოდ კი, ბენდერ-აბასის ცნობილი პორტი. ინგლისელი თომას ჰერბერტი, 1627-1629 წლებში სპარსეთში მოგზაურობისას, პორტში მრავალ სხვა ეროვნებასთან ერთად, ქართველ ვაჭრებსაც ახსენებს[38]. იმავე ავტორმა ქართველები ისფაჰანშიც ახსენა, სადაც ისინი სომხებთან შედარებით, ნაკლებად, თუმცა მაინც აქტიურად იყვნენ ჩართულები ვაჭრობაში. კიდევ ერთ პასაჟში ავტორი ქართველ ვაჭრებს დასავლეთ ევროპელ, სომეხ, ინდოელ და თურქ ვაჭრებთან ერთად ახსენებს[39]. გერმანელი მოგზაური, ენგელბერტ კემპფერი, საქართველოს შესახებ თავის ცნობებში აღნიშნავს, რომ ისფაჰანში მრავალ ეროვნებას შორის ქართველებიც აქტიურ სავაჭრო საქმიანობას ეწევიან[40].

---

[35] A. Olearius. The voyages and travells of the ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the King of Persia, გვ. 224.

[36] A. Olearius. The voyages and travells of the ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the King of Persia, გვ. 226. საინტერესოა კიდევ ერთი დაკვირვება, რომელსაც კარტრაიტთან ვხდებით, სადაც მოგზაური ჯულფაზე გასვლისას ახსენებს ქართველებს, რომლებიც სომხებთან ერთად ქალაქში სახლობდნენ. იხ. J. Cartwright. "The Preacher's Travels", გვ. 724.

[37] S. Babaie, K. Babayan, I. Baghdiantz-McCabe, M. Farhad. Slaves of the Shah. New Elites of Safavid Iran. I. B. Tauris. 2004, გვ. 63.

[38] T. Herbert. Travels in Persia, 1627-1629. RoutledgeCurzon. 2005, გვ. 43.

[39] T. Herbert. Travels in Persia, 1627-1629, გვ. 122-123; 126.

[40] ი. აღლაძე, გ. საითიძე. „გერმანელი მოგზაურის ენგელბერტ კემპფერის ცნობები

პორტუგალიელი მოგზაური, პედრო ტეიშეირა, XVII საუკუნის დასაწყისში, სპარსეთის ყურის კუნძული ჰორმუზის აღწერისას, პორტუგალიელების და სომხების გარდა, ქართველებსაც ახსენებს[41]. კუნძულის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ნახსენები ქართველები კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავებული.

XVII საუკუნის რუსი ვაჭარი კოტოვი თავისი მოგზაურობის აღწერაში, სადაც ის რუსეთიდან ისფაჰანამდე და შემდეგ კი კონსტანტინოპოლამდე ჩადის, ქართულად რიცხვების რუსულ ტრანსლიტერაციას იძლევა. ამას ის ასევე აკეთებს სომხურ, თურქულ და სპარსულ ენებზე. ვაჭრისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ამ რეგიონების და ხალხების ენებზე რიცხვების გამოთქმის ცოდნა. კოტოვის მიერ ქართული რიცხვების ხსენება კი ირანის, კერძოდ კი, ისფაჰანის ბაზრებზე, რომელსაც რუსი ვაჭარი თავისი აღწერილობის დიდ ნაწილს უთმობს, ქართველი ვაჭრების აქტიურობაზე უნდა მიანიშნებდეს[42].

ისტორიულ საბუთებში მრავლად არიან მოხსენიებული გორელი ვაჭრები განჯაში, გილანში, ისფაჰანში და ირანის სხვა ქალაქებში, დარუბანდსა თუ კონსტანტინოპოლში. მაგალითად, ზემოთ ნახსენები ვაჭარი დიაკვნისშვილი ქალაქ გორიდან იყო. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ისფაჰანში აღმოჩენილი ქართული საფლავის ქვებზე ვკითხულობთ გორიდან წამოსული ვაჭრების გვარებს: მამიჯანაშვილი, ამირბაბაშვილ ელიზბარის ვაჟი, ბაღდასარი, ზურაბა გორქაშვილი და ა. შ[43]. გორელი ვაჭრებისთვის ასევე არ უნდა ყოფილიყო უცხო შორეული ინდოეთიც, XVII საუკუნის ბოლო წლების ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, გიორგი თუმანიშვილის ყმა წათურაშვილი ინდოეთში გაქცე-

საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის 80-იანი წლები)". ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 13. თბ. 2007, გვ. 395.

[41] The Travels of Pedro Teixeira; with his "Kings of Harmuz", and Extracts from his "Kings of Persia". (1902). Hakluyt Society, გვ. 168. სხვა მონაკვეთში ტეიშეირა თავრიზზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ქალაქს დიდი ვაჭრობა აქვს „გურგესტამთან", რაშიც, უნდა ვივარაუდოთ, საქართველო იგულისხმება (გვ. 245).

[42] К. Ф. Афанасьевич. Хождение купца Федота Котова в Персию. Москва. 1938, გვ. 29.

[43] თ. გოგოლაძე. „XVII-XVIII საუკუნეების ქართველი ვაჭრები სეფიანთა ირანში (ისპაჰანის სომხურ ნერსესის, მინასისა და სარქისის ეკლესიებში დაცული ქართული და ქართულ-სომხური საფლავის ქვების წარწერების მიხედვით)". 2019, გვ. 205-214.

ულა[44]. მეფე ერეკლე II-ის მჭიდრო კავშირებიც ინდოეთში მოღვაწე სომეხ ვაჭრებთან ირიბად ადასტურებს კომერციულ კავშირებს ქართლ-კახეთსა და სამხრეთ აზიას შორის.

ქართველი ვაჭრები ასევე ასტრახანსაც აღწევდნენ. მაგალითად, 1681 წლის ბრძანებით, რუსეთის ხელისუფლებამ სომხებს, ინდოელებსა და ქართველებს ქალაქში ცხოვრების უფლება მისცა, თუ ისინი სავაჭრო საქმიანობით იქნებოდნენ დაკავებული[45]. ასტრახანში ასევე აქტიურობდნენ სპარსელი[46] ვაჭრები, ვისთვისაც მთავარ სავაჭრო საგანს აბრეშუმი და სხვადასხვა ქსოვილი წარმოადგენდა.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართველები აქტიურად ჩანდნენ ოსმალეთის სავაჭრო მიმართულებაზეც. აქ აღსანიშნავია ერზერუმი, რომელიც ფრანგი მოგზაურის ტურნეფორის მიხედვით, ხილით საქართველოდან მარაგდებოდა[47]. სავარაუდოა, რომ ტერიტორიული სიახლოვის გამო მას „საქართველოში“ უფრო მისი დასავლეთი ნაწილი ეგულისხმა, რაც ოსმალეთის აღმოსავლეთ პროვინციებსა და სამხრეთ კავკასიას შორის აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებზე მიანიშნებს.

თუმცა ასევე ცნობილია, რომ ერზერუმს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსთანაც, კერძოდ, თბილისთან, საითაც ყოველდღიურად ქარავნები გადიოდა. განსაკუთრებით განთქმული იყო ერზერუმში წარმოებული ჭურჭელი, რომელიც მთელ ახლო აღმოსავლეთსა და მუღალთა იმპერიაში ჩადიოდა[48]. მეტიც, ამავე პერიოდში თბილისიდან სპარსეთისა და კონსტანტინოპოლის (ერზერუმის გავლით) მიმართულებით დიდი რაოდენობით ბეწვეული გაჰქონდათ. სომეხი ვაჭრები თბილისიდან სმირნაში და ხმელთაშუა ზღვის პორტებში (დიდი ალბათობით, ალეპოში) აბრეშუმის ექს-

[44] ე. მამისთვალიშვილი. გორის ისტორია. I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა). თბ. 2018, გვ. 66-67; 313-328.

[45] S. F. Dale. Indian Merchants and Eurasian Trade, 1600-1750, გვ. 105.

[46] P. Bushkovitch. The Merchants of Moscow, 1580-1650. Cambridge University Press. 1980, გვ. 97-100.

[47] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1988, გვ. 29-30.

[48] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1988, გვ. 31.

პორტს ახორციელებდნენ[49]. ყოველწლიურად თბილისიდან და მისი შემოგარენიდან ერზერუმის მიმართულებით ორ ათასზე მეტი აქლემის საპალნე მცენარის ძირი, ბოია, გაჰქონდათ. ერზერუმიდან ქართული ბოია დიარბექირში ევროპისთვის განკუთვნილი ტილოს შესაღებად იგზავნებოდა. თბილისს ასევე მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ერევანთან და განჯასთან, საიდანაც, მაგალითად, თოფის წამლის დასამზადებლად საჭირო ინგრედიენტები შემოდიოდა. XVII საუკუნის ერევანში მონებით ვაჭრობა იყო განვითარებული[50].

ქართველი ვაჭრების ქსელი

ამრიგად, ქართველი ვაჭრების აქტივობის გეოგრაფიული არეალი რამდენიმე დიდი მიმართულებისგან შედგებოდა: 1. სეფიანთა ირანი, საიდანაც სახმელეთო სავაჭრო გზები ინდოეთამდე გადიოდა; 2. ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი და ხმელთაშუა ზღვა, სადაც ქართველ ვაჭრებს წვდომა ჰქონდათ ვენეციასთან და იტალიის სხვა ქალაქ-სახელმწიფოებთან; 3. ჩრდილოეთით შემახა-დარუბანდი-ასტრახანი-მოსკოვის მიმართულება. აღნიშნული სავაჭრო გზები, XVI-XVIII საუკუნეებში, ევრაზიაში მსხვილ სავაჭრო მიმართულებებს წარმოადგენდა.

ქართველი ვაჭრების გეოგრაფიულად ასეთ ფართო არეალზე გავრცელება არ იყო შემთხვევითი მოვლენა და, დიდწილად, განპირობებული იყო დასავლეთ აზიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესებით – იმპერიების დაარსება და მათი ტერიტორიული გაფართოება ხელს უწყობდა პან-ევრაზიული სავაჭრო კავშირების განვითარებას.

ახლო აღმოსავლეთში ქართველი ვაჭრების დაწინაურებას ხელს ასევე უწყობდა მათი ქრისტიანული მრწამსი. როგორც ქრისტიანებს, რომლებიც არ იყვნენ ჩართული სპარსელ შიიტებსა და თურქ სუნიტებს შორის ბრძოლაში ახლო აღმოსავლეთში პირველობისთვის,

[49] სომხები დიდად წარმოდგენილები იყვნენ ინდოეთშიც. H. Ruquia. "The Armenians and the English East India Company". Proceedings of the Indian History Congress. Vol. 73. 2012, გვ. 327–34.
[50] The perillous and most unhappy voyages of John Struys, გვ. 213-214.

ქართველ ვაჭრებს ნაკლები დაბრკოლება უნდა შეხვედროდათ ირანიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთამდე მოგზაურობისას. ხშირი იყო შიიტი ვაჭრების საზღვრებზე გაჩერება და ოსმალების მიერ ქონების წართმევა. ქრისტიანები ნაკლებად იდგნენ ამ საშიშროების წინაშე, რაც ხელს უწყობდა სპარსეთში მათ დაწინაურებას.

მეტიც, შესაძლოა, ქართველი ვაჭრების გააქტიურება უფრო დიდ ფენომენთან იყო დაკავშირებული. კოლუმბის გეოგრაფიული აღმოჩენების შემდგომ პერიოდს ახასიათებდა ლათინური ამერიკიდან ესპანელების მიერ ევროპაში დიდი რაოდენობის ვერცხლის შემოტანა. ეს კი ევროპელ ვაჭრებს აზიელ კონკურენტებთან მიმართებაში ხარისხობრივად უპირატეს პოზიციაში აყენებდა. რადგან პორტუგალიელები აზიიდან უფრო სანელებლების შემოტანით იყვნენ დაინტერესებულები, ინგლისელებს და სხვა ევროპულ ქვეყნებს კი ხმელთაშუა ზღვიდან და რუსეთის ტერიტორიის გავლით ირანიდან აბრეშუმი შემოჰქონდათ. აბრეშუმზე გაზრდილი მოთხოვნა დაემთხვა XVI საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის მზარდ განვითარებას.

წერილობითი წყაროების სიმცირე არ იძლევა საშუალებას, სრული სურათი დავხატოთ იმისა, რამდენად კარგად ჩამოყალიბებული იყო ქართველი ვაჭრების სავაჭრო ქსელი. სომეხი ან ებრაელი ვაჭრების მსგავსად, წყაროებში არ ჩანს, ჰქონდათ თუ არა ქართველ ვაჭრებს რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიული ცენტრი (მაგალითად, ქალაქი, ან პატარა ზომის სამეფო), საიდანაც ხდებოდა ხმელთაშუა ზღვასა და ახლო აღმოსავლეთში სავაჭრო აქტივობის გაფართოება. XVI საუკუნეში და XVII-ის პირველ ათწლეულში შესაძლებელი იყო, რომ ასეთ ცენტრს კახეთი წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც შაჰ-აბასმა დიდად დააკნინა ქართული მეაბრეშუმეობის ინდუსტრია და ათობით ათასი ქართველი გადაასახლა ირანში, შესაძლებელია, რომ სეფიანთა სამეფოს დიდი ქალაქები, განსაკუთრებით ისფაჰანი, გადაიქცა ქართველი ვაჭრების ქსელის ცენტრად. ასევე არ გვაქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქტიური კონტაქტი ჰქონდათ ერთმანეთთან სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებ ქართველ ვაჭრებს. ექვემდებარებოდნენ ისინი ერთ სტრუქტურას/სისტემას, თუ მათი აქტივობა უფრო დეცენტრალიზებულ ხასიათს ატარებდა?

სეფიანებისთვის ქართველი ვაჭრები შესაძლოა იმავე მნიშვნელობის მატარებლები იყვნენ, როგორც სომხები: აღებ-მიცემობით უცხოეთიდან ვერცხლის ფულის შემომტანნი. ამასთან დაკავშირებით პირდაპირი ცნობები ჩვენ არ გაგვაჩნია, თუმცა ქართველი ვაჭრების საერთაშორისო დონეზე აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით, შესაძლოა ვარაუდის გამოთქმა, რომ ქართველ ვაჭრებს პოტენციურად შეეძლოთ სეფიანებისთვის ასევე ბანკირების როლი შეესრულებინათ.

სავარაუდოა ისიც, რომ ქართველი ვაჭრების ქსელი დიდად დაზარალდა XVIII საუკუნის 20-იან წლებში სეფიანთა დინასტიის დაცემის, ავღანელთა ხანმოკლე, თუმცა მტკივნეული ბატონობისა და ნადირ-შაჰის მეფობის პერიოდში[51]. აღნიშნულ პერიოდში გამოუსწორებელი ზიანი მიადგათ ახალი ჯულფის სომეხ ვაჭრებს და ირანში მცხოვრებ ინდოელ ვაჭრებს[52]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველი ვაჭრები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი ისფაჰანში, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ირანში დატრიალებული პოლიტიკური ქაოსი მათთვისაც არანაკლებ დამაზიანებელი უნდა ყოფილიყო.

და ბოლოს, ქართველი ვაჭრების ქსელს კიდევ ერთი დიდი ნაკლი გააჩნდა – დემოგრაფია. ინდოელი ვაჭრებისგან განსხვავებით, ქართველი ვაჭრები რაოდენობრივად ბევრნი ვერ იქნებოდნენ, რაც ამცირებდა შანსს კრიზისიდან გამოსავლის უმტკივნეულოდ გამონახვას. მეტიც, სომხებისგან განსხვავებით, რომლებსაც მსხვილი წარმომადგენლობა გააჩნდათ რუსეთში, ევროპასა და აზიაში შედარებით მარტივად შეეძლოთ ფინანსური სიძლიერის აღდგენა, ქართველ ვაჭრებს ასეთი პოტენციალი არ გააჩნდათ.

---

[51] ამ დიდ გეოპოლიტიკურ კატაკლიზმებთან ერთად, ირანში ვაჭრების და მათ შორის ქართველების მდგომარეობა ბევრად ადრე, XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII-ის დასაწყისში უნდა გართულებულიყო, როდესაც იმპერიის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა მეტად არასტაბილური გახდა. ასევე, შიდა უსაფრთხოების დონემაც იკლო, როდესაც იმპერიაში მცხოვრებ არამუსლიმ ვაჭრებზე წნეხმა იმატა, რაც კარგად ჩანდა ჯულფაში მცხოვრები სომხების შემთხვევაში და არ შეიძლება, ნეგატიური გავლენა არ მოეხდინა ქართველ ვაჭრებზეც.

[52] S. D. Aslanian. From the Indian Ocean to the Mediterrancan. The Global Trade Networks of Armenian Merchants from New Julfa. University of California Press. 2011, გვ. 215-224; E. M. Herzig. The Armenian Merchants of New Julfa, Isfahan: A Study in pre-modern Asian trade. Thesis submitted to the Faculty of Oriental Studies for the Degree of Doctor of Pholosohy at the University of Oxford. 1991, გვ. 105-110.

საინტერესოა, თუ რა გზებით უკავშირდებოდნენ ქართველი თუ საქართველოდან გასული ვაჭრები მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს. XVI-XVIII საუკუნეში საქართველოს სამხრეთით სავაჭრო მიმოსვლა საკმაოდ გააქტიურებული იყო. არსებულ სავაჭრო გზებზე წარმოდგენა, პირველ რიგში, გვექმნება იმ მარშრუტებიდან გამომდინარე, რომლებსაც მოგზაურები და დიპლომატები იყენებდნენ.

მაგალითად, ტურნეფორის მოგზაურობის მარშრუტი სავაჭრო გზის ერთ-ერთ კარგ მაგალითს წარმოადგენს. მეორე მაგალითია ევლია ჩელების ერთ-ერთი მოგზაურობის მარშრუტიც, როდესაც მან ერზერუმზე, ნახჭევანსა და ყარაბაღზე, მარანდსა და თავრიზზე გაიარა. ეს ქალაქები კი საკმაოდ მოწესრიგებულ და სავაჭრო აქტივობით მდიდარ მხარეებს განეკუთვნებოდა. აქვე აღსანიშნავია ქალაქი მარაღაც, რომელშიც აქტიური სავაჭრო ურთიერთობები იყო განვითარებული. აღნიშნული გზის არჩევა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ეს გზა მეტ-ნაკლებად ემთხვეოდა წინა საუკუნეებში მონღოლების, თემურ-ლენგისა და უზუნ-ჰასანის დროს არსებულ სავაჭრო მიმართულებებს.

ევლია ჩელები ყურადღებას საგანგებოდ ამახვილებს ერზერუმის სავაჭრო მნიშვნელობაზე. XVII საუკუნეში, ქალაქს ინდოეთის, არაბეთის, სპარსეთისა და ჩინეთის ვაჭრები სტუმრობდნენ[53]. კონსტანტინოპოლის და იზმირის შემდეგ, ერზერუმი ყველაზე დიდი სავაჭრო ბრუნვის მქონე ქალაქი იყო. ქალაქი პირდაპირ იყო დაკავშირებული თავრიზთან, რომლის სახელსაც ატარებდა ქალაქის ერთ-ერთი კარი[54]. XVII საუკუნეში აქტიური სავაჭრო კონტაქტები არსებობდა, როგორც ერევანსა და თავრიზს, ისევე ერევანსა და ერზერუმს შორის. ევლია ჩელები ამ მიმართულებებზე გადაადგილდებოდა რეგიონში მოგზაურობის დროს და საგანგებოდ აღნიშნავდა გზებზე არსებულ საქარავნო აქტივობას[55].

ევლია ჩელების მიხედვით, განჯა განთქმული იყო სავაჭრო რიგებით და აბრეშუმის და რკინის წარმოებით. ერთ-ერთი სავაჭრო

[53] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 202.
[54] მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ. 1979, გვ. 179.
[55] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 262.

გზა, რომლითაც განჯა სხვა ქალაქებს უკავშირდებოდა, ერევნამდე გადიოდა. შაქი და დარუბანდი კიდევ ორი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, რომლებიც აბრეშუმის წარმოებით იყვნენ განთქმული, ხოლო შემახა კი დიდი სავაჭრო სივრცეებით[56], სადაც ხშირად ინდოელი ვაჭრები სტუმრობდნენ[57]. შემახას მჭიდრო კავშირები ჰქონდა დარუბანდთან, სადაც ინდოეთიდან, ჩინეთიდან, მოსკოვიდან და ირანიდან ვაჭრები იკრიბებოდნენ[58]. XVII საუკუნის მეორე ნახევარში დარუბანდისა და შემახას სავაჭრო-ეკონომიკურ დაწინაურებაზე იოანე სტრუიზიც საუბრობს. ჰოლანდიელი მოგზაური შემახადან გამგზავრებისას

[56] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნაკვ. I, გვ. 267, 270, 276; ბარბარო XV საუკუნეში აღნიშნავდა, რომ შემახა მდიდარი იყო აბრეშუმით და დარუბანდამდე მიმავალ გზაზე იდგა. შემახას სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქად მოიხსენიებს ამბროჯიო კონტარინიც (Travels to Tana and Persia by Josafa Barbaro and Ambrogio Contarini, გვ. 86-87, 144-145). საუკუნის დასაწყისში რუსი ვაჭარი კოტოვი აღნიშნავს, რომ შემახაში შვიდი ქარვასლა იყო და ქალაქი ერთგვარ საკვანძო წერტილს წარმოადგენდა, რომელზეც იკვეთებოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთზე და აღმოსავლეთიდან დასავლეთით გამავალი სავაჭრო გზები (К. Ф. Афанасьевич. Хождение купца Федота Котова в Персию, გვ. 18). შემახასა და დარუბანდის კავშირზე საუბრობს კიდევ ერთი ვენეციელი, კატერინო ზენო ("Travels in Persia by Caterino Zeno". Travels to Tana and Persia by Josafa Barbaro and Ambrogio Contarini, გვ. 45). მოგვიანებით ოლეარიუსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალაქის სავაჭრო პოტენციალს (A. Olearius. The voyages and travells of the ambassadors sent by Frederick, Duke of Holstein, to the Great Duke of Muscovy and the King of Persia, გვ. 166). შემახადან დარუბანდამდე არსებულ გზაზე XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ჩამოსული რუსი ელჩების მარშრუტიც მეტყველებს. აღმოსავლეთ საქართველოდან რუსეთში დასაბრუნებლად, ელჩები ჯერ შემახამდე, შემდეგ კი დარუბანდამდე მივიდნენ (Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, გვ. 338).

[57] The perillous and most unhappy voyages of John Struys, გვ. 284.

[58] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნაკვ. I, გვ. 289; ინდოეთსა და სამხრეთ კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობებზე ცოტა რამ ვიცით, თუმცა შესაძლებელია რამდენიმე საინტერესო დაკვირვების გაკეთება. XVII-XVIII საუკუნეების ინდოეთი ცხენების იმპორტით იყო დაინტერესებული, ხოლო ექსპორტზე კი საღებავი ინდიგო და შაქარი გადიოდა, ხშირად სომეხი ვაჭრების მეშვეობით. სომეხი ვაჭრები განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ ინდოეთში ინგლისელების გამოჩენამდეც, როდესაც ქალაქ ლაჰორის გავლით ყანდაარამდე და შემდეგ უკვე ისფაჰანამდე და ალეპომდე აღწევდნენ (Jahangir's India. The Remonstrantie of Francisco Pelsaert. Translated from the Dutch by W.H. Moreland and P. Geyl. Cambridge. 1925, გვ. 15, 18, 30). ამის გარდა, ინდოეთი სანელებლების და ქსოვილების დიდ საექსპორტო ცენტრსაც წარმოადგენდა. კავკასიასა და ინდოეთს შორის ვაჭრობაში დიდ როლს ჯულფელი სომხები ასრულებდნენ. სავაჭრო გზები კი, ძირითადად, სამხრეთიდან, ირანის დიდი ქალაქებიდან ჩრდილოეთით დარუბანდამდე აღწევდა (S. C. Levi. The Indian Diaspora in Central Asia and Its Trade, 1550-1900. Brill. 2002, გვ. 48-51). განსაკუთრებით საინტერესოა ინდოეთში ცხენების ექსპორტი. ის, ძირითადად, ორი მიმართულებით ხორციელდებოდა: ცენტრალური აზიიდან და სპარსეთის ყურიდან. კლიმატური პირობების და საძოვრისთვის გამოსადეგი მიწების სიმცირის გამო, ინდოეთში ცხენების გაშენება თითქმის შეუძლებელი იყო.

იხსენიებს ორი ათასი კაცისგან შემდგარ ქარავანს[59].

განსაკუთრებული სატრანზიტო როლი ეკავა ბაქოს და მის სამხრეთით მდებარე გილანის პროვინციას. როგორც ჩანს, ქალაქში როგორც ინდოეთ-ჩინეთიდან მოსული ვაჭრები, ასევე ჩრდილოეთიდან რუსები სტუმრობდნენ[60]. ასევე სატრანზიტო მნიშვნელობის იყო დარუბანდიც, სადაც სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულების და საზღვაო ტრანსკასპიური ვაჭრობა იკვეთებოდა.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც წინა საუკუნეებში, ძირითადი სახმელეთო სავაჭრო-სატრანზიტო გზები მაინც საქართველოს სამხრეთით და მის აღმოსავლეთით გადიოდა. ამაზე მეტყველებს თვითონ ევლია ჩელების მოგზაურობის მარშრუტებიც: ანატოლიიდან თავრიზამდე და მიმდებარე ტერიტორიებამდე, შემდეგ ერევან-განჯას მიმართულებამდე, რომლითაც თურქი მოგზაური შირვანში და დარუბანდის ტერიტორიებამდე აღწევს. დარუბანდიდან საქართველოში დასაბრუნებელ გზაზე კი ევლია ჩელებიმ სამხრეთით, შაქისკენ გაემგზავრა, საიდანაც ჯერ კახეთში, შემდეგ კი თბილისში ჩავიდა.

საკუთრივ საქართველოზე, მაგალითად, XVII საუკუნეში თბილისი-გორი-სურამი-ახალციხე-ყარსი-ერზერუმის გზა გადიოდა. თუმცა ევლია ჩელების მონათხრობიდან ჩანს, რომ არსებული მაგისტრალი არ იყო განსაკუთრებით აქტიური. ყარსიდან გზა ერევნამდეც გადიოდა, რაც ქართული ქალაქების, მეზობლად არსებულ, დიდ ქალაქებთან დაკავშირების კარგ საშუალებას იძლეოდა[61]. ერევნიდან გზა ერზერუმამდე გადიოდა. მაგალითად, ერევანში ერთ-ერთი მგზავრობის დასრულების შემდეგ, ევლია ჩელები ერზერუმამდე „შვიდასიანი ქარავნით“ გამოვიდა[62]. თავისი მონათხრობის კიდევ ერთ მონაკვეთში ავტორი ერევნიდან ერზერუმამდე მოსულ სამი ათასი ჯორ-აქლემისგან შემდგარ ქარავანს ახსენებს[63].

[59] The perillous and most unhappy voyages of John Struys, გვ. 272-273.

[60] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 281.

[61] მინადოი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ XVI საუკუნის ბოლოს, ყარსის გამაგრების გამოცხადებული გეგმით, ოსმალები საქართველოსა და სომხეთამდე მისასვლელ გზებს დაეუფლებოდნენ. იხ. G-T. Minadoi. The War between the Turks and the Persians: Conflict and Religion in the Safavid and Ottoman Worlds, გვ. 71.

[62] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 314.

[63] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 346.

დასავლეთ საქართველო

ქართველებს აქტიური კონტაქტი ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ქალაქებთანაც. XV საუკუნის შუა ხანებში ტანაში მგზავრობისას ვენეციელი ვაჭარი, იოსაფატ ბარბარო, ვრცლად საუბრობდა სამეგრელოზე, რაც ყირიმსა და საქართველოს დასავლეთ სანაპიროს შორის მჭიდრო კონტაქტებზე მიუთითებს[64]. სამეგრელოს მჭიდრო კავშირებზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ ვენეციელ ელჩს ამბროჯო კონტარინის, რომელიც უზუნ-ჰასანთან იყო წარგზავნილი, თავდაპირველად კაფადან ფოთამდე სურდა მგზავრობა და უნდოდა იქიდან მიეღწია დანიშნულების ადგილამდე[65]. 1539 წელს, მიკელე მემბრემ კაფადან ანაკლიამდე გემი საკმაოდ მარტივად იშოვა.

მიკელე მემბრეს მიხედვით, სამეგრელო მდიდარ მხარეს არ წარმოადგენდა. მართლაც, უშუალოდ ვაჭრობის საგნებს რაც შეეხება, სამეგრელოში კაფადან, ძირითადად, მარილი შედიოდა[66], რაც, ზოგადად, საქართველოს ამ მხარეში რთულად მოიპოვებოდა[67]. იმპორტის სხვა საგნებს რკინა, სპილენძი, სხვადასხვა ჭურჭელი, ფეხსაცმელი, ნოხები და ტყავები წარმოადგენდა[68].

ასევე აქტიური ვაჭრობა მიმდინარეობდა სამეგრელოსა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთს შორის. ჭოროხის შესართავიდან სამეგრელოს მიმართულებით ლაზებს გაჰქონდათ მარილი და სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი, რაც თაფლზე, ტყვე ქალიშვილებსა და ჭაბუკებზე იცვლებოდა. როგორც ჩანს, თვითონ ევლია ჩელებიც იყო ამ ვაჭრობაში ჩაბმული, რადგან სამეგრელოდან გამგზავრების შემდეგ,

---

[64] Travels to Tana and Persia by Josafa Barbaro and Ambrogio Contarini, გვ. 25-26.

[65] Travels to Tana and Persia by Josafa Barbaro and Ambrogio Contarini, გვ. 116-117.

[66] ნ. ხოფერია. „მარილით ვაჭრობა შავ ზღვაში და საქართველო". 29 სექტემბერი, 2023. Forbes Georgia. https://forbes.ge/marilith-vatchroba-shav-zghvashi-da-saqarthvelo/

[67] ასევე რთულად მოიპოვებოდა ქაღალდიც (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბ. 1964, გვ. 44).

[68] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ. 1975, გვ. 98, 103.

ის მასთან არსებულ ხუთ ქართველ ტყვე ბიჭს ახსენებს[69]. XVI საუკუნის შუა პერიოდში სამეგრელოს ტრაპიზონთანაც ჰქონდა მჭიდრო კავშირი. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ტრაპიზონს ასევე აქტიური სავაჭრო კავშირები ჰქონდა სამეგრელოს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებთანაც, აბაზას ქვეყანასთან, ყირიმთან, კაზაკებთან ა. შ[70].

დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლთანაც ჰქონდა მჭიდრო კავშირები. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ოსმალეთის დედაქალაქში მყოფი ინგლისის ელჩი, ტომას რეი, ქართულ სავაჭრო ხომალდებს ახსენებს[71]. კონსტანტინოპოლთან სამეგრელოს კავშირზე ასევე მიანიშნებდა ლამბერტიც, როდესაც დადიანის სამთავროში ოსმალთა დედაქალაქიდან ქსოვილების ჩამოტანა ახსენა[72].

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ სამეგრელოს სანაპირო ზოლი ეკონომიკურად შედარებით განუვითარებელი იყო, სადაც ვაჭრობა მხოლოდ წლის კონკრეტულ პერიოდში მიმდინარეობდა. სამეგრელო ღარიბ მხარეს წარმოადგენდა, რისი საუკეთესო დასტური სავაჭრო ურთიერთობაში ფულის ნაკლები გამოყენება იყო. ბარტერი ვაჭრობის უმთავრესი ელემენტი იყო[73]. რუსული დიპლომატიური საბუთებიც აღნიშნავენ, რომ XVII საუკუნის დასაწყისის სამეგრელო საკმაოდ ღარიბ რეგიონს წარმოადგენდა, სადაც ფული არ ტრიალებდა. ეკონომიკა, ძირითადად, ბარტერზე იყო აწყობილი[74]. ფულით ყიდვა მხოლოდ სომხებით დასახლებულ ადგილებში იყო შესაძლებელი.

---

[69] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნაკვ. I, გვ. 95.

[70] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. I, ქართული თარგმანი. თბ. 1971, გვ. 89-90; Travels to Tana and Persia by Josafa Barbaro and Ambrogio Contarini, გვ. 118.

[71] თ. ბერაძე. ზღვაოსნობა საქართველოში, გვ. 108-109.

[72] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 23; XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს სანაპიროებზე ნავსადგურები იყო, სადაც გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები მიმდინარეობდა, ხოლო აღებ-მიცემობის უმთავრეს ობიექტს, მონა-ტყვეები წარმოადგენდნენ, ესენია: ბათუმი, ფოთი, ქემხელი, ანაკლია, ანაკოფია და ბიჭვინთა. ამავე ნავსადგურებში უნდა არსებულიყო საბაჟოებიც, ხოლო ვაჭრობა სრულად მიბმული უნდა ყოფილიყო ოსმალეთის ბაზრის მოთხოვნებზე. მონა-ტყვეებით ვაჭრობა, შესაძლოა, საქართველოს საზღვაო ექსპორტის 40%-ს შეადგენდა. ქართული ნავსადგურებიდან მონა-ტყვეები, ძირითადად, ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლში გადაჰყავდათ. კიდევ ერთ მიმართულებას, საქართველოდან მონა-ტყვეების გასაყვანად, ქალაქი ახალციხე წარმოადგენდა (ა. კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. თბ. 2022, გვ. 113-114).

[73] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე, გვ. 39-40, 89.

[74] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, გვ. 144.

თუმცა სამეგრელოსთან შედარებით, აზოვის ზღვიდან სამეგრელომდე არსებული სანაპიროები, რომლებიც ჩერქეზებით და აფხაზებით იყვნენ დასახლებულები, ბევრად ღარიბ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ, საიდანაც, ძირითადად, მონები, თაფლი, ბზა, სანთელი და ტყავი გაჰქონდათ[75].

საფუძველი ამ შედარებითი ჩამორჩენილობისა, მაინც უფრო სამხედრო და პოლიტიკური მიზეზებია. ოსმალეთის შავ ზღვაზე და საქართველოს სამხრეთით გაბატონებამ, ეს უკანასკნელი ეკონომიკურად ოსმალეთს მიაბა. მიუხედავად დიდი სავაჭრო-ეკონომიკური ბაზრისა, საიდანაც შესაძლებელი იყო არა მარტო საჭირო პროდუქციის მიღება, არამედ საქართველოში (ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოში) წარმოებული პროდუქციის ექსპორტირება, ოსმალეთის გაბატონებამ რადიკალურად განსხვავებული გარემო შექმნა. იმპერიისთვის დასავლეთ საქართველო არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სივრცეს, სადაც დიდი ფინანსური მოგების ნახვა იყო შესაძლებელი. ამ ტერიტორიის სამხედრო კუთხით შემოერთება არა მარტო რთული იყო, არამედ ეკონომიკურად არამომგებიანი. ასეთ ვითარებაში იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები მონა-ტყვეებით ვაჭრობისთვის. აღნიშნული ფენომენი არ იყო დამახასიათებელი მხოლოდ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთისთვის, არამედ XVI-XVII საუკუნეებში, დასავლეთ ხმელთაშუა ზღვაშიც ფართოდ იყო განვითარებული, განსაკუთრებით ქალაქ ალჟირში და გარშემო არსებულ სანაპიროებზე[76].

იტალიელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი, საქართველოში 1631 წელს ჩამოვიდა, სადაც, დაახლოებით, თვრამეტი წელი გაატარა. მან კარგად შეისწავლა საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. მისი დაკვირვებით, ოსმალებისთვის ყველაზე ღირებულ „პროდუქტს“ სამეგრელოში მონა-ტყვე წარმოადგენდა. თურქები მზად იყვნენ, ერთ ტყვეში გასაყიდად შემოტანილი მთელი პროდუქცია (საბნები, თურქული ტყავები, უნაგირები, ცხენის მოკაზმულობა, მშვილდ-ისრები, შალები, რკინა, ქვაბები, მატყლი, შეღებილი

[75] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 104-105;
[76] R. C. Davis. Esclaves Chrétiens, Maîtres Musulmans. L'esclavage blanc en Méditerranée (1500-1800). Éditions Jacqueline Chambon. 2006, გვ. 17-62.

და სახეებიანი ტილოები, დანები, შაქარი, მარილი და მრავალი სხვა) ერთიანად გაეცვალათ[77].

შარდენის მიხედვით, სამეგრელოდან წელიწადში 12 000 ადამიანი გაჰყავდათ ოსმალეთის იმპერიაში[78]. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ახლო აღმოსავლეთსა და სომხეთში მოგზაურობისას, ინგლისელი ჯონ კარტრაიტი სამეგრელოზე საუბრისას ახსენებს თურქებისთვის შვილების ტყვედ გაყიდვის გავრცელებულ პრაქტიკას[79]. ლამბერტის ცნობით, სამეგრელოს სანაპიროებთან წელიწადში თორმეტი გემი შემოდიოდა კონსტანტინოპოლიდან, გონიოდან და ტრაპიზონიდან. ნივთების შესაძენად ადგილობრივები სანაპიროზე თურქულ გემებთან ან წიფურიას ეკლესიასთან გამართულ ბაზრობაზე მიდიოდნენ. აღნიშნული ბაზრობა ყველაზე დიდი იყო, სადაც ათასობით ადამიანი იკრიბებოდა[80]. წყაროებში მოცემული მონაცემების შეჯამების საფუძველზე, შესაძლებელია ვარაუდის გამოთქმა, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად 4-8 ათასი მონა-ტყვე გაჰყავდათ[81].

იშვიათად, თუმცა მაინც ხდებოდა სამეგრელოდან სხვა ტერიტორიაზე, მაგალითად, თათრეთში, კაფას გავლით პროდუქციის გატანა. ფულის მოჭრის შეწყვეტის გამო, სამეგრელოში ვაჭრობა გაცვლითი ხასიათის იყო[82]. მიუხედავად ამისა, დადიანმა სამთავროს სავაჭრო ურთიერთობების განსავითარებლად სომხები და ებრაელები ჩაასახლა. ის მათ ახალისებდა ფულითა და ცხენებით ირანთან და თურქეთთან სავაჭრო კონტაქტების გასამყარებლად[83]. ამას ადასტურებს რუსული დიპლომატიური საბუთები, სადაც აღნიშნულია, რომ

[77] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 158.
[78] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 123.
[79] J. Cartwright. "The Preacher's Travels", გვ. 720.
[80] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 156-157.
[81] ა. კილასონია. ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში. თბ. 2022, გვ. 93-95; 102.
[82] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 124-125; იდენტურ მონაცემებს იძლევა ლამბერტიც. მისიონერი უფრო შორსაც მიდის და ერთ-ერთ მონაკვეთში იმასაც კი აღნიშნავს, რომ მეგრელებმა ვაჭრობა არ იცოდნენ (არქანჯელო ლამბერტი, გვ. 26).
[83] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 26; მსგავს ცნობებს გვაწვდის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელიც (იხ. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე, გვ. 55-56)

წინა პერიოდისგან განსხვავებით, სამეგრელო ვაჭრობს როგორც ოსმალებთან, ასევე სპარსელებთან[84].

ოსმალები შავ ზღვას თავის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონად, შიდა ზღვად მიიჩნევდნენ. ის ეკონომიკური აქტივობა, რომელიც შავ ზღვაში მიმდინარეობდა, სრულად ოსმალეთის ეკონომიკის ემსახურებოდა. არ უნდა იყოს გასაკვირი შარდენის კომენტარი, როდესაც ის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ოსმალები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ ევროპელ ვაჭრებზე და მაქსიმალურად ავიწროებდნენ მათ შავ ზღვაში სავაჭრო საქმიანობის კუთხით. ამის ერთ-ერთი კარგი მაგალითი იყო გონიო, სადაც საბაჟო მდებარეობდა, ხოლო ოსმალო ბიუროკრატები ევროპელების სავაჭრო საქმიანობის შეევიწროებით იყვნენ დაკავებულები[85].

მიუხედავად ამ ზოგადი ნეგატიური კონტექსტისა, XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველო დანარჩენი საქართველოსგან სრულად არ ყოფილა მოწყვეტილი. მაგალითად, ლამბერტის მტკიცებით, ქუთაისი კარგ სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა, სადაც ყველა მხრიდან ვაჭრები ჩადიოდნენ. სვანებს ნაბდები, მსხვილი შალები მოჰქონდათ, ასევე ჩამოჰყავდათ თხები და ცხვრები. ქუთაისს ქართლელებიც სტუმრობდნენ[86]. მიკელე მემბრე ახსენებს აბრეშუმს, რომელიც ზაგემიდან დასავლეთ საქართველოში შედიოდა[87]. რამდენად აქტიური იყო ასეთი სავაჭრო კონტაქტები უცნობია, თუმცა უდავოა, რომ სამეგრელო სავაჭრო-ეკონომიკურად მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოსთან. ეს კი საქართველოს შიდა ვაჭრობის ინტენსივობაზე შეიძლება მიანიშნებდეს. ქვეყნის შიგნით ინტენსიურად გამოიყენებოდა მდინარეები, როგორც ეს სამეგრელოს

[84] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, გვ. 149.

[85] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 260-262; გონიო დასავლეთ საქართველოს ვაჭრობას აკონტროლებდა. არაა შემთხვევითი, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხშირი იყო ქართველების თავდასხმები გონიოზე მისი ხელში ჩაგდებისთვის ან იქ არსებული თურქული ფლოტის სრულად განადგურებისთვის (თ. ბერაძე. ზღვაოსნობა საქართველოში, გვ. 100-102).

[86] არქანჯელო ლამბერტი, გვ. 10; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი ქუთაისზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „ეს ქალაქი დღესაც არსებობს, თუმცა ნანილობრივ დანგრეულია“ (იხ. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე, გვ. 79).

[87] მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, გვ. 530.

შემთხვევაში იყო[88]. შარდენის მტკიცებითაც მდინარე მტკვარი სანაოსნოდ გამოიყენებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით[89].

თუმცა ქუთაისი მხოლოდ შიდა ვაჭრობით არ იყო განთქმული. ქუთაისს ასევე ირანელი ვაჭრები სტუმრობდნენ, რომელთაც ირანული შალები, ინდოეთის ფერადი ქსოვილები, სხვადასხვა სახეობის ტყავი, სანელებლები, ხიზილალა და კასპიის ზღვის თევზი ჩაჰქონდათ[90]. ქუთაისში სამხრეთიდან, სამცხიდან თურქი ვაჭრები სტუმრობდნენ, რომელთაც უნაგირები, ცხენის საკაზმავები, ხანჯლები და თურქული ზანდუკები ჩამოჰქონდათ. ასევე დიდი რაოდენობით იყვნენ სომხებიც, რომელთაც ქალაქში უძრავი ქონება გააჩნდათ და სავაჭრო ქსელი დანარჩენ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთზე ჰქონდათ გაშლილი.

მეტიც, შარდენის მიხედვით, გონიო-ახალციხე-აწყურის გზა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან შიდა სავაჭრო გზას წარმოადგენდა. შარდენს ზუსტად ამ მიმართულებით უმოგზაურია. აწყურში ასევე მდებარეობდა საბაჟო, რომელიც, უდავოა, ამ გზაზე შიდა ქართული ვაჭრობის გასაკონტროლებლად უნდა ყოფილიყო აგებული. ამასთან ერთად, ახალციხეში სავაჭრო აქტივობა იყო გაშლილი, სადაც ქარვასლა მდებარეობდა, ხოლო მცხოვრებლები სომხები, თურქები, ებრაელები და ქართველები იყვნენ[91]. გონიო-ახალციხე-აწყურის გზა უერთდებოდა გორს, სადაც ბაზრები იყო გაშლილი, ხოლო გორიდან კი თბილისამდე აღწევდა.

რთული XVII საუკუნე

XVII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოზე შაჰ-აბასის ლაშქრობებით ქართული მეაბრეშუმეობის ისტორიაში ერთგვარი პერიოდი დასრულდა. მონღოლურ-თემურიანული პერიოდის

[88] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნაკვ. I, გვ. 96.
[89] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 292.
[90] ასევე, გორში მარილი სპარსეთიდან შემოდიოდა (იხ. მ. პაპაშვილი, თ. ქარჩავა, თ. წითლანაძე, ა. გოგოლაძე, ნ. სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში, გვ. 432).
[91] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 272-274.

მსგავსად, შაჰ-აბასის *reconquista*-მ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ და საქართველოზე ლაშქრობებმა დაასრულა XV-XVI საუკუნეებში კავკასიაში ჩამოყალიბებული სავაჭრო გზების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი. ეს გზები ქართლს და განსაკუთრებით კი კახეთს საშუალებას აძლევდა რეგიონში, როგორც მეაბრეშუმეობის და მეღვინეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად წარმოეჩინათ თავი. შაჰ-აბასის 1614 და 1616 წლების ლაშქრობების შედეგებით კი ქართლსა და კახეთში ეს ორი ინდუსტრია დაიქცა. ქალაქები გრემი და ზაგემი[92] განადგურდა და ეს ვითარება XVII საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა[93], სანამ არ მოხდა ეკონომიკური ვითარების შედარებით გამოსწორება, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური სტაბილურობის შედეგი იყო. ერთადერთი ქალაქი, რომელმაც XVII საუკუნის განმავლობაში მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა თავისი როლი, თელავი იყო.

კახეთის ქალაქების დაქვეითების მიზეზებს როდესაც განვიხილავთ, საჭიროა, გვახსოვდეს, რომ ეს ქალაქები მჭიდროდ დაკავშირებული იყო უშუალო სამეზობლოში არსებულ სავაჭრო ცენტრებთან. შესაბამისად, როდესაც შაჰ-აბასმა ძირი გამოუთხარა ჯულფას, შემახას, განჯასა და ნახჩივანის სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობას, ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებზეც. შაჰის მიზანი, ქართული მეაბრეშუმეობა გაენადგურებინა, ემსახურებოდა ერთ და მთავარ ამბიციას, ამ ინდუსტრიაში მხოლოდ ირანული აბრეშუმის მწარმოებელი ქალაქები დაწინაურებულიყვნენ. ის ასევე ცდილობდა აბრეშუმის წარმოების განადგურებით აღმოსავლეთ კავკასია ნაკლებად საინტერესო გაეხადა, როგორიც რუსეთისთვის, ასევე ოსმალეთისთვის. შაჰს ასევე კარგად ესმოდა სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით ირანისთვის როგორი წამგებიანი იყო ოსმალეთის მიერ 1578-1605 წლებში აბრეშუმის წარმოებით მდიდარ შირვანსა და მიმდებარე ტერიტორიებზე გაბატონება. ამიტომაც, სეფიანთა მმართველი გარკვეულ პრევენციულ ზომებს იღებდა.

---

[92] არაქელ დავრიჟეცი კახეთს მდიდარ და ხალხმრავალ ქვეყნად მოიხსენიებს. იხ. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი. თბ. 1974, გვ. 28.

[93] კახეთის მძიმე მდგომარეობაზე მიუთითებენ რუსეთიდან ჩამოსული ელჩები. იხ. Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615-1640, გვ. 332.

1630-იანი წლებიდან ქართლს მმართველად უკვე გამაჰმადიანებული როსტომი უდგას სათავეში, რომელიც ირანის შაჰის „ვალი“ (მოადგილე) იყო. 1648 წელს როსტომი კახეთის გამგებელი გახდა. როსტომის მმართველობის დასაყრდენს გამოსწორებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა წარმოადგენდა. მან ხელი შეუწყო ახალი გზების, ხიდების და დანგრეული ქალაქების აღორძინებას[94]. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასტუმროებისა და ქარვასლების აგებას შიდა და საგარეო ვაჭრობის წასახალისებლად. როსტომი ასევე აქტიურ ზომებს იღებდა მებაჟეთა თვითნებობის წინააღმდეგ, ხშირად ბაჟისგან ათავისუფლებდა ცალკეულ ვაჭრებს, ან გადასახადებს უმცირებდა[95]. როსტომისთვის ვაჭრებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი იყო ერთი მარტივი მიზეზის გამო: ირანთან ახლო და სტაბილური ურთიერთობებით, პირველ რიგში, ქართველი და სომეხი ვაჭრები უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებული.

მიუხედავად შაჰ-აბასის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში განადგურებული მეაბრეშუმეობისა, როგორც ჩანს, ამ წარმოებამ მაინც განაგრძო არსებობა. შარდენი აღნიშნავდა, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით აბრეშუმი იწარმოებოდა, რაც ექსპორტზე ოსმალეთსა და სხვა ადგილებში გადიოდა. XVII საუკუნის შუა ხანებში თბილისიდან ასევე აქტიურად გადიოდა ღვინო, ნიგოზი და ა. შ., ხოლო შემოდიოდა ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილები, ტყავი, მარგალიტები, მინის ჭურჭელი, შალის ქსოვილები და მრავალი სხვა[96]. თბილისის როლი განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან, მიუხედავად მრავალი შემოსევისა, ქალაქმა მაინც შეინარჩუნა თავისი სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა და მჭიდრო კავშირი ირანის მსხვილ ქალაქებთან[97]. ეს აღმავლობის ხანა XVIII საუკუნეში ოსმალობის, მართალია ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულ პერიოდამდე გაგრძელდა.

თბილისი ასევე აღიქმებოდა როგორც პოტენციური სავაჭრო ტრანზიტი ევროპასა და ირანს შორის. XVII-XVIII საუკუნეებში ასეთ

[94] შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტომი II, გვ. 189-190.
[95] თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თბ. 1990, გვ. 260.
[96] თბილისის ისტორია, გვ. 262-263.
[97] თბილისის ისტორია, გვ. 254.

რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი. აქედან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შარდენის მოგზაურობა იყო, როდესაც ფრანგი, თბილისში, 1672-1673 წლების მიჯნაზე იმყოფებოდა და ევროპული ქვეყნების კომერციულ ინტერესებს ატარებდა[98]. ეს კარგად ესმოდათ ქართველ პოლიტიკურ მესვეურებსაც. მართლაც, საქართველოდან სამხრეთით გასამგზავრებლად, შარდენმა თბილისიდან გეზი ერევნისკენ აიღო, ხოლო გამგზავრებამდე კი ქართლის მეფე ვახტანგ V-ისგან შემდეგი სიტყვები მოისმინა:

„თუ ვინმე ჩამოვა საქართველოში სავაჭროდ, მე მათ ყოველგვარ თავისუფლებასა და პრივილეგიებს მივანიჭებ, რასაც კი მოისურვებენო; ჩემი საბრძანებელი შავ ზღვამდეა გადაჭიმული და, რადგანაც სპარსეთში დიდი პატივით ვსარგებლობ, ხოლო თურქეთშიც მეტად დაფასებული ვარ, ევროპელები, რომლებიც მოისურვებენ ჩემი ქვეყნის გავლით ინდოეთში წასვლას, ამ ქვეყნებზე უკეთეს გზას ვერსად იპოვიანო; დარწმუნებული ვარ თუ ერთხელ გაივლიან ამ გზით, მომავალში სხვა გზას აღარ აირჩევენო“.[99]

საბოლოო ჯამში, ქართველმა მეფემ თავი შეიკავა შარდენისთვის ოფიციალური წერილის გადაცემისგან, რომელიც მას ფრანგული კომპანიისთვის უნდა გადაეგზავნა. მიზეზი სპარსელების განაწყენების შიში იყო, თუმცა სიტყვიერად შარდენს შეეძლო სათქმელის თავისუფლად გადაცემა.

შარდენის ეს მოგზაურობა ასევე, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა საქართველოში, კერძოდ, თბილისში არსებული სავაჭრო-სამეწარმეო პოტენციალის გარკვევას. ქალაქში იყო ბაზრები და ქარვასლები და მრავლად ცხოვრობდნენ უცხოელი ვაჭრები[100], რაზეც ქალაქში სპარსულ ყაიდაზე ფულის მოჭრის ტრადიციაც მეტყველებს[101]. მართლაც, XVII საუკუნეში თბილისი იმ შვიდ ქალაქში შედიოდა, რომელშიც იმ დროს ფული იჭრებოდა. ვაჭრობა ქალაქში ოქროს, ვერ-

[98] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 5-9.
[99] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 352-353.
[100] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 297, 322.
[101] Т. С. Кутелия. Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), გვ. 25-47.

ცხლისა და სპილენძის ფულებით მიმდინარეობდა[102].

რთულია თქმა, თუ რამდენად მიმზიდველი იყო ის ნაწარმი, რომელიც შარდენმა თბილისში ნახა. დასავლეთ საქართველოს მსგავსად, საკმაოდ რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. იმავე შარდენთან ვხვდებით ცნობას კახეთის სავაჭალო მდგომარეობაზე, სადაც ქალაქების უმრავლესობა გაჩანაგებული ყოფილა[103]. ამას საერთაშორისო კონტექსტიც უნდა დაემატოს. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპელ სამეფოებს ირანამდე მისასვლელი სახმელეთო სავაჭრო გზების გაკაფვის სურვილი შეუმცირდათ, ხოლო ის მცდელობები, რომლებიც ჯერ კიდევ ხორციელდებოდა, უმეტესწილად, რუსეთზე, კერძოდ, კასპიისპირეთზე გადიოდა, ანუ საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლით. ამასთან ერთად, ევროპელებმა აფრიკის გავლით საოკეანო სავაჭრო გზების მეტი სარგებლიანობა ნახეს.

აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, დასავლეთ საქართველოშიც მიმდინარეობდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღვივების მცდელობები. სამეგრელოს მთავარი, ლევან დადიანი, ამაგრებდა გზებს და ქალაქებს. ის ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა ვაჭრობის განვითარებას. მაგალითისთვის, 1640-იან წლებში განახლებულ ქალაქ რუხში მან იმერეთის ქალაქ ჩხარიდან ვაჭრები და ხელოსნები ჩაასახლა. ლევან დადიანი ასევე ცდილობდა სავაჭრო გზის აღდგენას, რომლითაც მოხდებოდა ადგილობრივი აბრეშუმის გატანა და შესაძლოა ტრანზიტული გზის შექმნა, რომლითაც სამეგრელოს გავლით ირანული აბრეშუმი ევროპას მიაღწევდა. ამისთვის დადიანი ცდილობდა დაკავშირებას როგორც სპარსელ, ასევე ვენეციელ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვაჭრებთან[104]. როგორც ჩანს, სპარსელებთან სავაჭრო ურთიერთობების უკან, ასევე ახლო პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების სურვილიც იყო. დადიანი როსტომ-ხანთან დამოყვრებით, სპარსეთს ოსმალების დამბალანსებელ ძალად აღიქვამდა[105].

[102] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნაკვ. I, გვ. 244-245.
[103] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, გვ. 293.
[104] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე, გვ. 56.
[105] მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 70.

მიუხედავად ამ მცდელობებისა, არსებული მასშტაბები არ იძლეოდა მდგომარეობის მკვეთრი გამოსწორების საშუალებას. მაგალითად, რუხი ერთადერთ დიდ ქალაქს წარმოადგენდა XVII საუკუნის პირველი ნახევრის სამეგრელოში, სადაც ებრაელი და სომეხი ვაჭრები ცხოვრობდნენ და ფლობდნენ სახლებს[106]. ასევე იყო ანაკლია, რომლის დაწინაურება, ხშირ შემთხვევაში, რუხის სავაჭრო-ეკონომიკური აქტივობის დაკნინების მიზეზიც ხდებოდა, როგორც ეს 1725 წელს ოსმალების მიერ ანაკლიის გამაგრების შემდეგ მოხდა. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ადგილს ფოთი წარმოადგენდა, რომლის რიგითი ადგილიდან ქალაქად გადაქცევა XVII საუკუნის განმავლობაში მოხდა.

თუმცა ზოგადი სურათი მაინც უფრო ნეგატიური იყო. XVI საუკუნეში და XVII საუკუნის დამდეგს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დასავლეთ საქართველოში დაღმავლობის გზას ადგა[107]. ის როლი, რომელსაც საქართველოს ეს მხარე ოსმალეთის ეკონომიკისთვის თამაშობდა, არ იძლეოდა ვაჭრობის უფრო მეტად განვითარების საშუალებას. შემოტანილი პროდუქცია ძვირი იყო, ხოლო ადგილობრივი კი იმდენად დაბალ ფასად იყიდებოდა, რომ მინიმალური შემოსავლის მომტანი იყო. მეტიც, ახალციხესა და ახალქალაქის უშუალოდ ოსმალების კონტროლის ქვეშ მოქცევამ ეს ორი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი დანარჩენ საქართველოს ჩამოაცილა[108].

ამავე პერიოდში ერთგვარ აღმავლობის გზას დაადგა ქართლი. ვახტანგ VI-მ ხელი შეუწყო მეაბრეშუმეობისა და მესაქონლეობის განვითარებას. ქართლის მეფე ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა ხელოსნურ შრომას და მის მეტად განვითარებას. მან ასევე ააგო ქარვასლები და შეაკეთა სავაჭრო მარშრუტები, რომელთა შორის აღსანიშნავია თბილისიდან ერევნამდე მიმავალი გზა. ვახტანგი მფარველობდა ვაჭრებს შესაფერისი პირობების შექმნით, რაც აისახა კიდევაც ისეთ ქმედებებში, როგორიც იყო მნიშვნელოვან პროდუქციაზე ბაჟის არ გაზრდა. მეფე ასევე ცდილობდა უცხოელი ვაჭრების მო-

[106] თბილისის ისტორია, გვ. 191, 237.
[107] ა. თაბუაშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია. თბ. 2020, გვ. 184.
[108] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში. თბ. 2018, გვ. 115.

ზიდვას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა დასავლეთ ევროპელების ქართლით დაინტერესებაზე, როგორც გზაზე, რომელიც ხმელეთით ფრანგებს ირანამდე იქაურ პროდუქციაზე წვდომას გაუმარტივებდა[109].

ვახტანგის მმართველობის წლები ერთგვარ გარდამავალ გეოპოლიტიკურ პერიოდს დაემთხვა, როდესაც სპარსეთი დასუსტებული იყო, რუსეთი სამხრეთით ექსპანსიას აწარმოებდა, თუმცა არც თუ ისე სწრაფი ტემპებით, რომ საქართველოს დახმარებოდა. ასეთი ვითარება არ იძლეოდა აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების საშუალებას. რთულ ეკონომიკურ ვითარებაზე მიანიშნებს ტურნეფორი, რომელიც ხაზს უსვამდა იმას, რომ ქართველები ვაჭრობაში ფულს ნაკლებად იყენებდნენ და უფრო ბარტერზე იყვნენ ორიენტირებულნი. მეორე მინიშნება ალბათ ისაა, რომ საქართველოში ჩატანილი ნივთები შედარებით ნაკლები რაოდენობის იყო, რადგან ყველაფრის გაყიდვა ვერ ხერხდებოდა. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზი საგარეო პოლიტიკური ვითარება იყო. ტურნეფორი აღნიშნავდა, რომ პარიზიდან ჩამოტანილი დურბინდები ვერ გაუყიდია, რადგან მყიდველი არავინ იყო ცოტა ხნის წინ მტრის გამანადგურებელი შემოსევის გამო[110].

მიუხედავად ამისა, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართული ქალაქები ინარჩუნებდნენ მჭიდრო კავშირს ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქებთან. მაგალითად, იმავე ტურნეფორის მოგზაურობის ერთ-ერთი მონაკვეთი ტრაპიზონიდან ერზერუმამდე გადიოდა, საიდანაც სავაჭრო გზები ყარსამდე, ერევნამდე, განჯასა და თბილისამდე აღწევდა[111]. თუმცა მისი მონათხრობიდან ისიც ჩანს, რომ აღნიშნული გზა უსაფრთხო არ იყო, როგორც ქურდების მრავალი დაჯგუფებების, ასევე საკუთრივ თურქი მაღალჩინოსნების გამომძალველობის გამო.

[109] ქ. ნადირაძე. ქალაქი ქართულ ისტორიულ სივრცეში, გვ. 125-126.

[110] ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 56-57.

[111] ერზერუმზე ასევე გადიოდა ინდოეთისკენ მიმავალი ქარავნები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ალეპოსა და ბაღდადზე გამავალი გზები უსაფრთხო არ იყო. ტურნეფორი ასევე მიუთითებს ერზერუმის სავაჭრო კონტაქტებზე ცენტრალურ აზიასთან, თავრიზთან და განჯასთან (ჟ. პ. დე ტურნეფორი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გვ. 32, 35).

დასკვნა

XV-XVIII საუკუნეების კავკასიაში სავაჭრო გზების შესწავლისას, როგორც უცხოურ, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია სომხების, ინდოელების, რუსების და სხვა ხალხების კომერციულ საქმიანობაზე. ქართველი ვაჭრები იშვიათად მოიხსენიებიან, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ძალა. თუმცა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, განსახილველ ისტორიულ პერიოდში ქართველი ვაჭრები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ვაჭართა ქსელმა შესაძლოა ვერ მიაღწია სომეხთა ან ინდიელთა სავაჭრო დიასპორების გავლენას, ქართველი ვაჭრები, როგორც ჩანს, ჩამოყალიბდნენ შედარებით ძლიერ სავაჭრო ჯგუფად, რომელიც მოედო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილს და განსაკუთრებით კი სეფიანთა ირანს.

წინამდებარე სტატიაში ქართველი ვაჭრების დაწინაურება ასევე დანახული იყო ევრაზიაში მიმდინარე სავაჭრო ცვლილებების ფართო სურათში, როდესაც ჩამოყალიბდა საოკეანო სავაჭრო გზები, ხოლო ევრაზიაში ერთდროულად შეიქმნა რამდენიმე ექსპანსიონისტური სახელმწიფო (სეფიანთა ირანი, ოსმალეთის იმპერია, მოგოლთა სახელმწიფო და ა. შ.). ასეთ ვითარებაში ქართველების სავაჭრო ქსელის გაფართოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ევროპასა და აზიას შორის საზღვაო სავაჭრო გზების აღმოცენების მიუხედავად, სახმელეთო გზებმა შეინარჩუნეს თავისი მნიშვნელობა.

Emil Avdaliani
Professor
European University, Tbilisi, Georgia

GEORGIAN MERCHANTS AND COMMERCIAL TIES OF THE GEORGIAN KINGDOMS IN XV-XVIII CENTURIES

Summary

When examining the trade routes and connectivity in the Caucasus of 16th-18th centuries, the existing historiography mostly pays attention to the commercial activities of Armenians, Indians, Russians and other ethnic groups, with Georgian merchants rarely, if ever, mentioned as a significant trading force. Yet, in 15th-18th centuries, there was a notable activism of Georgian traders. While they may not have reached the influence of the Armenian or Indian diasporas, Georgian merchants appear to have formed a relatively strong trade group spread across the Middle East and some parts of the Mediterranean with a particular geographic focus on the Safavid Iran. This article explores this relatively unknown development by placing Georgian merchants within a broader picture of shifting Eurasian trade patterns caused by trans-oceanic exploration and the rise of Eurasian empires in 15th-16th centuries. The expansion of the network of also highlighted the endurance of the overland trade patterns across Eurasia in 16th-18th centuries over ocean routes.

From the 16th century, eastern Georgia was closely involved in the international trade system. Even the invasions of Shah Abbas I and ensuing deliberate cut-off of Kartli and Kakheti from the silk trade did not cause complete decline of these two regions. Indeed, in the difficult 17th-18th centuries, eastern Georgia continued to be actively involved in international trade and Georgian merchants enjoyed close economic ties with Iran, Russia, and the Ottoman empire.

For example, during a visit to Moscow at the end of the 16th century, the English merchant Giles Fletcher encountered merchants from Turkey, Persia, Georgia, and Armenia. Georgian merchants also traveled to Constantinople, with one source mentioning a Georgian deacon's son, a trader

in the Ottoman capital, who brought back the remains of famous Georgian king Simon who fought the Ottomans, was brought into captivity and eventually died in the Yedikule fortress in Constantinople. Georgian merchants were also known to travel to Venice, often importing products to Iran.

Later, in the 17th century, Georgian merchants actively participated in trade in the Safavid capital of Isfahan, where they interacted with European merchants. In his accounts Olearius, alongside Indian, Armenian, and European merchants, also mentioned Georgians residing and practicing commerce in the Safavid capital. Moreover, the German traveler highlighted the activities of Georgian merchants, putting them on the same level with Armenians. He also made an intriguing observation that might partially explain the reduced prominence of Georgian merchants in the 17th century and beyond: Olearius noted that while Georgian merchants traveled to India and Europe, they were often mistaken for Armenians.

Engelbert Kaempfer, a German traveler, in his writings about Georgia, noted that Georgians were among most active traders in Isfahan. It appears that Georgian merchants reached as far as the Persian Gulf, particularly the renowned port of Bender-Abbas established by Shah Abbas. Thomas Herbert, an Englishman visiting Persia between 1627 and 1629, mentioned Georgian merchants in the port alongside other nationalities. Herbert also observed Georgians in Isfahan, where they were less involved in trade compared to Armenians but still were quite active. Elsewhere, the traveler mentioned Georgian merchants alongside western European, Armenian, Indian, and Turkish traders.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

აპოლონ თაბუაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ /
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ერეკლე II-ისა და გარსევან ჭავჭავაძის საიდუმლო მიმოწერის შესახებ*

რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ იოანე ბატონიშვილის კოლექციაში (ფონდი 941), ათეულობით ისტორიულ დოკუმენტთან ერთად, ვხვდებით ერეკლე II-ის ერთ-ერთ წერილს, რომელიც გარსევან ჭავჭავაძესთან საიდუმლო მიმოწერის პროცესს ეხება.

დასახელებული ისტორიული დოკუმენტის შინაარის განხილვამდე მოკლედ შევეხებით ისტორიოგრაფიისათვის დღემდე ცნობილ იმ ფაქტობრივ მონაცემებს, რომლებიც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და გარსევან ჭავჭავაძის საიდუმლო მიმოწერას უკავშირდება. მეფისა და პეტერბურგში მყოფი მისი ელჩის საიდუმლო მიმოწერის შესახებ ერთი საინტერესო დოკუმენტი, სხვა ისტორიულ საბუთებთან ერთად, იასე ციცაძემ 1960 წელს გამოაქვეყნა. დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გარსევან ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგიდან ერეკლე II-ისათვის გამოგზავნილ მოხსენებას, თარიღდება 1785 წლის ივნისით. ელჩი მეფეს ატყობინებდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის შესაძლო დაწყების შესახებ დაუდასტურებელი ცნობები ვრცელდებოდა. შესაბამისად, ის ერეკლეს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა და ურჩევდა, რომ ინფორმაცია ოსმალეთიდანაც მიეღო. შემდეგ აღნიშნავდა: „...რა ვქნა, ზოგიერთის მოხსენებ{ა}ები-

* კვლევა განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, № FR-23-11173 / This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), № FR-23-11173.

სა წადილი მაქვს, მაგრამ სარწმუნო არა ვარ, რომ ამ წიგნებს ჩვენს მეტი ვერავინ ნახევდეს, ეჭვი მაქვს, რომ არამც შუაზედ, სხვანიც განიხილავდნენ ხოლმე და ამ მიზეზით ყველა ვერ დამიწერია, თუ ინებებთ სხვა ანბანი მიბოძეთ და მარფუფასაც (?!) იმ ჴელად მომწერეთ, ვგონებ კიდეც იცოდეთ და თუ ისეთი მოხსენება მექნება რამე, მეც იმავ წერილით მოგახსენებ...".[1]

ი. ცინცაძემ აღნიშნულ დოკუმენტსა და სხვა საარქივო მასალაზე დაყრდნობით ჯერ კიდევ 1941 წელს გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევა, რომელიც პეტერბურგში დაარსებულ ქართულ საელჩოსა და საქართველოში რუსეთის იმპერიის სადაზვერვო საქმიანობას ეხება. როგორც ი. ცინცაძის მიერ მოძიებულ მასალიდან ირკვევა, გარსევან ჭავჭავაძის მიერ საქართველოში გამოგზავნილ მოხსენებებსა თუ საქართველოდან რუსეთში გაგზავნილ კორესპონდენციებს იმპერიის დაზვერვის წარმომადგენლები ფარულად ეცნობოდნენ, რუსულ ენაზე თარგმნიდნენ და ეკატერინე II-ის ფავორიტ გრიგოლ პოტიომკინს წარუდგენდნენ. XVIII საუკუნის 80-იან წლებში აღნიშნულ საქმეს სიმონ იგნატიევი (ეგნატაშვილი) და ბართლომე სავარსიმაძე უძღვებოდნენ. მათ ხელში აღმოჩნდა გარსევან ჭავჭავაძის ზემოთ მოხმობილი წერილიც.[2] თითქმის ანალოგიურ ინფორმაციას ვხვდებით 1960 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი: მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის".[3]

ი. ცინცაძე საგანგებოდ შეეხო გარსევან ჭავჭავაძის მიერ „სხვა ანბანის" მოთხოვნის ფაქტსაც. ავტორი სხვადასხვა საარქივო მასალაზე დაყრდნობით დასძენდა: „თვითმპყრობელობის დაზვერვა ამ ცნობის მიღებისთანავე საქმეს შეუდგა, გაიცა განკარგულება საქართველოდან მომავალ ფოსტის ხელში ჩაგდების შესახებ. მაგრამ, ამავე დროს, შიშობდნენ, ვაი თუ საქართველოს სამეფო კარმა სიფრთხილე გამოიჩინოს და საიდუმლო ანბანი საგანგებოდ კერძო პირს გამოატანონ და გარსევანს ისე გადასცენ, რომ მისი „გასაღები" ხელთ ვერ ჩავიგდოთო. საიდუმლო ანბანს გზები შეუკრეს, უფრო ასტრახანში ფიქრობდნენ მის ხელში ჩაგ-

[1] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი: მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. საბუთები. თბ. 1960, გვ. 243-244.

[2] ი. ცინცაძე. რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვის და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. II. ქუთაისი, 1941, გვ. 83-96.

[3] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 142-151.

დებას. ჩვენ ბევრი ვეძიეთ ცნობა, დაიჭირეს თუ არა საქართველოდან გამოგზავნილი საიდუმლო ანბანი, ან ამ ანბანით დაწერილი საბუთი, მაგრამ ამის შესახებ მიმოწერას ვერ წავაწყდით. ალბათ, რუსეთში დაცული არქივების რომელიმე ფონდში არის საამისო მასალები".[4]

მოხმობილი ფაქტების გათვალისწინებით ავტორი სამართლიანად აღნიშნავდა: „...1783 წლის ტრაქტატის დადებას ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის იდილია არ შეუქმნია და არც შეიძლებოდა ასეთი რამ, ყველაფერი ცივ ანგარიშიანობაზე იყო დამყარებული, ორივე მხარე ერთი მეორეს ზვერავდა და საკუთარი ქვეყნის სარგებელს ეძებდა მეგობრობაში".[5]

ი. ცინცაძემ რუსეთის არქივებში მოძიებული ისტორიული საბუთების კიდევ ერთი სოლიდური ნაწილი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს (1782-1791 წწ.) ეხებოდა, 1970 წელს გამოაქვეყნა. პუბლიკაციის შესავალ ნაწილში ავტორი კვლავ შეეხო რუსეთის იმპერიის სადაზვერვო საქმიანობას.[6] ერთ-ერთი გამოქვეყნებული დოკუმენტი (პოლკოვნიკ ვასილ ტამარასათვის გაგზავნილი მიმართვა) კი სწორედ ქართული „საიდუმლო ანბანის" ხელში ჩასაგდებად 1785 წელს მიღებულ ზომებს ეხება. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოდან გაგზავნილი პაკეტი საზღვარზე უნდა გაეჩერებინათ. რუსული მხარე ვარაუდობდა, რომ „საიდუმლო ანბანს" პეტერბურგში ქართული არტილერიის მაიორი გაბრიელ გალეგოვი ჩაიტანდა. „საიდუმლო ანბანის" გაგზავნასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობის მოხელეები ასევე ინტერესდებოდნენ ასტრახანში მცხოვრები სომეხი არქიერის, იოსების (არღუთიანი – ა. თ.), პერსონით. საბოლოოდ, „საიდუმლო ანბანის" დაუფლების შემდეგ ის უნდა გაეგზავნათ გრიგოლ პოტიომკინის კანცელარიაში.[7]

პუბლიკაციის შესავალში, ისე როგორც ზემოთ მოხმობილ სხვა ნაშრომებში, ი. ცინცაძე ამჯერადაც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ რუსეთის არქივებში ინტენსიური ძიების მიუხედავად, ვერ მიაკვლია ინფორმაციას, შეძლეს თუ არა რუსმა მოხელეებმა „საიდუმლო ანბანის" დაუფლება.[8]

[4] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 150.
[5] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 151.
[6] ი. ცინცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791 წწ.). საისტორიო მოამბე. 23-24. თბ. 1970, გვ. 3-13.
[7] ი. ცინცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 55.
[8] ი. ცინცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 12.

როგორც წარმოდგენილი ცნობებით ირკვევა, პეტერბურგში მყოფი გარსევან ჭავჭავაძე კარგად ხვდებოდა, რომ მისი და ერეკლე II-ის დალუქული კორესპონდენციები იმპერიის დაზვერვის სამსახურის წარმომადგენლების მხრიდან იხსნებოდა. შესაბამისად, 1785 წლის ივნისში მან საიდუმლოების დასაცავად მეფეს „სხვა ანბანისა" და „მარფუფას" გაგზავნა სთხოვა.

ი. ცინცაძემ სავსებით ლოგიკურად „სხვა ანბანი" „საიდუმლო ანბანად" მიიჩნია. ავტორი იქვე დასძენდა, რომ მსგავსი ანბანი ძველ საქართველოში გამოიყენებოდა და ერთი სისტემის ასეთ ანბანს „ანჯანური ანბანი" ეწოდებოდა.[9] უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ფეოდალური ხანის საქართველოში „ანჯანურთან" ერთად გამოიყენებოდა „ანჩინური", „ანჰოეური" და სხვა მრავალი სახის „საიდუმლო ანბანი" (კრიპტოგრაფი). „საიდუმლო ანბანის" სისტემები ასოთა ჩანაცვლების პრინციპს ეყრდნობოდა. მაგალითად, „ანჩინურის" შემთხვევაში ასო ა-ს ენაცვლებოდა ასო ჩ, ბ-ს – ც, გ-ს – ძ და ა.შ. „ანაჯანურში" – ა-ს ჯ, ბ-ს – ჭ, გ-ს – ხ და ა.შ. სხვა სახის კრიპტოგრაფიულ ნიმუშებში გვხვდება მხედრულის, ხუცურის, ლათინური თუ ბერძნული ანბანის ასოთა ერთობლიობა, თუმცა ყველა შეცვლილი მნიშვნელობით და ა.შ.[10]

რაც შეეხება „მარფუფას", ი. ცინცაძე მის მნიშვნელობას არ განმარტავს. გარსევან ჭავჭავაძის მოხსენების კონტექსტის მიხედვით, „მარფუფა" „საიდუმლო ანბანით" შედგენილი ტექსტი უნდა იყოს – „იმ ჴელად მომწერეთ... თუ ისეთი მოხსენება მექნება რამე, მეც იმავ წერილით მოგახსენებ". აღნიშნული მოსაზრების მართებულობა იმ იშვიათი ისტორიული დოკუმენტებითაც მტკიცდება, რომლებშიც ტერმინ „მარფუფა"/„მარქუფა"-ს ეხვდებით. მაგალითად, იულონ ბატონიშვილის მიერ 1791 წლის 4 იანვარს იოსებ მიშკარბაშისადმი მიწერილ წერილში აღნიშნულია: „... შენი წიგნი მომივიდა და რაც მოგეწერა, ყველა შევიტყევით; მარქუფა რომ იდვა შენს წიგნში, ისიც წავიკითხე...".[11] სულხან თუმანიშ-

[9] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 146.

[10] „საიდუმლო ანბანის" შესახებ იხილეთ: ე. თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. თხზულებანი. თბ. 2022, გვ. 702-756; ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. თბ. 1949, გვ. 131-136; ა. შანიძე. ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები. საქართველოს მუზეუმის მოამბე. I. ტფ. 1922, გვ. 63-68; ა. შანიძე. კრიპტოგრაფიული მასალები. მიმომხილველი. I. ტფილისი, 1926, გვ. 237-238.

[11] საქართველოს სიძველენი. ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფილისი, 1910, 57-58.

ვილის მიერ 1799 წელს მანუჩარ თუმანიშვილისათვის გაგზავნილ წერილში კი ვკითხულობთ: „... ეს კი იცოდე, რომ მუხრან ბატონისავით ჩვენი შეწევნა არას ხორციელს არ შეუძლიან; შეეხვეწე, კიდეც დაჰპირდი. საქმე ხომ მაგის ხელთ არის. შეწევნის გვარიც მაგან იცის, მაგასაც გაუგონებენ, იასაულს ბევრი შეუძლიან. მიშკარბაშის მარფუფა წაიკითხე, დაბეჭდე და მიართვი. აქაურ ცდაზე, მაგასთან ცდა უფრო იმოქმედებს, მუხრან ბატონს ასე რიგათ გაუგზავნე არავინ შეიტყოს“.[12] როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში „მარფუფას“ კითხულობდნენ, თავად წერილები კი საიდუმლო ინფორმაციას ეხებოდა.

ერთი სიტყვით, „მარფუფა“ მართალაც „საიდუმლო ანბანის“ მიხედვით შედგენილი ტექსტი უნდა ყოფილიყო. „მარფუფას“ შინაარსის გასაგებად კი საჭირო იყო მასში გამოყენებული კონკრეტული „საიდუმლო ანბანის“ ცოდნა. შესაბამისად, 1785 წლის ივნისის კორესპონდენციით გარსევან ჭავჭავაძეს ერეკლე II-ისაგან საიდუმლო ტექსტი და ამ ტექსტის გამხსნელი შიფრი მოუთხოვია.

სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება იოანე ბატონიშვილის კოლექციაში არსებული ერეკლე II-ის ერთ-ერთი წერილი. მეფის მიერ რუსეთში გაგზავნილ მოკლე ბარათში აღნიშნულია: „ქ. რომელიც დაგებარებინა შენთვის გამოსაგზავნათ ცხენიცა და თეთრიცა გზათა გვყავს, ამ ორს დღეზე თამაზა ოთანოვის ჴელით უთუოდ და უთუოდ გამოვისტუმრებთ. აგრევე მაღალ მსვლელს უფალს ღენარალ ანშეფსაც მოვართმევთ ცხენსაცა და სხვას ფეშქაშსაცა. ამ მარფუფას გარდა, რომელიც პაკეთში შეკრული შენთან მოწერილი თავი წიგნი არის, მისს ბრწყინვალებას უფალს ღენარალ ანშეფს უნდა უჩვენო“. წერილი დამოწმებულია ერეკლე II-ის მიერ.[13]

მიუხედავად იმისა, რომ წერილში ადრესატი მითითებული არ არის, ვფიქრობთ, მისი ვინაობის გარკვევა მარტივია. რადგან ერეკლე II ადრესატს გენერალ-ანშეფისათვის, ანუ გრიგოლ პოტიომკინისათვის[14] თავისი

[12] პ. კარბელაშვილი. სომეხთა ისტორიული უმადურობა. III. გაზ. საქართველო (№ 251). 18 დეკემბერი, 1918, გვ. 3.

[13] რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა განყოფილება. Ф. 941, оп. 2, № 20.

[14] 1783-1785 წლების წერილებში საქართველოში გრიგოლ პოტიომკინს სწორედ გენერალ ანშეფად მოიხსენებდა. იხ.: Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (конец 60-х начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. I выпуск. Материал подобрал и подготовил к печати В. Гамрекели. Тбилиси, 1980, გვ. 62; საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). ფონდი 1449, საბ. № 2800 და სხვ.

„წიგნის“ გადაცემას სთხოვდა, ეჭვგარეშეა, რომ წერილი პეტერბურგში მყოფი გარსევან ჭავჭავაძისათვის იყო განკუთვნილი.

როგორც ვხედავთ, საიდუმლო მიმოწერასთან დაკავშირებით გარსევან ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული წინადადების შემდგომ ერეკლე II-ს მისთვის „მარფუფა“ მართლაც გაუგზავნია. ცხადია, იმავე კორესპონდენციით „მარფუფას“ გამხსნელი შიფრიც გაიგზავნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წერილი უთარიღოა, მეფეს ის ცალსახად 1785 წლის ივნისის შემდგომ პერიოდში უნდა შეედგინა.

წერილიდან ისიც ირკვევა, რომ ერეკლე II პეტერბურგში თამაზ ოთანოვს გზავნიდა, რომელსაც ცხენთან ერთად გარსევან ჭავჭავაძისათვის განკუთვნილი თანხა, აგრეთვე, გრიგოლ პოტიომკინისათვის გადასაცემი საჩუქრები უნდა ჩაეტანა. „მარფუფა“ (ისე როგორც გრიგოლ პოტიომკინისათვის გადასაცემი „თავი წიგნი“) კი მეფემ თამაზ ოთანოვის წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გაგზავნა.

ერთი სიტყვით, ერეკლე II-ს საიდუმლო მიმოწერის ნიმუში ოფიციალური გზების გვერდის ავლით გაუგზავნია. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის იმპერიის მოხელეებს მიაჩნდათ, რომ ქართული საიდუმლო მიმოწერის ნიმუშის ხელში ჩაგდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ, თუ მეფე გარსევანთან კომუნიკაციის არაოფიციალურ გზებს მიმართავდა. ის ფაქტი, რომ რუსეთის სიძველეთსაცავებში ვერც საქართველოდან გაგზავნილ „საიდუმლო ანბანის“ ნიმუშს და ვერც მისი დაუფლების შესახებ ცნობებს ვერ ვხვდებით, ქართული მხარის ფრთხილი და მოხერხებული ნაბიჯების შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ერეკლე II-ს, რუსეთის იმპერიის დაზვერვის გვედრის ავლით, თავის ელჩთან კონფიდენციალური ურთიერთობის დამყარება მოუხერხებია.

სამწუხაროდ, უცნობია მეფისა და მისი ელჩის საიდუმლო მიმოწერის შინაარსი. თუმცა ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს 1786 წლის დასაწყისში გარსევან ჭავჭავაძის მიერ შედგენილი მიმართვები. „საიდუმლო ანბანის“ მოთხოვნიდან მალევე, კერძოდ, 1786 წლის 10 იანვარს, ქართველმა ელჩმა გრიგოლ პოტიომკინს თხოვნით მიმართა, რათა მისთვის სამშობლოში გამგზავრების ნებართვა მიეცათ.[15] 16 თებერვალს კი მან გრიგოლ პოტიომკინს იმავე თხოვნით განმეორებით მიმართა.[16] რადგან

[15] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 252-253.
[16] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. თბ. 1982, გვ. 102.

ოფიციალური არხებით გაგზავნილი წერილებით ერეკლე II-ს 1785 წელს გარსევანისათვის სამშობლოში დაბრუნების რეკომენდაციას არ მიუცია,[17] უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული შეტყობინება სწორედ საიდუმლო მიმოწერის საშუალებით გაიგზავნა.

საიდუმლო მიმოწერის კონტექსტში ასევე საინტერესოა, 1785 წლის მიწურულს განვითარებული მოვლენები. საქმე ისაა, რომ 1785 წლის შემოდგომაზე გარსევან ჭავჭავაძემ გრიგოლ პოტიომიკინს მოხსენება წარუდგინა. როგორც ირკვევა, წარდგინებას ერეკლე II-ის ვაჟი მირიანიც უნდა დასწრებოდა, თუმცა საბოლოოდ ეს ვერ მოხერხებულა.[18] გრიგოლ პოტიომკინთან შეხვედრიდან მალევე, 1785 წლის დეკემბერში, გარსევანმა ქართლ-კახეთის მეფეს რამდენიმე საიდუმლო წერილი გამოუგზავნა. წერილებში ელჩი ერეკლე II-ს იმპერიის ნდობის მოსაპოვებლად და დახმარების მისაღებად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას ურჩევდა. კერძოდ, გარსევან ჭავჭავაძე დარიალიდან ანანურამდე ტერიტორიების გრიგოლ პოტიომკინისათვის გადაცემის იდეით გამოდიოდა. მისი მოსაზრებით, ამ ქმედებით, ერთი მხრივ, გრიგოლ პოტიომკინი მეფის ვასალი გახდებოდა, მეორე მხრივ, დასახელებული მთიანი ადგილები აყვავდებოდა, ანანური ევროპულ ქალაქად გადაიქცეოდა, სადაც აიგებოდა ფაბრიკები, მომრავლდებოდნენ ვაჭრები, მხატვრები და რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი დარიალის გზა დაცული გახდებოდა. ერთ-ერთი წერილით გარსევან ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ მან ჭორის სახით შეიტყო თითქოს გრიგოლ პოტიომკინს სურდა, რომ მეფის სიძე გამხდარიყო. ელჩი ერეკლე II-ს ურჩევდა, რომ ამ საკითხზე მისი ქალიშვილის, ანასტასია ბატონიშვილის, მოსაზრება გაეგო. გარსევანის აზრით, თუ აღნიშნული ქორწინება შედგებოდა და გრიგოლ პოტიომკინს საქართველოს მთიანი რეგიონის ერთი ნაწილი გადაეცემოდა, ერეკლეს შეეძლო ეს ფაქტები ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ელჩი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ მისი წერილების შინაარსი არც საქართველოსა და არც რუსეთში არავის უნდა სცოდნოდა, მეფეს ანასტასია ბატონიშვილისთვისაც კი პირდაპირ არაფ-

[17] ერეკლე II-მ მხოლოდ გარსევანის ორგზის მიმართვის შემდეგ, 1786 წლის 22 სექტემბერს, მოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან ელჩის საქართველოში დაუყოვნებლივ გამოგზავნა. იხ.: ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. გვ. 257.

[18] სიმონ ეგნატაშვილის შენიშვნით, თავად გარსევანს არ მოუნდომებია მირიანთან ერთად პოტიომიკისათვის მოხსენების წარდგენა. იხ.: ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 96; ი. ცინცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 39-43.

ერი უნდა ეთქვა და მხოლოდ მისი ზოგადი მოსაზრება გაეგო. გარსევანი წამოყენებულ წინადადებასთან დაკავშირებით მეფეს დაწვრილებითი და ნათელი მითითების გაგზავნას სთხოვდა.[19]

უნდა აღინიშნოს, რომ გარსევან ჭავჭავაძის დასახელებული წერილების შინაარსი აბსოლუტურად განსხვავდება მის მიერ შედგენილი სხვა კორესპონდენციებისაგან. თავისი საქმიანობის არცერთ ეტაპზე გარსევანს ასეთ სენსიტიურ თემებზე მსგავსი თამამი მოსაზრებები არასოდეს გამოუთქვამს. მეფის ასულის ქორწინება და ვრცელი ტერიტორიების გასხვისების საკითხი მის კომპეტენციას აშკარად სცდებოდა. ამასთანავე, სრულიად ალოგიკურად ჩანს გარსევან ჭავჭავაძის თხოვნა ერეკლესადმი საქართველოსა და რუსეთში მისი წერილების შინარსის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით. რამდენიმე თვით ადრე იგი ხომ თავად აცხადებდა, რომ მიმოწერის დროს საიდუმლოების დაცვა შეუძლებელი იყო და მის კორესპონდენციებს იმპერიის აგენტები მანამდე ეცნობოდნენ, ვიდრე მათ ერეკლე II ნახავდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გარსევან ჭავჭავაძის მიერ მეფისათვის გაგზავნილი ე.წ. რჩევები სწორედ გრიგოლ პოტიომკინის კარნახით უნდა იყოს დაწერილი. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წერილების შედგენამდე ცოტა ხნით ადრე, როგორც ზემოთ აღინიშნა, გრიგოლ პოტიომკინმა ქართველი ელჩი მირიან ბატონიშვილის გარეშე საგანგებოდ მიიღო. თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდში ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზასთან მიმართებით რუსეთის იმპერიის გაზრდილ ინტერესებს, ვფიქრობთ, ნათელი გახდება გრიგოლ პოტიომკინის მიზანიც. საქმე ის იყო, რომ 1784 აიგო ვლადიკავკაზის ციხესიმაგრე, რომელიც იმავე წელს ქვემეხებით აღჭურვეს. კავკასიის მთებში არსებული გზის საკითხებს, ისე როგორც რეგიონში მიმდინარე პროცესებს, სწორედ გრიგოლ პოტიომკინი კურირებდა. ვლადიკავკაზის ციხესიმაგრეში ეკლესიის მშენებლობასა და მთებში არსებულ გზის გამაგრების შესახებ გრიგოლ პოტიომკინის იდეის მხარდაჭერას ეხებოდა ეკატერინე II-ის მიერ 1785 წლის 9 მაისს გამოცემული ბრძანებულებაც.[20] ამ ფონზე, სრულებით არაა გასაკვირი, რომ გრიგოლ

[19] ზ. ცქიტიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, გვ. 93-101; ი. ციცაძე. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, გვ. 39-43, 48-50.

[20] Д. Ракович. Прошлое Владикавказа. 1911, გვ. 4-5; История Владикавказа (1781-1990 гг.). Сборник документов и материалов. Сост. М. Д. Бетоева, Л. Д. Бирюкова. Владикавказ, 1991, გვ.

პოტიომკინს ვლადიკავკაზიდან ანანურამდე არსებული გზის დაუფლების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადაედგა.

აღსანიშნავია, რომ გარსევან ჭავჭავაძის „რჩევებთან“ დაკავშირებით ერეკლე II-ს მისთვის არანაირი განმარტება არ გაუგზავნია. თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხს არც გარსევანი მიბრუნებია. თუ გავითვალისწინებთ „მარფუფას“ მიწოდების ფაქტს, არაა გამორიცხული, რომ წერილების ოფიციალური არხებით (ფოსტით) გაგზავნამდე ელჩს მეფისათვის საქმის რეალური ვითარება მისი საშუალებით გაეცნო. ყოველ შემთხვევაში, ამ მოვლენებიდან ძალიან მალე გარსევან ჭავჭავაძემ ერეკლე II-ისაგან ფარულად სამშობლოში დაბრუნების რეკომენდაცია მიიღო.

3-4.

Apolon Tabuashvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia;
Chief researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

ABOUT SECRET CORRESPONDENCE BETWEEN EREKLE II AND GARSEVAN CHAVCHAVADZE

Summary

In 1960, Iase Tsintsadze published an interesting historical document about the secret correspondence between King Erekle II of Kartli-Kakheti and the Georgian ambassador in St. Petersburg, Garsevan Chavchavadze, together with other material preserved in Russian archives. The historical document is the report sent by Garsevan Chavchavadze to Erekle II, dated to June 1785. The ambassador informed the king that he wanted to provide information on some matters, but he was not sure that their correspondence would not be uncovered by Russian officials. He had a doubt that their correspondence would be discussed in detail by the representatives of the Russian government. Accordingly, Garsevan Chavchavadze asked the king to send "another alphabet" and "Marfufa" to maintain the secret correspondence.

Iase Tsintsadze quite reasonably considered "another alphabet" as a secret or encrypted alphabet. The author added that a similar alphabet was used in ancient Georgia and one of such alphabetic system was called "Anjanuri Alphabet". As for "Marfufa", Iase Tsintsadze does not explain its meaning. According to the context of Garsevan Chavchavadze's report, "Marfufa" was a text composed with a "secret alphabet". The validity of the mentioned opinion is confirmed by the rare historical documents in which we find the term "Marfufa". Based on two historical documents dated to the 90s of the 18th century, "Marfufa" was indeed called a secret letter.

Hence, "Marfufa" should have been a text composed according to the "secret alphabet". In order to understand the content of "Marfufa", it was

necessary to know the specific "secret alphabet" used in it. Accordingly, Garsevan Chavchavadze requested the secret text and the code to unlock this text from Erekle II.

As it is established from the archival material found by Iase Tsintsadze, the reports sent by Garsevan Chavchavadze to Georgia and the correspondence sent from Georgia to Russia were secretly read by the representatives of the imperial intelligence, translated into Russian and presented to Catherine II's favorite Grigory Potemkin. They made a lot of efforts to obtain of the "secret alphabet" that was sent from Georgia. Russian officials hoped to obtain of the "secret alphabet" at the Russian-Georgian border or in Astrakhan. At the same time, they were afraid that Erekle II would show precaution and deliver the "secret alphabet" not with the help of official courier, but with the assistance of private person, which would make it difficult to master it. As Iase Tsintsadze pointed out, despite an intensive search in the Russian archives, he was not able to find any information about sending the "secret alphabet" from Georgia.

In the collection of Ioane Batonishvili preserved in the National Library of Russia (fund 941), along with dozens of historical documents, we found one letter of Erekle II, which deals with the issue of secret correspondence. In a short postcard sent by the king to Garsevan Chavchavadzi, it is mentioned that Tamaz Otanov would be sent to him in two days, who would carry various messages. This time he was sent with "marfufa" and a letter for Grigory Potemkin.

Therefore, Erekle II sent "Marfufa" or a sample of secret correspondence, bypassing the official channels, a few days before the departure of the special messenger. Obviously, the opening code of "Marfufa" was also sent with the same correspondence. Although the letter is not dated, the king must have written it sometime after June 1785.

The fact that we cannot find information about possession of the "secret alphabet" in the archives of Russia should be the result of the careful and convenient steps of the Georgian officials. It seems that despite the well-organized intelligence of the Russian Empire, Erekle II managed to establish a confidential correspondence with his ambassador.

The content of the secret correspondence between the king and his ambassador is unknown. However, in this regard, attention is drawn to the appeals made by Garsevan Chavchavadze at the beginning of 1786. Shortly after the request for the "secret alphabet", namely on January 10, 1786, the

Georgian ambassador appealed to Grigory Potemkin to give him permission to travel to his homeland. On February 16, he repeated the same request to Grigory Potemkin. Erekle II did not recommend Garsevani to return to his homeland in 1785 based on the letters sent through official channels, hence we should assume that the instruction was sent through secret correspondence.

ხვთისო მამისიმედიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

საგმირო-საისტორიო სიმღერა „ხევსურები გორის ბრძოლაში“

ქართულ ფოლკლორში მეფეთა ეპოსის უკანასკნელ ციკლს ქმნის ხალხური ლექსები და გადმოცემები ერეკლეს II-ის შესახებ. ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ციკლის ხალხურ ნაწარმოებებთან ერთად მას საპატიო ადგილი უკავია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

ფოლკლორულ ნაწარმოებს, გამომდინარე იქიდან, რომ მასში ისტორიული პირები და მოვლენები გამითიურებულია, ხოლო ხალხური ტექსტის ცალკეულ ეპიზოდებში არცთუ იშვიათად დასტურდება ანაქრონიზმები, ისტორიულ წყაროდ ვერ მივიჩნევთ. მიუხედავად ამისა, ისტორიული შინაარსის ხალხურ ნაწარმოებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარსულის შესაცნობად, ზოგადად ისტორიულად მომხდარი მოვლენების საერთო სურათის დასანახად. ხალხური გადმოცემებითა და სიმღერებით ცხადი ხდება, თუ როგორ უყურებს ხალხი წარსულს, საკუთარი ქვეყნის ისტორიას.

ერეკლე მეფის შესახებ პოეტური ტექსტებისა და პროზაული გადმოცემების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაწერილია XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, გმირი მეფის მოღვაწეობიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ. როგორც თ. ჯაგოდნიშვილი შენიშნავს, „თუშური და ფშავ-ხევსურული ზეპირსიტყვიერება XVIII-XIX საუკუნეებში ერეკლეს პიროვნებითა და მისი ამბების თხრობით არის გაჯერებული. აქ ერეკლეა თავად საქართველო და არაფერია გარეშე ირაკლისა“.[1] ამდე-

[1] თ. ჯაგოდნიშვილი. ერეკლეს ეპოსი. თბ. 2005, გვ. 55.

ნად, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფის ციკლის ნაწარმოებებში მრავლად არის მხატვრული ელემენტები, მითოლოგიური არქეტიპები და ანაქრონიზმები, ეს ტექსტები ისტორიული სინამდვილის აღდგენის საშუალებასაც იძლევა. გმირ მეფესთან დაკავშირებულმა სიუჟეტებმა ბოლომდე გამითიურება ვერ მოასწრეს.

უფრო მეტი რეალურობით გამოირჩევა ერეკლე II-ის ციკლის ის ლექსები, რომლებიც მეფის მეთაურობით გამართულ ბრძოლებს ასახავს, რადგან მათი ნაწილი შექმნილია ერეკლე მეფის ბრძოლების თვითმხილველთა ნაამბობის მიხედვით, ან ლექსების ავტორ-მთქმელები უშუალოდ ამ ბრძოლებში მონაწილე მეომრები არიან. ერეკლე მეფის ბრძოლების ამსახველ პოეტურ და პროზაულ ტექსტებში სინამდვილის უტყუარ განცდას ქმნის კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, სადაც ბრძოლა გაიმართა, ტოპონიმებისა და მიკროტოპონიმების სიმრავლე. „ხალხური იმაგინაციის მიხედვით, საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ნამდვილია, რადგან სრულიად რეალური პირები კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში მოქმედებენ.“[2] ამ ციკლის ხალხური ლექსები გამორჩეულ მებრძოლებსა და სახალხო გმირებს კონკრეტული გვარ-სახელებითა და მათი იდენტობის დამადასტურებელი სხვადასხვა საშუალებებით წარმოგვიდგენს, რაც ტექსტში გადმოცემული ამბის რეალურობას კიდევ უფრო აძლერებს.

ერეკლე მეფის ციკლის ლექსებით გადმოცემული ყველა ბრძოლის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება. ზოგიერთ გამოცემასა და სიმღერაში, ხალხური ეპიკური ტრადიციის შესაბამისად, დადასტურებულია სიუჟეტური კონტამინაცია, რის გამოც სხვადასხვა ბრძოლასთან დაკავშირებული ამბები არცთუ იშვიათად ერთმანეთშია არეული. მაგრამ რამდენიმე ცნობილი სამხედრო ოპერაციის შესახებ ხალხურ ნაწარმოებებში გვხვდება უტყუარი მინიშნებები და ვიგებთ, თუ რომელი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს ფოლკლორული ტექსტი.

ერეკლე მეფემ მთელი თავისი ცხოვრება, სიყმაწვილიდან სიბერემდე, ბრძოლებში გალია. ქართველმა ხალხმა საგმირო სიმღერებითა და ზეპირი გადმოცემებით შემოგვინახა ერეკლეს მეთაურობით გამართული შემდეგი ისტორიული ბრძოლები:

[2] ხ. მამისიმედიშვილი. ისტორიულ პირებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ხალხური ტექსტების თავისებურება. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XIX. თბ. 2023, გვ. 125.

1. ლაშქრობა ნადირ შაჰთან ერთად ინდოეთსა და სინდეთში.
2. 1744 წლის ბრძოლები გორსა და სურამთან გივი ამილახვრისა და უსუფ ფაშას წინააღმდეგ.
3. 1746 წლის ლაშქრობა კავკასიის მაღალმთიანეთში, ოსეთსა და თრუსოს ხეობაში, მშვიდობის დასამყარებლად.
4. 1748 წლის ბრძოლა აბდულა ბეგის წინააღმდეგ
5. 1751 წლის ლაშქრობა ჭარ-ბელაქნისა და შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ
6. 1752 წლის ბრძოლა აზატ-ხანის წინააღმდეგ.
7. 1755 წლის წლის თავდაცვითი ბრძოლები ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ.
8. 1770 წლის ასპინძის ომი (საბრძოლო მოქმედებები ხერთვისთან და აწყურის ციხესთან).
9. 1795 წლის კრწანისის ბრძოლა.

ქართველი ხალხი ერეკლე მეფის წინამძღოლობით გამართული ისტორიული ბრძოლების მიმართ არ დარჩენილა გულგრილი და მათ შესახებ შექმნილმა ზეპირსიტყვიერმა ტექსტებმა ჩვენამდე მოაღწია. თუმცა ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაც უნდა აღინიშნოს, რადგან ძირითად ერეკლე მეფის იმ ბრძოლების შესახებ შემორჩა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, რომლებშიც ხევსური მეომრები მონაწილეობდნენ. ერეკლე მეფის მიერ წარმოებული ბრძოლების შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებთა ინვარიანტების ავტორ-მთქმელები სწორედ ამ ბრძოლების მონაწილე ხევსური მეომრები უნდა ყოფილიყვნენ.

გივი ამილახვრისა და უსუფ ფასას წინააღმდეგ ერეკლე მეფის ბრძოლების ამსახველმა ლექსებმა ჩვენამდე მრავალ ვარიანტად, თუმცა ფრაგმენტების სახით მოაღწია. მათ შორის მეტ-ნაკლები სისრულით გამოირჩევა ლექსი „ჴევსურები გორის ბრძოლაში“. მის უძველეს ვარიანტად შეიძლება პეტრე უმიკაშვილის ჩანაწერი მივიჩნიოთ, რომელიც მას 1874 წელს ხახმატელი ბერდია გამღივარაულისგან ჩაუწერია. ამ ლექსის ყველაზე ცნობილი ვარიანტები ასევე მოიპოვა აკაკი შანიძემ 1911 წელს უკენახოელი ბაბო ჭინჭარაულისგან და 1913 წელს ღულელი მინდია ქისტაურისგან. უაღრესად მნიშვნელოვანია XIX საუკუნის II ნახევარში ნიკო ურბნელის მიერ ალუდა ზვიადაურისგან ჩაწერილი „სიმღერეც“.[3]

გივი ამილახვარი (1689-1754) იყო ქართველი ფეოდალი, საამილახვროს უფროსი, ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი.

[3] გაზეთი „ივერია“. №136. 1888 წელი.

1742 წლიდან გივი ამილახვარი სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ აჯანყებას. მას მატერიალურ და სამხედრო დახმარებას უწევდა ახალციხის ფაშა იუსუფ III. ირანულ-ოსმალურ დაპირისპირებაში, რომლის პოლიგონიც იმდროინდელი ქართლი გახდა, გადამწყვეტი როლი ითამაშა მამა-შვილმა – თეიმურაზ II-მ და პატარა კახმა – ერეკლე II-მ. მათ ირანის მხარე დაიჭერეს და გივი ამილახვარს გორიც ციხის აღების საშუალება არ მისცეს, შემდეგ იგი სძლიეს ცხინვალის მახლობლად, აჩაბეთის ბრძოლაში. ბოლოს მათ ურჩი ფეოდალი სურამის ციხიდანაც გამოიყვანეს და სპარსეთში გაგზავნეს.

იმ დროს ერეკლეს დაბადებიდან 24 წელი შეუსრულდა. მას სპარსეთში, ნადირ-შაჰთან, უკვე დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული. ხალხური გადმოცემები, რომლებიც სავარაუდოდ ერეკლეს თანამებრძოლთა მიერ უნდა იყოს შექმნილი, ხოტბას ასხამს პატარა კახის სიბრძნესა და გამჭრიახობას, რომელიც მან ინდოეთსა და ე. წ. „სინდეთში“ გამოავლინა.[4] თქმულების მიხედვით, ნადირ-შაჰი არაერთხელ აღაფრთოვანა ქართველი უფლისწულის გონიერებამ და წინდახედულებამ, სიბრძნემ და სიმამაცემ. ამის გამო ირანის შაჰმა მას კახეთის ტახტი უბოძა.

„ხევსურები გორის ბრძოლაში“ ჟანრობრივად არის კლასიკური ხევსურული „სიმღერე“ – საგმირო-საისტორიო შინაარსის სიმღერა. „ხევსურული პოეზიის“ თავდაპირველ, 1931 წლის გამოცემაში აკაკი შანიძეს ეს ლექსი დასათაურებული აქვს როგორც „ჴევსურები კრწანისის ბრძოლაში“[5], თუმცა წიგნის კომენტარებში აკ. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ ლექსში კრწანისის ბრძოლა ვერ იქნება აღწერილი, რადგან „ომი ურუმების წინააღმდეგაა მიმართული, თანაც გორი და სურამია მოხსენიებული, ხოლო ერთ ვარიანტში ამილახვარიც იხსენიება (ალბათ, გივი), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ თითქო უსუფ-ფაშას ქართლში შემოსევა იყოს ნაგულისხმევი 1744 წელს.[6] ამ ლექსთან დაკავშირებით ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების II ტომის კომენტარებში საკუთარი თვალსაზრისი აქვს გამოთქმული, აგრეთვე, ქს. სიხარულიძესაც, რომელიც წერს: „აკ. შანიძეს ვარაუდის სახით აქვს აღნიშნული ლექსის კავშირი 1744 წლის ომ-

[4] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძის. თბ. 1964, გვ. 56-57.
[5] აკ. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. ტფ. 1931, გვ. 17-18.
[6] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია. თსუ გამომცემლობა. თბ. 2009, გვ. 422.

თან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სავარაუდო კი არ არის, არამედ უდავო ჭეშმარიტებაა“.[7]

ცხადია, ეს ლექსი კრწანისის ბრძოლას არ ასახავს, რადგან მასში ქართველები ებრძვიან არა სპარსელებს, არამედ ურუმებს, იმავე თურქებს: „ურუმებს მაუჭერიან საქალაქონი გზანია“; ან „ქალაქ მიგვასხმენ ურუმნი, ჴევსურთ იქ მოდის ჯარიო“. ბრძოლის ადგილად ტექსტში ნამდვილად დასახელებულია „გორის ბოლო“ და სურამი, სადაც ისტორიულად გივი ამილახვრისა და უსაფ ფაშას წინააღმდეგ ბრძოლები გაიმართა: სიმღერის მიხედვით, ხევსურებმა „სურამზე გადაიარეს, გადაამტვრივნეს გზანიო“, ხოლო გორთან დაკავშირებით კი ლექსში ნათქვამია:

„ომ იქმნა გორის ბოლოსა: სისხლსა წვიმს, ზეთი დარიო.
-„მინდვრად ჩეედით, ჴევსურნო, სანგლად მაივლით მკვდარიო.“ [8]

ლექსი „ჴევსურები გორის ბრძოლაში“ რომ ნამდვილად 1744 წლის ამბებს უნდა ასახავდეს, ისიც მოწმობს, რომ ერეკლე ბატონიშვილად იწოდება. მისი ეპითეტი არის „ნათათრალი“. სიმღერეს შემსრულებელი მინდია ქისტაური სიტყვა „ნათათრალში“ ერეკლეს „თათრებში“ ტყვედ ყოფნას მოიაზრებს. აკაკი შანიძის აზრით, „ნათათრალი“ იმაზე მიანიშნებს, რომ „ერეკლე ახალდაბრუნებული იყო სპარსეთიდან, სადაც იგი მძევლად ჰყავდა ნადირ-შაჰს და მონაწილეობას იღებდა მის ომებში ავღანეთსა და ინდოეთში“.[9] თუმცა ლექსის სხვა ვარიანტებში მრავლად გვხვდება ანაქრონიზმები, რადგან მათში ხსენდებიან ხევსური გმირები – ხირჩლა ბაბურაული, ბერდია მამუკაური, მათ შორის 1660 წლის ბახტრიონის აჯანყების მონაწილეები – ნადირა ხოშურაული და ზეზვა გაფრინდაული, რომლებიც ერთი საუკუნით ადრე ცხოვრობდნენ. ასევე ზოგიერთ ვარიანტში პირდაპირ არის დასახელებული კრწანისის ომი, რომელიც გორის ბრძოლიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ მოხდა. ლექსის მიხედვით, ხევსური მებრძოლები მზადყოფნას გამოხატავენ კრწანისის ომში მონაწილეობის მისაღებად:

„დეემზადენით, ჴევსურნო, ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა!
თათრების მალოდინი გვოქ, განთ ვსხევართ ლუდის სმაზედა?
გაგვიძეღ, ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა!“[10]

ისევე როგორც ნებისმიერი არქაული ეპოსი, ქართული ხალხური

[7] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. **II**, გვ. 222.
[8] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 54.
[9] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 422.
[10] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 423.

ისტორიული სიმღერებიც ანაქრონიზმებით არის სავსე. ასე ხდება, რადგან ხალხური შემოქმედება თავისი ბუნებით ანტიისტორიულია. მ. ელიადეს სიტყვებით, „ხალხურ ცნობიერებას არ აინტერესებს არც ქრონოლოგია, არც მოვლენათა სიზუსტე და არც ისტორიული პიროვნებების ნამდვილობა“.[11]

ლექსი რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ექსპოზიციური ნაწილი გადმოგვცემს ერეკლე ბატონიშვილის ასვლას ხევსურეთში ჯარის შესაკრებად. ლექსში მითითებულია კონკრეტული მარშრუტიც. ბატონიშვილი ხევსურეთში, როგორც ჩანს, შავი არაგვის ხეობიდან, ფხიტურის უღელტეხილით გადავიდა:

„ავარდა ბატონიშვილი ერეკლე ნათათრალიო,
არაგვი შამაირა, ფხიტუს დალაჴნა მთანიო;
ფხიტუს ღელეში შამაჴდა, პირ-წაღმ ილოცა ჯვარიო,
მოკითხულობდა გზა-გზითა: „ჴევსურებს ვინ ხყავს თავიო“.[12]

ლექსის ავტორ-მთქმელი, რომელიც, სავარაუდოდ, გადმოცემული ამბის თვითმხილველი უნდა იყოს, რელიგიურ და საკრალურ დეტალებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს. ტექსტში ხაზგასმულია ხევსურეთისკენ მიმავალი ბატონიშვილის რელიგიური განცდები. ლექსის მიხედვით, ერეკლე „ფხიტუს ღელეში შამაჴდა, პირ-წაღმ ილოცა ჯვარიო“. აღსანიშნავია, რომ დღემდე, ყოველ მარიამობას, პირიმზე ფუძის ანგელოზის ჯვრის დროშით ხევსურეთში, ახოობაზე, სალოცავად მიმავალი გუდამაყრელი დეკანოზი და მეზღვნე ფხიტურის უღელტეხილის ამ საკრალურ გზას მიუყვება. ლექსში ხევსურები, გუდანის ჯვრის ყმები, ერეკლეს ყმებადაც ითვლებიან. ამდენად, გუდანის ჯვარსა და ერეკლეს საზიარო ყმები ჰყავთ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხევსურეთში მისული ერეკლე ყველაზე წმინდა ადგილზე, სანეს მთაზე, დაბანაკდა, სადაც აღმართული იყო გუდანის ჯვრის სამთო სალოცავი. სიმღერეს მიხედვით, ერეკლემ „სანეს დაიცა კარავი, შამაიხვივნა ყმანიო“. ერეკლე მეფე რომ პერიოდულად სტუმრობდა გუდანის ჯვარს და ხევსურებს იქ იბარებდა, ალ. ოჩიაურის ჩანაწერებიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც, ხევსურებს მეფე ერეკლე ღვთაებად მიაჩნდათ და მას გუდანის ჯვრის მოძმეს უწოდებდნენ. როცა ერეკლე ხევსურეთში ადიოდა, ხევსურებს მეფე გუდანის ჯვარში იბარებდა, თვითონ ჯვრის ბეღელში შედიოდა, საიდანაც ისმოდა

[11] მ. ელიადე. მითის ასპექტები. თბ. 2009, გვ. 151.
[12] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. II, გვ. 10.

მეფის ხმამაღალი ლაპარაკი ზეციურ არსებებთან. როგორც ალ. ოჩიაური აღნიშნავს, ხევსურებს ეგონათ, რომ ერეკლე მეფე გუდანის ჯვარს პირადად ელაპარაკებოდა. ხევსურები ამბობდნენ: ჩვენ ვერ ვხედავთ გუდანის ჯვარს, რადგან საფარველი ადევს. ერეკლე მეფე, როგორც წმინდა კაცი, როგორც ღვთაება, როგორც მისი მოძმე, გუდანის ჯვარს საკუთარი თვალით ხედავს და ერთად ბაასობენო.[13] ერეკლე ხევსურულ ლექსებსა და გადმოცემებში უმეტესად საკრალური ნიშან-თვისებებით არის წარმოდგენილი. თ. რაზიკაშვილის ჩანაწერებშიც ერეკლე მეფე გამითიურებულია. გადმოცემის მიხედვით, „ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ჴმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა დაასრულებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ჴმალსაო“.[14] ერეკლე მეფე რომ ქადაგივითა და ხუცესივით შედიოდა გუდანის ჯვარში სხვა გადმოცემებიც ადასტურებს.

ლექსი „ხევსურები გორის ბრძოლაში“ დიდი მეფის გუდანის სალოცავში, სანეზე, სტუმრობის სხვა საკრალურ დეტალებსაც გადმოგვცემს. როგორც ჩანს, ერეკლეს გუდანის ჯვარში სტუმრობის დროს არ იყო რელიგიური დღესასწაული, როცა კულტმსახურები საყმოს თვალწინ სათემო დროშებს გამოაბრძანებდნენ ხოლმე. ამიტომ ხევსურები სთხოვენ ვინმე იმედას გუდანის ჯვრის კვრივის, იმავე ბეღლის კარის, გაღებას და იქიდან აბსოლუტური სიწმინდის – საკულტო დროშის გამობრძანებას, დროშაზე ორი ზარის შებმას, სალაშქროდ მიმავალი ახალი მეომრების კურთხევა-დამწყალობნებას. ეს იყო სავალდებულო საკულტო რიტუალი, რათა გუდანის ჯვარი ხევსურ მებრძოლებს „წაღმ გაჰყოლოდათ“. როგორც წესი, სალაშქროდ მიმავალ მთიელ მეომრებს წინ მფარველი წმინდანის დროშა მიუძღვეოდათ. ლექსი მკაფიოდ გადმოგვცემს ხევსურთა სალაშქროდ მზადების საკრალურ დეტალებს:

„იმედას ეუბნებიან: „გაგვიღი ბეღლის კარიო,
გამოგვიბძანე დროშაი, ორივ ააბი ზარიო,
ჩაგვიმწყალობენ ახალნი, წყრომით არ ჩახყვეს ჯვარიო.“[15]

იმედა, სავარაუდოდ, ჯვრის ხუცესი უნდა ყოფილიყო, სხვანაირად მას გუდანის ჯვრის კვრივში შესვლისა და ახალწვეულთა კურთხევა-დამწყალობნების უფლება არ ექნებოდა.

ლექსი ხევსურების საკრალური ყოფის კიდევ ერთ დეტალზე – ქა-

[13] ალ. ოჩიაური. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი. II (ბუდე-ხევსურეთი, შატილ-მიღმახევი). თბ. 2005, გვ. 39.
[14] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 431.
[15] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 53.

დაგობის ტრადიციაზე – ამახვილებს ყურადღებას. როგორც ცნობილია, კავკასიის მაღალმთიანეთის ტრადიციულ საზოგადოებებს და მათ შორის ფშავ-ხევსურეთის საყმოებს წესად ჰქონდათ სალაშქროდ წასვლის წინ ქადაგის დასმა. ქადაგი მფარველი წმინდანისა და ზეციური ძალების კარნახით აცხადებდა, თუ რამდენად წარმატებული იქნებოდა დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია. ეს დეტალი კარგად არის წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონშიც“. პოემის ერთ-ერთ ეპიზოდში, კერძოდ, კახეთში მტერზე გალაშქრების წინ ქადაგი შედის ლაშარის ჯვრის ბეღელში ზეციურ არსებასთან შესახვედრად, ხოლო იქიდან გამოსული ფშაველ-ხევსურ მეომრებს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებს.[16]

ლექსში „ხევსურები გორის ბრძოლაში“ ქადაგის ეპიზოდი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რადგან, ჯერ ერთი, რომ ნაქადაგარის შინაარსის მოსმენის გარეშე ხევსური მეომრები სალაშქროდ არ მიდიოდნენ, მეორეც, ხალხური ეპიკური ტრადიციის მიხედვით, ნაქადაგარი უნდა აღსრულდეს, რითაც ერთმანეთს დაუკავშირდება ნაწარმოების ექსპოზიციური და ფინალური ნაწილები. ლექსის მიხედვით, ხევსურებმა ერთის ნაცვლად სამი ქადაგი დასვეს და აქადაგეს. როგორც ლექსიდან ვიგებთ, „სამნი დასვიან ქადაგი, არ ულამინებს ჯვარია“. როგორც ჩანს, ჯვარმა ქადაგს არ მისცა გამარჯვების ნიშანი, მეომრებს ნება არ დართო და არ მოუწონა ლაშქრობა. თუმცა ხევსურმა მეომრებმა ქადაგის გაფრთხილება არ გაითვალისწინეს და როგორც ხალხურ ნაწარმოებებში ხდება, ისინი, აკრძალვის მიუხედავად, სალაშქროდ მაინც წავიდნენ:

„ხევსურებმ არ დაიჯერეს, – „არ ბრუნავს ჩვენი გვარიო“
არაგვზე ჩამადიოდა ყაწიმიანის ჯარიო.“[17]

ზ. კიკნაძის აზრით, მეფე ერეკლე ჯვარივით იკრებს თავის გარშემო ხევსურებს, უნჯ ყმებს. გუდანის წმინდა გიორგის ყმები კი ისევე ემსახურებიან ერეკლეს, როგორც თავიანთ მფარველ ჯვარს და მეფეს პირველსავე დაძახილზე მიჰყვებიან მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.[18]

ტექსტის შემდეგი ნაწილი მეომრების მარშრუტსა და ბრძოლის დეტალებს გადმოგვცემს. ლექსს „ჴევსურები გორის ბრძოლაში“ აკაკი შანიძე ერთ-ერთ საუკეთესო ხალხურ ნაწარმოებად მიიჩნევს, რადგან მასში ჩამოთვლილია 1744 წლის გორისა და სურამის ბრძოლებში მონაწილე ხევ-

[16] ვაჟა-ფშაველა. პოემები. გამომცემლობა პალიტრა L. თბ. 2012, გვ. 37-38.
[17] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 53.
[18] ზ. კიკნაძე. ქართული მითოლოგია. I. ჯვარი და საყმო. ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ. 2016, გვ. 199.

სურ მეომართა ვინაობა. „ასე გეგონებათ, საგანგებო სიაა შედგენილი ომში მონაწილეებისაო," – წერს აკ. შანიძე.[19] ლექსში სულ შვიდი თუ რვა ხევსური მეომარი ხსენდება და თითოეული მათგანი ტრადიციული, საგმირო ლექსისთვის დამახასიათებელი ეპითეტებით არის წარმოდგენილი.

როგორც ჩანს, ხევსურ მეომართაგან ბრძოლაში ყველაზე მეტად თავი ისახელა უთურგაისძემ, რადგან „სიმღერეში" საქებარი სიტყვებით პირველად სწორედ ის ხსენდება: „უთურგაისძემ გაჭარბათ, – კარგად უჭრიდა ჴმალიო"; კარზე მდგომი გიორგას მეტაფორა არის „ყვირილობის ჴარი"; ღულელი მანგია, როგორც ჩანს, მეთოფე იყო, რომელიც ბრძოლაში „ურჩოდ" ანუ მოურჩენლად, სასიკვდილოდ დაჭრილა. ლექსიდან ვიგებთ, რომ მის გვერდით კიდევ ორი ხევსური მეომარი დაჭრილა, ხოლო მესამე მებრძოლი, რომელსაც „ურჩო", ანუ სასიკვდილო, მოურჩენელი, ნახანჯლარი ჰქონია, თხრილში „ჩავიდა" თუ გადავარდნილა. დაჭრილი მეომრების მდგომარეობას ლექსი მანგიას სიტყვებით გადმოგვცემს:

„თოფის ჴმა მოდის მალ-მალედ: „ღულელ მანგია ვარიო,
ორ გვერდით მიწევს დაჭრილი, თაოდაც ურჩოდ ვარიო,
მესამე თხრილში ჩავიდა, ურჩო სჭირს ნახანჯლარიო;
სახელ ნუ დაიმალების, თუ სად ქართველ ვინ ხარიო."[20]

ლექსის სხვა ვარიანტებში ხევსური მეთოფე თათარა ბაჩინაგური ხსენდება, რომელმაც ურუმების, იგივე თურქების, საუკეთესო, „მემეტე" მებრძოლი მოკლა (სხვა ვარიანტის მიხედვით, „თოფ დახკრა ურუმთ მეალმეს") და თავისებური ლოცვაც დააყოლა:

„თათარამ ბაჩინაგურმა თოფს დაუპირა ტალიო,
ურუმთ მემეტეს დაუკრა: „ჩემიმც უმცროსი ხარიო!
მარტო ვერ შაოლ სულეთსა, წინ შენ გამიღე კარიო!"[21]

„სიმღერეში", მათ გარდა, კიდევ სამი ხევსური მხედარი ხსენდება. სავარაუდოდ, დახოცილი მხედრების სურათს აღგვიწერს მელექსე, როცა ახსენებს ბიას, ხელში მათრახით, ლომნის – ლაგამის ტარით. ლექსში ხსენდება ლიქოკელი ჩალხისძე ნაოგურა, რომელიც თითქოს თავის ცხენს „მოკლიას" სთხოვს „ქართლის წყლის დალახვას", „თბილეთის ქალაქში" მიყვანას, რათა იქ გამვლელ ხევსურ მგზავრს თავიანთი ბრძოლისა და გმირობის ამბავი უამბოს.

როგორც ლექსის ფინალური ნაწილიდან ირკვევა ხევსური მეომრე-

[19] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 422.
[20] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 54.
[21] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტ. II, გვ. 223.

ბის ერთი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა. „სიმღერე“ მთავრდება ლირიკული გმირის ხევსური მეომრებისადმი მიმართვით, საიდანაც ვიგებთ ბრძოლის შედეგს:

„ზოგებ შინ წახოლთ, ჴევსურნო, ზოგთ აქ დასწერეთ ჯვარიო.
უთხრიდით შინ-წასულებმა: დარბაზს გაეწირეთ ჯარიო.“[22]

ლექსისის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ნ. ურბნელს ალუდა ზვიადაურისგან ჩაუწერია და 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაუბეჭდავს (№136), ირკვევა, რომ საბედისწერო ბრძოლა „ჴიდის ყურთან“ გამართულა. ბრძოლის ტრაგიკულ სურათს მელექსე პირველ პირში გადმოგვცემს, რითაც მომხდარი ამბის დრამატიზმს კიდევ უფრო ამძაფრებს:

„შაგვყარეს ჴიდის ყურზედა, ცხვრებულად დაგვჭრეს თავიო.
შინ წასულთ ჴევსურთ იამბათ, დარბაზს რა გვადგა ძალიო.“[23]

ლექსში გამოყენებული შედარება „ცხვრებულად დაგვჭრეს თავიო“, ხევსური გმირების მსხვერპლშეწირვაზე მიანიშნებს. როგორც ჯვარში სამსხვერპლოდ მიყვანილ ცხვრებს აჭრიან თავებს, ისე დააჭრეს მტრებმა თავი ხევსურ მეომრებს, რომლებიც სამშობლოს მსხვერპლად შეეწირნენ. ერეკლე მეფის ციკლის სიმღერებში უამრავი სახალხო გმირის ხსოვნაა აღბეჭდილი. როგორც თ. ჯაგოდნიშვილი შენიშნავს, „ზოგი გმირი სწორედ იმით შემორჩენია ხალხის პოეტურ ხსოვნას, რომ ერეკლეს მხარდამხარ ერთხელ მაინც უბრძოლია... მის სამსახურში მყოფს უშოვნია სახელი და ამიტომაც მისი ეპიკური თავგადასავალი მთლიანად თუ არა, ეპიზოდურად მაინც დარჩენილა ხალხის ხსოვნაში“.[24] თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ლექსი „ხევსურები გორის ბრძოლაში“ რეალურ ამბავს გადმოგვცემს, მას უტყუარ ისტორიულ წყაროდ მაინც ვერ მივიჩნევთ, რადგან ის სრულქმნილი პოეტური ნაწარმოებია და, როგორც ფოლკლორული ტექსტი, ზეპირად სრულდებოდა და თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა, რა დროსაც შესაძლებელი იყო, ლექსში სხვა რომელიმე გმირის სახელი ჩამატებოდა ან კონტამინაციის წესით, ლექსს სხვა რომელიმე ბრძოლის დეტალები შერწყმოდა.

ისტორიულად ცნობილია, რომ თეიმურაზ II-მ და ერეკლემ ამ ბრძოლებში, როგორც აჩაბეთსა და გორთან, ისე სურამის ციხეში, გივი ამილახვარი და ახალციხის ფაშა დაამარცხეს. ქს. სიხარულიძეც მიუთითებს, რომ „დასახელებულ ლექსში ძირითადად სწორადაა გადმოცემული ის-

[22] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია. გვ. 54.
[23] გაზეთი „ივერია“. №136. 1888 წ.
[24] თ. ჯაგოდნიშვილი. ერეკლეს ეპოსი, გვ. 55.

ტორიული სინამდვილე: გივი ამილახვრის მიერ სამშობლოში უცხო ტომების მარბიელი რაზმების შემოყვანა".[25] მაგრამ ტექსტის ფინალური ნაწილი განსხვავებულად და ცოტა არ იყოს ბუნდოვნად გადმოგვცემს საომარ მოვლენებს. ლექსი „ჴევსურები გორის ბრძოლაში" უფრო ხევსური მეომრების მარცხზე მოგვითხრობს, ვიდრე გამარჯვებაზე. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგემ ჯერ ხევსურების ცხენოსანი რაზმი გაანადგურა, ხოლო შემდეგ იერიში ქვეითებზე მიიტანა. ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ნათქვამია: „დაგვექცა ცხენიანები, ქვეითთ დაგვადგა ძალიო".[26] ზოგიერთი ხევსურული ბალადის მსგავსად ლექსს „ჴევსურები გორის ბრძოლაში" აქვს ეპილოგი, რომლიც მთლიანად სამგლოვიარო ტონალობით არის გაფორმებული.

ბრძოლაში დაღუპული მეომრები თითქოს ბრალს დებენ ხუცეს იმედას: „ამანდ დამრჩალებ ჴევსურებმ იმედას დასდვეს ბრალიო".[27] ლექსში ხევსური მეომრების საყვედური იმედას მიმართ რიტორიკული შეკითხვით არის გადმოცემული. თუ ჯვარს არ უნდოდა, რატომ წამოიყვანა საომრად იმედამ ხევსურები: „იმედა, რად წამაგვასხი, თუ არ წადინობდ ჯვარიო?"

ეპილოგის მიხედვით, ბრძოლაში დაიღუპა ხუცესი იმედაც, რადგან ლექსში გარკვევით არის ნათქვამი: „იმედა აღარა გვყვანდა, ბატონის გამძღობარიო". „ბატონი" არის ჯვრის სინონიმი, ხოლო „გამძღო" საკულტო ენაზე ჰქვია ხუცესს. როგორც მთქმელი გვაუწყებს, იმედას ჯვრის ვალი არ ადევს. ლექსში ჯვრის დროშისა და დროშის ზარების წკრიალის დადუმება დამარცხებასა და ხევისბრის დაღუპვას უნდა აღნიშნავდეს:

„სათავეს ეჯდა იმედა, არ ევალების ჯვარიო.
დასჩუმდებიან დროშანი, აღარც ერთ იძახს ზარიო."[28]

ეპილოგიდან ასევე ვიგებთ, რომ ბრძოლაში დაიღუპა მხედარი ლომნი, რომელიც, სავარაუდოდ, ბაცალიგოდან უნდა ყოფილიყო. როგორც მთქმელი აღნიშნავს, ბაცალიგოს ციხეებმა თავები უნდა დახარონ, რადგან ლომნიმ დაიგვიანა და „ხარი" სახლში აღარ მიუვათ. ლექსის სხვა ვარიანტში ლომნის ლაგაზა ენაცვლება:

„ციხეთა ბაცალიგურთა მაღალთ მახარონ თავიო.

[25] ქს. სიხარულიძე. ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. თბ. 1949, გვ. 170.
[26] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 425.
[27] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 424.
[28] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 54.

ლაგაზა აღარ მაუა, ლამაზ აქვან ვის ტანიო.“[29]

„სიმღერეს“ უკანასკნელ სტროფში მთქმელი მოუწოდებს ქალებს, რომ გლოვის ნიშნად საყურეები დაიხსნან, ისინი ცვარივით ძირს დაყარონ და ომში დაღუპული გმირები იგლოვონ: „ქალო და ზალო, იგვლიეთ, საყურ დაყარეთ, ცვარიო“.[30]

როგორც ირკვევა, ლექსი „ჴევსურები გორის ბრძოლაში“ უაღრესად მნიშვნელოვანი ფოლკლორული ნაწარმოებია. მასში წარმოდგენილია ერეკლე მეფისა და ხევსურების ურთიერთობის მნიშვნელოვანი დეტალები; ხევსურეთის მეომრულ-რელიგიური საზოგადოების ტრადიციული ყოფის საკრალური ელემენტები; ერეკლე მეფის დროშის ქვეშ მებრძოლ ხევსურთა ვინაობა; ბრძოლის გარემოებები; ლექსი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ხევსურული ზეპირსიტყვიერი ტრადიციის შესახებ.

მართალია, ეს ხალხური ნაწარმოები გორის ბრძოლაში ხევსურების მონაწილეობას ასახავს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მასში ჩართული იყო სხვა ბრძოლების ელემენტებიც. ამას გვაფიქრებინებს ლექსის ტრაგიკული დასასრული. რეალურად კი ცნობილია, რომ გორისა და სურამის ბრძოლებში ერეკლე მეფემ გამარჯვება მოიპოვა. ერთი მხრივ, ლექსი შეიძლება შეიქმნა ტრადიციული ხევსურული საგმირო „სიმღერეს“ ჟანრობრივი მახასიათებლებით, რის მიხედვითაც, როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, „უკლებლივ ყველა საგმირო სიმღერე-ბალადა მებრძოლის სიკვდილით მთავრდება“.[31] მეორე მხრივ, შეიძლება მასზე, როგორც ზეპირ ტექსტზე, გავლენა მოახდინა კრწანისის ომის დრამატულმა მოვლენებმა და ლექსის სამგლოვიარო ფინალი მოგვიანო პერიოდში ჩამოყალიბდა.

[29] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 424.
[30] აკ. შანიძე. ხევსურული პოეზია, გვ. 54.
[31] ზ. კიკნაძე. ქართული ფოლკლორი. თბ. 2008, გვ. 260.

Khvtiso Mamisimedishvili
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

THE HEROIC-HISTORICAL BALLAD "KHEVSURIANS IN THE BATTLE OF GORI"

Summary

A significant part of poetic texts and prose narrations about King Erekle was written down in the second half of the 19th-early 20th century, about a century after king's reign. Thus, although there are many artistic elements, mythological archetypes and anachronisms in the narrations of King Erekle's cycle, these texts still provide an opportunity to restore historical reality. The stories related to the hero king could not completely be passed into mythology.

The verses of the cycle of Erekle II, depicting the battles under the leadership of the king, are distinguished by more reality, because some of them are created according to the testimony of eyewitness to the battles of King Erekle. In the poetic and prose texts depicting the battles of King Erekle, an unmistakable sense of authenticity is created by the specific geographical environment where the battle took place, by the abundance of toponyms and microtoponyms. The folk verses of this cycle outstanding fighters and public heroes are presented with their names and various ways of confirming their identity, which further strengthens the reality of the narrative conveyed in the text.

The ballad of the heroic-historical genre "Khevsurians (East Georgian highlanders – Kh.M.) in the Battle of Gori", which has reached us in several versions, tells about the events of 1744, one of the episodes of the battle of King Erekle against Givi Amilakhvari and Yusuf Pasha. The verses consist of several parts.

The verse "Khevsurians in the Battle of Gori" is an extremely important folk work. It presents important details of the relationship between King Erekle and Khevsurians; sacred elements of the traditional existence of the military-religious society of Khevsureti; the identity of the Khevsurians fighting under the flag of King Erekle; the circumstances of the battle; the poem enriches our knowledge of Khevsurian oral tradition.

It is true that this folk work depicts the participation of the Khevsurians in the Battle of Gori, but it is possible that elements of other battles were also included in it. This is evidenced by the tragic end of the poem. Actually, it is known that the battles of Gori and Surami ended with the victory of King Erekle. On the one hand, the ballad could have been created with the genre characteristics of the traditional Khevsurian heroic "song". In such heroic ballads, the protagonist always dies at the end. On the other hand, as an oral text, it may have been influenced by the dramatic events of the Krtsanisi Battle, and the mournful culmination of the poem was formed later.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

მაია შაორშაძე
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

XVIII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

საეპისკოპოსოთა ისტორიის კვლევა საქართველოს ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამგვარი კვლევის ჩატარება, უპირველეს ყოვლისა, ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენას გულისხმობს. აღნიშნული ნაშრომიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იგი XVIII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენისა და შევსების პირველ მცდელობას წარმოადგენს.

სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წმ. მღვდელმა პოლიევკტოს კარბელაშვილმა, რომელმაც VI-XVIII საუკუნეების სამთავნელ მღვდელმთავართა ნუსხა შეადგინა. მკვლევარმა ამ ნუსხაში XVIII საუკუნეში მოღვაწე 19 ეპისკოპოსის სახელი შეიტანა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, შესაბამისი წერილობითი წყაროც მიუთითა.[1] პ. კარბელაშვილის მიერ შედგენილი ნუსხა დღემდე არ არის გამოქვეყნებული. მართალია, იგი, დიდწილად, გაუმართავი, დასაზუსტებელი და შესავსებია, მაგრამ XVIII საუკუნის სამთავნელ მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგის დადგენის საქმეში მაინც მთავარ წყაროდ რჩება.

წმ. მღ. პ. კარბელაშვილის შემდეგ სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიის საკითხს ჩვენც შევეხეთ და რამდენიმე ნაშრომიც გამოვაქვეყნეთ. ამასთანავე, XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწეებად მიჩნეული ორი სამთავნელი ეპისკოპოსის ვინაობისა და მოღვაწეობის დროსთან და-

[1] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა). საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა). ფ. 1461. საქ. 17.

კავშირებულ საკითხებში გარკვეული დაზუსტება შევიტანეთ.[2]

XVIII საუკუნის სამთავნელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიის შესახებ მრავალრიცხოვან ცნობებს გვაწვდის დოკუმენტური წყაროები, რომლებიც ურთიერთშეჯერებასა და გაანალიზებას საჭიროებს. წინამდებარე ნაშრომშიც, ძირითადად, XVIII საუკუნის დოკუმენტურ წყაროებს ვემყარებით.

პ. კარბელაშვილის მიხედვით, XVIII საუკუნეში მოღვაწე პირველი სამთავნელი ეპისკოპოსები იყვნენ: **პართენი** – 1688-1721 წწ. და **ქრისტეფორე (ფალავანდიშვილი)** – 1696-1720-1732 წწ. შემდეგ დასახელებული ჰყავს – "კვიპრიანე ყანჩაველი" და "კოზმან ერისთავის შვილი".

კვიპრიანე – 1711 ივნისის 1 **(ყანჩაველი)**.

კოზმან – 1712 წ. **(ერისთავის შვილი).** მოხსენიებულია დირბის დეკანოზის გაბრიელის დოდოს მონასტრისადმი შეწირულობაში.[3]

საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ პ. კარბელაშვილის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება რამდენიმე უზუსტობას შეიცავს. დავიწყოთ იმით, რომ მკვლევრის მიერ ორ სხვადასხვა პიროვნებად მიჩნეული "კვიპრიანე ყანჩაველი" და "კოზმან ერისთავის შვილი", სინამდვილეში, ერთი და იგივე პირია.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილია კვიპრიანე სამთავნელის (არაგვის ერისთავის შვილის) სამწიგნობრო მოღვაწეობა. საბუთებში ის ზოგჯერ იხსენიება როგორც: „ბატონის ერისთვის შვილი სამთავნელი კოზმან",[4] ხოლო იერუსალიმის ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერში ის „კოზმა-ყოფილ კიპრიანედ" იხსენიება.[5] აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე ირკვევა, რომ კოზმან-ყოფილი კვიპრიანე სამთავნელი, გვარად ყანჩაველი კი არ იყო, არამედ არაგვის ერისთავთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და არაგვის ერისთავის შვილად იწოდებოდა.

ცნობილი სასულიერო მოღვაწე კვიპრიანე სამთავნელი, მღვდელმთავრის წოდებით 1699-1712 წლებით დათარიღებულ რამდენიმე წერი-

[2] მ. შაორშაძე. XV-XVII საუკუნეების სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. VI. თბ. 2012, გვ. 199-203; მ. შაორშაძე. XVII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული. №4. თბ. 2013, გვ. 102-118

[3] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

[4] პ. ცხვილოელი. გუჯრები დავით გარესჯის უდაბნოსი. „ივერია". 1893. №91.

[5] ნ. მარი. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა. თბ. 1955, გვ. 78.

ლობით წყაროში იხსენიება. მოვიტანთ ამ წყაროების ჩამონათვალს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით: 1. თექთუმან თექთუმანიძის 1699 წლის ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნი სახლთუხუცეს ზაალ ქარუმიძისადმი;[6] 2. ქართლ-კახეთის ეპიკოპოსების 1701 წლის მორჩილებისა და ფიცის წიგნი მცხეთის კათალიკოსისადმი;[7] 3. გიორგი დადიანის 1706 წლის გულანის შეწირულობის წიგნი დოდოს მონასტრისადმი;[8] 4. 1711 წლის განჩინება გარსევანიშვილების გაყრის საქმეზე;[9] 5. 1711 წლის პირველი დოკუმენტი – დოდოს მონასტრის წინამძღვარ ზაქარიას ნასყიდობის წიგნი სვიმონ ბატონიშვილსადმი;[10] 6. 1711 წლის მეორე დოკუმენტი – ავთანდილ ამილახვრის მიერ ალავერდისადმი მიცემული წყალობის სიგელი;[11] და 7. 1712 წლის დირბის დეკანოზ გაბრიელის შეწირულობის წიგნი დოდოს მონასტრისადმი;[12]

ცნობილია ისიც, რომ კვიპრიანე იყო უბადლო მცოდნე ბერძნული ენისა, რომელიც მან ჯერ კიდევ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან ყოფნისას შეისწავლა 1685 წელს. 1691-92 წლებში მან მოსკოვში შეადგინა ბერძნული ენის მოკლე გრამატიკა.[13] ახლო ხანებშივე ბერძნულიდან ქართულად თარგმნა „კურთხევანი“ (ხეც, A-11, H-875), რომელიც 1713 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში დაიბეჭდა.[14] შემონახულია XVIII საუკუნის „კურთხევანის“ რამდენიმე ნუსხა (ხეც, A-407, A-465, S-1352). არსებობს აგრეთვე „გამოკრებული კურთხევანი“ (ხეც, A-1191, A-412). კვიპრიანე სამთავნელს უკავშირდება დომენტი კათალიკოსის დავალებით შედგენილი „წესი ჴელდასხმისა მღვდელმთავრობითისა“, მისი გამართვა ბერძნული და რუსული ეკლესიების წესის მიხედვით (ხეც, A-201, S-252-ბ). მასვე ეკუთვნის „კანონიკური კრებული“, რომელიც 1703 წელს ბერძნულიდან უთარგმნია (ხეც, A-1096, A-1134). 1719 წელს, დომენტი კათალიკოსის დავალე-

[6] კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). ფონდი Hd-1553.
[7] ხეც. Qd-8935.
[8] ხეც. Ad-1039.
[9] ქართული სამართლის ძეგლები. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტ. IV. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1972. გვ. 234-235.
[10] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903, გვ. 39-42.
[11] ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები. წ. V. ტფ. 1913, გვ. 23-24.
[12] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.
[13] ნ. მარი. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, გვ. 78.
[14] კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ. 1980, გვ. 337-338.

ბით, კვიპრიანე სამთავნელმა ბერძნულიდან თარგმნა ,,განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი“ (ხეც, A-420).

გარკვევით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში სამთავისის კათედრაზე ორი მღვდელმთავარი სახელდება, რომელთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ზოგჯერ ფარავს ერთმანეთს და საჭირო ხდება ზოგიერთი წყაროსა და ისტორიული ფაქტის გადამოწმება.

ჩვენთვის მნიშვნელოვან ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც ამილახორთა სახლისკაცობის რიგის განჩინებას წარმოადგენს, იხსენიება სამთავნელი იოსებ ყანჩაელი. აღნიშნულ საბუთს ახლავს კათალიკოსის ხელრთვა და ხუთი სხვა ბეჭედი.[15] სიგელის ქორონიკონს ი. დოლიძე ტჟად კითხულობს და ათარიღებს 1703 წლით.[16] ამ დათარიღებით ჩვენი დაეჭვება განაპირობა ავთანდილ ამილახვრის განცხადებამ, რომლის თანახმადაც, გარიგება მათი ბიძის, კათალიკოსის თანდასწრებით შედგა. ქართლის კათალიკოსთა შორის ამილახვართა საგვარეულოს წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ IX (ამილახვარი), რომელიც საკათალიკოსო ტახტზე 1678-88 და 1692-95 წლებში იმყოფებოდა. 1703 წელს კი კათალიკოსი უკვე ევდემოზ II დიასამიძეა (1700-1705 წწ.), რომელიც, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ამილახვრების ბიძა (როგორც სიგელშია ნახსენები).

საბუთის დედანზე უშუალო დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქორონიკონის აღმნიშვნელ გრაფემებში იკითხება ტპა, ნაცვლად ტჟა-სი. შესაბამისად, საბუთის თარიღი უნდა განისაზღვროს 1693 წლით (ქორონიკონი ტპა).

იოსებ სამთავნელის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე სხვა საბუთიც. ერთ-ერთია 1699 წლის თექთუმან თექთუმანიძის მიერ სახლთუხუცეს ზაალ ქარუმიძისათვის მიცემული დოკუმენტი.[17] მოწმეებში დასახელებულია არა მარტო კვიპრიანე სამთავნელი, არამედ ,,ყანჩაელი სამთავნელ{ი} იოსებ“. ორი ეპისკოპოსის ერთ საბუთში, ერთდროულად მოხსენიებას, ჩვენი თვალსაზრისით, შემდგომი ახსნა უნდა მოეძებნოს: რადგან პირველად ნახსენებია კვიპრიანე სამთავნელი, ამ დროს სწორედ ის უნდა იყოს მოქმედი მღვდელმთავარი, ხოლო იოსებ სამთავნელი, კვიპრიანეს წინამორბედი, უნდა მოიხსენიებოდეს საპატიო ტიტულით სამთავი-

[15] ხეც. Hd-2142.
[16] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV.
[17] ხეც. Hd-1553.

სისათვის ადრე გაწეული სამსახურის გამო. სხვა ახსნას ჩვენ ვერ ვუძებნით ორი სამთავნელი ეპისკოპოსის ერთ წელს და ერთდროულად მოხსენიების ფაქტს.

შემდგომში, იოსებ სამთავნელი იხსენიება 1713 წლის მაისის დამდეგს გაცემულ დოკუმენტში. ავთანდილ ამილახვარმა კარის დეკანოზ ბიძინა პარკაძეს, „ყანჩელის სამთავნ{ე}ლის, ბატონის იოსების შეკითხულობითა და ნება დართვით“, გორის სახლ-კარი უწყალობა. ამ საბუთს სხვა ხელით ერთვის შემდეგდროინდელი დამტკიცება ათანასე სამთავნელ ეპისკოპოსისა, რომელიც დადასტურებულია ბეჭდით.[18]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ დაახლოებით, 1680-იანი წლების ბოლოდან – 1699 წლამდე სამთავისის კათედრას განაგებდა იოსებ ყანჩაველი (იხსენიება 1693 წლის საბუთში), 1699 წლიდან 1712 წლამდე – კვიპრიანე სამთავნელი, ხოლო 1713 წლიდან 1720-იან წლებამდე, უკვე ხელმეორედ, იოსებ ყანჩაველი.[19]

პ. კარბელაშვილის მითითებით, ამ უკანასკნელთან იზრდებოდა საქართველოს მომავალი კათალიკოსი ანტონ I. ყმაწვილობაში თეიმურაზი ჯერ გარეჯში იზრდებოდა, შემდეგ, მტრების თარეშის გამო, იგი ოსეთში წაიყვანეს და ბოლოს, „სამთავისში გაატარა რამდენიმე წელიწადი სამთავნელ იოსებთან (ყანჩაველი), სადაც ამ დროს იმყოფებოდა ბერძენი პართენი, მიტროპოლიტი პამფილიისა და ამისაგან ჰსწავლობდა ბერძნულ ენასა“.[20]

როგორც ჩანს, შემდგომი სამთავნელი ეპისკოპოსი სწორედ ბერძენი პართენი გახდა. 1720 წელს მიტროპოლიტი პართენი საბუთს აძლევს თბილელ მიტროპოლიტ პავლეს. ამ დოკუმენტის გამომცემელი თ. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ პართენი პამფილიის მიტროპოლიტი ყოფილა და საქართველოში ჩამოსულა. ამ დროს ანტიოქიის პატრიარქი კირილე V (1672-1720 წწ.) გარდაცვლილა და პართენი უკან ვეღარ დაბრუნებულა. მას უთხოვია მთაწმინდაზე დამკვიდრება და იქ მოღვაწეობა. სიგელს

[18] ხეც. Hd-2136. A

[19] შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯანდიერის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში (გ. ჯანდიერი. XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი). „მრავალთავი“. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. I. თბ. 1971), ეპისკოპოს იოსებ ყანჩაველის ბოლო ქრონოლოგიური ზღვარი 1699 წელია, მაგრამ იგი, როგორც ვნახეთ, 1713 წლის საბუთშიც სამთავნელად იხსენიება

[20] პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელთმთავარნი, შედგენილი მღ. პოლიევკტოს კარბელაშვილის მიერ. თფ. 1900. გვ. 143-144.

ჰქონია მეფის ბეჭედი და ბერძნული წარწერა.[21]

პ. კარბელაშვილის ნუსხით, პართენი დაახლოებით 1688-1721 წლებშია სამთავნელი ეპისკოპოსი. მისი ცნობით, პართენის დროს დაიხურა თათე მამებელის (სტეფანწმინდელის) მონასტერი წლევის მთაში და მისი ქონება გადაიტანეს სამთავისის საყდარში.[22]

რადგან ამ ამბავში დომენტი IV კათალიკოსიც ფიგურირებს (1705-1741 წწ.), სავარაუდოდ, პართენი მისი კათალიკოსობის დროინდელი, ე. ი. XVIII საუკუნის I ნახევრის სამთავნელი ეპისკოპოსი უნდა იყოს.

საისტორიო საბუთების მიხედვით, XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე პართენი ხარჭაშნელ ეპისკოპოსად იხსენიება (ამბა ალავერდელ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის საბუთი ხარჭაშნელ მთავარეპისკოპოს, მოძღვართ-მოძღვარ პართენისადმი).[23]

პართენ ხარჭაშნელის საგვარეულო საძვალის შესახებ, გამოკვლევა ეკუთვნის ლევან რჩეულიშვილს. ახმეტის რ-ნის სოფელ ალვანისა და ფიჩხოვანის მიდამოებში მდგარი ეკლესიის სამხრეთის ფასადთან მკვლევართა მიერ აღმოჩენილ ქვის ფილაზე ამოკითხულია მხედრული ასოებით შესრულებული ექვსსტრიქონიანი წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ საძვალე ეკლესია ხარჭაშნელ ეპისკოპოსსა და მოძღვართ-მოძღვარ პართენოზს აუშენებია, რაშიც მისი ძმა, პეტრე დახმარებია: „...თვით მეცა მდებარე ვარ ადგილსა ამას და განვედ სოფლისა ამისაგან, მაისსა გ, ქკსა უა...“ – ვკითხულობთ წარწერაში. (ეს ქვის ფილა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმის ფონდში # 523. წარწერა რამდენჯერმე იყო გამოქვეყნებული).

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებში ხარჭაშნელთა რეზიდენცია არ არის მოშლილი და მღვდელმთავრები ხარჭაშნელობის

[21] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები,Aგვ. 225-226.

[22] პ. კარბელაშვილი, პ. იოსელიანის ცნობაზე დაყრდნობით, თათე მამებელის მონასტრის მდებარეობას განსაზღვრავს კასპის რაიონსა და სოფელ ჭალას შორის, წლევის მთაში (სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17). გადმოცემით, იმ ადგილზე პირადი აღთქმის საფუძველზე დასახლებულა ქვრივი ქალი. მას მფარველობდა ერთი დეკანოზი. ვერც დომენტი IV-ს და ვერც სამთავნელ პართენს ვერ მოუხერხებიათ ქალის იმ ადგილიდან გამოყვანა. ბოლოს, მეფის ჩარევით, ეს ქალიც და დეკანოზიც იქიდან გამოუსახლებიათ. ამ დროიდან თათე სტეფანწმინდელის დაარსებული მამების მონასტერი (გამოქვაბულები და სვეტი დღესაც არსებობს) სამთავნელს მიბარებია და მის ქონებასა და სიწმინდეებსაც იმ დროიდან მოკიდებულს ის განაგებდა. პ. იოსელიანი ამ ამბავს 1720 წლის ახლო დროით ათარიღებდა (П. Иоселиани. Святыня Мамеба. Душеть. 1870, გვ. 4-5).

[23] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები,Aგვ. 249.

პატივს XIX საუკუნის დასაწყისიდანაც ატარებენ. პართენი ეპისკოპოსად ზის 1701-1711 წლებში. თუ მას წარწერაში მოხსენიებულ პართენოზთან გავაიგივებთ, მაშინ გამოდის, რომ იგი ხარჭაშნელობიდან გადადგომის ორი წლის შემდეგ გარდაცვლილა. წარწერის ქორონიკონი 401, ახალი წელთაღრიცხვით უდრის 1713 წელს (401+1312). ამდენად, ლ. რჩეულიშვილი ხარჭაშნელის "საძვალეს" მშენებლობას 1711-1713 წლებს შორის ვარაუდობს.[24]

როგორც ჩანს, სამთავნელი პართენი სხვა პირია, ხოლო ხარჭაშნელი პართენოზი სხვა. ამასთან, სამთავნელი პართენი საბერძნეთიდან ჩამოსულა და 1720-იან წლებში ჯერ კიდევ ეპისკოპოსია, ხოლო ხარჭაშნელი პართენი 1713 წლისთვის უკვე გარდაცვლილი ჩანს.

დ. ფურცელაძის მიერ გამოცემული 1719 წლის დოკუმენტის მიხედვით, იმ დროისათვის სამთავნელი მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე ფალავანდიშვილია, რომელიც, ამასთანავე, ქვათახევის მონასტრის წინამძღვარიცაა.[25] ამ საბუთისა და ასევე პ. იოსელიანის ცნობის საფუძველზე, პ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთში წასულ რომანოზ ერისთავს (მთავარეპისკოპოსს) თან ახლდა ქრისტეფორე სამთავნელი და 1732 წლის თებერვალში ისინი მოსკოვში ჩავიდნენ.[26] სამთავნელ ეპისკოპოს ქრისტეფორეს შესახებ ჩვენ სხვა წყარო ვერ მოვიპოვეთ. XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის 10-იანი წლების საისტორიო დოკუმენტებიდან ცნობილი ქართლის მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე, სავარაუდოდ, იგივე ქრისტეფორე სამთავნელი უნდა იყოს (არ არის გამორიცხული, რომ იგი, შესაძლოა, სხვა პირიცაა).

საისტორიო წყაროების მიხედვით, შემდეგ სამთავნელ ეპისკოპოსად ჩანს ათანასე (ამილახვარი). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ხელრთვა და ბეჭდი უზის 1713 წლის ამილახვრებისა და პარკაძეების საბუთს (ხეც, ფონდი Hd-2136). მართალია, მის დამტკიცებას თარიღი არ ახლავს, მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ 1735-1736 წლებიდან ათანასე უკვე მროველი ეპისკოპოსია, ხოლო 1741, 1746, 1753 წლებში – თბი-

[24] ლ. რჩეულიშვილი. პართენოზ ხარჭაშნელის საგვარეულო საძვალე. ჟურნ. „ქართული ხელოვნება". გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სერია A-ძველი ხელოვნება. №9. თბ. 1987, გვ. 75-77.

[25] Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджари (грамоты). составиль Д. П. Пурцеладзе. Тиф. 1881. გვ. 91.

[26] П. Иосслиани. Описание древностей города Тифлиса. сочинение Платона Иосслиани. Тиф. 1866, გვ. 123-124.

ლელი. მის შემდგომ თბილელად უკვე ქრისტეფორე იხსენიება. 1752 წელს მიტროპოლიტი ათანასე მეფე თეიმურაზმა და ერეკლემ რუსეთში ელჩად გაგზავნეს. მან თბილელად თავის ნაცვლად მროველი ქრისტეფორე დატოვა.[27]

რუსეთში ათანასე მესტამბე გახდა. მის დაბეჭდილ წიგნებში ათანასე მეფესა და კათალიკოსს არ იხსენიებს. თ. ჟორდანიას დაკვირვებით, „თეიმურაზის მიერ 1752 წელს რუსეთში ელჩად გაგზავნილი, აღთქმის მიუხედავად, ის საქართველოში არ დაბრუნებულა და შეერთებია თეიმურაზ-ერეკლეს მტრებს, ვახტანგ მეფის შთამომავალთა დასს“.[28]

ათანასე ამილახვარი თბილელად იხსენიება სამთავისის ვერცხლის ბარძიმის მხედრულით შესრულებულ 1767 წლის წარწერასა და სამთავისის ტაძრისთვის 1768 წელს შეწირული ოდიკის ასომთავრულ წარწერაში.

რუსეთში იოსებ სამებელის (ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის) დავალებით გადაწერილი XVIII საუკუნის სამღვდელმთავრო კონდაკი შემდგომში მიტროპოლიტ ათანასე თბილელის (ამილახვრის) ხელში ჩავარდნილა, ხოლო ამ უკანასკნელს 1777 წელს ის სამთავისის ეკლესიისათვის შეუწირავს.[29] XVIII საუკუნის ერთ-ერთ სახარებას გააჩნია აგრეთვე შემდეგი მინაწერი: „გარდამოღებული მოსკოვს ტფილელის დაბეჭდილის სახარებისაგან“,[30] – იგულისხმება ათანასე ტფილელის სტამბა XVIII საუკუნეში და ა. შ.

ამდენად, სამთავნელ ეპისკოპოსად ათანასე უნდა ყოფილიყო XVIII საუკუნის 20-30-იან წლებს შორის, 1735 წლიდან იგი უკვე მროველად იხსენიება, ხოლო მოგვიანებით – თბილელად (1752 წლამდე).

პ. კარბელაშვილისთვის უცნობი იყო, ვინ განაგებდა სამთავისის კათედრას XVIII საუკუნის 30-იან წლებში. საქართველოს ეროვნულ არქივში მივაკვლიეთ სამი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ამ დროს სამთავისის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა ზებედე სამთავნელი.

ზებედე სამთავნელის მოღვაწეობის ნაწილობრივ გასაცნობად გან-

[27] თ. ჟორდანია. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 224.

[28] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. ტ. III (1700 წ-დან XIX ს-ის 60-იან წლებამდე). გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ. 1967, გვ. 304.

[29] ხეც. Q-263. გვ. 193 r-v. 194 r-v.

[30] ხეც. Q-654. გვ. 238 v-245 r.

საკუთრებული მნიშვნელობა აქვს 1738 წლის ერთ დოკუმენტს, რომელიც პირველად 2011 წელს შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში.[31] ამილახვარი ოთარი, ამილახვარი გივი და ზებედე სამთავნელი წყალობის წიგნს აძლევენ მღვდელ უზნაძე პეტრეს და უმტკიცებენ სამთავისის დეკანოზობას, მამამთავრობას, სამთავისის მოურაობას, ომოფორის მოლარობასა და ჯვარისმტვირთველობას.[32] აშიაზე იკითხება რამდენიმე მინაწერი. აქედან ერთი დამტკიცება ეკუთვნის ბენედიქტე სამთავნელს (1747 წ.) და მეორე არსენ სამთავნელს. როგორც ჩანს, ზებედე სამთავნელი ამ კათედრას განაგებდა 1738-1739 წლებში, ხოლო 40-იანი წლებიდან აქ მოღვაწეობენ ჯერ ბენედიქტე სამთავნელი, ხოლო მოგვიანებით – არსენ სამთავნელი (საყვარელიძე), რომელთა შესახებ ცნობებს სხვა წყაროებიც გვაწვდიან.

1739 წლის ერთერთ საბუთში სამთავნელი ეპისკოპოსი დასახელებულია მოწმეებში, თუმცა მისი სახელი არ იკითხება. ამ დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს „სოლაღაშვილი იესეს მამულის ნასყიდობის წიგნს მთავარეპისკოპოს რომანოზისადმი“, ბეჭდით ამტკიცებენ: კათალიკოსი კირილე, თბილელი მიტროპოლიტი ეფთვიმე, მროველი ათანასე, სამთავნელი ეპისკოპოსი (სახელი არ ჩანს), რუსთველი მიტროპოლიტი დომენტი და სხვები.[33]

ამ დანაკლისს ავსებს მეორე სიგელი, რომელიც 1739 წლის მარიამობისთვის 14 რიცხვითაა დათარიღებული და წარმოადგენს მთავარეპისკოპოს რომანოზის მიერ გაცემულ სიგელს ბატონიშვილ აბდულა-ბეგისადმი. აშიაზე დართული მოწმეთა ხელრთვები ეკუთვნის კათალიკოს კირილეს, თბილელ მიტროპოლიტ ეფთვიმეს, მროველ ათანასეს, რუსთველ მიტროპოლიტს, სამთავნელ ეპისკოპოს ზებედეს და სხვათა.[34]

თეიმურაზ მეფის მიერ გაცემული ერთი საბუთის მიხედვით, ზებედე 1739 წლიდან უკვე ამბა ალავერდელი მთავარეპისკოპოსია.[35] ამავე წლიდან იგი ალავერდელად იხსენიება რუსეთის ელჩების კახეთში სტუმრობის დროსაც.[36] ბუნებრივია, თუ ამ ორი ზებედეს იგივეობის საკითხს

[31] მ. შაორშაძე. XVIII საუკუნის უცნობი სამთავნელი ეპისკოპოსი. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. IV. თბ. 2011, გვ. 246-251.
[32] სეასცა. ფონდი 1448-3915 (დ); 1449-144 (პ).
[33] სეასცა. ფონდი 1449-2176.
[34] სეასცა. ფონდი 1449-2147.
[35] სეასცა. ფონდი 1449-1779.
[36] Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1615-1640. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов. Тб. 1937, გვ. 318, 321-413.

დავსვამთ, მაშინ სამთავნელი ზებედეს მოღვაწეობის ბოლო ქრონოლოგიური ზღვარი სამთავისის კათედრაზე 1739 წელზე უნდა დავდოთ.

XVIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან სამთავისის კათედრას განაგებს ბენედიქტე (ბენედიკტე) სამთავნელი. 1747 წლის 6 ნოემბრის სიგელში, რომელიც გაცემულია დიმიტრი ამილახვრისადმი მამულების შეწირულობის თაობაზე, მოწმეებში დასახელებული არიან ბენედიქტე სამთავნელი და კირილე მთავარეპისკოპოსი.[37]

ბენედიქტეს ხელრთვა მოიპოვება აგრეთვე 1748 წლის საეკლესიო კრების კანონებში,[38] რომელიც ერეკლე მეფისა და ანტონ კათალიკოსის თაოსნობით შედგა. აღნიშნული საეკლესიო კრების დადგენილება შეტანილია XV-XVI საუკუნეებით დათარიღებული „დავითნის“ ხელნაწერში, რომლის დასაწყისი და ბოლო განახლებულია 1755 წელს და ჩამოთვლილი არიან ის ეპისკოპოსები, რომლებიც ხელს აწერენ ამ დოკუმენტს. მათ შორისაა ბენედიქტე სამთავნელიც.[39]

მეფე ერეკლე II-ისა და ანტონ I კათალიკოსის 1749 წლის გუჯრიდან „ნინოწმინდელის პატივისა და ადგილის შესახებ დარბაზობის დროს“, ვიგებთ, რომ ამ დროისათვის, სხვა მრავალ საეპისკოპოსოს შორის, სამთავნელის კათედრაც მოშლილია.[40] როგორც ჩანს, ამ მოვლენას დროებითი ხასიათი უნდა ჰქონოდა, რადგან იმავე 1749 წლის 15 მარტის ერთ საბუთში – „საამილახვროს სახლიკაცობის რიგი“, – სამთავნელი კვლავ ბენედიქტეა. სიგელს მარცხენა კიდეზე აქვს მინაწერი: „ამისი დამსწრე და გამრიგე ბატონი სამთავნელი ბენეკტიკტე“.[41]

თ. ჟორდანიას აღწერით, 1753 წლის სამთავისის კუთვნილ ერთ ვერცხლისყდიან სახარებას ახლავს წარნერა, რომელშიც ბენედიქტე სამთავნელი მოიხსენიება. მეორე უბის წიგნის 43-ე გვერდზე მას ფანქრით აქვს ჩაწერილი: სახელი „ბენედიქტემ“ წერია ასე: „ბენეკტიკტემ“. თავზე

[37] სეასცა. 1448-4202.

[38] ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1970, გვ. 798, 803-805.

[39] ხეც. Q-412. გვ. 1r -8v.

[40] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. საერო-საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1965. გვ. 400-401.

[41] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ. 1977. გვ. 702-703; ხეც. Ad-1365.

რუსულად აწერია: «Венедикт».[42] ამ ოთხთავის მარჯვენა ყდაზე მართლაც არის მხედრულით შესრულებული მინაწერი: „ქ. მე, სამთავნელ მიტროპოლიტმან ბენეკტიკტემ შემოგწირე მცირე ესე შესაწირავი თქვენ, სამთავისის ღვთაების მონასტერს. შეიწირენ და შემიწყალე. ვინც გამოგწიროს, შენ შერისხდი. ქრისტეს აქათ ჩღნგ, ქკს უმა“ [1753 წ.].[43]

H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ მიხედვით, აღნიშნული ოთხთავის (H-2901) ყდაზე განთავსებულ ბენედიქტე სამთავნელის მინაწერში, **„სამთავნელ მიტროპოლიტი**“ წაკითხულია როგორც: **„სამთავრელ მიტროპოლიტი**“,[44] რაც სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს და ჩასასწორებელია.

კერძოდ, ბენედიქტე სამთავნელი ქართლის მთავარეპისკოპოსი არ ყოფილა და, შესაბამისად, სამთავროელიც ვერ იქნებოდა. 1753 წელს, ქართლის მთავარეპისკოპოსი, სამთავროსა და გორის მიტროპოლიტი არის კირილე ციციშვილი.

ბენედიქტე სამთავნელი ასევე იხსენიება საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ 1753 წლის 18 თებერვალს გაცემულ დოკუმენტში, რომელსაც ბოლოში ახლავს მისი ხელრთვა.[45] 1754 წლის საბუთში, „განჩინება ამირინდო ამილახორისა და მისი ბიძაშვილების ყმა-მამულის საქმეზე“, ეპისკოპოსი ბენედიქტე კვლავაც მოიხსენიება: „ბენეტიტე სამთავნელი ეპისკოპოსი“.[46]

1756 წლის 24 მარტს შედგენილი “ამირინდო ამილახვრისა და მისი სახლისკაცების სასაზღვრო დავის წიგნის“ მიხედვით, ამილახვრების ჯავახიშვილებთან და ციციშვილებთან სამამულო დავის გარიგებაში მონაწილეობს ბენედიქტე სამთავნელი.[47]

1759 წლის „განჩინებას ნიკოლოზ და რევაზ ამილახორიშვილების გაყრის საქმეზე“, ახლავს სამი ბეჭედი, აქედან ორი არ ირჩევა, მესამე კი ეკუთვნის სამთავნელ ბენედიკტეს.[48] ამდენად, ყველა ზემოთ განხილული

[42] ქრონიკები, ტ. III, გვ. 228.
[43] ხეც. H-2901.
[44] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H – კოლექცია) ტ. VI. შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ღ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ. 1953, გვ. 276.
[45] სეასცა. 1448-791.
[46] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. IV, გვ. 435-437; ხეც. Qd-827; Qd-2532.
[47] ხეც. Ad-1056.
[48] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 469-471.

საბუთის მიხედვით, ბენედიქტე XVIII საუკუნის 40-50-იანი წლების სამთავნელი ეპისკოპოსია.

შემდეგი სამთავნელი ეპისკოპოსის ვინაობას გვატყობინებს საბუთი – ,,განჩინება რევაზისა და ნიკოლოზის წისქვილის საქმეზე“ (1762 წ. 8 სექტემბერი), რომელშიც ნახსენებია სამთავნელი ეპისკოპოსი ფილიპე. წისქვილზე დავას არიგებენ ამილახვარი ამირინდო, სახლთუხუცესი დიმიტრი და სხვა ამილახვრები, რომელთაც მოწმედ დაისწრეს სამთავნელი ფილიპე და აზნაურიშვილები. სამი ბეჭდიდან ერთი ეკუთვნის სამთავნელ ფილიპეს.[49]

1779 წლის 20 მაისს გაცემული „მამულის წყალობის წიგნი სამთავნელ ეპისკოპოს პაისიოსის მიერ აზნაურ თამაზ ქავთარაძისათვის“, აღნიშნულ კათედრაზე, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ფილიპე სამთავნელისა და გერვასი სამთავნელის მოღვაწეობის შესახებ იუწყება.[50]

ფილიპე იხსენიება აგრეთვე გერვასი წილკნელ-სამთავნელის 1805 წლის საბუთშიც: ,,ჯვარის სასანთლეები ფილიპპე გურამისშვილის სამთავნელის შემოწირული“.[51] როგორც ჩანს, ფილიპე გურამიშვილი XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მართავდა სამთავისის კათედრას, რადგან ერთი დოკუმენტის მიხედვით, მანამდე იგი ურბნელი ეპისკოპოსია. კერძოდ, 1751 წლის „არზა, მიცემული ივანე ხახანაშვილის მიერ მდივანბეგებისადმი (ოქმით)“, დაწერილი ყოფილა ურბნელი ფილიპესაგან.[52] ამასთანავე, 1759 წლამდე, სამთავნელ ეპისკოპოსად ჯერ კიდევ ბენედიქტე იხსენიება.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში, ფილიპე გურამიშვილის შემდეგ, სამთავნელ ეპისკოპოსად უკურთხებიათ გიორგი ქარუმიძე. 1800 წლის 11 ივლისს გაცემული საბუთიდან, „წყალობის წიგნი გერვასი სამთავნელისა იოანე ქარუმიძისადმი“, ვიგებთ, რომ სამთავნელი ეპისკოპოსი და მღვიმის წინამძღვარი გერვასი მაჭავარიანი სამთავისის დიდი ეკლესიის დეკანოზს, აზნაურ იოანე ქარუმიძეს, უახლებს ძველ შეწირულობებს.

დოკუმენტში მოთხრობილია ამბავი, რომ ბენედიქტე სამთავნელს იოანე ქარუმიძის მამის – გიორგისათვის კანდელაკობა, მამული და სახელო მიუცია, ხოლო შემდგომი სამთავნელ ეპისკოპოს ფილიპეს დროს გი-

[49] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 484-485; სეასცა. ფონდი 1448-3454.
[50] ხეც. Hd-2227.
[51] ხეც. 1448-6809.
[52] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. II. ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.). ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ. 1953, გვ. 43.

ორგი კანდელაკისთვის სამთავნელობა და მღვიმის წინამძღვრობა უბოძებიათ. ის მამულები კი, რომლებიც კანდელაკის არ იყო, კვლავ ჩამოურთმევიათ. ამდენად, გერვასი სამთავნელის ეპისკოპოსობაში იოანე ქარუმიძეს, გიორგი სამთავნელის შვილს, საკმარისი მამულები აღარ დარჩენია.

ოთარ ამილახვრის შუამდგომლობით, გერვასი სამთავნელი იოანე ქარუმიძეს უბრუნებს კანდელაკობას, საკუთარ სახელოს – „ჯვარისმტვირთველობას“, აგრეთვე ალექსანდრე მეფისაგან შეწირულ სახასო სოფელ ნადარბაზევს და მის მოურაობას.[53]

სხვა წყარო გიორგის სამთავნელობის შესახებ არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ, ის აღნიშნულ კათედრაზე ფილიპეს შემდგომ, XVIII საუკუნის 60-იან წლებში უნდა ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, გიორგი სამთავნელის შემდეგ სამთავნელი ეპისკოპოსი უნდა გამხდარიყო არსენ საყვარელიძე, რომელიც 30-40-იან წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსის კათედრას განაგებდა. არსენი სამთავნელად მოიხსენიება ზებედე სამთავნელის 1738 წლის ზემოთმოყვანილი საბუთის გვიანდელ დამამტკიცებელად: „ქ. ბატონს ამილახორებს დეკანოზის პეტრესათვის ამ გუჯრის წყალობა ექმნა[თ], ჩვენ, სამთ{ა}ვნელ მთავარებისკოპოზმ{ა}ნც წყალობა გიყავით. ვინცავინ სამთ{ა}ვნელმა ეს გუჯარი და წყალობა მოგიშალოს, ისიმც შეიშლება თავისს სახისაგ{ა}ნ. არსენ“...

„....ჯვარისმტვირთვ{ე}ლობა კანდელაკისა არის, მამამთავრობა საყვარელიძისა“. ხელრთვა: არსენ.[54]

არსენი, როგორც ქართლის მთავარეპისკოპოსი, ცნობილია რამდენიმე საისტორიო დოკუმენტიდან 1736, 1737, 1744-45, 1747, 1748 წლებში; შემდეგ კვლავ ჩანს 1761 წელს. რადგან 1762 წელს სამთავნელი ფილიპე გურამიშვილია, მის შემდგომ კი – გიორგი ქარუმიძე, შესაძლოა, სამთავნელი იგი XVIII საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს გამხდარიყო.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ერთ-ერთ საბუთში ჩამოთვლილნი არიან ქართლ-კახეთის იმდროინდელი მღვდელმთავარნი, სადაც აღნიშნულია, რომ „ეპისკოპოსი სამთავნელი ჯერეთ განუწესებელია“.[55] როგორც ჩანს, ამ დროისათვის სამთავისის კათედრის არსებობას კვლავ პრობლემები შექმნია, ან, შესაძლოა, მას დროებით მეზობელი ეპარქიის

[53] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1060-1061.
[54] სეასცა. ფონდი 1448-3915; 1449-144.
[55] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 929.

მღვდელმთავარი განაგებდა. ყოველ შემთხვევაში, 70-იან წლებში სამთავნელ ეპისკოპოსად უკვე ჩანს პაისიოს სამთავნელი (გარსევანიშვილი).

1776 წლის მზითვის წიგნი, რომელიც მიუცია ამირინდო ამილახორს თავის ასულ თამარისათვის, დაუწერია პაისიოს სამთავნელ ეპისკოპოსს.[56] იმავე 1776 წელს მდივანბეგი იესე ამილახვარი წერს სამთავნელ პაისიოსს: „შენის ეკლესიის ყმა მტრისაგან და ჩვენის სახლისკაცისაგან შეწუხებული იყო... გვეაჯე, რომ შენის ყმისთჳს ამირახორის შვილებს არა წაერთვათ რა“.[57]

1779 წლის 17 მარტსაა გაცემული „სამთავნელი ეპისკოპოსის განწესება სამთავისის ეკლესიის დეკანოზ დემეტრესა და მღვდლებისადმი,“ რომელსაც ახლავს ხელრთვა, სავარაუდოდ, პაისიოს სამთავნელისა.[58] განწესება შედგენილია სამთავისის ეკლესიის მღვდელმსახურთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით. 1779 წლის 20 მაისით თარიღდება „სამთავნელ ეპისკოპოს პაისიოსის მიერ აზნაურ თამაზ ქავთარაძისათვის ბოძებული მამულის წყალობის წიგნი“, რომელსაც პაისიოს სამთავნელის ხელრთვის გარდა, ახლავს გერვასი სამთავნელის შემდეგდროინდელი ხელრთვაც.[59]

1780 წ. 6 აპრილით არის დათარიღებული „არზა პაისიოს სამთავნელისა გამოსაღების თაობაზე ლეონ ბატონიშვილის ოქმით“.[60]

1783 წელს ამილახვრები პირობას აძლევენ იმავე პაისიოს სამთავნელს, „თქვენს მამულებზე არ შეგანუხებთო“.[61] 1787 წელს პაისიოს სამთავნელის ჩივილის საფუძველზე, მდივანბეგი ამილახვარი იესე ამილახვართაგან მიტაცებულ კასპის ზვარს შიომღვიმის მონასტერს უბრუნებს.[62]

პაისიოსი ნამდვილად სამთავნელია 1786 და 1787 წლებშიც, რაზედაც იუწყება ამ წლებში გაცემული ორი არზა მეფე ერეკლე II-ის ოქმით,[63]

---

[56] ხეც. Sd-1901.

[57] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა. თბ. 1896. გვ. 83.

[58] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 927; სეასცა. ფონდი 1448-2028.

[59] ხეც. Hd-2227.

[60] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII (სასამართლო არზა-ოქმები). ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. თბ. 1981, გვ. 470-471

[61] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 83.

[62] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი “ ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 83-84.

[63] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VII, გვ. 696-697; 723-724.

საიდანაც ვიგებთ, რომ მეფე ერეკლემ სამთავნელ პაისიოსის სარჩელი დააკმაყოფილა.

მაგრამ, იმავე 1787 წლის 20 ოქტომბრის პაისიოს მთავარეპისკოპოსის მიერ ოთარ ამილახვრისადმი გაგზავნილ წერილში, ის უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსად მოიხსენიება. როგორც ჩანს, იმავე წლის შემოდგომიდან პაისიოსი სამთავნელი უკვე აღარ არის. აქ იგი ულოცავს ოთარს მეფისგან მდივანბეგად დანიშვნას: შენი ამილახვრობა „სასუფეველში რომ შევსულვიყავ, ისრე მიამა-ო“, – აღნიშნავს იგი.[64]

ამას გარდა, 1787 წლის 29 დეკემბრის საბუთით („განჩინება კუტის მარიამის შვილის პაპუნას საქმეზე“) ირკვევა, რომ ამ დროს პაისიოს სამთავნელი უკვე ქართლის მთავარეპისკოპოსია. საბუთში იგი მოიხსენიებს მისი სამთავნელობის პერიოდს.[65]

პ. კარბელაშვილი პაისიოსის სამთავნელობის პერიოდად მიიჩნევდა 1772-1784 წლებს, რაც დასაზუსტებელია. იგი წერს: „ამან უბოძა მშვენიერი ინსტრუქცია 1773 წ. 14 მარტს სამთავისის დეკანოზს და მღვდელს სამსახურისა და შემოსავლის განაწილებისათვის. ამან უბოძა და აკურთხა იოანე ქარუმიძე. დეკანოზი-კანდელაკი, ჯვარისმტვირთველობა, ს. ნადარბაზევი სამთავისის კანდელაკის სახელო იყო“.[66] (როგორც ჩანს, პ. კარბელაშვილი გულისხმობდა 1779 წლის 17 მარტის საბუთს, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ: (სეა). ფონდი 1448-2028.).

ჩვენთვის ცნობილ საისტორიო დოკუმენტებში, პაისიოს გარსევანიშვილი სამთავნელ ეპისკოპოსად ჩანს 1776-1787 წლებში, შემდეგ იგი ქართლის მთავარეპისკოპოსია.

პ. იოსელიანი პაისიოსის შესახებ წერს: „პაისიოს გარსევანაშვილი, ნამღვდელავი, რომელსაცა სწამებდენ ფრანგობასა; მეფე გიორგი არ მიენდებოდა მას ფრანგობისათვის“.[67]

1787 წლის 24 ნოემბერს პაისიოს მთავარეპისკოპოსი ქვახვრელთადმი მიცემულ საბუთში გიორგი მეფის შვილს სწერს: „მე რომ სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი გახლდი...“[68]

[64] სეასცა. ფონდი 1448-3342.

[65] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.). პროფ. ი. დოლიძის რედ. თბ. 1974, გვ. 393-397.

[66] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

[67] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. ტფ. 1936, გვ. 140.

[68] სეასცა. ფონდი 1449-2145.

თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ პაისიოსი ჩაანაცვლა გერვასი მაჭავარიანმა: „ამის მაგიერად სამთავნელად და მღვიმის წინამძღვრად ამ წელს დაუნიშნავთ გერვასი (მაჭავარიანი)“.[69] ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან დოკუმენტებში ნათლად ჩანს, რომ პაისიოს სამთავნელი ჩაანაცვლა იულიოს სამთავნელმა (1787-1789 წწ.), ხოლო ეს უკანასკნელი 1790 წელს – მიხაილ სამთავნელმა. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გერვასი მაჭავარიანი სამთავნელი და მღვიმის წინამძღვარი.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საბუთებში სამთავნელად მოიხსენიება იულიოსი. 1789 წ. 29 მაისს ანტონ II-ის იოანე ქარუმიძისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში[70] ჩანს, რომ კათალიკოსის ნებართვით, იულიოს სამთავნელს სამთავისის ეკლესიის პროტოპოპ იოანესათვის, მანამდე სამთავნელ მთავარეპისკოპოს პაისიოსის მიერ ბოძებული წყალობები: სამთავისის ეკლესიის დეკანოზობა და პროტოპრესვიტერობა განუახლებია. მასვე უწყალობებია აგრეთვე ჯვარისმტვირთველობა. საბუთს ახლავს ხელრთვა კათალიკოსისა და იულიოს სამთავნელისა.[71]

1789 წლის 22 დეკემბერს გაცემული „წიგნი ანტონ II-სა ოთარ ამილახვრისადმი სამთავნელ ეპისკოპოსის შევიწროების თაობაზე“, გადმოგვცემს ამბავს, რომ ოთარ ამილახვარი და მისი შვილები სამთავნელ ეპისკოპოსს ავიწროებდნენ და არ ემორჩილებოდნენ. ამის გამო ანტონ კათალიკოსი ამილახვრებს საყვედურით მიმართავს.[72]

იულიოს სამთავნელის მოღვაწეობისა და მისი ქრონოლოგიის შესახებ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს 1786 წლის 24 მაისის „განჩინება გიორგი XII-სა ნიქოზელისა და ფავლენიშვილების ყმა-მამულის საქმეზე“.[73] ნიქოზელი იულიოსი და ფავლენიშვილები ყმა-მამულის თაობაზე დაობდნენ. კრებამ დადგენილება გამოიტანა, რომ ორივე გვარის წარმომადგენლებს (ფავლენიშვილ-შალიკაშვილებს), როგორც ადრე, ისევე ახლაც, შეეძლოთ თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვა ნიქოზელის შეკითხვითა და ნებართვით.[74] საბუთის ბოლოს დართულია მინაწერები: „სამთავნელ ეპისკოპოსს იულიოსს, რაც ნიქოზლის წიგნები ჰქონდეს ეკ-

[69] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 84.
[70] სეასცა. ფონდი 1449-816.
[71] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 981-982
[72] ხეც. Sd-448.
[73] ხეც. Ad-1504-ა.
[74] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 329.

ლესიისა თუ მამულებისა, ყველა ჩამოართვითო და ნიქოზელს ათანასის მიაბარეთო... ამის პირი წიგნი, რომლისაგანაც ეს გარდიწერეს, ისევ იულიოს სამთავნელს მოაბარა. და სხვა წიგნები იმ ნიქოზელს უბოძა... **მიბარება სამთავნელობაში იყო და ჩამორთმევა – ურბნელობაში...** დოკუმენტს 1795 წელს ამტკიცებს სამთავნელი გერვასიც.[75]

ამდენად, ირკვევა, რომ იულიოსი 1786 წლისათვის ნიქოზელი ეპისკოპოსია, 1787 წელს იგი სამთავნელი ეპისკოპოსი ხდება (1790 წლამდე), ხოლო შემდეგ – ურბნელი. სხვა წყაროებით, 1787 წლიდან ქართლის მთავარეპისკოპოსი ხდება პაისიოს სამთავნელი, ნიქოზელად აკურთხებენ ათანასეს, ხოლო 1788 წელს ურბნელი არის იუსტინე.[76]

ერთი საისტორიო დოკუმენტიდან ჩანს, რომ მეფისა და კათალიკოსის გადაწყვეტილებით, სამთავისის კათედრის გამგებლობა 1790 წელს ჩააბარეს მიხაილს, რომლის მღვდელმთავრობაც აღნიშნულ კათედრაზე მისი წინამორბედი ეპისკოპოსის მსგავსად, ოთარ ამილახვართან დაპირისპირებით დაიწყო. კერძოდ, „წერილი მიხაილ სამთავნელისა ოთარ ამილახვრისადმი“ (1790 წლის 31. VII.) მოწმობს, რომ ამილახვარ ოთარის ბრძანებით, თამაზა ქავთარაძეს სამთავნელი მიხაილისთვის წერილი გადაუცია, რომელშიც უთვლიდა, რომ თავად ამილახვარი მოუცლელი ბრძანდებოდა და სამთავისში რა შესამოსელიც იყო, მიტროპოლიტისთვის მიებარებინა, ყმა და მსახურებიც გამოეყვანა, სამთავისში მისულიყო და, როგორც კი მოიცლიდა, თვითონაც იქ ჩავიდოდა. სამთავნელი, რომელიც მეფისა და კათალიკოსისაგან, როგორც ჩანს, ახალი გაგზავნილი იყო თავის ახალ ეპარქიაში, ოთარის დამოკიდებულებით უკმაყოფილო დარჩენილა. ის გორში მთავარეპისკოპოსთან გაჩერებულა და ოთარ ამილახვრისთვის საყვედურით სავსე წერილი გაუგზავნია.[77]

შემდეგდროინდელ სიგელებში მიხაილი სამთავნელად აღარ მოიხსენიება. როგორც ჩანს, სამთავისში ის დიდხანს არ გაჩერებულა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში მიხაილი ჯერ თბილელი ეპისკოპოსი იყო, 1790 წელს, როგორც აღვნიშნეთ, სამთავნელი მიტროპოლიტი გახდა, ხოლო 1796-1802 წლებში ნინოწმინდელი მიტროპოლიტია. სამთავნელად კი, XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან დოკუმენტებში ჩანს გერვასი სამთავნელი (მაჭავარიანი).

[75] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 325-332.
[76] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 977-978.
[77] სეასცა. ფონდი 1448-2479.

პ. იოსელიანი მიხაილ ნინოწმინდელზე წერს: „არ უყვარდა მეფესა გიორგის. მოკვდა 1813 წელსა ბრმად. იყო მოწაფე ანტონი კათოლიკოსისა“.[78] ხოლო იოანე ბატონიშვილი მის შესახებ ამბობს: „იყო ფილოსოფოსი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი... ესე უფრო დაშვრა საღმრთოთა წერილთა და ისტორიებთა გარდასაწერად, რომელმანც თვისითა ხელითა გარდასწერნა წიგნნი დიდნი და მცირენი ვიდრე რვაასამდისინ. და უკანასკნელ მხცოვანებისა ჟამსა გარდაიცვალა“.[79]

გერვასი მაჭავარიანი, ერთი წერილის მიხედვით, სამთავნელად 1791 წლიდანვე იხსენიება. ამ წელსაა გაცემული „არზა გერვასი სამთავნელისა ოთარ ამილახვართან“.[80] ასევე 1794 წლის ერთ საბუთს ახლავს ხელრთვა სამთავნელ ეპისკოპოსისა და მღვიმის წინამძღვრის გერვასი მაჭავარიანისა.[81]

ამილახვრებთან საქმის მოგვარება სწორედ გერვასი სამთავნელმა მოახერხა 1796 წელს, როცა მან ურჩი ფეოდალები, რომლებიც ეკლესიისა და ეპისკოპოსის შევიწროებასაც არ ერიდებოდნენ, მეფისა და კათალიკოსის ერთგულებაზე დააფიცა. კერძოდ, 1796 წლის 8 სექტემბრით დათარიღებული „ფიცის წიგნი გერვასი სამთავნელისა და სამთავისის აზნაურიშვილებისა“ მოგვითხრობს ამბავს იმის შესახებ, რომ სამთავისის აზნაურისშვილებმა გერვასი სამთავნელის წინამძღოლობითა და შუამდგომლობით, ერეკლე მეფისა და მისი შვილების ერთგულებაზე დაიფიცეს. „ფიცის წერილი“ 10 მუხლისაგან შედგება. საბუთს ამტკიცებს გერვასი სამთავნელი – „ყოვლად სამღვდელო სამთავისისა, ქსნისა, წინამძღუარი მღვიმისა“. დოკუმენტს ხელს აწერს სამოცამდე ფიცის დამდები.[82]

1796 წლის 15 ნოემბრითაა დათარიღებული „განჩინება აბულაძეების გაყრის საქმეზე“. რადგან აბულაძეები სამთავისის წმ. ეკლესიის ყმები იყვნენ, მამულები, ქვევრები და საწნახელი მათ ეპისკოპოსმა გაუყო.[83]

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია არა ერთი წერილი გერვასი სამთავნელისა ოთარ ამილახვრისადმი: 1797 წლის,[84] 1798 წლის[85]

[78] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 257-258.
[79] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ტ. II. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ. 1948, გვ. 193.
[80] სეასცა. ფონდი 1448-3416.
[81] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, გვ. 84.
[82] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1031-1032.
[83] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V, გვ. 685.
[84] სეასცა. ფონდი 1448-2038; 1448-3406.
[85] სეასცა. ფონდი 1448-1919.

და 1799 წლის,[86] ასევე 1811 წლის წყალობის წიგნი გერვასი სამთავნელისა მღვდელ უზნაძისადმი[87] და სხვ.

დოკუმენტში „კათალიკოზის სამწყსო სოფელნი და ხელქვეშენი მღვდელმთავარნი ქართლსა და კახეთში," რომელიც პირობითად 1788-1811 წლებითაა დათარიღებული, აღნიშნულია, რომ სამთავისის ეპისკოპოსი გერვასი 17 სოფლის მფლობელი ყოფილა.[88]

თ. ჟორდანიას სამთავისის ერთ ჯვარზე 1799 წლის მხედრული წარწერა ამოუკითხავს: „სამთავნელ ეპისკოპოსმან მაჭავარიანმა გერვასი შემოვწირე სამთავისის ღვთაების ეკლესიას წელსა ჩღჟთ".[89]

როგორც ზემოთ ითქვა, 1800 წლის განჩინებით, სამთავნელი ეპისკოპოსი და მღვიმის წინამძღვარი გერვასი მაჭავარიანი წყალობის წიგნს აძლევს სამთავისის დიდი ეკლესიის დეკანოზს, აზნაურ იოანე ქარუმიძეს.[90] 1801 წლის 26 აპრილს, გიორგი ამილახვარი სწერს სამთავნელ ეპისკოპოსს, რომ დეკანოზ იოანე ქარუმიძეს სამთავისში ერთი საკომლო უბოძოს.[91]

1802 წლის 7 მაისის ერთი საბუთის მიხედვით ვიგებთ, რომ სამთავნელი გერვასი კარლ კნორინგს მიმართავს რუსეთის ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობის თხოვნით, რათა მისთვის პეტერბურგში ჩასვლის ნება მიეცა მოღვაწეობის იქ გასაგრძელებლად.[92] როგორც ჩანს, 1802 წელს მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, რადგან გერვასი „წილკნელ-სამთავნელის" ხარისხში შემდგომ წლებშიც ჩანს ამავე კათედრებზე.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1805 წლის ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია „ღერვასი წილკნელ-სამთავნელის შესამოსელი და ნივთები": „ქ. ესენი საკუთრად სამთავისის ეკკლესიისა არის წილკანში. ამისთვის რომ სხვა შესამოსი არ იყო იქა და სამთავისისასა ვხმარობ".[93] 1808 წლითაა დათარიღებული „მიწერილობა ურბნელისა საქართველოს პატრიარქისა და მღვდელმთავრებისადმი", რომელშიც მოწმეებს შორის დასახელებულია წილკნელ-სამთავნელი გერვასი.[94]

[86] სეასცა. ფონდი 1448-10037.
[87] სეასცა. ფონდი 1448-6949.
[88] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1114.
[89] ქრონიკები. ტ. III, გვ. 451.
[90] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III, გვ. 1060-1061.
[91] სეასცა. ფონდი 1449-815.
[92] სეასცა. ფონდი 1448-9202.
[93] სეასცა. ფონდი 1448-6809.
[94] ხეც. Sd-3044.

1812 წლის ერთ კრებულში შესულია „მარგალიტი," რომელსაც ახლავს ნუსხურით შესრულებული შემდეგი მინაწერი: „დიაკონად ჴელ-დასხმულ იქმნა სოლომონ, აპრილის იე, წელსა ჩყიე (1815 წ. – მ. შ.) დღესა დიდსა ხუთშაბათსა, ჴელითა წილკნელ სამთავნელ ღერვასისათა".[95]

პ. კარბელაშვილის აზრით, გერვასი (მაჭავარიანი) წილკნელ-სამთავნელი მოღვაწეობდა 1796-1816 წლებში. გარდაიცვალა 1817 წელს. ჩვენი აზრით კი, ის 1791-1817 წლებში მღვდელმთავრობდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811 წ.), მართალია, იგი კვლავ ჩანს წყაროებში, მაგრამ, სავარაუდოდ, მას თავის ეპარქიაში, შექმნილი ვითარების შესაბამისად, სრულფასოვანი საქმიანობის უფლება აღარ მიეცემოდა.

ჩვენს მიერ ახლახანს გამოქვეყნებული ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც აღწერილია სამთავნელ-წილკნელი გერვასის კუთვნილი ეკლესიებისა და სამწყსოს შემოსავლების მოკლე ნუსხა, ცნობილი ხდება, რომ გერვასი მაჭავარიანი ჩყიბ (1812 წ.), ჩყიდ (1814 წ.) და ჩყიე, იულისის ი (1815 წ. 10 ივლისს) წლებში, ჯერ კიდევ აღნიშნული კათედრების მღვდელმთავარია.[96] მას ასევე "ქსნისა და მღვიმის წინამძღვრობაც" ევალებოდა.

სამთავისის სამონასტრო კომპლექსში დღემდე შემორჩენილია გერვასი სამთავნელის კუთვნილი საეპისკოპოსო სასახლის ნანგრევები.

იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში" ასე ახასიათებს გერვასი სამთავნელს: ანტონ I-ის აღზრდილი, „ტიბიკონთა შინა გამოცდილი და მშვენიერი ცერემონიოსი, უცხოდ რიგზედ შემწირველი, სტუმართმოყვარე და ეკკლესიათა თვისთა მოღვაწე...".[97]

აი, რას წერს გერვასი მაჭავარიანზე პ. იოსელიანი: „გერვასი წილკნელი, გვარით მაჭავარიანი, ესე ეკურთხა მეფისა გიორგისა დროსა, რომელიცა მას ვერა სწყალობდა. რად? ვერ ვსცან. მოკვდა 1817 წელსა. ამის მეტი მეფის გიორგის დროს არ კურთხეულა ეპისკოპოსად".[98] როგორც

[95] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. VI, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჭანკიევმა, ელ. მეტრეველის რედაქციით. თბ. 1969, გვ. 44-45; ხეც. S-4614.

[96] მ. შაორშაძე. სამთავნელი და წილკნელი ეპისკოპოსი გერვასი (მაჭავარიანი) და მისი აქამდე უცნობი ორი დოკუმენტი (1791-1817 წწ.). თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVIII. თბ. 2022. გვ. 251-260; ხეც. Hd-11200.

[97] იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. ტ. II, გვ. 195.

[98] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 258.

ჩანს, ამ ცნობაში იგი გერვასის წილკნელად კურთხევას გულისხმობს, რადგან გიორგი XII-ის გამეფებამდე (1798-1800 წწ.) ის უკვე სამთავნელი ეპისკოპოსი იყო.

1801 წელს რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ეკლესიის უმაღლესი იერარქია და სხვა სასულიერო პირებიც. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია 1802 წლის „ქართლ-კახეთის სასულიერო პირების მოხსენებითი ბარათი რუსეთის იმპერატორისადმი“, საიდანაც ვიგებთ, რომ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები, აღიარებენ რა რუსეთის იმპერატორის მიერ 1801 წელს მიღებულ მანიფესტს ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე, მიმართავენ იმპერატორ ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.), რათა საუკუნეთა მანძილზე აოხრებული და დასუსტებული საქართველოს ეკლესია-მონასტრებს შეეწიოს, აღადგინოს და დაიცვას ისინი. სასულიერო დასის განსაკუთრებულ სათხოვარს წარმოადგენს ის, რომ ლათინებს, რომლებიც ითხოვდნენ უკან დაებრუნებინათ მათი კუთვნილი ეკლესიები თბილისსა და გორში, იმპერატორი არ დახმარებოდა, რადგან ეს მცირე ტაძრები ქართველმა მეფეებმა დიდი ხნის წინ ჩამოართვეს მათ და მართლმადიდებელ ეკლესიას გადასცეს. ქართველი სასულიერო პირები წუხილს გამოთქვამენ იმაზეც, რომ ამ მართლმადიდებლურ ტაძრებში წლების მანძილზე მრავალი ქართველი საერო და სასულიერო პირი იყო დასაფლავებული და, ამის გამოც, მათი კათოლიკებისათვის დაბრუნება არ შეიძლებოდა.

არსებობს ამ საბუთის ორი დედანი, რომლებიც შედგენილია 1802 წლის 28 და 29 აპრილს.[99] 28 აპრილის წერილს, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, ხელს აწერენ: „მდაბალი მიტროპოლიტი წილკანისა, არაგვისა, მუხრანისა და ახალგორისა იოანე და ყოვლად სამღუდელო სამთავისისა და ქსნისა ღერვასი“, ხოლო 29 აპრილის წერილში მცირე განსხვავება შეინიშნება იოანეს ხარისხში: „მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროსა და გორისა და წილკანისა იოანე“.

პ. იოსელიანის თანახმად, სამთავნელი ეპისკოპოსი იყო იოანე ქარუმიძეც, ონოფრე ბერის შვილი, რომელიც შემდეგ გახდა ქართლის მთავარეპისკოპოსი: „იოანე ქარუმიძე, ონოფრე ბერის შვილი, კაცისა დიდად

[99] მ. შაორშაძე. XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი სასულიერო მოღვაწეები მართლმადიდებელი ეკლესიის დასაცავად. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. V. თბ. 2012, გვ. 208-220; სეასცა. ფონდი 1448-9200; 1448-9199.

წმიდისა და მოღვაწისა, გარესჯას გარდაიყვანეს წილკნიდამ".[100] როგორც ჩანს, აქ საუბარია სხვა იოანე ქარუმიძეზე და არა ზემოთ ნახსენებ გიორგი სამთავნელის შვილზე, სამთავისის დეკანოზსა და კანდელაკ იოანე ქარუმიძეზე. პ. იოსელიანი შემდეგაც ახსენებს იოანეს გარდაცვალების ამბავს: „იოანე ქარუმიძე, სამთავნელი, მერეთ მთავარეპისკოპოსი, კაცი ნასწავლი. მოკვდა თფილისს და დაასაფლავა არსენი თფილელმან თვისსა სამეტოქოსა კვირაცხოვლისა ეკკლესიასა 1804 წელსა".[101] საინტერესოა, მაინც რომელ წლებში შეიძლებოდა ყოფილიყო იოანე ქარუმიძე სამთავისის ეპისკოპოსად? შესაძლოა, მცირე დროით, მართლაც იკავებდა იგი სამთავისის კათედრას, მაგრამ ამის თაობაზე საისტორიო წყაროები არაფერს გვეუბნებიან.

არსებობს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც. კერძოდ, პ. კარბელაშვილი სამთავნელებში ასახელებს ქართლის რამდენიმე მთავარეპისკოპოსს, რომელთა სამთავნელობაც საისტორიო დოკუმენტებში არ ჩანს. ის წყაროდ უთითებს დ. ფურცელაძის ან პ. იოსელიანის ნაშრომებს. მართლაც, დ. ფურცელაძის გავლენით, რომელმაც, სავარაუდოდ, „სამთავროელის" და „სამთავნელის" იდენტიფიკაცია მოახდინა, ქართლის მთავარეპისკოპოსები: **ევდემონი (დიასამიძე)** (XVII ს. ბოლო), **რომანოზი (ერისთავი)** (XVIII ს. 30-იანი წწ.), **კირილე (ციციშვილი)** (XVIII ს. 30-70-იანი წწ.), **ბესარიონი (გოსტაშაბიშვილი)** და **იოასაფ (ყაფლანიშვილი)** (XVIII ს.), სამთავნელების ქრონოლოგიურ ნუსხაში შეიყვანა პ. კარბელაშვილმაც. ყველა ეს მღვდელმთავარი ცნობილია როგორც ქართლის მთავარეპისკოპოსი და მათ დ. ფურცელაძე ასეც მოიხსენიებს, მაგრამ დასახელებული ჰყავს სამთავნელებში.[102] ამასთანავე, პ. კარბელაშვილი წყაროს გარეშე ასახელებს კიდევ ორ მღვდელმთავარს: **მარკოზ** – 1752-1761 წწ. **(დედაბრისშვილი)** და **გერმანე** – 1766-1775 **(ქარუმიძე).**[103] ამ წლებში, მათი სამთავისის კათედრაზე მოღვაწეობა საისტორიო წყაროებით არ დასტურდება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთი ფაქტები ვერსად მოვიძიეთ.

ამრიგად, ჩვენი თვალსაზრისით, XVIII საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი დაახლოებით ასე გამოიყურება:

იოსებ (ყანჩაველი) – 1680-იანი წლების ბოლოდან – 1699 წლამდე და შემდეგ – 1713 წელი (სავარაუდოდ, XVIII ს. 20-იან წლებამდე).

[100] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 140.
[101] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 258.
[102] Д. Пурцеладзе. Грузинские церковные гуджари (грамоты), გვ. 51-52.
[103] სეასცა. ფონდი 1461. საქმე 17.

კვიპრიანე (არაგვის ერისთავის ძე) – 1699-1712 წწ.

პართენ – 1720-იანი წლები.

ქრისტეფორე (ფალავანდიშვილი) – სავარაუდოდ, XVIII ს. 20-30-იან წლებს შორის – (?) (XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის 10-იან წლებში ქრისტეფორე ქართლის მთავარეპისკოპოსია. 1719 წელს ქვათახევის წინამძღვარი).

ათანასე (ამილახვარი) – სავარაუდოდ, XVIII ს. 20-იანი წლების ბოლოდან 1735 წ-მდე.

ზებედე – 1738-1739 წწ.

. . . . .

ბენედიქტე (ბენედიკტე) – 1747-1759 წწ. (XVIII ს. 40-50-იანი წლები).

ფილიპე (გურამიშვილი) – 1762 წ.

გიორგი (ქარუმიძე), კანდელაკი – XVIII ს. 60-იანი წწ.

არსენ (საყვარელიძე) – XVIII ს. 60-იანი წლების ბოლოდან 70-იანი წლების დასაწყისი (მანამდე, 30-40-იან წლებში ის ქართლის მთავარეპისკოპოსია).

პაისიოს (გარსევანიშვილი) – 1776-1787 წწ. (XVIII ს. 70-80-იანი წლები, შემდეგ – 1787-1801 წწ. ქართლის მთავარეპისკოპოსი).

იულიოს – 1787-1789 წწ. (XVIII ს. 80-იანი წლების ბოლო).

მიხაილ – 1790 წელი.

იოანე (ქარუმიძე) (სამთავნელი, (?) წლები უცნობია, შემდეგ – 1802-1803 წწ. ქართლის მთავარეპისკოპოსი) – (გარდ. 1804 წ.).

გერვასი (მაჭავარიანი) – 1791-1817 წწ. (გარდ. 1817 წ.).

Maia Shaorshadze
Senior Researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

CHRONOLOGICAL SEQUENCE OF SAMTAVISI BISHOPS IN 18TH CENTURY

Summary

Holy Priest Polievktos Karbelashvili made great contribution to identification of the chronological sequence of Samtavisi Bishops of 18th century, though his unpublished lists require comparison and more accurate specification.

In late 17th-early 18th centuries, two bishops ruled Samtavisi Cathedra – Ioseb Kanchaveli and Kvipriane Samtavneli (from the family of Aragvis Eristavi). The studies showed that Kvipriane ruled the cathedra in 1699-1712 and Ioseb Kanchaveli – from 1680 to 1699 and further – in 1713 (in the work published by G. Jandieri, the latest chronological limit for Ioseb Kanchaveli is 1699, but in the document of 1713, he is again mentioned as Samtavneli).

Other Samtavneli bishops were: Parthen – 1720s, Christephore (Palavandishvili) – (probably between 20s and 30s of 18th century) and Athanase – from late 20s of the 18th century to 1735.

In the present article the issue of identity of Parthen Samtavneli and Parthen (Parthenoz) Kharchashneli was studied. It became clear that these two bishops performed their activities at different cathedrae, in different periods of the 1st half of 18th century. As for Parthen Samtavneli, ethnically Greek, he arrived to Georgia where he stayed and continued his activities there.

In addition, with the help of a document unknown before, found in the National Archive of Georgia, it became evident that in late 30s of 18th century, Samtavisi Cathedra was ruled by Zebede Samtavneli (1738-1739) while the other historical sources say nothing about this. Later annexes on the same deed show that Arsen Sakvarelidze was Bishop of Samtavisi as well.

Chronological sequence of the 2nd half of 18th century therefore was as follows: Benedict (Benedikte) – 1747-1759, Philipe (Guramishvili) – 1762,

Giorgi (Karumidze), Kandelaki – 60s of 17th century, Arsen (Sakvarelidze) – from late 60s of 18th century to early 70s, Paisios (Garsevanishvili) – 1776-1787, Iulios – 1787-1789, Mikhail – 1790, Ioane (Karumidze), date is uknown (Samtavneli and further Archbishop of Kartli, deceased in 1804) and Gervasi (Machavariani) – 1791-1817.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ზაზა აბაშიძე
დირექტორი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ვლადიმერ კეკელია
მეცნიერ-თანამშრომელი,
კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

რამდენიმე დოკუმენტი იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან*

ქ. სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულ იოანე ბატონიშვილის კოლექციაში – ფონდი 941 (фонд 941 оп. 2) 157 ერთეული ინახება. მათ შორის 4 ერთეული (№154-157) ქართული ხელნაწერების შესახებ არსებული აღწერილობებია, 47 ერთეული (№107-153) სხვადასხვა, შერეული ტიპის მასალაა: ლექსები, რეცეპტები, თხზულებები, ამონაწერები. საკუთრივ დოკუმენტური მასალა 106 ერთეულია (№1-106).

დოკუმენტებს შორის წარმოდგენილია როგორც იურიდიული აქტები, ასევე ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელთა პირადი მიმოწერა. აღნიშნული მასალა ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ისტორიის შესასწავლად პირველხარისხოვან წყაროებს წარმოადგენს.

დოკუმენტებზე მუშაობის საბოლოო მიზანი რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების კორპუსის პუბლიკაციაა.

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (FR-22-24246) „რუსეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს შესახებ დაცული დოკუმენტების კორპუსი“-ს ფარგლებში.

წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე მათგანს წარმოავდგენთ.

№45 (941-2) დარეჯან დედოფლის წერილი გრაფ |პანინს|. სთხოვს უშუამდგომლოს იმპერატორთან ქართლ-კახეთის სამეფოზე მისი შვილების უფლებების დამტკიცების თაობაზე.


„ბრწყინვალეო გრაფო

მოწყალეო ხელმწიფევ

გერმან ჩემმან მეფემან საქართველოისამან გიორგი ირაკლის | ძემან სამართალი მემკვიდრეობის ძმათა ზედა ჩამოსარიგებელი ნეტარ|სახსოვრისა მეფისა მეფისა მეუღლისა ჩემისაგან ძეთადმი თვისთა| დატოვებულ, თვითხსენებული სამეფისა გიორგისაგან დამტკიცებულ, | მოშალა და ჩვენის მალვით დიდებულ სხელმწიფესთან მემკვიდრ|ეობა ძესა თვისსა დავითს გაურიგა: –აწ ზემოხსენებულ მეფე | სასტიკ სასნეულებასა შინა იმყოფება დამეშინის რათა ზედხსენებუ|ლ სამართალ ძეთა ჩემთა არა დაეკარგოს, და საქმესა ამას ზედა გავბედე| ყ(ოვლა)დ უკნინესისა არზისა ჩემისა მორთმევა **მისის იმპერატორ|ების დიდებულებისადმი**; რომელცა წერილსა ამასთან ამიახლ|ებია ბრწყინვალებისა თქვენისათვის. და რადგან კეთილსულობა | თქვენი შორიდან მიცნიეს, და ესევითარნიცა საქმენი თანამდებობასა | თქუენსათვის ეყვიან, ამისთვის გთხოვთ რათა აღირჩიოთ ჟამი | კეთილ, და უკნინესი არზი ესე ჩემი მათს **დიდებულებას** მიმი|რთოთ, და კეთილსა დროსა მოწყალებითი საპასუხისა გამოსატანი| შუამდგომელობაცა თქუენი არა დაუტევოთ, რომლითაცა შეკრულ| მვყოფ მე და ძეთა ჩემთა სამარადისოდ ერთგულებისადმი თქვ|ენისა“.

აგვისტოს, 25 დღესა
1800 წელსა
ტფილისს


თქვენის ბრწყინვალებისა
მოწყალისა ხელმწიფისა
სამსახურის მონადე
საქართველოს დედოფალიდარია
[ახლავს ბეჭედი]



წერილის თანახმად დარეჯან დედოფალი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიდან დავით გიორგის ძის ჩამოშორებას ცდილობდა, დახმარებას კი რუსეთს იმპერატორს სთხოვდა.

პარალელურად მოქმედებდა უფლისწული დავითიც. 1801 წლის 10 იანვრით დათარიღებულ წერილში **(№69 (941-2 წერილის პირი))** იგი სერგეი ლაზარეს ძე ლაშქარევს წერდა:

„... ბიძა ჩემებს წიგნი აქვსთ გაკეთებული კნორინგის სახელზედ. დადიან ქართლის ხალხს აფიცებენ... ბუნტობენ. რადგან ეს ქვეყანა იმპერატორს შესწირა მამა ჩემმა, ახლა თქვენ უნდა იზრუნოთ ამის წახდენისთვისაც და გაკეთებისთვისაც. წყალობას ვითხოვ უბრძანოთ აქ მყოფ ღენერალს ეს ბუნტი დააცხროს და დამიჯეროს ხოლმე კიდეც...“



ქართლ-კახეთიდან გაგზავნილი მსგავსი შინაარსის წერილების პასუხად პეტერბურგიდან გიორგი XII ქვრივის, დედოფალ მარიამის სახელზე წერილი გამოგზავნეს **(№3 (941-2))**.


«Светлейшая Царица Мария Георгиевна!

Известясь о кончине любезнаго Супруга Ва|шего Его Высочества Царя Георгия Ираклиевича | и Всемилостивейше входя въ оное печальное | ваше положение, обещаем вам продолжение | Нашей Императорской милости и доставле|ние пристойнаго Вашему Высочеству благоден|ственнаго состояния, которое не оставим Ее | на самом деле изъявить по возвращении | ко двору Нашему Князей Авалова и Палаван|дова. В чем уверяя Ваше Высочество |

пребываем Нашею Императорскою милос|тию благосклонны. Павел

С. Петербург

Январь 19 дня 1801 года».



მარიამ დედოფლისადმი გამოგზავნილი წერილით იმპერატორმა პავლემ უფლიწულ დავით გიორგის ძისა და დედოფალ დარეჯანის თხოვნების ღია იგნორირება მოახდინა, მით უმეტეს, რომ იმავე წლის 18 იანვარს უკვე გამოცემული იყო 16 თებერვალს თბილისში წაიკითხული მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან მიერთების შესახებ, რომლის აღსრულებასაც ხელი იმპერატორის გარდაცვალებამ შეუშალა.

Zaza Abashidze
Director,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Vladimer Kekeklia
Researcher,
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

SEVERAL DOCUMENTS FROM THE COLLECTION OF PRINCE IOANE BAGRATIONI

Summary

The collection of Prince Ioane of Georgia, stored in the Russian National Library in St. Petersburg – collection 941 (фонд 941 оп. 2), contains 157 units. Of these, 4 units (No. 154-157) are descriptions of Georgian manuscripts, 47 units (No. 107-153) are various, mixed types of materials: poems, recipes, essays, extracts. The documentary material itself makes up 106 units (No. 1-106).

The documents include both legal acts and personal correspondence of representatives of the Bagrationy dynasty. The mentioned material is an important source for studying the history of the last years of the Kartli-Kakheti Kingdom. The final goal of the work on the documents is the publication of the corpus of documents on Georgia stored in the Russian National Library.

In the presented work we publish some of them.

• №45 (941-2) Letter from Queen Darejan to Count [Panin]. She asks him to address the Emperor directly regarding the confirmation of his children's rights to Kartli-Kakheti Kingdom;

• №69 (941-2) Letter from Prince David to Sergei Lazarevich Lashkarev about his uncles, the sons of Tsar Irakli II, wanting to raise an uprising among the people;

• №3 (941-2) Letter from Emperor Paul I to Kartli-Kakheti Queen Mariam dated January 19, 1801.

By sending a letter to Queen Mariam, Emperor Paul openly ignored the requests of Prince David and Queen Daredjani. On January 18, 1801, a manifest on the annexation of Kartli-Kakheti Kingdom to Russia was already published, which was read in Tbilisi on February 16. The manifest did not enter into force due to the death of Emperor Paul I.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ალექსანდრე ბოშიშვილი
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

„უზაფხულო წელიწადი“ ევროპაში – გერმანიიდან კავკასიაში ხალხის გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი

გერმანელების მიერ XVIII და განსაკუთრებით XIX საუკუნეში სამშობლოს დატოვებასა და შორს გადასახლებას, თავისი პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და პირადი მიზეზები განაპირობებდა.[1] იმდროინდელ გერმანულ სახელმწიფოებს ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ტოვებდა. ისინი ამერიკასა და რუსეთში მიემგზავრებოდნენ.[2]

რუსეთის იმპერიაში გერმანელების გადასახლებას ხელი შეუწყო იმპერატრიცა ეკატერინე II-ის (1762- 1796 წწ.) 1762 და 1763 წელს გამოცემულმა სპეციალურმა მანიფესტებმა,[3] რომელთა მიხედვითაც, რუსეთში უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან იწვევდნენ ხალხს და მინასა და მეურნეობის მოწყობაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. მალე მდინარე ვოლგასთან პირველი გერმანული დასახლებაც გაჩნდა. გერმანელებთან ერთად

[1] დაწვრილებით, იხ. K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, Published by American Historical Society of Germans from Russia. Lincoln, Nebraska. 1982, გვ. 24-29 და სხვ.

[2] კავკასიაში გერმანული კოლონიები ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევრის ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა. გერმანელების კოლონიებისა და მათი ყოფის შესახებ ნაშრომები ეკუთვნით: პაატა გუგუშვილს, გურამ მანჯგალაძეს, ავთანდილ სონღულაშვილს, ლევან ბრეგაძეს, გელა სულაძეს და სხვ. ქართველ ავტორებთან ერთად უნდა დასახელდეს უცხოელი ავტორებიც, რომელთაც კავკასიაში გერმანელების დასახლებისა და შემდგომი ბედის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები და დაკვირვებები აქვთ: ფრიდრიხ პეროტი, კარლ შტუმპი, პიოტრ ბასიხინი, სუდაბა ზეინალოვა, დაფნე შპრინგჰორნი და სხვ. დასახელებული ავტორების ნაშრომებში ამ ვრცელი საკითხის შესახებ შესაძლებელია ამომწურავი მასალის მოძიება.

[3] იხ. Полное собрание законов Российской империи. С 1649 года. Т. XVI. С 28 июня 1762 по 1764. СПб. 1830, №11720, გვ. 126; №11880, გვ. 313.

რუსეთში მიდიოდნენ ფრანგები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები. რუსეთის იმპერიაში დასახლების მსურველებს ხელისუფლება გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ახლად დამკვიდრებულ ე.წ. კოლონისტებს სახელმწიფო ფონდიდან ეძლეოდათ მიწა, მეურნეობის მოსაწყობად ბიუჯეტიდან გამოეყოფოდათ საკმაო თანხები, მათზე არ ვრცელდებოდა რუსეთის იმპერიაში არსებული ბატონყმობა, 100 წლის განმავლობაში გათავისუფლებული იყვნენ სამხედრო ვალდებულებისგან და სხვ.[4]

მეცნიერთა ნაწილი გერმანელების ამიერკავკასიაში გადმოსახლებას უფრო მეტად უკავშირებენ ნაპოლეონის ომებს, რომელთა დიდი ნაწილი გერმანიის ტერიტორიაზე წარმოებდა და ნადგურდებოდა ქვედა ფენები განსაკუთრებით და მათი მეურნეობა, ამან კი, მეცნიერების აზრით, ხელი შეუწყო ადგილობრივ მოსახლეობის აყრას და სამშობლოდან შორს გადასახლებას. პროფ. გურამ მანჯგალაძე მიიჩნევს, რომ გერმანელების მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზი არა ნაპოლეობის ომები, არამედ კაპიტალიზმის განვითარება იყო, რაც „გლეხთა მასების გაღატაკებას“ იწვევდა, ამის დასადასტურებლად იგი იმოწმებს ფაქტს, რომ გერმანიიდან ხალხის მასობრივი გადასახლება ნაპოლეონის ომებამდეც ინტენსიურად მიმდინარეობდა.[5] მეცნიერი დაწვრილებით აღწერს, გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარების მისეულ ხედვას და ბოლოს აღნიშნავს, რომ – გერმანიაში „კაპიტალიზმის განვითარება ფეოდალურ საბურველში იყო გახვეული“.[6] გერმანიაში კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა ფეოდალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისა და ამ უკანასკნელის მოსპობის გზით, არამედ ამ დრომოჭმულ წყობილებასთან პატარ-პატარა შეტაკებებისა და მასთან შეგუების გზით.[7]

პიეტისტები და „სეპარატისტები“

ნაპოლეონის ლაშქრობებმა მართლაც მთელი გერმანია გააღატაკა, მათ შორის, ყველაზე მეტად ვიურტემბერგის სამეფო, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის, შვაბების, ეკონომიკური გაჭირვების პარალელურად

[4] იხ. K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში. თბ. 1995, გვ. 4-5; ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა). თბ. 2024, გვ. 213-214.

[5] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ. 1974, გვ. 12.

[6] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 13.

[7] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 13.

ლუთერანულ ეკლესიაში წარმოქმნილი რელიგიური სექტებიც გააქტიურდნენ. მათ შორის იყო პიეტისტების“ ჯგუფი.

პიეტიზმი (ლათ. *pietas* – თანაგრძნობა, ღვთისმოსაობა) XVII საუკუნეში პროტესტანტიზმის წიაღში ჩამოყალიბდა. გერმანიაში მოძრაობას საფუძველი ფილიპ იაკობ შპენერმა (1635-1705) ჩაუყარა, მან 1670 წელს *Collegia pietatis* ჩამოაყალიბა: ეს იყო საერო პირების ჯგუფები, რომლებიც ახალი აღთქმის შესწავლისა და ურთიერთგანვითარების მიზნით იკრიბებოდნენ. შპენერის იდეალი იყო აქტიური, ბეჯითი (*pietas*), მკაცრ ზნეობაზე დამყარებული ქრისტიანობა. 1675 წელს გამოქვეყნდა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება *"Pia desideria"* ანუ ჭეშმარიტი, სახარებისეული ეკლესიის ცხოველი სწრაფვა ღმრთისათვის სასურველი გაუმჯობესებისაკენ“. ნაწარმოებში შპენერი ლუთერული ეკლესიის ნაკლოვანებებს (მოჭარბებული ბიუროკრატია, უთანხმოებები, ქონების უსამართლო განაწილება და სხვ.) ამხელდა და მათი გამოსწორების შესაძლო გზებს მიუთითებდა: ბიბლიის მეტად ფართოდ გავრცელება, საყოველთაო მღვდელმსახურების აღდგენა (საეროების თანამშრომლობა მოძღვრებთან), მწვავე პოლემიკაზე უარის თქმა, ქრისტიანულ სათნოებათა დამკვიდრება, მოძღვრების შესწავლა და სხვა. პიეტიზმს, როგორც „განახლების“ მოძრაობას, განცალკევებული ეკლესიები არ შეუქმნია, ეს იყო მრავალი დინებისა და მიმართულების მომცველი მოძრაობა.[8]

პიეტისტები ვერც სასულიერო და ვერც საერო ხელისუფლებასთან საერთო ენას ვერ პოულობდნენ. მალე, პიეტისტებს შორის უფრო რადიკალური მიმართულებები გაჩნდა. შიდა დაპირისპირების შედეგად წარმოიქმნა თავისი აქტიურობით გამორჩეული ე.წ. „სეპარატისტების“ ჯგუფი.[9] გერმანიაში XIX საუკუნეში გააქტიურებული რელიგიური მოძრაობები, განსაკუთრებით კი პიეტისტების „სეპარატისტები“, ხელისუფლებისგან სასტიკად იდევნებოდნენ.

პიეტისტების მოძრაობა ყველაზე მეტად ვიურტემბერგში, ბადენში, ბავარიასა და შვეიცარიაში იყო გავრცელებული. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოახლოვებული იყო სამყაროს აღსასრული. ამის შესახებ ჯერ კიდევ

[8] იხ. პ. პეტროზილო. ქრისტიანობის ლექსიკონი. იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა. რედ. მერაბ ღაღანიძე (სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი. ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი). თბ. 2011, გვ. 434; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; და სხვ

[9] იხ. ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; ლ. ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე. თბ. 2010, გვ. 7.

იოჰან ალბრეჰტ ბენგელი (1687-1752 წწ.) და სხვები ქადაგებდნენ. პიეტისტების აზრით, გერმანელებისთვის თავის გადარჩენა სამშობლოდან შორს იყო შესაძლებელი, იერუსალიმში, ან კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს, იმ ადგილას, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა.[10] ამასთან, ნაპოლეონის ომებისგან შეწუხებულნი, ისინი ნაპოლეონს „ანტიქრისტედ“ და „შავ ანგელოზად“ მიიჩნევდნენ, რომელიც უპირისპირდებოდა „თეთრ ანგელოზს“, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს. 1815 წელს ნაპოლეონის ელბადან დაბრუნება ახალ ბრძოლებს მოასწავებდა და, ბუნებრივია, „სეპარატისტებში“ დიდ შეშფოთებას იწვევდა ეს ყველაფერი.[11]

სწორედ მსგავსი ქადაგებები და, ამასთანავე, ხელისუფლების მიერ მათი შევიწროვება გახდა რუსეთის იმპერიასა და ამერიკაში მასობრივი მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი. „სეპარატისტებმა“ გადმოსახლებამდე კავკასიაში სპეციალურად მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები, რომელთაც მათი დასახლებებისთვის ხელსაყრელი ადგილების შერჩევა ჰქონდათ დავალებული.[12]

ვულკან ტამბორას ამოფრქვევა და მისი შედეგები

სამყაროს მოახლოვებული აღსასრულის შესახებ ქადაგებებს დაემატა 1816 წლის მოუსავლიანი წელი ევროპაში და სურსათის დიდი კრიზისი. 1816 წლის ზაფხული განსაკუთრებულად ცივი გამოდგა დასავლეთ ევროპისა და ამერიკისთვის. ივნისში, ივლისსა და აგვისტოშიც კი თოვდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ვერც მინის დამუშავება და ვერც მოსავლის მოყვანა. მოუსავლიანობამ ფასების თითქმის ათჯერ გაძვირება გამოიწვია, რასაც შიმშილი და სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაც მოჰყვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ყველაფერი 1815 წლის აპრილში ინდონეზიაში ვულკან ტამბორას ამოფრქვევას უკავშირდება, რის შედეგადაც ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა რამდენიმე თვეში ტონობით ვულკა-

[10] იხ. U. Gäbler. Johann Albrecht Bengel und seine Nachwirkungen. In: Martin Brecht: Geschichte des Pietismus. Vandenhoeck & Ruprecht. Göttingen. 2000, გვ. 33- 36; ასევე, ვ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტ. I. თბ. 1949, გვ. 670; T. Чернова-Дёке. Позиция и роль А. П. Ермолова в становлении немецких колоний в Закавказье. Отечественая история. М. 2008, №1, გვ. 21; Т.Н. Чернова-Дёке. Немецкие поселения на Кавказе. 1816–1914 гг. «Вопросы истории». 2010. №3. გვ. 92–105.

[11] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 22; იხ. ასევე, K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

[12] П. Басихин. Немецкия колонии на кавказе. «Кавказский вестник». Ежемесячный научно-литературный журнал. №1. Тб. 1900, გვ. 14; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5.

ნური ფერფლის ხშირმა ღრუბელმა და ფარა. დამყარდა ე.წ. „ვულკანური ზამთარი“. 1816 წელს „უზაფხულო წელსაც“ ეძახიან.[13]

რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაში, გერმანელების გადასახლების შესახებ დაწვრილებით საუბრობს კარლ შტუმპი, იგი აღნიშნავს, რომ ხალხის გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ 1816 წლის ცივი და მოუსავლიანი წელი იყო. იგი მოვლენას უფრო ეკონომიკურ ნაწილზე აკეთებს აქცენტს. მოვლენამ რომ გავლენა მოახდინა სამშობლოს დატოვების შესახებ გერმანელების გადაწყვეტილებაზე, ეს ხაზგასმულია. თუმცა არ არის აღნიშნული მოუსავლიანი წლის გამომწვევი მიზეზის შესახებ. ასევე, კარლ შტუმპი არ მიუთითებს, თუ რამდენად შეიძლებოდა რელიგიური კუთხით გამხდარიყო ეს მოვლენა ხალხისთვის სამშობლოს დატოვების მიზეზი. კარლ შტუმპი აღნიშნავს, რომ ცუდმა ამინდებმა 1816 წელს გამოიწვია მოსავლის დიდი დეფიციტი და უკმარისობა. პირუტყვის ორი მესამედი ან დაიღუპა ან საკვებად გამოყენების მიზეზით დაკლეს. ხალხი პურის გამოსაცხობად იყენებდნენ ხის ქერქებს, ჩალასა და ქატოს. გაჭირვებული მოსახლეობა ბალახსა და თივას ხარშავდა და იმას ჭამდა.[14] დრამატულად არის აღწერილი, მთელი წლის შესახებ, შტუმპი აღნიშნავს, რომ – 1816 წელს *„ამინდი იყო არანორმალურად ცუდი და დამანგრეველი. ახალი წლის დღეებში ისე ცხელოდა, როგორც ზაფხულში. ხოლო მარტში ისეთი ჭექა-ქუხილი იყო, როგორც ივნისში. მაისში ისე ციოდა, როგორც თებერვალში ცივა ხოლმე. ჭები ისე იყო გაყინა, რომ წყალი ვერ მოიპოვებოდა. ივნისში დაიწყო წვიმა, რომელიც არ დასრულებულა და მთელი მარცვალი მინდორში დალპა. ივლისში სეტყვამ ყველაფერი გააფუჭა...“* და აშ.[15]

გადასახლებისთვის მზადება

შექმნილმა სურათმა, როგორც ჩანს, გერმანელებში კიდევ უფრო გაამძაფრა სამშობლოს დატოვების სურვილი, ამ საქმეში მათ რუსეთის იმპერატორის დახმარების იმედი ჰქონდათ. „სეპარატისტების“ გადასახ-

[13] ამ მოვლენის ახსნა XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა ფიზიკოსმა და ატმოსფეროს მკვლევარმა უილიამ ჰამფრისმა მოახერხა (იხ. W. J. Humphreys. Volcanic dust and other factors in the production of climatic changes, and their possible relation to ice ages. Bull. Mount Weather Obs. №6, 1913, გვ. 1-34; Tambora and the "Year Without a Summer" of 1816. A Perspective on Earth and Human Systems Science. Oeschger Fentre for Flimate Fhange Research. Institute of Geography, University of Bern, Switzerland. 2016.

[14] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

[15] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

ლებას მხარს უჭერდა ვიურტემბერგის მეფე ფრიდრიხ I-ც (1806-1816 წწ.). მან რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.) სთხოვა, „სეპარატისტებისთვის“, რომელიც ოფიციალურ ეკლესიას განუდგნენ და არეულობის მიზეზი იყვნენ, რუსეთის იმპერიაში დასასახლებელი ადგილი გამოეძებნა. ალექსანდრეც დაჰპირდა, რომ მათ რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე დაასახლებდა.[16]

ამ პროცესების პარალელურად საქართველოდან ალექსი ერმოლოვმა 1816 წლის 31 დეკემბერს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველს, კოზოდავლოვს, მიმართვა გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც, ის რუსეთის იმპერიის ტერიტორიებიდან საქართველოში 30 გერმანელი ოჯახი ჩამოსახლებას ითხოვდა. რუსეთის საიმპერატორო კარი, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ გერმანელები უკეთ დაამუშავებდნენ მიწას, განვითარდებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგი, რითაც სახელმწიფო ხაზინის შემოსავალიც გაიზრდებოდა.[17]

გერმანელების კავკასიაში დასახლება

გერმანიაში რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლების მსურველები ქალაქ ულმში იკრიბებოდნენ, მალე შვიდი ათასი ადამიანი შეგროვდა. სანამ ისინი ჩამოსახლებაზე რუსეთის იმპერატორის ოფიციალურ დასტურს ელოდნენ, „სეპარატისტების“ წარმომადგენლებმა რუსეთის საკონსულოსაც მიმართეს. კონსულმა პასუხისთვის მოცდა ურჩია, მაგრამ გადმოსახლების მსურველ გერმანელთა ერთი დიდი ნაწილი რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ ნებართვას აღარ დაელოდა და 1817 წელს კავკასიისკენ გამოემართა. მათი მგზავრობის აჩქარებას რელიგიურმა შეხედულებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. რუსეთის კონსულმა გერმანელებს ხმელეთის გზით მგზავრობა ურჩია, მაგრამ მათ მდინარე დუნაი არჩიეს, რადგან მგზავრობა ასე უფრო იაფი ჯდებოდა.[18] რეგენ-

[16] იხ. П. Басихин. Немецкия колонии на кавказе, გვ. 14; პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 670; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; ლ. ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე, გვ. 8.

[17] Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК). Архив главного управления Наместника Кавказа. Издан под редакцией председателя комиссии дсс. А. Д. Берже. Том VI. Часть I. Тифлис, 1869, გვ. 313.

[18] შ. ქუთაძე. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის. „მაცნე“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. №4. თბ. 1967, გვ. 113; იხ. ასევე, K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the years 1763 to 1862.

სბურგის, ვენისა და ბელგრადის გავლის შემდეგ გერმანელები ქალაქ იზმაილში მივიდნენ, სადაც 40 დღე გაჩერდნენ. იზმაილიდან ქალაქ ოდესაში გადავიდნენ და იქ ელოდებოდნენ იმპერატორის ნებართვას კავკასიაში გამოსამგზავრებლად.[19]

საბოლოოდ, საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ ალექსი ერმოლოვს დაევალა, რომ გერმანელები ქალაქ ოდესიდან საქართველოში ნაწილ-ნაწილ გადმოეყვანა და სადაც მოისურვებდნენ იქ დაესახლებინა. პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მათი დასასახლებელი ადგილების შერჩევა. დადგინდა გერმანელების სამგზავრო მარშრუტიც, რომელიც ხმელეთის გზით წარიმართა: ოდესა – ხერსონი – ტაგანროგი – როსტოვი – გეორგიევსკი – მოზდოკი – თბილისი. მგზარობის ეს მიმართულება გენერალმა ინზოვმა შეარჩია.[20] დაახლოებით სამთვიანი მგზავრობის შემდეგ, გერმანელებმა საქართველომდე მოაღწიეს.

1817-1820 წლებში ჩამოსახლებული კოლონისტების 53% გადმოსახლების მიზეზად შიმშილს ასახელებდა. მხოლოდ 21% – რელიგიურ ოცნებებს, დანარჩენებმა კი შრომის მოწყობის უკეთესი პერსპექტივები დაასახელეს. ამ მაჩვენებლითაც ნათელია, რომ გერმანიის დატოვების უპირველესი მიზეზი, სწორედ „უზაფხულო წელიწადის“ მიერ გამოწვეული შიმშილი და ეკონომიკური გაჭირვება იყო.

პირველი კოლონიები საქართველოში

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, საქართველოს გუბერნიაში (რუს. «Грузинская губерния»), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, მოიცავდა განჯის მხარესაც, საწყის ეტაპზე 1817-1820 წლებში ვიურტემბერგიდან გადმოსულმა გერმანელებმა რვა[21] დასახლება მოაწყვეს – ალექსანდერსდორფი, ანენფელდი, ელისაბეთთალი, ჰელენენდრორფი, კატერინენფელდი, მარიენფელდი, პეტერსდორფი და ნოიტიფლისი.[22]

---

[19] იხ. პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 670-671; შ. ქუთიძე. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 113; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 6. АКАК. Том VI. Часть I, გვ. 317; და სხვ.

[20] АКАК. Том VI. Часть I, გვ. 316, 320-321

[21] აქედან ორი (ელენენდორფი და ანენფელდი) განჯის მაზრაში.

[22] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 99, 942-951; ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა), გვ. 221-234.

ამრიგად, გერმანელების კავკასიაში გადმოსახლებას არაერთი მიზეზი განაპირობებდა, მათ შორის უმთავრესი კი ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. 1816 წელს ევროპაში გამოწვეული შიმშილი კი ნაპოლეონის ომების გარდა, ვულკან ტომბორას ამოფრქვევამ და ამის გამო შექმნილმა კლიმატურმა ცვლილებებმა მოიტანა, კონკრეტულად კი ამით გამოწვეული „უზაფხულო“ და მოუსავლიანი წელი იყო.

Aleksandre Boshishvili
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

"YEAR WITHOUT A SUMMER" – ONE OF THE PROBABLE REASONS FOR THE EMIGRATION OF PEOPLE FROM GERMANY TO THE CAUCASUS

Summary

The Germans left their homeland and emigrated far away in the 18th and especially the 19th centuries for political, religious, economic and personal reasons. Thousands of people left the German states of that time every year. They went to America and Russia.

The emigration of Germans to the Russian Empire was facilitated by special manifestos issued by Empress Catherine II (1762-1796) in 1762 and 1763. People from various foreign countries were invited to Russia and promised assistance in land and farming. Soon the first German settlement appeared on the Volga River. Along with the Germans, the French, Swiss, and Dutch came to Russia. The authorities placed those wishing to settle in the Russian Empire in a somewhat privileged position. The newly settled colonists were given land from the state fund, and sufficient funds were allocated from the budget for farming. They were not subject to serfdom in the Russian Empire, and were exempted from military service for 100 years, etc.

Napoleon's campaigns impoverished all of Germany, including the Kingdom of Württemberg. Where, in parallel with the economic hardship of the local population (the Swabians), religious sects that emerged in the Lutheran Church also became active. Among them was the "Pietist" group.

The Pietists could not find common ground with either the clerical or secular authorities. Soon, more radical trends emerged among the Pietists. As a result of internal conflict, a group of so-called "separatists" emerged, distinguished by their activity. Religious movements that became active in

Germany in the 19th century, especially the "separatists" of the Pietists, were brutally persecuted by the authorities.

The Pietist movement was most widespread in Württemberg, Baden, Bavaria, and Switzerland. They believed that the end of the world was near.

According to the Pietists, the only way for Germans to save themselves was far from their homeland, in Jerusalem, or in the Caucasus, near Mount Ararat, where Noah's Ark had come to rest. They were also troubled by the Napoleonic Wars. They saw Napoleon as the "Antichrist" and the "Black Angel" who opposed the "White Angel", the Russian Emperor Alexander I. Napoleon's return from Elba in 1815 would herald new battles, and naturally this caused great concern among the "separatists".

The preaching of the end of the world was supplemented by the poor harvest of 1816 in Europe and a great food crisis. The summer of 1816 was exceptionally cold for Western Europe and America. It even snowed in June, July, and August. Consequently, it was impossible to cultivate the land or grow crops. The poor harvest caused prices to increase almost tenfold, which led to famine and the spread of various diseases. As it turned out later, all this was connected with the eruption of the Tambora volcano in Indonesia in April 1815. As a result, Europe and North America were covered with a dense cloud of tons of volcanic ash for several months. The so-called "volcanic winter" was established. 1816 is also called the "Year Without a Summer".

Karl Stumpp talks in detail about the emigration of Germans in the Russian Empire, including the Caucasus. He notes that one of the reasons for the emigration of people was the cold and bad year of 1816. He focuses on the economic aspect of the event. It is emphasized that the event influenced the decision of the Germans to leave their homeland. However, the cause of the bad year is not mentioned. Karl Stumpp writes that the bad weather in 1816 led to a large shortage and failure of the harvest. Two-thirds of the livestock either died or were slaughtered for food. People used tree bark, straw and bran to bake bread. The impoverished population boiled grass and hay and ate it. He describes the whole year in a dramatic way, Stumpp notes that in 1816 "the weather was abnormally bad and destructive. On New Year's Day it was as hot as in summer. And in March there were thunderstorms like in June. In May it was as cold as in February. The wells were so frozen that water could not be obtained. In June it began to rain, which did not end and all the grain rotted in the fields. In July hail spoiled everything..." and so on.

In Germany, those wishing to emigrate to the territory of the Russian Empire gathered in the city of Ulm, and soon seven thousand people gathered.

In 1817-1820, 53% of the colonists who settled in the years 1817-1820 named hunger as the reason for their emigration. Only 21% - religious dreams, and the rest named better prospects for finding work. This indicator also makes it clear that the primary reason for leaving Germany was precisely the hunger and economic hardship caused by the "Year Without a Summer".

The first colonies in Georgia:

According to the administrative division of the Russian Empire, the Georgian Governorate (Russian: «Грузинская губерния»), in addition to Eastern Georgia, also included the Ganja region. In 1817-1820, Germans who migrated from Württemberg founded eight settlements (Colonia) – Alexandersdorf, Annenfeld, Elisabethtal, Helenendorf, Katharinenfeld, Marienfeld, Petersdorf and Tifliser Kolonie (Neutiflis).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

გიორგი სოსიაშვილი
პროფესორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის ჩანაწერები სვანეთის 1875-1876 წლების აჯანყების შესახებ

ღარის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩანაწერის მიხედვით, ილია მაქარაშვილი 1854 წლის 1 ნოემბერს დაიბადა. მან სამხედრო განათლება მიიღო ჯერ კიევის ვლადიმირის გიმნაზიაში,[1] შემდეგ კი პავლოვსკის სასწავლებელში. მონაწილეობდა 1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომში. ახალგაზრდა ოფიცერს, სწორედ ამ ომში გამოუვლენია თავისი მხედრული მამაცობა. ამის შესახებ ილია მაქარაშვილის ცოლის ძმა გიორგი ჟურული წერს: „ართვინ-ბათუმის მხარეთა უთოფოთ ხელში ჩაგდება რუსების მიერ არ მომხდარა უცაბედად და მოულოდნელად. მას თავისი წინასწარი სამზადისი ჰქონდა და სწორედ ამ გარემოებამ გაადვილა იმ ადგილების დაჭერა. ვინაიდან ფსიქოლოგიური სიტუაცია უკვე მომზადებული იყო. Pპირველი ეტაპი, რომელმაც ხელი შეუწყო ამ გარემოებას, იყო არტაანის აღება. იმ რუსის ჯარში, რომელიც სამუსულმანო საქართველოს მიმართულებით იბრძოდა, თითქოს განგებ, მრავალი ქართველი მხედარი იყო განწესებული. იქნებ მართლაც განგებ მოიქცა ასე რუსის მთავარსარდლობა. Yყოველ შემთხვევაში ეს ფაქტია. ხსენებულ მიმართულებით მომქმედ რუსის ჯარს წილად ხვდა ერთი გადამწყვეტი გამარჯვება. როდესაც მათ ოსმალების მთელი ბანაკი, მრავალი ტყვეებით და დიდძალი ქონებით ხელთ იგდეს. არტაანის აღებასთან ერთად ეს ახალი გამარჯვება გადამწყვეტი შეიქნა სამუსულმანო საქართველოს კარგა დიდი ნაწილის უბრძოლველად შემო-

[1] http://cadet.org.ua/uploads/Kj_4.pdf აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე სამხედრო პირი (სოსნოვსკი, გურკოვსკი, კრივცოვი, ევრეინოვი, ბოგაევსკი, მანშტეინი), მათ შორის ილია მაქარაშვილი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი გახდა.

ერთებისათვის. ამ ბრძოლაში, ყველაზე უფრო მეტად, სამმა ქართველმა ისახელა თავი: პოლკ. მიხეილ ამირეჯიბმა (შემდეგში კორპუსის კომანდირი გახდა); იგი მაშინ „კოლონის“ უფროსად იყო და სწორედ მისი სარდლობით მოხდა იქ ოსმალების სრული დამარცხება. ამ გამარჯვებას მამაჩემმა[2] თავისი თვალით უყურა. როდესაც გენერ. კომაროვის შტაბთან ერთად ერთ მაღლობზე იმყოფებოდა... უნდა ითქვას, რომ ამირეჯიბის ეს მარჯვე იერიში საუცხოოდ იყო მომზადებული არტილერიის მიერ, სადაც ხელმძღვანელი როლი მიეკუთვნა კიდევ ორ ქართველს: პოლკ. დიმ. მუსხელიშვილს (შემდეგში საზოგადო მოღვაწე) და ახალგაზრდა ოფიცერს ილიკო მაქარაშვილს (შემდეგში გენ. ლეიტენანტი) დიმ. მუსხელიშვილმა ოთხი ზარბაზანი ჩააბარა მაქარაშვილს და უბრძანა დაუყოვნებლივ დაეჭირა წინ მდგომი მთა-გორიანი ადგილი, რომელსაც ოსმალები გამუდმებით ზარბაზნებს უშენდნენ. თვითონ კი, დანაშთენი არტილერიით გვერდიდან განაგრძობდა მტრის აწიოკებას. ილ. მაქარაშვილი თავისი ზარბაზნებით ქორივით აფრინდა მაღლობზედ და ოსმალებისთვის მოულოდნელად დაიწყო იქიდან მათკენ მარჯვედ სროლა. ოფიციალურ რელაციაში რუსის სარდლობამ აღნიშნა, რომ პროპ. მაქარაშვილმა ოთხი ზარბაზნით ოსმალების ორმოცი ზარბაზანი ჩააჩუმაო... ამნაირად ამ გადამწყვეტ დღეს გამარჯვება ხსენებული სამი ქართველის დამსახურება იყო და უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ სამივე, თავისი სამხედრო მოვალეობის აღსრულების დროს მოქმედებდნენ აგრეთვე, როგორც კარგი ქართველი პატრიოტებიც... ილ. მაქარაშვილი მაშინ სრულიად ახალგაზრდა, ოციოდე წლის ოფიცერი ტფილიში გავლით ყოფნის დროს, როდესაც ფრონტზედ მიემგზავრებოდა, ერთ-ერთ სამხედრო ექსპერტად იყო მინვეული იმ მასალის შემდგენად, რომელიც უნდა მოხსენებოდა უაღრესად საიდუმლო წრეს, ქართველ მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან რომ შესდგებოდა და საიდუმლოდ თათბირობდა: ესარგებლნათ თუა რა ომი, რომ აჯანყება მოეხდინათ და საქართველოს დამოუკიდებლობა აღედგინათ? ეს ამბავი პირადად მაქვს გაგონილი იმ თათბირის ერთი წევრისაგან ნიკო ცხვედაძისაგან.“[3] 39-საარტილერიო ბრიგადის შტაბსკაპიტანი ილია მაქარაშვილი ოსმალეთის წინააღმდეგ (დევე-ბოინუ) 1877 წლის 23 ოქტომბერს გამართულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის 1878 წლის 23 დეკემბერს, წმინდა

[2] იგულისხმება გიორგი ჟურულის მამა, ილია მაქარაშვილის სიმამრი, დურმიშხან ჟურული.
[3] გ. ჟურული. ბათუმ-აჭარის მხარეები (ფურცლები რვეულიდან). გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“. №144. პარიზი, 1935, გვ. 5). იგულისხმება გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი ნიკო ცხვედაძე (1845-1911 წწ.).

გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.[4] 1895 წლიდან ილია მაქარაშვილი 1 ბატარეის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1897 წლიდან 1 ბატარეის კავკასიის გრანადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური. 1898 წელს მომავალი გენერალი კავკასიის 1-ლი სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონის ხელმძღვანელი გახდა. 1902 წელს იგი მე-7 ნაღმტყორცნელ პოლკს ჩაუდგა სათავეში. 1904 წელს ილია მაკარაშვილი 67-ე საარტილერიო ბრიგადას, 1904 წლის ივლისიდან თურქესტანის 2-ე, შემდეგ კი 52-ე საარტილერიო ბრიგადას მეთაურობდა. ილია საყვარელას ძე მაქარაშვილმა 1882 წელს კაპიტნის წოდება მიიღო, 1895 წელს პოდპოლკოვნიკის, 1898 წელს პოლკოვნიკის, 1906 წელს გენერალ-მაიორის, 1910 წლის 15 ოქტომბერს კი მისი სამხედრო კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაგვირგვინდა.[5] რუსეთის იმპერატორის მიერ ილია მაქარაშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით. მათ შორის: წმინდა სტანისლავის (1877), წმინდა გიორგის 4-ე ხარისხის ორდენით(1878), ოქროს იარაღით (1878), წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით (1878), წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით, წმინდა ანას ორდენით (1886), წმინდა ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენით (1901).[6] ილია მაქარაშვილი გარდაიცვალა 1912 წელს. იგი მეუღლის მშობლიურ სო-

[4] https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213&lpg=PA213&dq=илия+макарашвили&source=bl&ots=4LD0YHbJKl&sig=ACfU3U2ReCkwfs1MHZqdl6zOVmpXFhldOQ&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwifqa_h85zhAhVOiqQKHbyjAYMQ6AEwBnoECAgQAQ#v=onepage&q=илия%20макарашвили&f=false

[5] http://regiment.ru/bio/M/160.htm; http://www.rusgeneral.ru/general_m.html; Gruzinskij generalitet (1699-1921). Biografičeskij spravočnik. Sostavil Mamuka Gogitidze. Kiev, 2001, გვ. 232. (Грузинский генералитет (1699-1921). Биографический справочник. Составил Мамука Гогитидзе. Киев. 2001, გვ. 232); http://petergen.com/sources/grugener.shtml; http://morpolit.milportal.ru/cobexiya-gabriel-oni-byli-geroyami-otechestvennoj-vojny-1812-goda/

6 http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили_Илья_Сакварелович; С. В. Волков. Генералитет Российской империи: Энциклопедический словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II. М. 2009. Т. II (Л-Я). გვ. 832; А. Л. Гизетти. Сборник сведений о Георгиевских кавалерах и боевых знаках отличий Кавказских войск. Под. ред. Генерал-майора Потто. Тифлис. 1901, გვ. 287, 158; Э. Э. Исмаилов. Золотое оружие с надписью «За храбрость». Списки кавалеров 1788-1913. М. 2007, გვ. 544; В. М. Шабанов. Военный орден Святого Великомученика и Победоносца Георгия. Именные списки 1769-1920. (Биобиблиографический справочник). М. 2004. გვ. 351; Списки кавалерам императорского военного ордена Святого великомученика и победоносца Георгия за боевые отличия. 26 ноября 1769 г. - 1 сентября 1880 г. СПб. Военная типография. 1880, გვ. 305; Список генералам по старшинству. Составлен по 10 июля 1910 г. СПб. 1910, გვ. 867, 37, 99; გ. სოსიაშვილი. მაქარაშვილების საგვარეულო და სოფელი არბო. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №20. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2021, გვ. 79-93); გ. სოსიაშვილი. ვინ იყო გენერალი ილია მაქარაშვილი. ჟურნ. „ისტორიანი“. №1(109), 2020, გვ. 20-23

ფელში, არბოში, წმინდა გიორგის ტაძარში დაკრძალეს, სადაც დღემდეა შემორჩენილი მისი ეპიტაფია.

სვანეთის 1875-1876 წლის აჯანყების შესახებ

1875-1876 წლებში სვანეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება, წინა ათწლეულებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცარიზმის უღლის გადასაგდებად ფეოდალური არისტოკრატიის, თუ დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლების შეურიგებელი გამოსვლების ერთგვარი გაგრძელება იყო. თავისუფლების მოყვარე სვანეთის მოსახლეობის გულისწყრომის მიზეზი თენგიზ დადეშქელიანის მიერ ბალსზემოთა სვანეთში ხაზინისთვის გადასაცემი სახელმწიფო მიწების აზომვის დაწყება გახდა.[7] ამას დაემატა პირუტყვის აღწერა, ასევე არაყსა, თუ თუთუნზე აქციზის დაწესება. სვანებმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს და კალაში, კვირიკეს სალოცავში დაიფიცეს. ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ სამხედრო შენაერთები გამოიყენა. ჩაკეტეს ბალის და ლაფტარის უღელტეხილები. სვანეთის სადამსჯელო ექსპედიციას გენერალი ერასტი ციტოვიჩი უდგა სათავეში, რომელიც თავისი რაზმით ლალხორში ჩავიდა. აჯანყების პირველი ეტაპი ყასბულათ შერვაშიძის და გინადრუყ ფარჯიანის ფიზიკური ლიკვიდაციით დასრულდა. დაატიმრეს ამბოხების მოთავენიც, რომლებიც ქუთაისის სატუსაღოში გამოამწყვდიეს. აჯანყების მესვეურთაგან სამი პიროვნება(გ. გასვიანი, ჩ. ჯოხაძე და შ. ქურდიანი) ვერ შეიპყრეს. ბეჩოში მყოფი ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი, მულახში შეიჭრა და შახუბათ ქურდიანის ვაჟები დაატიმრა. აჯანყების მთავარ ცენტრად სოფელი ხალდე იქცა. 1876 წლის 1აგვისტოს გრინევსკი სამხედრო შენაერთებით ხალდეში შევიდა და მოსახლეობას დანებებისკენ მოუწოდა, თუმცა უშედეგოდ. შეტაკებას ემსხვერპლა მაიორი ლეუსი.[8] ლეჩხუმის მაზრის უფროსმა ლალხორალში გადაინაცვლა, თუმცა იგი გასვიანებმა მოკლეს. მალე სვანეთის აჯანყების ჩასახშობათ რუსთა რეგულარული ჯარი ჩაერთო. აქ შედიოდა ალექსანდრეპოლის 161-ე ქვეითი პოლკის ოთხი ასეული, ქუთაისის გუბერნიის ქვეითი მილიციის ორი რაზმი, 39-ე საარტილერიო ბრიგადის სამთო ბატარეის ოცეული (სადაც მსახურობდა მომავალი გენერალი, ილია მაქარაშ-

[7] გ. გასვიანი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბ. 1985, გვ. 309.
[8] ნ. შოშიტაშვილი. ხალდეს აჯანყება (1875-1876). ჟურნ. „ისტორიანი", №2, 2012.

ვილი) მესანგრეთა ასეული, გურიის მილიციისა და ბეჩოს სამხედრო ნაწილის რაზმები. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ძალები ჩაერთვებოდნენ ყაბარდოდან (300 ქვეითი მილიციელის სახით).[9] ქუთაისთან კავშირის დასამყარებლად მოეწყო კაზაკთა ხუთი საგუშაგო. გენერალმა ციტოვიჩმა 1876 წლის 19 აგვისტოს ლატფარის უღელტეხილი გადალახა და ხალდეს მიადგა. თავადი თენგიზ დადეშქელიანი მთავრობის დასახმარებლად გამოყვანილი რაზმით შეუერთდა ციტოვიჩის ექსპედიციას. ხელისუფლების წარმომადგენლები ხალდეს შეფარებული აჯანყების მოთავეების გ. გასვიანის და ჩ. ჯოხაძის გადაცემას ითხოვდნენ, თუმცა მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. ხალდეს მაცხოვრებლებმა სოფელში არსებული 12 კოშკი გაამაგრეს და საბრძოლველად მოემზადნენ. რუსულმა სამხედრო ნაწილებმა 20 აგვისტოს ხალდესთან არსებული ადგილი-მიჯვრიშის დაიკავეს. სწორედ აქ მოაწყვეს საარტილერიო მოედანი სამთო ქვემეხებისთვის. როგორც მკვლევარი ნ. შოშიტაშვილი აღნიშნავს: „ალყის მოწყობა საბრძოლო ტაქტიკის ყველა წესით დაცვით მიმდინარეობდა, საფარი ზღუდეების, სანგრების, თხრილების ჩათვლით. ბრძოლის დაწყების წინ მტერმა ხალდელებს მოციქულები გაუგზავნა და დანებება მოსთხოვა. სოფელმა ულტიმატუმი არ მიიღო და ულმობელი ბრძოლაც დაიწყო. სწორედ ამ დღეებში, ხალხში იშვა სვანური... საგმირო-ჰეროიკული ფერხული-სიმღერა «გაულ გავხე».[10] 1876 წლის 21 აგვისტოს დილით დაიწყო იერიში, რომელიც 27 აგვისტოს აჯანყებულების შეპყრობით, ხალდეს აღებით და ამ უძველესი სოფლის სრული მოსპობით დამთავრდა. შეპყრობილ 8 კაცს სახელდახელო სამხედრო სასამართლომ სამუდამო კატორღა ან შორეულ მხარეში გადასახლება მიუსაჯა.[11] ხალდეს რუსულმა ხელისუფლებამ სახელი გადაარქვა და მას იფრალი უწოდა.

---

[9] ttps://www.samshoblo.org/repressiis_muzeumi.htm#ხალდეს%20აჯანყება%20სვანეთში%201875%201876

[10] ნ. შოშიტაშვილი, ხალდეს აჯანყება (1875-1876). ჟურნალი „ისტორიანი". №2. 2012; https://www.radiotavisupleba.ge/a/ოცდათორმეტი-კაცი-არმიის-წინააღმდეგ-ხალდეს-აჯანყების-დეტალები/30764388.html

https://www.samshoblo.org/repressiis_muzeumi.htm#ხალდეს%20აჯანყება%20სვანეთში%201875%201876

[11] აღსანიშნავია, რომ სასამართლოს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი სტეფან ლეიხტი საზოგადო დამცველის პოზიციიდან მიმართა აკაკი წერეთელმა. დიდმა ქართველმა პოეტმა რუსული კოლონიური ხელისუფლების მანკიერება ამხილა და დაპატიმრებულების გათავისუფლება მოითხოვა.

https://www.samshoblo.org/repressiis_muzeumi.htm#ხალდეს%20აჯანყება%20სვანეთში%201875%201876

ილია მაქარაშვილის ჩანაწერების შესახებ

გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის ჩანაწერები, საქართველოს ხელოვნების სასახლეში, კულტურის ისტორიის მუზეუმში ინახება. ხელნაწერი, რომელიც ტყავგადაკრულ ბლოკნოტშია მოთავსებული, რუსეთის იმპერიის სამხედრო ჩინოვნიკის მიერ გაკრული ხელით რუსულ ენაზეა შეასრულებული. აღნიშნული ჩანაწერები, ისევე როგორც ილია მაქარაშვილის ოჯახის შესახებ არსებული სხვა დოკუმენტები, საქართველოს ხელოვნების სასახლეს ილია მაქარაშვილის ძმის, კონსტანტინეს შვილთაშვილმა, აწ განსვენებულმა მერაბ მაქარაშვილმა გადასცა, რომელსაც ილია მაქარაშვილის ქალიშვილმა ირინა მაქარაშვილმა მემკვიდრეობით დაუტოვა სახლი (სოფ. არბოში) და ქონება. გენერლის ჩანაწერებში 39-ე საარტილერიო ბრიგადის ჩამოყალიბების ისტორიაა მოცემული. მისი ქრონოლოგია 1864-1878 წლებს მოიცავს. ხელნაწერს, დასაწყისში ახლავს ავტორის მიერ მიწერილი თარიღი-1885 წლის 23 ნოემბერი. ილია მაქარაშვილის დღიური 243 გვერდისგან შედგება. მისი შინაარსი მოკლედ დღიურის შესავალ ნაწილშია წარმოდგენილი: „მასალები 39-ე საარტილერიო ბრიგადის ისტორიის შესადგენად," თუმცა ჩანაწერებში მხოლოდ ბრიგადის ისტორიაზე არ არის საუბარი. დღიურებში აღწერილია სამხედრო ოპერაციები, მათი მიზეზების სამხედრო-პოლიტიკური ანალიზი. ძალზე საინტერესოა ჩანაწერების ავტორის დაკვირვებები რუსეთისა და ოსმალეთის, სერბეთის ტერიტორიაზე არსებული დაპირისპირების შესახებ.

გენერლის ჩანაწერებში წარმოდგენილია რუსეთის იმპერატორისადმი სამხედრო მინისტრის მიერ გაგზავნილი პატაკი, ასევე მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსის განკარგულება, სხვადასხვა სამხედრო ჩინოვნიკების პატაკების ასლები, ამონარიდები პატაკებიდან და სხვ. აღწერილია საარტილერიო ქვედანაყოფების საქართველოს ტერიტორიაზე (სვანეთი, ქუთაისი, ახალციხე და სხვა) განლაგების ადგილები. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ერზრუმის მიმართულებით სამხედრო ოპერაციის სამზადისი. ფრაგმენტულ ჩანაწერებში წარმოდგენილია ილია მაქარაშვილის შეხედულებები, რომლებიც საარტილერიო ქვედანაყოფების აღჭურვილობის განახლების და გადაიარაღების საკითხებს ეხება. აქვეა, იმპერატორის ბრძანებულების განმარტება; განხილულია ომამდელ პერიოდსა და საომარი მოქმედებების დროს ბრი-

გადის ბატარეების გადაადგილება, დისლოცირება, ასევე სამხედრო შენაერთების დაკომპლექტების საკითხები; წარმოდგენილია იმ ოფიცერთა სია, რომლებიც 1892-1902 წლებში ილია მაქარაშვილთან ერთად მსახურობდნენ. განხილულია ბრიგადის შიდაგანაწესი და დივიზიის მართვის საკითხები; მოცემულია საარტილერიო იარაღის ანალიზი; სამხედრო სამეურნეო ანგარიშები, ცხრილები, ხარჯთაღრიცხვები, ყაზარმის ნახაზები, რაც, ილია მაქარაშვილის მაღალ სამხედრო-ინჟინრულ კვალიფიკაციაზე მიუთითებს. გენერლის ჩანაწერებში გარკვეული ადგილი ეთმობა 1875-1876 წლის სვანეთის აჯანყებას. როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლებამ აღნიშნული ამბოხების ჩასახშობად რეგულარული სამხედრო შენაერთები გამოიყენა, მათ შორის 39-ე საარტილერიო ბრიგადის მეექვსე ბატარეის ქვედანაყოფი, სადაც ილია მაქარაშვილი მსახურობდა. მომავალი გენერალი მოვლენათა თვითმხილველი გახლდათ, ამიტომ მისი ცნობები(აქვეა წარმოდგენილი ამონარიდები სვანეთის სამხედრო-სადამსჯელო ექსპედიციის მონაწილე ჩინოვნიკების სიმონ კარტაშევის და კონსტანტინ ცუმპფორტის პატაკებიდან) კიდევ უფრო ფასეულია აღნიშნული საკითხის შესწავლის და დამატებითი ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის ჩანაწერი ხელნაწერი, რუსულ ენაზე

(სვანეთი)

სვანეთში არეულობასთან დაკავშირებით მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ[12] მეექვსე ბატარეის ერთი ქვედანაყოფის ქუთაისში[13] გაგზავნა საჭიროდ მიიჩნია. ტელეგრამა ...[14] ბორჯომიდან[15]? 2 ივლისი... იმ დროს, ქ. ქუთაისში გენერალ ციტოვიჩის[16] ხელმძღვანელობით (სვანეთის) რაზმის ფორმირება მიმდინარეობდა. აღნიშნული ქვედანაყოფი შტაბს-კაპიტან გრიგოროვის[17] ხელმძღვანელობით სპეციალური მატარებლით 1875 წლის 3 აგვისტოს საღამოს 8 საათზე გაემგზავრა[18] და ქუთაისში დილის 4 საათზე ჩავიდა. ქვედანაყოფის შემადგენლობაში 2 ფოიერვერკერი, 2 ოფიცერი, 50 რიგითი შედიოდა. ქვედანაყოფი სალაშქროდ 28 ყუთით (14 საპალნე), 22 საარტილერიო, 6 მზიდი, ოფიცერთა 2 და 1 საარტელო ცხენით გაემართა. რაზმი ქუთაისიდან 8 ივლისს გავიდა და ქვედანაყოფი 30 ივლისს(?) უკან დაბრუნდა.

მეექვსე ბატარეის მეთაურის პატაკი საარტილერიო ოლქის უფროსს.

(1875 წელი, 30 ივლისი, პატაკი №17)

სვანეთის რაზმის შემადგენლობაში შემავალი, მეექვსე ბატარეის

---

[12] იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II (1818-1881 წწ.)

[13] საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი, იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი.

[14] არ იკითხება...

[15] შავარაუდოდ უნდა ეწეროს ბორჯომი. ქალაქი და კურორტი აღმოსავლეთ საქართველოში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი.

[16] ერასტი სტეფანეს ძე ციტოვიჩი (1830-1898 წ.წ.) რუსი სამხედრო მოღვაწე ინფანტერიის გენერალი, 1874 წელს დაინიშნა პირველი ბრიგადის 41-ე ფეხოსანთა დივიზიის ხელმძღვანელად. 1875 წელს სწორედ მისი მეთაურობით გაიგზავნა სადამსჯელო სამხედრო რაზმი სვანეთში. Список генералов по старшинству, составлен по 1 января 1898 года. СПб. 1989, გვ. 75.

[17] ვერ დავადგინეთ.

[18] იგულისხმება თბილისიდან.

ქვედანაყოფი დღეს ბეჩოდან[19] გავიდა.

გვ. 42[20]

ლატალის[21] თემის სოფელში ჩასვლისას რაზმს კოშკებს შეფარებული, არეულობის გამომწვევი რამოდენიმე მოთავე უნდა შეეპყრო, რომლებიც შეთავაზებულ ნებაყოფლობით ჩაბარებაზე მტკიცე უარს აცხადებდნენ. საამისოდ, ქვედანაყოფმა პოზიციის დაკავების და ცეცხლის გახსნის თაობაზე ბრძანება მიიღო. შემაღლებულ ადგილზე ხელსაყრელი პოზიციის დაკავების შემდეგ, მის მიმართ კოშკებიდან ცეცხლი გაიხსნა. ქვედანაყოფის მიერ დაკავებული ხელსაყრელი პოზიციის მიუხედავად, ის მაინც კოშკიდან გახსნილი ცეცხლის ქვეშ იმყოფებოდა. ქვედანაყოფის მხრიდან პირველივე გასროლის შემდეგ მოწინააღმდეგე მიმოიფანტა. ხოლო კოშკი მეტად დაზიანდა (მისი ზემო და შუა ნაწილი). კოშკში მყოფი სამი ადამიანი დაიჭრა და ჩაგვბარდა. ქვედანაყოფის დასახმარებლად კიდევ ერთი ქვემეხის წინ წაწევა გახდა საჭირო. კაპიტან ტიმოთე პანიავინის [22]მეთაურობით, მათ კოშკს მეორე მხრიდან მოუარეს და იქიდან მოქმედებდნენ. სულ გასროლილ იქნა 20 ჩვეულებრივი, 5 კარტეჩის და 1 ცეცხლგამჩენი ყუმბარა.

9 აგვისტოს, რაზმის შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფი, ქუთაისში ჩავიდა.

12 აგვისტოს, საღამოს 12 ის ნახევარზე ქუთაისიდან რკიგზით გავიდა.

13 აგვისტოს, დღის 12 საათიდან ღამის 12 საათამდე სურამში შეისვენა და

14 აგვისტოს, დილის 8 საათზე თბილისში ჩავიდა.

10 აგვისტოს, რაზმი დაიშალა.

---

[19] ბეჩოს თემი (ბეჩოს ადმინისტრაციული ერთეული; სვან. ბეჩვი) – თემი ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, აერთიანებს 13 სოფელს: დოლასვიფი (თემის ცენტრი), ბაგვდანარი, გალაში, დოლი, მაზერი, ლანხვრი, ნაშთქოლი, ტვებიში, უშხვანარი, ქართვანი, ცხეკვანი, ჭკიდანარი, ჭოხულდი. ისტორიულად შედიოდა ე. წ. სადადეშქელიანო სვანეთის შემადგენლობაში. სვანეთში რუსეთის იმპერიის მმართველობის დამყარების შემდეგ (ჩვ. საუკუნის 50-იანი წლები) ბეჩოს ტერიტორიაზე, სოფელ მაზერში იყო სვანეთის საბოქაულოს ადმინისტრაციული ცენტრი.

[20] მითითებულია გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის სამუშაო ბლოკნოტის გვერდი.

[21] ლატალის თემი (ლატალის ადმინისტრაციული ერთეული) – თემი ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, აერთიანებს 10 სოფელს: იენაში (თემის ცენტრი), იფხი, კვანჭიანარი, ლახუშდი, ლაჰილი, ლელბაგი, ლეშუკვი, მაცხვარიში, ნანყვამ-ზაგრალი, სიდიანარი, შყალერი.

[22] ვერ დავადგინეთ.

გვ. 43 1875 წელს, სვანეთის რაზმის შემადგენლობაში მყოფი მეექვსე ბატარეის ქვედანაყოფის დღიური:

8 ივლისი - სოფელი ნამოხვანი.[23] მიღებული ბრძანების შესაბამისად რაზმი სოფელ ნამოხვანში ღამის სათევად გაჩერდა. სოფელ ობურჩხეთის[24] გავლით, საღამოს 5 საათზე გავიდა. ქუთაისში თავმოყრილი რაზმი, მისი დანაყოფები, ქალაქიდან გასვლამდე 161-ე ალექსანდროვსკის[25] პოლკის ყაზარმების წინ პარაკლისისთვის მოეწყო. მარჯვენა ფლანგზე, მესანგრეთა რაზმი და ალექსანდროვსკის პოლკის მეექვსე ასეული იდგა. ცენტრში, მეთორმეტე ასეული, ხოლო მარცხენა ფლანგზე-მეექვსე ბატარეის ქვედანაყოფი. პარაკლისის შემდეგ რაზმი მარჯვენა რაზმეულებად მოეწყო და ქალაქიდან მწყობრით გავიდა, ხოლო ფერმასთან სალაშქროდ გადაეწყო. საღამოს 9 საათზე სოფელ ობურჩხეთთან საათნახევრიანი შესვენების შემდეგ, ღამის გასათევად ნამოხვანისკენ გეზი აიღო, სადაც ღამის 12 საათზე ჩავიდა. სავალი გზა ყოველმხრივ მოხერხებული იყო, გარდა სოფელ ნამოხვანიდან ორ ვერსში მდებარე მცირე მონაკვეთისა, სადაც ტალახით სავსე ორმოები შეგვხვდა.

9 ივლისი. სოფ. მოხვენა[26] - 15 ვერსი.

გვ. 44

გუშინდელი მწყობრის შენარჩუნებით, ქვედანაყოფი საღამოს 5 საათზე გავიდა. სოფელ მელენურში[27] ხანმოკლე შესვენების შემდეგ, ღამის გასათევად, სოფ. ალპანაში[28] საღამოს 9 საათზე ჩავიდა.

რაზმის და მისი საპალნიანი აღალის გადასაადგილებლად გზა მო-

---

[23] ნამოხვანი – სოფელი საქართველოში, იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (ოფურჩხეთის თემი), მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე. ნამოხვანი – სოფელი საქართველოში, იმერეთის მხარის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (ოფურჩხეთის თემი), მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე.

[24] ოფურჩხეთი სოფელი საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: გუმათი, ნამოხვანი, ჟონეთი, ჯიმასტარო). მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ოსეთის სამხედრო გზაზე. ზღვის დონიდან 350 მეტრი, წყალტუბოდან 26, ქუთაისიდან 17 კილომეტრი.

[25] ალექსანდროვსკი (რუს. Александровск) – ქალაქი რუსეთში, პერმის მხარის აღმოსავლეთ ნაწილში, საქალაქო დასახლებისა და ალექსანდროვსკის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი.

[26] სოფლის სახელი დამახინჯებით წერია, ასეთი სახელწოდების სოფელი მითითებულ არეალში ვერ მოიძებნა.

[27] სავაროდოდ დამახინჯებით წერია სოფელის სახელი, ასეთი სახელწოდების დასახლება ვერ მოიძებნა.

[28] ალპანა – სოფელი საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: აჭარა, ზოგიში, ცაგერა). მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, ლაჯანურის შესართავთან.

ხერხებული გამოდგა. მწერებით შეწუხებული (ბუგრი და სხვა) რამოდენიმე ცხენი ნაბადით შეიფუთა.

10 ივლისი სოფ. ალპანა-14 ვერსი.

რაზმი დილის 7 საათზე გავიდა. შემდეგ, საათნახევრით, სოფელ ტვიშში[29] შეისვენა. პაპანაქება სიცხის გამო გზა ტვიშიდან ალპანამდე მეტად დამღლელი აღმოჩნდა. ერთი ცხენი დაისიცხა და დაეცა. ქვეითთა გადასაადგილებლად და საპალნეს გადასაზიდად სავსებით მოხერხებული გზა იყო. მდინარე ლაჯანურთან[30] რაზმმა ბივუაკი (დროებითი განთავსების, დასვენების ბანაკის ტიპის ადგილი) მოაწყო.

11 ივლისი. სოფ. მური[31] -18 ვერსი.

რაზმი დილის 5 საათზე გავიდა. საპალნიანმა კოლონამ მდინარე ლაჯანური ფეხდაფეხ გადალახა. სამხედროები კი, ადგილობრივების მიერ აგებული ხიდის მეშვეობით გადავიდნენ. ქვემეხები, ლაფეტები და ყუთები ხალხმა ხელით გადაიტანა. მდინარის მეორე მხარეს, სოფ. ორბელში,[32] საათნახევრიანი შესვენება მოაწყო. რაზმი სოფელ მურში ღამის 12 საათზე ჩავიდა. მდინარე ცხენისწყალის[33] მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ცაგერში[34] ბივუაკი მოაწყო.

12 ივლისი. შესვენება ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

[29] ტვიში – სოფელი საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: ლახეფა, ორხვი, ქორენიში). მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს. ზღვის დონიდან 400 მეტრზე. ცაგერიდან დაშორებულია 33 კილომეტრით.

[30] ლაჯანურა – მდინარე საქართველოში, ცაგერის მუნიციპალიტეტში, რიონის მარჯვენა შენაკადი. სათავე აქვს ლეჩხუმის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2710 მ სიმაღლეზე. სიგრძე 32 კმ, აუზის ფართობი 296 კმ^2.

[31] მურის ციხე აგრეთვე სქიომარი, ციხნარი – ციხესიმაგრეთა კომპლექსი თანამედროვე ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გვიანანტიკური პერიოდიდან 1867 წლამდე იგი იყო ჯერ სკვიმნიის, შემდეგ თაკვერის, ხოლო შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ლეჩხუმის სათავადოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

[32] სოფელი საქართველოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტში. თემის ცენტრი (სოფლები: გაგულეჩი, კურცობი, ლაჯანა, წილამიერი). მდებარეობს მდინარე ლაჯანურის (რიონის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, ლაჯანურის წყალსაცავის ჩრდილოეთით. ზღვის დონიდან 600 მეტრზე, ცაგერიდან დაშორებულია 14 კილომეტრით.

[33] მდინარე დასავლეთ საქართველოში. სათავე აქვს სვანეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ფასისმთის დასავლეთით, ზღვის დონიდან 2710 მ სიმაღლეზე, ერთვის რიონს მარჯვენა მხრიდან სოფელ საჯავახოსთან. სიგრძე 176 კმ, აუზის ფართობი 2120 კმ^2.

[34] ქალაქი საქართველოში, ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი.

13 ივლისი. სოფ. ლენტეხი[35] -22 ვერსი.

რაზმი დილის 9 საათზე გავიდა. საპალნიანი კოლონებისთვის და სამთო არტილერიისთვის გზა მეტად მოუხერხებელი აღმოჩნდა, ალაგალაგ ვიწრო და ციცაბო აღმართებითა და დაღმართებით. რაზმმა სოფ. წითლაკართან[36] საათნახევარი შეისვენა. ლარგეთის ციხესიმაგრესთან[37] მდინარე ხალედულას [38]და ლანინადურზე?[39] გადავიდა.

14 ივლისი. სოფ.ზედა ჩოლური[40] - 20 ვერსი

რაზმი დილის 8 საათზე გავიდა. ძლიერი წვიმის გამო სავალი გზა აიზილა, ამიტომ გადასავალი ზედმიწევნით რთული აღმოჩნდა. დღის 12 საათზე შესვენების დროს რაზმის თითოეულ წევრს, ნახევარი ჩარა? არაყი დაურიგდა. ამ საღამოდან, სამხედრო ვითარებისთვის გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები იქნა შემოღებული, მ.შ. საგუშაგოების მოწყობა, გარე თვალთვალის დაწესება და სხვა.

15 ივლისი. შესვენება ერთი დღე-ღამის განმავლობაში

16 ივლისი. ქუთაისის გუბერნატორის[41] მოსაზრებით გადაწყვეტილებით რაზმმა სვლა შეაჩერა.

17 ივლისი. ნაშუადღევს, 3 საათზე, რაზმის უფროსთან, მთიანი სვანეთიდან მომავალი ცხენოსანი მოიყვანეს, რომელმაც ლატფარის[42] უღელტეხილზე შეიარაღებული სვანების თავმოყრის შესახებ აუწყა.

გვ. 46

18 ივლისი. ლატფარის უღელტეხილის ზემო ქედთან მდებარე სოფელ გორვოშადან?[43] გზა მდინარე ცხენისწყალამდე ტყით მიდიოდა და ხიდი მდინარე ცხენისწყალზე უსაფრთხო არ იყო. მდინარე ცხენისწყალი

---

[35] დაბა საქართველოში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. ლენტეხის ადმინისტრაციული ერთეულში შედის სოფლები: ბაბილი, გულიდა, კახურა, ლასკადურა, ლექსურა, მაცხვარლამეზური, მელურა და ყარიში.

[36] ვერ დავადგინეთ.

[37] ვერ დავადგინეთ.

[38] მდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი. სიგრძე 34 კმ, აუზის ფართობი 315 კვ.კმ. სათავე აქვს სვანეთის ქედის სამხრეთ კალთაზე.

[39] გაუკვეცლად წერია, ასეთი სახელწოდების მდინარე ვერ მოვიძიეთ.

[40] სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტში.

[41] იგულისხმება ქუთაისის გუბერნატორი გიორგი ვლასტოვი (1872-1878 წწ.)

[42] უღელტეხილი საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, მესტიის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს სვანეთის ქედზე, მდინარეების ლამუშურისწყლისა (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) და ვალეშის (ენგურის მარცხენა შენაკადი) სათავეებში.

[43] დამახინჯებით წერია, ასეთი სახელწოდების სოფელი ვერ მოვიძიეთ.

განსაკუთრებული სიფრთხილით გადავლახეთ და გზამ დალის[44] ხეობამდე მიგვიყვანა. სავალი გზა მეტად ციცაბო და ვიწრო აღმოჩნდა, ზოგჯერ ქვემეხების ხელით ზიდვა გვიწევდა. სათევად ღამის 4 საათზე დავდექით. ვინაიდან რაზმის ინდენდანტმა თივით მომარაგება ვერ მოახერხა, ცხენები ბალახს ძოვდნენ.

19 ივლისი. სოფელი დავბერი.[45] კალის[46] საზოგადოება-15 ვერსი.

რაზმი დილის 7 საათზე გავიდა. გუშინდელზე უარესი გზა დაგტვხვდა. საპალნეების ხშირად ხელით გადატანა გვიხდებოდა. მესანგრეები შეძლებისდაგვარად გზას აწესრიგებდნენ. ლატნარის უღელტეხილზე გადავლის შემდეგ, დღის 12 საათზე...[47] ჩავედით. ხანმოკლე შესვენება.

გვ. 47

ბრძანების სისრულეში მოყვანის მიზნით, ქუთაისის გუბერნატორმა[48] ლეჩხუმის მაზრის უფროსი,[49] ქვეითთა ასეულით და თავადი დადეშკელიანი,[50] 25 მილიციონერით კალას საზოგადოებაში გამოგზავნა. [51]2 საათის შემდეგ რაზმმა დაღმა სვლა დაიწყო, თავქვე დაეშვა, რის შემდეგ

[44] მდინარე კოდორის ზემო დინების ხეობის მონაკვეთი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც დე-ფაქტო საზღვრის ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობასა და სეპარატისტთა და რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის. ხეობის ზემო ნაწილი, დასახლებული სვანებით, აფხაზეთის ერთადერთი კუთხე იყო 1993 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე, რომელსაც საქართველოს ცენტრალური მთავრობა აკონტროლებდა და რომელსაც ოფიციალურად ზემო აფხაზეთს უწოდეს.

[45] სოფელი საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მესტიის მუნიციპალიტეტში, კალის თემში (სოფლები: დავბერი, ვიჩნაში, იფრარი, ლალხორი, ხალდე, ხე).

[46] კალა – თემი მესტიის მუნიციპალიტეტში. შედგება 6 სოფლისგან: ლალხორი (თემის ცენტრი), დავბერი, ვიჩნაში, იფრარი, ხალდე, ხე. კალის თემში შედიოდა ასევე სოფლები აგრარი და ლასკრალი, რომლებიც დაცლილია მოსახლეობისგან.

[47] არ იკითხება, შესაძლებელია ეწეროს დავბერი.

[48] გიორგი ვლასტოვი, ქუთაისის გუბერნატორი (1872-1878 წწ.).

[49] იგულისხმება ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი.
https://www.samshoblo.org/repressiis_muzeumi.htm#ხალდეს%20აჯანყება%20სვანეთში%201875%201876

[50] იგულისხმება ლეჩხუმის მაზრის ბოქალურის მიქელაძის თანაშემწე თენგიზ დადეშქელიანი.

[51] სვანეთის აჯანყების ჩასახშობად რუსეთის ხელისუფლებამ ამბოხებულთა დასასჯელად ქუთაისიდან გენერალ ერასტ ციტოვიჩის მეთაურობით ახალი სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა. მასში შედიოდა: ალექსანდროპოლის ქვეითი ლეგიონი, 2 ცხენოსანი ასეული, 39ე საარტილერიო ბრიგადის სამთო ბატარეა, მესანგრეთა რაზმი, გურულთა ქვეითი ასეული, კახელთა მილიციის ასეული, ბეჩოს სამხედრო ნაწილი (ჯარს საჭიროების შემთხვევაში ყაბარდოდან უნდა მიშველებოდა მილიცია 300 ქვეითის შემადგენლობით).
https://www.samshoblo.org/repressiis_muzeumi.htm#ხალდეს%20აჯანყება%20სვანეთში%201875%201876

საბრძოლო კოლონებად მოეწყო და მდინარე ენგურისკენ[52] გაემართა. მდინარის მოწინააღმდეგე მხარეს დაახლოებით 300 შეიარაღებული სვანი მოჩანდა. ენგურზე გადადებული, სოფელ დოვბერთან მაკავშირებელი ორი ხიდი სვანებს ეკავათ. სოფელ დოვბერის გადმოსწვრივ, ენგურის ნაპირზე რაზმმა ბივუაკი მოაწყო. გენერალ ციტოვიჩმა სოფელ ბეჩოში მყოფ ვიცეპოლკოვნიკ მაზარაკის,[53] მის დაქვემდებარებაში მყოფ, მილიციის (ყაბარდოელთა და მთიელთა) ასეულით რაზმთან შესახვედრად დაუყოვნებლივ გამოსვლის შესახებ, ბრძანება გაუგზავნა. გაგზავნილმა შიკრიკებმა დანიშნულების ადგილამდე მისვლა ვერ მოახერხეს და უკან გამობრუნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა მეტად მტრულად იყო განწყობილი, ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

20 ივლისი

რაზმი უწინდელ პოზიციებზეა. სვანების განწყობა გუშინდელივით მტრულია. ნაშუადღევს საზოგადოებიდან (არ ჩანს რომელი) დეპუტაციების მოსვლა დაიწყო, ხოლო საღამოს 5 საათზე ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს უშგულისა[54] და გალის საზოგადოების წარმომადგენლები, სრული მორჩილების გასაცხადებლად ჩამოვიდნენ. გუბერნატორის ბრძანებით (მათ) გზებისა და ხიდების შეკეთების ვადებულება აიღეს.

გვ. 48

21 ივლისი. რაზმი კვლავინდელ პოზიციებს იკავებდა, მთელი დღე წვიმდა.

22 ივლისი. სოფელი ჟემიში[55], მულახის[56] საზოგადოება- 24 ვერსი, რაზმი დილის 7 საათზე გავიდა. გზა ენგურის[57] ვიწრო ხეობას მიყვებოდა.

---

[52] მდინარე დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე და კოლხეთის ბარში. სათავე აქვს ენგურის მყინვარზე, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე. სოფ. ანაკლიასთან ერთვის შავ ზღვას.

[53] იგულისხმება ვლადიმირ ივანეს მაზარაკი (1832-1887). 1876 წ. მან პოლკოვნიკის ჩინი მიიღო. 1877 წელს ვლადიმირ მაზარაკი ყაბარდო-კუმიკის არარეგულარულ პოლკს უდგა სათავეში. geni. com

[54] უშგული – თემი მესტიის მუნიციპალიტეტში. შედგება 5 სოფლისგან: ჩაჟაში (თემის ცენტრი), ლამჯურიში, მურყმელი, ჟიბიანი, ჩვიბიანი.

[55] უნდა იყოს ჟამუში, მულახის საზოგადოების სოფელი.

[56] მულახის თემი (მულახის ადმინისტრაციული ერთეული; სვან. მგლახ) – თემი ზემო სვანეთში, მესტიის მუნიციპალიტეტში, აერთიანებს 11 სოფელს: ჭოლაში (თემის ცენტრი), არცხელი, ზარდლაში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშკელი, ჟაბეში, ჟამუში, ღვებრა, ჩვაბიანი, ცალდაში.

[57] მდინარე დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე და კოლხეთის ბარში. სათავე აქვს ენგურის მყინვარზე, ზღვის დონიდან 2614 მ-ზე. სოფ. ანაკლიასთან ერთვის შავ ზღვას.

სოფელ ბოგრანის [58]შემდეგ გზამ ენგურისკენ გადაუხვია და მიმართულება მთისკენ აიღო. საღამოს 5 საათისთვის, ციცაბო დაღმართის შემდეგ, გზა მულხვრის[59] ციხესიმაგრეს მიადგა. საღამოს 6 საათზე რაზმი ღამის სათევად დადგა. წვიმა წამოვიდა და ორი საათი გრძელდებოდა.

23 ივლისი. დაბა ბეჩო.

რაზმი დილის 10 საათზე გავიდა. საკმაოდ კარგი გზა იყო. ძლიერი სიცხის გამო ხშირად ხანმოკლე შესვენების გაკეთება გვიხდებოდა. საღამოს 7 საათზე რაზმი ღამის სათევად დადგა.

23-30 ივლისი. რაზმი ბეჩოში იმყოფებოდა.

30 ივლისი. რაზმი დილის 7 საათზე უკან გამოემართა. გზად, ლატალის? საზოგადოებასთან, რაზმი გადაჯგუფდა, გადაეწყო (გადაწყვეტილება №14)

31 ივლისი. რაზმი დილის 8 საათზე სოფელ ინაურისკენ[60] გაემართა. სადაც ნაშუადღევს, 2 საათზე ჩავიდა.

1 აგვისტო. რაზმი დილის 10 საათზე დოვბერის მიმართულებით გაემართა და იქ დღის 2 საათზე ჩავიდა.

2 აგვისტო. შესვენება ერთი დღეღამის განმავლობაში.

3 აგვისტო. რაზმი დილის 6 საათზე ჩოლურის[61] მიმართულებით გავიდა.

4 აგვისტო. რაზმი 7 საათზე ლენტეხისკენ გავიდა და იქ დღის 1 საათზე იყო.

5 აგვისტო. რაზმი დილის 7 საათზე მურის მიმართულებით გავიდა და იქ, დღის 2 საათზე, თავსხმა წვიმაში ჩავიდა.

6 აგვისტო. შესვენება ერთი დღეღამის განმავლობაში.

7 აგვისტო. რაზმი დილის 7 საათზე ტვიშისკენ გაემართა და იქ საღამოს 5 საათზე ჩავიდა.

8 აგვისტო. რაზმი დილის 7 საათზე ნამოხვანის მიმართულებით გავიდა და დღის 3 საათზე ჩავიდა.

9 აგვისტო. რაზმი ქუთაისის მიმართულებით გავიდა.

10 აგვისტო. რაზმი დაიშალა.

---

[58] ვერ დავადგინეთ, სვანეთში, იფარის თემში, მესტიის რაიონში არის სოფელი ბოგრეში.
[59] სავარაუდოდ უნდა ეწეროს მულახის.
[60] შეცდომით წერია, ასეთი სახელწოდების სოფელი სვანეთში ვერ მოვიძიეთ.
[61] მდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=212268

ცხენებმა ლაშქრობას ძალიან კარგად გაუძლეს გაართვეს თავი. რის თაობაზე გუბერნატორისადმი გენერალ ციტოვიჩის წერილშია ასახული. წარჩინებული სამსახურისთის შტაბს-კაპიტან გრიგოროვს კაპიტნის წოდება მიენიჭა.

ბანაკი, 1875 წელი.

(სვანეთი)

სვანეთში ახალი მღელვარების გამო ციტოვიჩის მეთაურობით რაზმი იქმნება. მის შემადგენლობაში ბრიგადის სამთო და სარაკეტო ქვედანაყოფები შედის.

სამთო ქვედანაყოფის მეთაურად კაპიტანი კარტამიშევი დაინიშნა. [62]საამისოდ ის ვლადიკავკაზიდან ტელეგრამით გამოიძახეს, ხოლო სარაკეტო ქვედანაყოფის მეთაურად-პორუჩიკი ცუმპფორტი[63].

განკარგულება სამთო და სარაკეტო ქვედანაყოფების ფორმირების შესახებ, 4 აგვისტოს გაიცა, ხოლო 8 აგვისტოს იისინი ვაგონებში განთავსდნენ და რკინიგზით ქუთაისისკენ გაემგზავრნენ. სვანეთში იმ დროისთვის მოსალოდნელი ცივი ამინდის გამო თავად მირსკის[64] განკარგულებით სამხედროებს ბეწვის ქურთუკები დაურიგდათ.

გვ. 52

სამთო ქვედანაყოფის შემადგენლობა: 1 ოფიცერი, 47 რიგითი, 22 საარტ. ცხენი, 10 საპალმე ყუთი და 140 საბრძოლო მუხტი.

სარაკეტო ქვედანაყოფის შემადგენლობა: 1 ოფიცერი, 6 რიგითი, 2 საბრძოლო დანადგარი, 60 საბრძლო 2-დიუმიანი რაკეტა.

(8 აგვისტოს) სამთო და სარაკეტო ქვედანაყოფებისგან შემდგარი რაზმი, რკინიგზით, მატარებლით? ოთხ საათსა და ორმოცდათოთხმეტ წუთზე გავიდა, სურამში ღამისთევით დარჩა,

9 აგვისტოს, შვიდ საათზე რიონის საადგური გაიარა და იმავე დღეს საღამოს ცხრა საათზე ქუთაისში ჩავიდა.

12 აგვისტოს რაზმი სალაშქროდ გავიდა, კოშკების დაბომბვისას გასროლილი იქნა ყველა ჭურვი, რომელნიც კოშკებს ხვრეტდნენ, მაგრამ

[62] ვერ დავადგინეთ.

[63] იგულისხმება კონსტანტინე ცუმპფორტი (1852-?) 39-ე საარტილერიო ბრიგადის პრაპორშჩიკი, ხოლო მოგვიანებით ამავე ბრიგადის 7-ე ბატარეის ხელმძღვანელი. ria1914.info

[64] დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი – თავადი, რუსი გენერალი, კავკასიის ომების, ყირიმის ომის და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე.

მათ დანგრევას არ იწვევდნენ.

8 სექტემბერს რაზმი ქუთაისში დაბრუნდა.

რაზმი პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე ბატარეის სამხერდო მოსამსაახურეებით და ცხენებით იყო დაკომპლექტებული.

13 სექტემბერს რაზმი თბილისში დაბრუნდა.

(სვანეთი)

(5აგვისტო)

სვანეთისთვის საჭირო საპალნიანი ლაფეტების უნაგირები, კაპიტან კარტამიშევმა ვლადიკავკაზიდან გამოითხოვა;

სარაკეტო ქვედანაყოფს, თბილისში მყოფ მეექვსე ბატარიიდან, ათი სამხედრო მოსამსახურე გადაეცა, მათგან ექვსი რიგითი და ოთხი ლაბორანტი;

მთავარსარდლის ბრძანებით სიმძიმეების გადასაზიდად ქუთაისიდან გარვადარის (?) ცხენები გაეგზავნა: ორცხობილას და მანეულის საპალნეებისთვის-4 ცხენი; ფურაჟისთვის(ცხენების საკვები)-3 ცხენი; სამი დღის მარაგისთვის-4 ცხენი; კარვებისთვის-2 ცხენი; ქვაბებისა და ჭურჭლისთვის-2 ცხენი; ხაზინისა და დოკუმენტებისთვის -1 ცხენი; მომსახურე პერსონალისთვის-2 ცხენი და ოფიცრისთვის-1 ცხენი.

სარაკეტო ქვედანაყოფს, საბრძოლო რაკეტების საპალნეებისთვის 4 ცხენი, ოფიცრისთვის 1 ცხენი, ჯარისკაცთა ნივთებისთვის 1ცხენი გადაეცა.

გარდა აღნიშნულისა, სარაკეტო ქვედანაყოფს, ქუთაისში თორმეტი კაზაკი მიამაგრეს.

(სვანეთი)

კაპიტან კარტაშევის[65] 1876 წლის 27 აგვისტოს პატაკი №17

(პოზიცია სოფ. ქალდესთან).

ამონარიდი პატაკიდან:

სადგურ ლენტეხიდან მოყოლებული, დათოვლილი უღელტეხილით, თავისუფალ სვანეთში გადასავლელი ურთულესი, ოცდაათი ვერსიანი

[65] სავარაუდოდ იგულისხმება სიმონ გრიგორის ძე კარტაშევი(1856-?) ტფილისის გიმნაზიის და თბილისის ფეხოსან იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული სამხედრო ჩინოცნიკი, მსახურობდა ახალციხის 162-ე ფეხოსანთა პოლკში. გახლდათ რუსეთ-ოსმალეთის 1877-178 წლების ომის მონაწილე, ვიცე-პოლკოვნიკი (1901 წ.). ria1914.info

გზა გავიარეთ. გზის სივიწროვის გამო, ხშირად ქვემეხების ხელით ზიდვა გვიხდებოდა.

20 აგვისტოს, სოფელ ქალდესთან, მისგან 250 საჟენის მოშორებით, პოზიციები დავიკავეთ. მესანგრეებმა ქვემეხების დასაყენებლად და მათი მომსახურე პერსონალის განსათავსებლად სპეციალური ადგილი მოამზადეს. ამ პოზიციაზე 7 დღე დავრჩით.

21 აგვისტოს 20 ყუმბარა (და ღამით 16 რაკეტა) ვისროლეთ.

22 აგვისტოს უმოქმედოთ ვიდექით.

23 აგვისტოს 20 ყუმბარა ვისროლეთ.

24 აგვისტოს მოლაპარაკებები მიმდინარეობდა.

25 აგვისტოს 20 ყუმბარა და 4 კარტეჩის ყუმბარა ვისროლეთ.

26 აგვისტოს 34 კარტეჩის ყუმბარა ვისროლეთ და საღამოს იერიში მივიტანეთ. 12 კოშკი ვერ ავიღეთ დანარჩენები დავიკავეთ.

27 აგვისტოს ქვედანაყოფმა ყველა ჭურვი ისროლა, გარდა, თითო ქვემეხზე ერთი კარტეჩის ყუმბარის და 10 კარტეჩისა. შემდგომ, მოწინააღმდეგეს ცეხლის თავიდან არიდების მიზნით, ქვედანაყოფმა უკან დაიწია.

სულ გასროლილია 80 ჩვეულებრივი და 38 კარტეჩის ყუმბარა.

გვ. 63.

დამმიზნებლებმა მემიზნეებმა რაზმის უფროსისგან 50-50 კაპიკი, ხოლო დანარჩენებმა, მათ შორის რიგითებმა 25-25 კაპიკი მიიღეს.

ამონარიდი პორუჩიკ ცუმპფორტის[66] პატაკიდან (№6, 22 აგვისტო)

20 აგვისტოს, საღამოს ცხრის ნახევარზე, სარაკეტო ქვედანაყოფმა სოფელ ქალდესთან,[67] მისგან ერთი ვერსის მოშორებით, პოზიცია დაიკავა. სოფელში 12 კოშკი და 30-მდე ერთი და ორ სართულიანი ქვით ნაშენი სახლია. სოფელი ერთგვარ ციხესიმაგრეს წარმოადგენს, სადაც ნაგებობები ერთმანეთს ებჯინებიან.

ღამის 10 საათზე, სამი კოლონა ჩამოყალიბდა. სარაკეტო ქვედანაყოფი მესამე კოლონის შემადგენლობაში შევიდა და სამთო ქვედანაყოფის მარჯვნივ, მდინარე ქალდესწყლის მარცხენა ნაპირზე პოზიიცია დაიკავა.

[66] კონსტანტინე ცუმპფორტი (1852-?) 39-ე საარტილერიო ბრიგადის მე-7 ბატარეის ხელმძღვანელი, მოგვიანებით, 21-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური, გენერალ-მაიორი (1907 წ.) ria1914.info

[67] სოფელი საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მესტიის მუნიციპალიტეტში, კალის თემში.

ამონარიდი პორუჩიკ ცუმპფორტის პატაკიდან (№5,20 აგვისტო, სოფ. დოვბერი)

12 აგვისტოს ქუთაისიდან რაზმი 12 აგვისტოს გავიდა, 19 აგვისტოს ლატნარის უღელტეხილით თავისუფალ სვანეთში გადავიდა, აღმართი სახიფათო და ძნელად დასაძლევი გამოდგა: მთის ბილიკის სიგანე ერთ ფუტს შეადგენდა და თანდათან ვიწროვდებოდა,..არ იკითხება...(სიგრძე-ერთნახევარი, სიგანე ორი-ორნახევარი საჟენი[68]). გზის ვაკისი, მასზედ გაწყობილ, კლდის საფეხურების მწკრივს წარმოადგენდა.

საქართველოს ხელოვნების სასახლე, კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42716.

[68] ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. ისტორიულ წყაროებში, ჴი–ჴკᲐᲐ საუკუნეებში საჟენის ზომა იყო 152 და 176 სმ. 1835 წლის ბრძანებულებით საჟენი განისაზღვრა 7 ინგლისური ფუტით ან 84 დიუმით. ეს უდრიდა 3 არშინს ან 48 ვერშოკს (213,36 სმ). საჟენისგან წარმოებულია კვადრატული საჟენი (უდრიდა 9 კვადრატულ არშინს) და კუბური საჟენი (უდრიდა 27 კუბურ არშინს). 1918 წლიდან რსფსრ-ში საზომთა მეტრული სისტემის შემოღების შემდეგ – საჟენი საზომ ერთეულად აღარ იხმარება.

Giorgi Sosiashvili
Professor,
Gori State University, Georgia

NOTES OF LIEUTENANT-GENERAL ILIA MAKARASHVILI ABOUT THE 1875-1876 SVANETI UPRISING

Summary

The Museum of Cultural History in the Art Palace of Georgia houses the notes of Lieutenant General Ilia Makarashvili. These records, contained within a leather-bound notebook, were penned in Russian by a military official of the Russian Empire. They, along with other documents pertaining to Ilia Makarashvili's family, were bestowed upon the Art Palace of Georgia by Merab Makarashvili, the great-grandson of Konstantine, Ilia Makarashvili's brother, who has since passed away. Merab Makarashvili inherited these from Irina Makarashvili, daughter of Ilia Makarashvili, who bequeathed the family estate and belongings, situated in the village of Arbo. Within the General's records lies the narrative of the establishment of the 39th Artillery Brigade, spanning from 1864 to 1878, with the manuscript bearing the author's date of completion: November 23, 1885. Comprising 243 pages, Ilia Makarashvili's diary is succinctly introduced as "Materials for Compiling the History of the 39th Artillery Brigade," although its contents extend beyond the scope of brigade history. The diaries delve into military operations and offer a military-political analysis of their underlying causes. Particularly intriguing are the author's observations regarding the conflict between Russia and the Ottoman Empire on Serbian soil.

The diaries contain a letter delivered by the Minister of War to the Russian Emperor outlining a general plan of action. Additionally, there's the decree from the head of the main artillery division detailing a specific action plan, along with copies of the reports or excerpts from various military officials. They describe the locations where artillery units were deployed in Georgia, including Svaneti, Kutaisi, Akhaltsikhe, and others. They also discuss preparations for a military operation towards Erzurum during the Russo-Ottoman war of 1877-1878. The fragmented entries convey Ilia Makarashvili's perspectives, particularly concerning the modernization and rearmament of artillery units. In contains an elucidation of the Emperor's decree, discussions on movement and deployment of brigade batteries, as

well as the staffing of military units both preceding the war and during the conflict. Furthermore, the diaries present a roster of officers who served alongside Ilia Makarashvili between 1892 and 1902. Internal rules of the brigade and division management issues were discussed; An analysis of artillery weapons is given; military-economic reports, tables, cost projections, and barracks blueprints, showcasing Ilia Makarashvili's notable expertise in military engineering. Of particular interest are Makarashvili's records about the 1875 Svaneti rebellion. It is worth noting that the Russian authorities deployed regular military units, including the sixth battery unit of the 39th Artillery Brigade where Makarashvili served, to quell the uprising. As Makarashvili was an eyewitness to these events, his reports (excerpts from the accounts of officials involved in the Svaneti military-punitive expedition, Simon Kartashev and Konstantin Tsumpfort) are especially valuable for the study of this issue and gaining additional insights.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ნათია მირიანაშვილი
უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივის განყოფილების უფროსი,
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

არჩილ კოხრეიძე
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თსუ

ლორეს ნეიტრალური ზონა*

1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მთელი სიმწვავით დადგა საზღვრების გამიჯვნის საკითხი. საქართველო იმიჯნებოდა არა მარტო რუსეთისგან, არამედ ოსმალეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანისგან.

სწორედ ამ დროს, 1918 წელს სტამბოლში დაიბეჭდა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „სომხეთის ვითომც ისტორიული ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმულა და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე შავ ზღვაზე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან, ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით, ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული“.[1]

სომეხთა ეს ქმედება ახალი არ იყო. ჯერ კიდევ გასული საუკუნეში ჩვენს მიწებს უძველეს სომხურ ტერიტორიებად აცხადებდნენ. ი. ჭავჭავა-

* პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის №FR-22-2916, 2023-2025 წწ.) – საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში – შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და რესპუბლიკათაშორისო საზღვრები 1922-1936 წლებში – ფარგლებში

[1] საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (უიცა), ფ. 471, ან.1. საქ. 98, ფურც. 42-43.

ძეს ასეთი ვითარების გამო იძულებული იყო ეთქვა: „სიტყვითა და კალმით ქვეყანას ეფიცებიან, ვითომც კავკასიის ქედს აქეთ ტიგრისა და ევფრატის სათავეებამდე, თითქმის შავი ზღვიდამ კასპიის ზღვამდე,ე.წ. არმენია (ვითომც სომხეთი) ყოფილა ათადამ-ბაბადამ დღევანდლამდე, და თუ სადმე „ვრაცები“ ყრილან – ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით... გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას... განა ჩვენთვის კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხეთისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყაროთ თავი იქ, საიდანაც აყრილან და და აქა-იქ გაფანტულან, ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხვით ნუ ცდილობენ თავიანთი სახელის კეთებას და შემკობას.

ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით“.[2] სომეხთა პრეტენზიები ქართულიმიწაწყლის მისაკუთრებისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა დამოუკიდებელი საქართველოს დროს, სომხეთის მთავრობა გამიჯვნის უზენაეს პრინციპად აღიარებდა რეალურ მოსახლეობას და მოითხოვდა სომხებით დასახლებული ტერიტორიების, კერძოდ ბორჩალოს და ახალციხის მაზრების გადაცემას. რევოლუციამდე შინაკავკასიური საზღვრების საკითხი არ არსებობდა. კავკასია დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ნაწილებად, გუბერნიებად და მაზრებად. 1801 წელს, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, ქვემო ქართლი ლორეს მაზრის სახელწოდებით, (ისტორიული ტაშირი. იგი შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯის და ბამბაკის მთებით, მოიცავდა ტაშირის წყლის ხეობას. ეს მხარე ხშირად ლორედ იწოდებოდა, რადგან ცენტრი ლორეს ციხე იყო) მის იურისდიქციაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ამ მაზრის სამხრეთი სასაზღვრო ხაზი, რომელიც მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის წყალგამყოფ ქედზე გადიოდა, ყოფილ დამოუკიდებელ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა, რაც ბუნებრივი იყო. 1804 წელს ლორეს მაზრა თბილისის მაზრად გადაკეთდა. 1840 წელს ქვემო ქართლის ტერიტორიის ნაწილები, ყაზახი და შამშადილო, ელიზავეტაპოლის მაზრაში შევიდა. მოგვიანებით შეიქმნა შულავერის ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც 1880 წელს ეწოდა ბორჩალოს მაზრა, ცენტრით შულავერი. ბორჩალოს მაზრა შედიოდა თბილისის გუბერნიაში.

[2] ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. თბ. 1990. ტ. IV, გვ. 22, 111.

ბორჩალოს მაზრაში სომეხთა კომპაქტური დასხლება რუსეთის მთავრობის პოლიტიკური გეგმის წყალობით გაჩნდა. ეს იყო ძალზე შორს გამიზნული და კარგად მოფიქრებული ანტიქართული გეგემა. 1828 წელს წელს გრაფმა პასკევიჩმა ოსმალეთიდან 100000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთიდან 30000 სული ჩამოასახლა. მათი ნაწილი ბორჩალოს მაზრაში, ხოლო ნაწილი ერევნის გუბერნიაში დასახლდა.1897 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით ბორჩალოს მაზრაში სულ 128587 მცხოვრები ითვლებოდა, მათ შორის სომეხი 48609, თურქ-თათრები 37609, ბერძნები 21347 და ქართველები 6685. [3]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოსა და სომხეთს შორის დაიწყო დილომატიური დავა საზღვრების შესახებ, რომელიც მალე საომარ მოქმედებაში გადაიზარდა. 18 ოქტომბერს ოსმალებმა გაათავისუფლეს ბათუმის ზავით საქართველოსთვის დატოვებული აწყური და აბასთუმანი და დაიწყეს ჯარების გაყვანა ბორჩალოს მაზრიდან. ამ მომენტით ისარგებლეს სომხებმა და 18 ოქტომბერს დაიკავეს კობერი, კორინჯი და წათერი. საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილ შეტყობინებაში სანაინის პოლკის მეთაური აღნიშნავდა, რომ „თურქეთის ჯარებმა გაათავისუფლეს ტერიტორია კობერიდან შაგალამდე და საქართველოს ტერიტორიიდან თურქეთის ჯარის გასვლის კვალდაკვალ ეს ტერიტორია დაიკავეს სომხეთის ჯარებმა. გერმანიის წარმომადგენლებმა მოსთხოვეს სომხებს გაეთავისუფლებინათ საქართველოს ტერიტორია, მაგრამ მათ ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. „გთხოვთ სასწრაფოდ გასცეთ განკარგულება ჯარის გამოგზავნის თაობაზე, რათა დაკავებული იქნეს საქართველოს საზღვარი და გთხოვთ გააძლიეროთ მილიციის შტატი სადგურებზე ყარაქილისამდე“.[4]

საქართველოს მთავრობამ მიმართა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას განსაკუთრებული ნოტით: „საქართველოს მთავრობას, რომელიც მუდამ მზად არის მშვიდობიანად, ურთიერთშორის შეთანხმებით გადასჭრას საკითხი საზღვრების შესახებ მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკასთან, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ვიდრე არ არსებობს ასეთი შეთანხმება, სომხეთის ჯარების შემოსვლა თბილისის გუბერნიის

[3] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს საზღვრები. თბ. 1919, გვ. 32-33.
[4] საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი (ცსა). ფ. 1864. ან. 1. საქ. 3, ფურც. 25.

საზრვრებში ჩაითვლება სომხეთის მიერ საქართველოს მიმართ გადაგმულ მტრულ ნაბიჯად".[5]

1918 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის ნოტა, სადაც იგი წერდა: „გთხოვთ თავი შეიკავოთ აგრესიული მოქმედებისაგან, გააჩეროთ ქართული ჯარი იქ, სადაც დღეს დგას და საზღვრების საკითხი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი შეთანხმებით. გახსენებთ თქვენ საზეიმო განცხადებას ივნისში რამიშვილის, აგარონიანის და ხატისოვის თანდასწრებით, რომ საქართველო პრეტენზიას არ აცხადებს ლორეზე და იჭერს დროებით, მესამე ძალის მიერ მისი დაკავების თავიდან აცილების მიზნით.[6]

ამ ნოტაში საქართველოს მთავრობამ მხოლოდ მშვიდობისკენ მოწოდება დაინახა.

მაშინვე ჩაეჭიდა ამ ფაქტს, ყურადღება არ მიაქცია სომეხთა აგრესიულ ტონს და მოთხოვნას და ყველა ღონე იხმარა, რათა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა. საქართველოს

მთავრობამ მიიღო მოულოდნელი ცნობა, რის თანახმადაც სომხეთის ჯარის ნაწილებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაცლა კორინჯი-წათერის ხაზისა, რომელიც მდებარეობდა უკვე იმ ტერიტორიაზე, რომელიც რამოდენიმე თვის განმავლობაში დაკავებული იყო საქართველოს ჯარების მიერ. ამის საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ 23 ოქტომბერს გაუგზავნა ნოტა სომხეთის მთავრობას: „თუ სომხეთის ჯარი დაუყოვნებლივ არ დაცლის კორინჯი-წათერის ხაზს, ანდა შემდეგში დაიკავებს თბილისის გუბერნიის რაიმე ტერიტორიას, საქართველოს მთავრობა ამას ჩათვლის სამხედრო მოქმედების დასაწყისად სომხეთის რესპუბლიკის მხრივ და მთელი პასუხისმგებლობა, ორივე რესპუბლიკის დამღუპველი შედეგებით, დაატყდება სომხეთის მთავრობას".[7]

საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 24 ოქტომბერს, ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ბორჩალოს მაზრაში და საქართველოს რკინიგზის სამხრეთ ნაწილში, გამოაცხადა სამხედრო წესები და ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორად დანიშნა გენერალ-მაიორი წულუკიძე.[8]

[5] ცსა. ფ. 1864. ან. 1. საქ. 63, ფურც. 9.
[6] Из истории Армяно-Грузинских отношений: 1918 год. Пограничные конфликты, переговоры, война, соглашение. Тб. 1919, გვ. 24.
[7] ცსა. ფ. 1864. ან.1. საქ. 3, ფურც. 21.
[8] ცსა. ფ. 1864. ან.1. საქ. 51, ფურც. 220.

სომეხთა აშკარა მტრული მოქმედებების მიუხედავად, საქართველოს მთავრობა მაინც მშვიდობიანი გზით ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას და 10 ნოემბერს მოიწვია სამშვიდობო კონფერენცია, მაგრამ სომხეთის წარმომადგენლები არ გამოცხადდენ.

1918 წლის 8 დეკემბერს სომხეთის ჯარები მთავრობის დადგენილებით იწყებენ მოქმედებას ლორისა და ბორჩალოს მაზრის დასაკავებლად. 9 დეკემბერს სანაინის მიდამოებში გამოჩნდა მე-5 მსროლელი ლეგიონის ნაწილები ტერ-ნიკოლოსოვის მეთაურობით, რომლებიც თავს დაესხნენ ჩვენს მცირერიცხოვან ჯარს.

ახლა რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტებს და მემარცხენე ფედერალისტებს, თუ რამდენად „ნებაყოფლობითი“ იყო მათი თვითლიკვიდაცია და კომპარტიასთან მიერთება. 1923 წლის საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პლენუმის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „1. ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლად და დროულად მიაჩნია შეუდგეს მემარცხენე ფედერალისტების პარტიის ლიკვიდაციას.2. ეს ლიკვიდაცია უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით: ა) ჩვენი პარტიის მიერ მემარცხენე ფედერალისტებთან იდეური ბრძოლის განახლება და გაძლიერება, ამავდროულად, რეპრესიების გაძლიერება მემარჯვენე ფედერალისტებთან; ბ) მემარცხენე ფედერალისტების დარწმუნება და გადახრა იმისაკენ, რომ მემარცხენე ფედერალისტების ხელმძღვანელებმა თვითონ აიღონ ხელში პარტიის თვილიკვიდაციის ინიციატივა, ადგილებზე კონფერენციების მოწვევისა, სადაც ორგანიზაციები არსებობს და აგრეთვე სრულიად საქართველოს კონფერენციის მოწვევის გზით. 3. ლიკვიდაციის საქმის ხელმძღვანელობა ხელში უნდა აიღოს მემარცხენე ფედერალისტების პარტიის მთავარმა კომიტეტმა, რომელიც იმუშავებს ჩვენი პარტიის წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ“.[18]

კიდევ სამი პუნქტი ითვალისწინებდა „მემარცხენე ფედერალისტების პარტიის ლიკვიდაციისა და ყველა ორგანიზაციის დათხოვნის“ შემდეგ კომპარტიის რიგებში იმ ფედერალისტების მიღებას, რომლებიც გასაბჭოებამდე ებრძოდნენ მემარჯვენე ფედერალისტებს; გაზეთ „ტრიბუნას“ შენარჩუნებას – პარტიის ლიკვიდაციამდე და რეპრესიების დაუშვებლობას მემარცხენე ფედერალისტების წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, თვითლიკვიდაციების პროცესი ფაქტობრივად იყო – პარტიების ლიკვიდაციის პროცესი და მიმდინარეობდა თავიდან ბოლომდე – კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისულების ორგანოების მკაცრი ზედამხედვე-

[17] ამ მასალებით ვსარგებლობთ ლ. თოიძის წიგნიდან, საქართველოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 399.

[18] ლ. თოიძე. საქართველოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 406-407. (პოლიტიკური პარტიების არქივი. ფ. 14. აღწ. 1. საქ. 490, ფურც. 8-9).

ლობის, კონტროლისა და კარნახის ქვეშ, რომლის დროსაც გამორიცხული იყო ყოველგვარი ნებაყოფლობითობა. ანალოგიური სცენარით განხორციელდა სხვა პარტიების სალიკვიდაციო ღონისძიებებიც.

მაგრამ ნებაყოფლობითობის სცენა უნდა გაეთამაშებინათ, ისე როგორც სხვებმა გააკეთეს – თითქოს პარტიას საკუთარი ნებით აუქმებდნენ, რადგან მათი იდეალები სრულიად ემთხვეოდა კომპარტიის იდეალებს, მსოფლმხედველობას და პროგრამას. 1923 წლის სექტემბერ-ოქტომბრისათვის მემარცხენე ფედერალისტები უკვე მზად იყვნენ თვითლიკვიდაციისათვის. ამ აქტს წინ უძღოდა კომპარტიასთან იდეური სიახლოვის იდეოლოგიური დასაბუთება.

1923 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ სტატიაში თედო ღლონტი საკუთარ თავს და სხვებსაც აჯერებდა, თითქოს ფედერალისტები წარსულში მარქსიზმს რომ აკრიტიკებდნენ, მასში მხოლოდ „კაუცკიანური მარქსიზმი“ იგულისხმებოდა. „შეიძლება ჩვენთვისაც სავსებით გასაგები არ იყო ერთბაშად ლენინისტური მარქსიზმი, ყოველ შემთხვევაში მთელმა ჩვენმა პარტიამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში სავსებით შეითვისა ლენინისტური მოძღვრება და განსაკუთრებით მემარცხენეთა ფრთას არ უწარმოებია ლენინისტური მსოფლმხედველობის უარყოფითი კრიტიკა“. ამ თვითაღიარებას რომ კითხულობ, იგრძნობა როგორი მომაკვდინებელი ტერორის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ პარტიის აქტიური და თუნდაც რიგითი წევრები. მათ ემუქრებოდათ რეპრესიები, რომელნიც სხვადასხვა ხარისხის შეიძლებოდა ყოფილიყო – დახვრეტა-გადასახლებით დაწყებული შედარებით მსუბუქი სახის ზომამდე. ამიტომ მათ თავის შველა და კომუნისტურ პარტიაში თავის შეფარება გადაწყვიტეს. ინტეგრაციის პროცესი იდეოლოგიური დასაბუთებით უნდა დაწყებულიყო და ღლონტის სტატიაც ამ „მისიას“ ემსახურებოდა. თედო ღლონტი ცდილობდა დაემტკიცებინა რომ კომუნისტებთან მათ ბევრი საერთო ჰქონდათ ვიდრე „მენშევიკებთან“. შემდეგ ამას მოსდევდა ჟორდანიას, წერეთლისა და სხვა სოციალ-დემოკრატების მწვავე კრიტიკა, რომელიც ცილისწამებასა და ლამის ლანძღვა-გინებაში გადადიოდა. სამაგიეროდ, მემარცხენე ფედერალისტებს „ნათესაობა“ აკავშირებდათ კომუნისტებთან. „მემარცხენე ფედერალისტი მიდის კომუნისტურ პარტიაში არა ბიუხნერის და კაუცკის მატერიალიზმით, არამედ ლენინისტური მატერიალიზმით და მარქსიზმით“ – აცხადებდა ღლონტი: „როცა ჩვენი ძალები კომპარტიის რიგებში გადაეშვებიან და მის მწკრივებს გაამაგრებენ“ – დაას-

კვნიდა თედო ღლონტი.

როგორ ესმოდათ მემარცხენე ფედერალისტებს კომპარტიაში „გადაშვება“ და მასთან ერთიანობის საკითხის ფორმა თუ შინაარსი. ერთნი ლაპარაკობდნენ – გაერთიანებაზე; მეორენი – ერთიანობაზე, მესამენი – გაკომუნისტებაზე – ანუ კომპარტიაში შესვლაზე. თვითონ თედო ღლონტი ლაპარაკობდა „ერთიანობაზე“ – მემარცხენე ფედერალისტებსა და კომუნისტებს შორის. სტატიის დიდი ნაწილი ეთმობოდა რევოლუციის შესაძლებლობას ევროპისა და მსოფლიოს „მაშტაბით“. კომპარტიასთან „შედუღებული“ ფედერალისტების პარტია იბრძოდა სწორედ ამ რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ფედერალისტი პუბლიცისტები და ლიდერები ცდილობდნენ და ასაბუთებდნენ, რომ თითქოს მათი გადაწყვეტილება, შეერთებოდნენ კომპარტიას – იყო სავსებით ნებაყოფლობითი აქტი. ეს სიყალბე იყო, რომელიც სამწუხაროდ უნდა ემტკიცებინათ ფედერალისტებს. დიადი სოციალისტური სახელმწიფო იწყებდა ტყუილის, სიცრუის, სიყალბის ფართომასშტაბიანი ტირაჟირების ეპოქას. ფედერალისტები იძულებულნი გახდნენ შეერთებოდნენ საყოველთაო სიყალბის სტიქიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც მოხდა საბჭოთა რუსეთში, მოხდებოდა და უკვე ხდებოდა საქართველოშიც – რეპრესიები. 1923 წლის „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა თედო ღლონტის სტატია საკმაოდ გულღია მინიშნების მატარებელი სათაურით – „ბრძოლა თუ სიკვდილი. პარტიულ ამხანაგებს“ – რომელი გზა უნდა აირჩიოს ფედერალისტების პარტიამ – ბრძოლა განაგრძოს თუ არსებობა შეწყვიტოს.

იმისათვის რომ დილემაზე პასუხი გაეცა, თედო ღლონტმა პარტიის ისტორიის რეტროსპექტივას მიმართა. სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ისტორია მან 1903 წლიდან წარმოადგინა და პარტიის ოცწლიან სტაჟი გაახსენა მკითხველს.

შემდეგ მან გაიხსენა 1907 წლის მესამე დამფუძნებელი კონფერენცია, მაგრამ რატომღაც მიიჩნია რომ პარტიამ სოციალიზმ-ფედერალიზმი კი აირჩია საკუთარ „სულის დგმად“, „მაგრამ ამ პოლიტიკურ შემეცნებას არ ქონდა გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც სავალდებულო ყოფილიყო ჩვენი პარტიის ყველა წევრისათვის“. შემდეგ აგრძელებდა: 1907 წლის კრებამ ვითომ „უარყო რომელიმე გარკვეული სოციოლოგიური, ფილოსოფიური და ეკონომიური მსოფლმხედველობის დასახელების საჭიროება და პარტიის წევრები მსოფლმხედველობის

მხრივ განთავისუფლებულნი თავიანთ უნარის, ცოდნის და სტიქიური აღტკინებით მიდიოდნენ სოციალიზმ-ფედერალიზმამდე“.[19]

ამ თეზისით თ. ღლონტიც საყოველთაო სიყალბის პროცესში აღმოჩნდა და ერთი სიტყვითაც არ ახსენა რომ 1907 წლის დამფუძნებელმა კონფერენციამ მიიღო პარტიის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – პროგრამა. მეორე – მან სცადა დაემცრო თავისი პარტიული წინაპრების დამსახურება და წარმოედგინა საკუთარი პარტია – მსოფლმხედველობის უქონელ ორგანიზაციად. ეს თეზისი ღლონტს სჭირდებოდა იმისათვის რომ ეღიარებინა – მარქსიზმი, როგორც მემარცხენე ფედერალისტების მსოფლმხედველობა.

სხვათა შორის, თედო ღლონტმა ის გარემოებაც გამოტოვა, რომ თავის დროზე, სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, ავტონომიის დროშის ქვეშ აერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობებს და დაარქვა ამ სხვადასხვაობას – დომხალი და მავნე ტრადიცია. მეორე ყრილობამ, როდესაც მოხდა მემარცხენე ფედერალისტების „შედუღება“ კომუნისტურ პარტიასთან თუ პარტიაში, მისალმება გაუგზავნა მოსკოვში ამხანაგებს, რომელშიც აღმიშნული იყო რომ უცხადებდნენ სოლიდარობას ამხანაგებს, რომელთაც გადაწყვიტეს ჩადგნენ კომპარტიის რიგებში, რათა დაემარცხებინათ „კაცობრიობის უდიდესი მტერი – კაპიტალიზმი“.

იგივე და იმავე პრობოლშევიკური ლოიალიზმის პათოსით იყო გამსჭვალული მეორე ფედერალისტი ლიდერის სიმონ ხუნდაძის წერილები და კონკრეტულად სტატია: „შენიშვნები. ჩვენი პარტიის არსებობის ალფა და ომეგა“. თითქმის ოქტომბრის გადატრიალების დღეებიდანვე ჩვენმა ჯგუფმა, მომქმედმა ჯერ კიდევ ძველი პარტიის ფარგლებში, სავსებით და პრინციპიალურად გაიზიარა კომუნისტური მოძრაობის ძირითადი საფუძვლებიო, წერდა პუბლიცისტი

ხუნდაძე მკითხველს არწმუნებდა რომ ასე იყო 1921 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგაც, როცა „ფორმალურადაც დავდექით კომუნისტური ინტერნაციონალის ნიადაგზე“.[20] ამის შემდეგ საბუთდებოდა აზრი და ფორმულა, რომ არ არსებობდა „არავითარი საკითხები“, რომელნიც განასხვავებდნენ ფედერალისტური და კომუნისტური პარტიების პოზიციებს.

[19] გაზ. „ტრიბუნა“. 1923 წლის 28 ოქტომბერი. თედო ღლონტი. ბრძოლა თუ სიკვდილი?
[20] „ტრიბუნა“. 1923 წლის 27 ოქტომბერი. ს. ხუნდაძე. შენიშვნები. ჩვენი პარტიის არსებობის ალფა და ომეგა“.

რა თქმა უნდა მემარცხენე ფედერალისტები ყველაფერს არ აყალბებდნენ. მათი მტკიცება რომ კომუნისტებთან გარკვეული სიახლოვე ახასიათებდათ – სიმართლის დოზასაც შეიცავდა. განსაკუთრებით ეს სიახლოვე გამოიხატებოდა ფედერალისტებისა და კომუნისტების აგრარულ პოზიციაში. ცნობილია რომ რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ფაქტობრივად გაიზიარა ესერული მიწის სოციალიზაციის კონცეფცია.. სწორედ ამ თვალსაზრისს ასაბუთებდნენ მემარცხენე ფედერალისტები.

და მართებულადაც. ჩვენ ვიცით რომ სოციალისტ-ფედერალისტები უკვე 900-იანი წლებიდან დადგნენ მიწის სოციალიზაციის ნიადაგზე და ერთგულად იცავდნენ ესერულ პროგრამას მთელი ოცწლეულის მანძილზე. სიმონ ხუნდაძე ეყრდნობოდა სოციალისტ-ფედერალისტების უპირველესი იდეოლოგის არჩილ ჯორჯაძისა და პარტიის საპროგრამო დოკუმენტებს. იგი იმოწმებს 1904 წლის ჟენევის კონფერენციის ოქმებს და კონფერენციაზე ჯორჯაძის მოხსენებას: „მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალური რევოლუციისა და ამიტომაც ვართ მისი მხურვალე დამცველი“ – ამბობდა არჩილ ჯორჯაძე.[21]

სიმონ ხუნდაძეს კიდევ რამდენიმე ციტირება მოჰქონდა თავის სტატიაში. „ჩვენი განზრახვა ის კი არ არის, რომ ამ ხალხს მესაკუთრეობის ჟინი და სურვილი განვუმტკიცოთ, არამედ დავანახვოთ სხვა უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმა წარმოებისა და მოვამზადოთ იგი კოოპერაციებისა, სას. სამეურნეო სინდიკატებისა და დამხმარე საზოგადოებათა საშუალებით კომუნისტურ წეს-წყობილებისათვის“. ხუნდაძე 1904 წლის გაზეთ „საქართველოს“ იმოწმებდა.

ჯორჯაძის მოსაზრებებს ადრე გავეცანით და მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ამის შემდეგ სიმონ ხუნდაძე განაგრძობდა: „კომპარტიამ წაიღო ჩვენი სოციალიზაცია და რეალურად გაანაღდა, თან წაიყვანა ჩვენი მშრომელი გლეხობა და ქალაქის პროლეტარიატს დაუძმობილა“. რა უნდა ექნათ მემარცხენე ფედერალისტებს? „ასეთს პირობებში კომპარტიის აგრარულ პროგრამასა და აგრარულ პოლიტიკას ჩვენ დღეს ვერაფერს ვერ დაუპირისპირებთ, წინააღმდეგ. რაც დღეს ხელში უჭირავს კომპარტიას, ის ჩვენს პროგრამასა და ჩვენს პოლიტიკას წარმოადგენს“ ამის შემდეგ ხუნდაძეს მოჰქონდა ამონარიდი საქართველოს მთავრობის

[21] „ტრიბუნა“.1923 წლის 2 ნოემბერი.

მე-17 დეკრეტიდან: „ყველა მიწები მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა“. ამის შემდეგ კი სიმონ ხუნდაძე დაასკვნიდა: „გვაქვს რაიმე ამ პროგრამის საწინააღმდეგო? სრულიად არაფერი. ეს ჩვენს პროგრამასა და ჩვენს აგრარულ პოლიტიკას შეიცავს. ასეთ პირობებში რაღა დაგვრჩენია თუ არა ჩვენი პროგრამის გაყოლა უკან და დადგომა იმ რიგებში, სადაც სდგას ჩვენი მშრომელი გლეხობა“ – აქ ალბათ „კომპარტია“ უნდა ეთქვა „ს. ხ“-ს (სიმონ ხუნდაძეს).

მაშ, კომპარტიასთან სიახლოვის კიდევ ერთი სფერო – აგრარული საკითხის ერთნაირი გაგება – დასაბუთდა. რჩებოდა ყველაზე მთავარი, ის რაც სოციალისტ-ფედერალისტების მრავალწლიანი მოღვაწეობის მთავარ საფუძველს, მიზანს და მოწოდებას წარმოადგენდა – ეროვნული საკითხი, საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემა. მემარცხენე ფედერალისტებს აქაც უნდა მოეძებნათ კომუნისტებთან ლოიალობის წერტილი და საერთო ნიადაგი. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე მემარცხენე ფედერალისტები იმას ვერ აუხვევდნენ გვერდს, რომ საბჭოთა არმია საქართველოში შემოვიდა და ქვეყნის ოკუპაცია და ანექსია განახორციელა. ახლა როდესაც ფედერალისტები თვითლიკვიდაციას აპირებდნენ, რაიმე საერთო სამოქმედო ფორმულა, პრინციპი უნდა გამონახულიყო ეროვნულ საკითხშიც. საქართველოს ოკუპაციიდან ერთი თვეც არ იყო გასული რომ მოვლენებს გამოეხმაურა ახალგაზრდა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. „განუზომელი ტრაღიზმით აღსავსეა ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა“ – წერდა გამსახურდია და ცდილობდა გადმოეცა მაშინდელი საერთო საზოგადოებრივი განწყობილება: „ჯერ ჩვენ გულზე დარჩენილი ტკივილები არ მოშუშებულა, ჯერ ქართველი ხალხი გონს ვერ მოსულა“ მძიმე ვითარებაში მწერალი ეძებდა გზას, „რომელსაც უნდა დაადგეს ქართველი ინტელიგენცია“.[22] მას სწორედ დამოუკიდებლობის პრობლემა აწუხებდა და იმედს იტოვებდა რომ: „ლენინი და ჩიჩერინი, როგორც კომუნისტები ძველი რუსეთის შეცდომებს არ გაიმეორებდნენ, ვერც გაიმეორებენ“. მწერალი თითქოს ცდილობდა ოპტიმისტი ყოფილიყო, აფრთხილებდა კიდეც კომუნისტებს: 1801 წელს რომანოვებმა „წაგლიჯეს ბაგრატიონებს პოლიტიკური ალა-

[22] „ტრიბუნა“. 1921 წლის აპრილი. კ. გამსახურდია. პოლიტიკური შენიშვნები. ინტელიგენციის თანამშრომლობისათვის.

მი“: „1918-1921 წლებში ეს ალამი ქართველ ხალხს უპყრია ხელში და მისი ხელიდან წაგლეჯა არც ისე ადვილი იქნება და ნურც ნურავინ მოინდომებს ამას“[23] – დაასკვნიდა კონსტანტინე გამსახურდია. წერილი 1921 წლის 11 აპრილით იყო დათარიღებული.

აქვე გავიხსენებთ კ. გამსახურდიას უფრო გახმაურებულ წერილს, რომელიც მან ვლადიმერ ულიანოვ-ლენინს მისწერა. ეს წერილიც საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემას ეხება და ზემოაღნიშნულზე არანაკლები კატეგორიულობით გამოირჩეოდა. დღეს ტფილისში – წერდა მწერალი ბოლშევიკური რევოლუციის ბელადს – ძველი შეცდომების გამეორებას ლამობენ. თქვენი ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის“ განმეორებას. „მერწმუნეთ, ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები და მაკ სვეინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა“.[24] ვინ იყვნენ ხსენებული პირები და როგორც მკვლევარი შოთა ვადაჭკორია, რომელიც ჩვენზე ადრე შეეხო ამ საკითხს და წერდა, გამსახურდია „აჯანყებით იმუქრებოდაო“.[25]

როჯერ დევიდ კეზმენტი – ირლანდიელი პატრიოტი, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა გერმანიასთან, რათა მიეღწია მათი სამხედრო დახმარებისათვის. მაგრამ ირლანდიელებმა დახმარება ვერ მიიღეს და კეზმენტი ამის შემდეგ ცდილობდა, რომ ირლანდიელები, საგარეო მხარდაჭერის გარეშე არ აჯანყებულიყვნენ. 1916 წლის აპრილში კეზმენტი ინგლისის ხელისუფლებამ დააპატიმრეს და ჩამოახრჩვეს. ტერენს მაკ სვინი – გახლდათ ირლანდიელთა აჯანყების დროს, 1920 წელს, ქალაქ კორკის მერი, რომელიც ბრისტონის ციხეში 75-დღიანი შიმშილობის შემდეგ გარდაიცვალა. კ. გამსახურდია აღნიშნული პიროვნებების სახით აფრთხილებდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ საქართველოსაც გააჩნდა პატრიოტული რესურსი და ეროვნული წინააღმდეგობის უნარი.

1923 წლის 21 ოქტომბერს შედგა საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის კონფერენცია, რომელ-

[23] „ტრიბუნა“. 1921 წლის აპრილი.

[24] „სოციალისტ-ფედერალისტი“. 1921 წლის 8 მაისი. კ. გამსახურდია. ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი.

[25] შ. ვადაჭკორია. ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923 წ.წ.). თბ. 2008, გვ. 75.

მაც განიხილა მომავალ პარტიულ ყრილობაზე განსახილველი საკითხები. ამ დროისათვის უკვე გადაწყვეტილი იყო პარტიის თვითლიკვიდაცია და აღნიშნული კონფერენცია მომავალი სალიკვიდაციო ყრილობის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა.[26] პრესაში ქვეყნდებოდა მომავალი ყრილობის განსახილველი საკითხების ჩამონათვალი. ჩამოთვლილი 7 საკითხიდან სამი მათგანი იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: 1. საერთაშორისო მდგომარეობა. 2. დამოკიდებულება კომპარტიასთან და 3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.[27]

1923 წლის 7-8 ნოემბერს შედგა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მეორე ყრილობა. მისი გახსნა სპეციალურად დაამთხვიეს, როგორც „ტრიბუნა“ იუწყებოდა: „დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე“, რაც ძნელია ითქვას, რომ ფედერალისტების გულწრფელი სურვილი ყოფილიყო. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მეორე ყრილობას ესწრებოდა 55 დელეგატი, რომელთა „უმეტესობა ქალაქისა და სოფლის პროლეტარული გლეხობა იყო“. რადგან ფედერალისტების შეკრება სიმრავლით არ გამოირჩეოდა, დავასახელებთ რაიონებს, რომელთა პარტიული ორგანიზაციებსაც წარმოადგენდნენ დელეგატები: ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, ოზურგეთის, ბათომის, სიღნაღის და თბილისის მაზრის ორგანიზაციები. წარმოდგენილი სიის მიხედვით, ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატთა უმრავლესობა დასავლეთ საქართველოდან მონაწილეობდა..

ინტეგრაციის პროცესმა დამამთავრებელ ზღვრულს მიაღწია. ყრილობა გახსნა „პარტიის ხელმძღვანელმა“ თედო ღლონტმა. აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი: თედო ღლონტი, მიხა ესაკია, იოსებ გედევანიშვილი, მიხეილ გავაშელი, ანტონ (გვარი გაურკვევლად წერია – დ. შ). აირჩიეს აგრეთვე ყრილობის „საპატიო თავმჯდომარენი: ლენინი, ჯუღაშვილი, ფ. მახარაძე, ცხაკაია მიხა, კაკულია მიხა, ი. ფანცხავა“. განსახილველი საკითხები იყო: 1. საერთაშორისო მდგომარეობა. 2. დამოკიდებულება კომპარტიასთან. 3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ. 4. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 5. მოხსენება ადგილებიდან. 6. მიმდინარე საკითხები და 7. არჩევნები.[28]

[26] „ტრიბუნა“. 1923 წლის 14 ოქტომბერი.კონფერენცია.
[27] „ტრიბუნა“. 1923 წლის 26 ოქტომბერი. პარტიის მეორე ყრილობა.
[28] „ტრიბუნა“. 1923 წლის 10 ნოემბერი. მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობა.

სიმონ ხუნდაძისა და მიხეილ გელოვანის სიტყვების შემდეგ, მოხსენებით გამოვიდა თედო ღლონტი. ჩვენი პატარა და „ჩაგრული ერი“ ვერ წავა მემარჯვენეების გზით. „ერისა და მშრომელი ხალხის სახსნელად მარცხნივ უნდა წავიდეთ“. თედო ღლონტმა საინტერესო გულახდილობით აღიარა თავისი და ჯერჯერობით კიდევ არსებული ფედერალისტური პარტიის საგარეო კურსის ცვლილება და იძულებითი რეალობა: „ჩვენ ვერ დავემყარებით ვერც ლონდონს, ვერც პარიზს და ვერც ვაშინგტონს. ჩვენ უნდა ვწიოთ მოსკოვის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგები“. ირონია გულისხმობდა მწარე რეალობას, რომ გაკომუნისტებული ფედერალისტებისათვის და საერთოდ – ქართველი საზოგადოებისათვის არსებობდა ერთადერთი არჩევანი – მოსკოვი.

საბოლოოდ, ეს იძულებითი და მტკივნეული ინტეგრაციული პროცესი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მეორე ყრილობამ რამდენიმე სიტყვიანი რეზოლუციით დაასრულა: „ყრილობამ გადაწყვიტა ორგანიზაციულად გაერთიანება კომუნისტურ პარტიასთან.“[29] გაზეთი „ტრიბუნა“ განუმარტავდა მკითხველებს და საზოგადოებას, რომ მისთვის ე. წ. პარტიული თავმოყვარეობა არ სჭარბობდა რევოლუციოონერობის საკითხს და დაასკვნიდა რომ საჭირო იყო სოციალიზმის დასამყარებლად რევოლუციური ძალების გაერთიანება. რადგან მეორე ყრილობა უკანასკნელი აღმოჩნდა სოციალისტ-ფედერალისტების პარტიისათვის და იმის გამოც, რომ იგი „გადაეშვა“ კომპარტიის რიგებში, მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდებს რეზოლუციიდან კომპარტიასთან დამოკიდებულების შესახებ, რომელიც თედო ღლონტმა წაუკითხა დელეგატებს. ამონარიდებს შევამოკლებთ ან ციტირების სახით მოვიყვანთ.

1. 1921 წლის 6 ივნისიდან, როცა შედგა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების პირველი ყრილობა, პარტია მუდამ იდგა საერთაშორისო რევოლუციის ნიადაგზე და ზურგს უმაგრებდა მას.

2. საბჭოთა ხელისუფლების აღიარებამ და მასთან თანამშრომლობამ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტები დააყენა თავისთავად, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის ნიადაგზე.

3. რუსეთის რევოლუციამ, მისი რესპუბლიკები და ავტონომიები, დააკავშირა საერთაშორისო რევოლუციონურ ძალებთან.

[29] „ტრიბუნა“. 1923 წლის 13 ნოემბერი. რას სწერენ ჩვენი ყრილობის დადგენილების შესახებ.

4. რუსეთის რევოლუცია იყო „ნაციონალური რევოლუცია“ და ყოველი ნაციონალური რევოლუცია საერთაშორისო რევოლუციის ნაწილია.

5. საბჭოთა სახელმწიფო მსოფლიოს პირველი საკავშირო სოციალისტური რესპუბლიკაა. მსგავსი პროცესი მიმდინარეობს შიდა ევროპაში. ამიტომ აუცილებელია რუსეთისა და ევროპის სოციალისტური ძალებისა და პარტიების გაერთიანება.

6. სწორედ ამიტომ „მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის ყრილობა ადასტურებს პარტიის მთავარი კომიტეტის და ამა წლის 21 ოქტომბრის პარტიულ კონფერენციის დადგენილებას, ხსენებულ პარტიის გაერთიანებას კომუნისტურ პარტიასთან“.[30] 7.

საქართველოში გასაბჭოების პირველსავე ხანაში ყველა პოლიტიკური პარტია დადგა შავრაზმულ რეაქციის ფრონტზე. მხოლოდ მემარცხენე სოც. ფედ. პარტია მთელი თავისი ძალებით თავიდანვე ჩადგა საბჭოთა წყობილების მწკრივში და ა. შ.

რეზოლუციის მომდევნო კიდევ ხუთი პუნქტი, როგორც იტყვიან, კიდევ უფრო შოკისმომგვრელად გამოიყურებოდა. მძიმეა იმის წარმოდგენა, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა ახალი საბჭოთა-რუსული სისტემა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, პოლიტიკოსებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომ ასეთი რეზოლუციები ეწერათ, ასეთი თვითსალიკვიდაციო ყრილობები მოეწყოთ 20-25-წლიანი პოლიტიკური წარსულის მქონე პარტიებისათვის და ისეთი ზეიმური ფინალით დაემთავრებინათ საკუთარი პარტიის სალიკვიდაციო ყრილობა. თვითლიკვიდაცია არაერთგვაროვნად შეფასდა მაშინვე. მემარცხენეებს ბრალს სდებდნენ მარჯვნიდან, მარცხნიდან. ან უკვე ლიკვიდირებული პარტიის მესვეურების თავის მართლება ბუნებრივია, უსუსურად გამოიყურებოდა. დაახლოებით ამგვარ სტილში; „...ჩვენმა პარტიამ საკუთარი, დამოუკიდებელ არსებობაზედ ხელი აიღო. პარტიის ყრილობას რომ არ გაეზიარებინა კომპარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანება, რასაკვირველია პარტია ამით რექციონური სრულიადაც არ იქნებოდა, მაგრამ მას უფრო ნაკლები სარგებლობის მოტანა შეეძლებოდა რევოლუციის საქმისათვის...“[31]

ფედერალისტური პარტიის ისტორიის დასასრულს მივუახლოვდით. რა თქმა უნდა კიდევ შეიძლებოდა საუბრის გაგრძელება, პარტიის ისტო-

[30] „ტრიბუნა“. 1923 წლის 10 ნოემბერი. მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიის მეორე ყრილობა.

[31] „ტრიბუნა“. 1923 წლის 9 ნოემბერი. ჩვენი ყრილობა.

რიის უკანასკნელი წლების სხვადასხვა ნიუანსების შესახებ, მაგრამ ვფიქრობთ, საკმარისია. გამარჯვებულმა საბჭოთა რუსულმა ხელისუფლებამ მოსპო ოპოზიციის უკანასკნელი ბასტიონი, რომელიც ყელში ეჩხირებოდა თითქმის სამი წლის მანძილზე და იძულებული გახადა უარი ეთქვა საკუთარ არსებობაზე.

საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა საქართველოში ერთპარტიული ბოლშევიკურ-კომუნისტური დიქტატურა დამყარდა.

Dimitri Shvelidze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SOVIET RUSSIAN EPILOGUE OF THE SOCIALIST-FEDERALIST PARTY – "SELF-LIQUIDATION" (1921-1923)

Summary

The Soviet government initially seemed to have chosen a tolerant political course towards the Georgian political spectrum. On February 25, 1921, the day the invaders entered Tbilisi, the Revolutionary Committee issued a decree on amnesty. The main term provided by the amnesty was the recognition of the Soviet government by the local political parties.

However, the period of tolerance lasted for a couple of weeks. On April 15, 1921, the Extraordinary Commission of Soviet Georgia issued an order effectively banning all activity of political parties. Political parties that did not recognize the Soviet government were forbidden to hold meetings and discussions without special permission. Without a permit, all party gatherings would be imprudently dissolved, and their initiators arrested and prosecuted as conspirators against the existing establishment.

Obviously, the establishment of such strict control over any party, in fact, ban or not, would lead to the limitation of the activity of the parties to a minimum and their eventual dissolution.

After that, the communist authorities of the Soviet Union successively banned the political parties in the country and in individual republics: Social Democrats, Social Democratic Internationalists, Socialist-Revolutionary Maximalists, Ukrainian Evilists, Jewish Bund, Right Socialist-Revolutionaries, etc. The Soviet government itself did not abolish these and other parties but forced them to hold self-liquidation congresses and officially determine the self-liquidation of their parties. According to the established rule, social democrats

and national democrats announced their self-liquidation in Georgia, while others generally withdrew from political activities.

The Left Socialist-Federalist Party faced a dilemma: it had to either continue the struggle against the Bolshevik government or dissolve the party and merge into the Communist Party. Leftists chose the latter: ideological, party death, and physical survival.

Left Federalists falsely claimed that they had chosen the path to abolish their own party. On February 21, 1922, the Presidium of the Central Committee of the Communist Party of Georgia approved the plan of the Extraordinary Commission of Georgia, which provided for repression against the opposition parties. One of the plenums of the Central Committee of the Communist Party decided that the Socialist-Federalist Party should be liquidated by the hands of the Main Committee of the Party. However, they had to play the scene of voluntariness, as others have done – as if they were abolishing the Party on their own free will, because their ideals completely coincided with the ideals, outlook, and program of the Communist Party.

By September-October 1923, the left federalists were already ready for self-liquidation. This act was preceded by the ideological justification of ideological closeness to the Communist Party. One of the leaders of the party, Tedo Ghlonti, tried to prove that they had more in common with the Communists than with the "Mensheviks" and that their decision to join the Communist Party was a completely voluntary act. It was a falsehood that the Federalists unfortunately had to agree. The great socialist state was beginning the era of large-scale circulation of lies and forgery. The Federalists were forced to join in the frenzy of universal forgery. Otherwise, what happened in Soviet Russia would happen and was already happening in Georgia – repression.

On November 7-8, 1923, the Second Congress of the Left Socialist-Federalist Revolutionary Party took place. The same Tedo Ghlont admitted with interesting honesty the change in the foreign course of his and still existing federalist party and the forced reality: "We cannot rely on London, Paris, or Washington. We must agree to the slogans thrown by Moscow." The irony meant the bitter reality that for the communist federalists and for Georgian society in general, there was only one choice – Moscow.

Finally, this forced and painful integration process was completed by the Second Congress of the Left Socialist-Federalist Party with a few-word resolution: "The Congress decided to unite organizationally with the

Communist Party." The victorious Soviet Russian government destroyed the last bastion of the opposition—the left-wing Socialist-Federalist Revolutionary Party of Georgia, which had been struggling for almost three years and forced it to renounce its existence.

One-party Bolshevik-communist dictatorship was established in the Soviet Union and Soviet Georgia respectively.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

თენგიზ სიმაშვილი
პროფესორი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა რეპრესიები თელავის და სიღნაღის მაზრების სოფლებში 1924 წლის სექტემბერში (საარქივო მასალების მიხედვით)

2024 წლის აგვისტოში, საქართველოში მომხდარი აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყებიდან 100 წელი შესრულდა. ცნობილია, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის კახეთში –თელავის და სიღნაღის მაზრებში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგები საკმაოდ ტრაგიკული იყო. საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ძალისმიერმა სტურქტურებმა საშინელი სისასტიკე გამოავლინეს და ამ აჯანყებაში უშუალო მონაწილეების გარდა, მათთვის მიუღებელი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელიადამიანები სიკვდილით დასაჯეს.[1]

ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტების ანალიზი ადასტურებს, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით, კახეთშიუამრავი ადამიანი იქნა დაპატიმრებული. მათი დიდი ნაწილი გაუსამართლებლად, ნაწილი კი „საგანგებო სამეულების“ („ტროიკა“) მიერ, სასჯელის უმაღლესი ზომის დახვრეტის განაჩენის გამოტანის დადგენილების საფუძველზე დახვრიტეს.[2]

საბჭოთა ხელისუფლებამ,ასევე მიმართა რეპრესიების სხვა ფორმას.კერძოდ, მოსახლეობის დაპატიმრება-დახვრეტების პარალელურად,

[1] იხილეთ საარქივო დოკუმენტების კრებული: ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში 1921-1924. ნარკვევი. დოკუმენტები. გამოსაცემად მოამზადეს ლევან ჯიქიამ და დიმიტრი სილაქაძემ. თბ. საქართველოს ეროვნული არქივის გამოცემა. 2024.

[2] თ. სიმაშვილი. საბჭოთა რეპრესიები თელავში – 1921-1924 წლები. ნაწილი I. თბ. გამომცემლობა „მერიდიანი“. 2020.

1924 წლის სექტემბრის დასაწყისში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში,თელავის და სიღნაღის მაზრების სოფლებში დაიწყო აქ მცხოვრები თავად-აზნაურობის, სასულიერო წოდების, ინტელიგენციის წარმომადგენლების და ზოგადად საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგედ მიჩნეული ადამიანების დევნა,საცხოვრებელი ადგილებიდან გაძევება, ფიზიკური განადგურება.[3]

საარქივო მასალების შინაარსიდან ირკვევა, რომამ პროცესების წამქეზებლები იყვნენ, საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამაზრო ცენტრებიდან სოფლებში მივლინებულისაბჭოთა უშიშროების სამსახურის(პოლიტიკური პოლიციის) „ჩეკა“-ს ადგილობრივი ორგანოების – ე.წ. „პოლიტიკური ბიურო“-ს (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო (გპუ))და სამაზრო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

1924 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, კახეთის სხვადასხვა სოფლებში მომხდარი მოვლენების შესახებ, იქ მცხოვრები თავად-აზნაურობის, სასულიერო წოდების, ინტელიგენციის წარმომადგენლების დარბევებზე და განდევნაზე სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში ნაკლებადაა ცნობილი. როგორც ირკვევა, თელავის და სიღნაღის მაზრებში, 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში გლეხობის ვითომდა „სტიქიური“ მიტინგები დაიწყო. ადგილებზე მაზრებიდან ჩასული საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების ნაქეზებით, სოფლების მოსახლეობის ნაწილმა – ძირითადად ღარიბმა, ბოგანო გლეხებმა, ვისაც უმეტესად წინასწარ ასმევდნენ ალკოჰოლურ სასმელს, დაიწყესთავისივე თანასოფლელების დევნა, მათი ოჯახების დარბევები და მათი ფიზიკური განადგურება.

აღნიშნულმა პროცესმა,იმდროინდელ საბჭოთა პრესაშიც ჰპოვა თავისი ასახვა. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც დათარიღებულია 1924 წლის 7 სექტემბრით, ვკითხულობთ: „სოფელ იყალთოდან მიღებულია იყალთოს რაიკომის მდივნის ამხ. კოხტაშვილის შემდეგი შინაარსის ცნობა: „რაიონში ადგილი აქვს დიდ აღშფოთებას თავადების და აზნაურების წინააღმდეგ. გლეხები იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფებად და დანგრევას აპირებენ თავადების სახლე-

[3] დასავლეთ საქართველოში 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების და შემდგომ განვითარებული მოვლენების შესახებ იხილეთ: ლ. ჯიქია. 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. თბ. გამომცემლობა „უნივერსალი“. 2011. აღნიშნულ კვლევაში გაშუქებულია 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების მომზადება და მიმდინარეობა დასავლეთ საქართველოში. საგანგებო ადგილი ეთმობა აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ უსასტიკეს რეპრესიებს.

ბის. სამაზრო კომიტეტმა მისცა ამხ. კოხტაშვილს დირექტივა – თავიდან აეცდინა ექსცესები, დაემშვიდებინა გლეხები და დაერწმუნებინა ისინი, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავისი საგლეხო აპარატების შემწეობით მიიღებს ზომებს რაიონებიდან იმ თავადების და აზნაურების გადასახლებისათვის, რომლითაც უკმაყოფილოა გლეხობა. დღეს დილის 7 საათზე და 30 წუთზე მიღებულია იყალთოდან ამხ. კოხტაშვილისგან შემდეგი შინაარსის ცნობა: „დღეს განთიადისას სოფელ იყალთოს ყველა გლეხები გამოვიდნენ ქუჩაში რევოლუციური სიმღერით, კეტებით შეიარაღებულები, აღშფოთების ხმებით „სიკვდილი თავადებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენ თვითონ გავწმენდთ არამზადა თავადების ნაშთებს, სოფლებიდან გაემართნენ ქალებთან და ბავშვებთან ერთად თავადების სახლებისკენ".[4]

ამ სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ თითქოსდა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სცადა გლეხების დამშვიდება, მაგრამ: „გლეხებმა დღეს დილით გარეკეს თავადები თავიანთი სახლებიდან და მათი ქონების ნაწილს ცეცხლი გაუჩინეს, ქვის სახლებში ჩაასახლეს უღარიბესი გლეხები. განდევნილი თავადები შეიპყრო პანიკამ და გარბიან თელავის მიმართულებით. შესაძლებელია მოძრაობა მოედოს სხვა რაიონებსაც, მაგალითად ვაჩნაძიანს, საბუეს, ახმეტას და სხვა ყოფილ თავდთა ბუნაგებს" .[5]

იგივე თემას – სოფლებიდან მოსახლეობის ნაწილის განდევნას ეხება, 1924 წლის გაზეთ კომუნისტის 9 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი სათაურით – „კახეთში (საუბარი ამხ. მათიკაშვილთან)". იმ დროს თელავის მაზრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მათიკაშვილი, რომელიც ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა თელავის მაზრაში საბჭოთა რეპრესიების განხორციელებაში, მოუთხრობდა მკითხველს: „კახეთში (თელავის და სიღნაღის მაზრაში) ისე როგორც მთელ საქართველოში პარიტეტული კომიტეტის მუშაობის ერთ-ერთ ბაზას წარმოადგენდნენ ყოფილი თავადები, აზნაურები და სამღვდელოება. ... როგორც კი გლეხებმა გაიგეს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში ადგილი ჰქონდა ბანდიტურ გამოსვლებს ხელისუფლების წინააღმდეგ, ისინი მოითხოვდნენ მუშურ-გლეხური მთავრობის მტრების სასტიკ და დაუზოგავ დასჯას. ყველა სოფლებიდან მოდიოდა მრავალრიცხოვანი გლეხთა მიტინგების დადგენილებანი, რომელიც მოითხოვდა გაბედულ ზომების მიღებას იმ ბანდი-

[4] გაზ. „კომუნისტი". 1924 წელი. 7 სექტემბერი.
[5] გაზ. „კომუნისტი". 1924 წელი. 7 სექტემბერი.

ტების ცდის წინააღმდეგ, რომელნიც არღვევენ საქართველოს მშრომელთა მყუდრო ცხოვრებას. გლეხებმა განაცხადეს, რომ თუ ხელისუფლება ლმობიერად მოეპყრობა ბანდიტებს, ისინი თვითონ გაუსწორდებიან თავის მოსისხლე მტერს".[6]

1924 წლის 13 სექტემბერის გაზეთ „კომუნისტში", საერთო სათაურით – „მენშევიკური ბანდიტების ლიკვიდაცია", ქვესათაურის ქვეშ –„გლეხობა თავად-აზნაურების წინააღმდეგ, თელავი" წერია: „ჩვენ გვატყობინებენ თელავიდან შემდეგს: ჯერ კიდევ გუშინ სამაზრო კომიტეტმა აცნობა ცეკა-ს იმის შესახებ, რომ მაზრაში გლეხებს შორის საშინელი აღშფოთებაა თავადების და აზნაურების წინააღმდეგ. ჩვენი საბჭოთა ორგანოები რაიონებში ძლივს აკავებდნენ გლეხების ამ აღშფოთებას, რომელმაც კინაღამ მიიღო სტიქიური ხასიათი თავადების წინააღმდეგ.გუშინ სამაზრო კომიტეტმა ყველა რაიონიდან მიიღო ცნობა, რომ გლეხებმა, როგორც კი გაიგეს, რომ გამოსვლა საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი იყო პარიტეტული კომიტეტის მიერ, რომელშიც გაერთიანებული არიან თავადები, აზნაურები, ოფიცრები, მღვდლები და ჩარჩები,მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაძევებული ყოფილიყვნენ სოფლებიდან თავად-აზნაურები მთელი თავიანთი ოჯახებით და ოჯახის წევრებით, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ ყველა თავადები, რომელთაც შეუძლიათ იარაღის ტარება. გლეხები იმუქრებოდნენ, რომ თუ სახელმწიფო ვერ გამოიჩენს სიმტკიცეს ამ საკითხში, მაშინ თვით გლეხობა იკისრებს მათ გაწმენდას რკინის ცოცხით.გუშინვე სამაზრო კომიტეტი თავისი რაიკომების საშუალებით შეეცადა განემარტა აღელვებული გლეხებისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს და მიიღებს უსასტიკეს ზომებს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო შეიარაღებული გამოსვლების და შეთქმულების მომწყობთა წინააღმდეგ. რაიკომებს წინადადება მიეცათ მიიღონ ყოველგვარი ზომები მოსალოდნელი ექსცესების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ხალხის დამშვიდება".[7]

საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლება იყო დაინტერესებული სოფლებიდან და ზოგადად საქართველოს ტერიტორიიდან თავად-აზნაურების განდევნით. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია,1929 წლის მაისით დათარიღებული საარქივო

[6] გაზ. „კომუნისტი". 1924 წელი. 9 სექტემბერი.
[7] გაზ. „კომუნისტი". 1924 წელი. 13 სექტემბერი.

საქმესათაურით: „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმე, საქართველოს საზღვრებიდან აგვისტოს გამოსვლების მონაწილე თავად-აზნაურობის გასახლების წესის შესახებ“.[8]

ამ საარქივო საქმეში დევს „საიდუმლო წერილი“, რომელსაც – „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი“-ს ხელმძღვანელი მიხა ცხაკაია უგზავნის „ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“. დოკუმენტში ვკითხულობთ: „1924 წელს აგვისტოს მენშევიკური ავანტიურის შემდეგ საქართველოს სსრ გლეხებმა ცალკეულ მაზრებში დაიწყეს სტიქიურად განდევნა ყოფილი თავადების და აზნაურების მათი ნაჯდომი ბუდებიდან და ჩამოართვეს მათ მოძრავი და უძრავი ქონება. ამასთან, ეს განდევნა უმეტეს შემთხვევაში ეხებოდა პირებს, ვინც პირდაპირ და ირიბადიღებდა მონაწილეობას კონტრ-რევოლუციურ მოძრაობაში. ყოფილი თავადების და აზნაურების გასახლების დარეგულირებისათვის საქართველოს სსრ-ს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1925 წლის 9 იანვარს მიიღო და გამოსცა სპეციალური დადგენილება, ყოფილი თავადების და აზნაურების ადმინისტრაციული წესით გასახლებაზე. მალევე ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სსრკ-ს უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ჩამოერთმიათ ყოფილი მემამულეებისთვის ოქტომბრის რევოლუციამდე მათ საკუთრებაში არსებულ მურნეობებში მიწათმფლობელობის და იქ ცხოვრების უფლება“.[9]

საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცულია, საქართველოს სსრ-ს „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის“ მასალები, სადაც 1924 წლის სექტემბერში დატრიალებული საბჭოთა რეპრესიების შესახებ ინფორმაციებია შემონახული.[10]მათ შორის არის, 1924 წლის ოქტომბერში თელავის და სიღნაღის მაზრის სოფლებში ჩატარებული სოფლის მოსახლეობის კრებების ოქმები. როგორც ჩანს, 1924 წლის სექტემბერში განხორციელებული რეპრესიებისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისში კახეთის სხვადასხვა სოფლებში, ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენლები ჩასულან. მათ ჩაუტარებიათ კრებები, შეუდგენიათ ოქმები

[8] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 374, გვ. 1-2.
[9] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 374, გვ.1-2.
[10] აქვე, მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს ეროვნული არქივის და კახეთის რეგიონალური არქივის თანამშრომლების, განსაკუთრებით ქალბატონ ქეთევან ასათიანის მიმართ, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთის.

სოფლებიდან განდევნილი მოსახლეობის – „თავად-აზნაურობის განდევნის საკითხთან“ დაკავშირებით.[11]

აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც 1924 წლის 3 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“ წერს ლევან ღოღობერიძე,[12]მას და სხვა „პარტიულ ამხანაგებს“, მათ შორის ვანო სტურუას, 1924 წლის სექტემბრის ბოლოს, ექვსი დღის განმავლობაში ჩამოუვლიათ სიღნაღის და თელავის მაზრის სოფლები, რათა გაერკვიათ: „გლეხთა აღშფოთების ნამდვილი მიზეზები და ყველგან ხვდებოდნენ ერთსა და იმავე მტკიცე და შეგნებულ სულიერ განწყობას: გლეხები ერთსულოვნად და ზიზღით იგონებდნენ თავად-აზნაურებს და კატეგორიულად მოითხოვდნენ მათ საბოლოოდ განდევნას კახეთიდან“.[13]როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლების მაღალი რანგის პირების სწორედ ამ ჩასვლას მოყვა, კახეთის სოფლებში აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის კრებების ჩატარება.

თელავის მაზრის სოფელ ნაფარეულის, სანიორის და ართანის სასოფლო საბჭოს 1924 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებულია სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „სხდომას დაესწრნენ ზემოაღნიშნული სოფლების საბჭოს წევრების უმრავლესობა, გლეხკაცობის საგრძნობი ნაწილი და მაზრიდან ჩამოსული კომისია სამი კაცის შემადგენლობით. დღის წესრიგი – განხილვა გლეხების მიერ გამოდევნილი თავადების სიისა.მოისმინეს და დაადგინეს:

• ნაფარეულიდან–ყარალაშვილი თამარა (დათას ცოლი). დადასტურებულ იქნეს სოფლისდადგენილება, რომლითაც იგი გაძევებული ყოფილა გლეხების მიერ სოფლიდან. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იგი როგორც თავადის ცოლი მუდამ ჩაგრავდა გლეხებს და ამჟამადაც იყო მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტერი.

• სანიორიდან – ავალიშვილები ვასილ და ილიკო ნიკოლოზის ძენი (ძმები). დაადგინეს: დადასტურებულ იქნეს სოფლის დადგენილება, რომლსი ძალითაც ისინი გაძევებული ყოფილან სოფლიდან. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხსენებული თავადები არიან აქტიური მონაწილეები აჯანყების, რეაქციის დროს სდევნინენ გლეხებს.

• სოფელ ართანა–ყარალაშვილი რეზიკო მიხეილის ძე. დაადგინეს: დადასტურებულ იქნეს სოფლის დადგენილება, რომლის ძალითაც იგი გა-

[11] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11. საქმე 42.
[12] ლევან ღოღობერიძე – 1923-1924 წლებში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დახვრიტეს 1937 წელს.
[13] გაზ. „კომუნისტი“. 1924 წელი. 3 ოქტომბერი. მასალა მოგვაწოდა კოკი ფერაძემ.

ძევებული ყოფილა სოფლიდან გლეხების მიერ. ამჟამად იგი დახვრეტილია“.[14]

სოფელ ართანიდან სხვა პირებიც გაუძევებიათ, მათ შორის –„კოხტა გიგოს ძე ყარალაშვილი: რეაქციის იყო პრისტავი ოფიცერი, სცემდა გლეხებს, ამჟამადაც იყო აქტიური მონაწილე აჯანყებისა, რაზედაც იგი დატუსაღებულია“.[15]

ამ სოფლიდან გაძევებული პირების ჩამონათვალში, ძირითადად თავად ყარალაშვილების გვარის წარმომადგენელი მამაკაცები არიან, თუმცა ასევე გაუძევებიათ ქალი – ტალია ყარალაშვილი. იგი ყოფილა გლეხ სანდრო სესიაშვილის ცოლი: „ტალია ყარალიაშვილი მასხრად იგდებდა გლეხკაცობას და ამჟამადაც არ დაკარგა თავისი ზნე-ჩვეულება. მის მამულზე დატოვებული იქნეს მისი ქმარი სესიაშვილი“ – გადაუწყვეტიათ სხდომაზე.[16]

სოფელ ართანიდან გაძევებულ პირთა შორის დასახელებულია ასევე მანანა ყარალაშვილი: „დადასტურებულ იქნეს სოფლის დადგენილება რომ იგი გაძევებული ყოფილა სოფლიდან. იგი არის მტერი არსებული ხელისუფლების და მოტრფიალე ჩოლოყაშვილის ბანდის“.[17]

თელავის მაზრის სოფელ ნაფარეულის, სანიორის და ართანის სასოფლო საბჭოს ამ კრებას თავმჯდომარეობდა მახარეიშვილი, მდივანი ყოფილა კაკაბაძე.თელავის თელავის მაზრის წარმომადგენლი სამ კაციანი კომისიის წევრები კი: ქორიძე, კაკაბაძე და მამაჯანოვი.[18]

მსგავსი სახის კრებები თელავის მაზრის სხვა სოფლებშიც გამართულა. 1924 წლის 17 ოქტომბერს სოფელ კურდღელაურშიჩატარებულსოფლის საბჭოს კრებას: „დაესწრო უმრავლესობა და მაზრაში შემდგარი კომისიის წევრი ამხ. მამაჯანოვი განდევნილი თავად-აზნაურების საკით-

[14] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 11, გვ. 9. რევაზ (რეზო) ყარალაშვილი დახვრიტეს 1924 წლის 5 სექტემბერს თელავში. იგი იყო 1923 წელს „სამხედრო ცენტრის“ წევრობის ბრალდებით დახვრეტილი ფარნაოზ ყარალაშვილის მამა.
[15] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 9.
[16] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 9.
[17] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 9.
[18] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 9. სავარაუდოდ, ქორიძე იყო იმ დროს თელავის მაზრის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე საშა ქორიძე, რომელიც 1924 წლის 4-5 სექტემბრის ღამეს ხელში დაჭრა ახალგაზრდა კომკავშირელმა საშა ჯორჯაძემ. ამ უკანასკნელს საკუთარი მამის დახვრეტას აიძულებდა თელავის მაზრის „სამეულის“ წევრი კოლია ჯაფარიძე. საშა ჯორჯაძემ მძიმედ დაჭრა კოლია ჯაფარიძე, რომელიც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. საშა ქორიძე კი გადარჩა. ეს ტრაგიკული ისტორია იხილეთ:თ. სიმაშვილი. 1924 წლის სისხლიანი სექტემბერი თელავში. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XVI. თბ. 2020, გვ. 211.

ხის გამოსარკვევად.დღის წესრიგი–განხილვა პერსონალურად სოფლიდან განდევნილი თავად-აზნაურებისა".[19]

კრებაზე მოუსმინიათ და დაუდასტურებიათ სხვადასხვა პირების გაძევების გადაწყვეტილება, მათ შორის ერთ-ერთი გაძევებული იყო ნინო ერისთავი, რადგან: „ხსენებული ერისთავი, როგორც თავადი ამწუხრებდა გლეხებს".[20]

ამავე სოფლიდან გაუძევებიათ ქეთო თარხანიშვილი, თუმცა მასზე არაა მითითებული რომ თავადია, პირიქით აღნიშნულია, რომ: „იგი არის მიწის მუშა".[21]

სოფელ კურდღელაურიდან გაძევებულებს შორის არიან: „მიშა რუსიევი, როგორც თავადი და მუშების ექსპლოატატორი", ასევე ლუკა და ანასტასია ნინიევები, ბარბარე ხირსელი, დათა ზურაბიშვილი, ალექსანდრე (ცუცა) რუსიევი. სოფლის საბჭოს კრების სხდომის ამ ოქმს ხელს აწერენ: ვ. ციხისთავი, მამაჯანოვი, კაკაბაძე და სხდომის მდივანი ჩუბინიძე.[22]

გაძევებები ხდებოდა სხვა ადგილებშიც. მაგალითად, ამჟამად ახმეტის მუნიციპალიტეტის, იმ დროს კი, თელავის მაზრაში შემავალი სოფელხორხლის საბჭოს სხდომის ოქმი მიხედვით,1924 წლის 26 ოქტომბერს გამართულ სხდომას დასწრებიან:„საბჭოს წევრები, გლეხები, მაზრაში შემდგარი კომისია გლეხების მიერ განდევნილი თავადაზნაურების საკითხის გამოსარკვევად".[23]

ამ სხდომაზე „მოუსმენიათ საკითხი" კოტე თურქესტანიშვილის შესახებაც და დაუდგენიათ: „დაბრუნდეს სოფლად, როგორც პატიოსანი მშრომელი მუშა და არავითარი ბოროტება არ მიუძღვის მუშა-გლეხებთან".[24] იგივეა აღნიშნული დათა თურქესტანიშვილზე, ილია საყვარელიძეზე, ფეფე დეკანიზიშვილზე, კიკუშა დეკანოზიშვილზე, მიშა საყვარელიძეზე.[25]ანუ, ეს ადამიანები 1924 წლის სექტემბერში სოფლებიდან იყვნენ გაძევებული, მაგრამ გადაწყვიტეს მათთვის სოფლებში დაბრუნების ნებართვა მიეცათ.

[19] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.
[20] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 284, ანაწერი 3, საქმე 11, გვ. 10.
[21] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.
[22] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.
[23] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 11.
[24] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.
[25] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.

სხდომის ოქმში ნახსენებიავანო საყვარელიძე, რომელზეც ნათქვამია: „ხსენებული პირი ინახავდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანდას, იყო აქტიური მონაწილე მისი ბანდის მოქმედებისა. ამჟამად ის მასწავლებელია და არ შეეფერება თავის დანიშნულებას, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტერი. გლეხები საჭიროდ სცნობენ ხსენებული პირი იქნეს მოხსნილი მასწავლებლობიდან“.[26](დოკუმენტი № 1)ამ დოკუმენტს ხელს აწერენ არსენაშვილი, კაკაბაძე და მდივანი მამაჯანოვი.[27]

ამრიგად, როგორც ირკვევა, 1924 წლის სექტემბრის დასწყისში სოფლებიდან ხდებოდა არა მარტო თავად-აზნაურების, არამედ ინტელიგენციის წარმომადგენლების გაძევება, რომლებსაც ასევე ატოვებინებდნენ სამსახურს.

გარდა ამისა, როგორც ამავე საარქივო საქმეში დაცული, 1924 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, სოფლებში სახლები და მიწები ჩამოართვეს ადამიანებს, ვინც რეალურად არ მიეკუთვნებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელ სოციალურ ფენას და არც კავშირი ჰქონდათ აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილე პირებთან.

მაგალითად, ქალაქ თელავში მცხოვრები, პროფესიით „მშობიარეების ექიმი“ – „აკუშერკა“ მარიამ რცხილაძე განცხადებას უგზავნის ვანო სტურუას.[28]მარიამ რცხილაძის სიტყვებით: „ოცი წელია ქვრივია და ორი შვილის პატრონი, დავრჩი უმუშევრად, პენსიის გარეშე. აგვისტოს გამოსვლების შემდეგ მეც სხვებთან ერთად მამული ჩამომერთვა და შევიქმენ უკიდურეს მდგომარეობაში“.[29]

მ. რცხილაძე ითხოვდა, 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების პერიოდში, გლეხების მიერ მისთვის ჩამორთმეული კუთვნილი მამულის – „ერთი დესეტინა ვენახის მარნით“,რომელიც ჰქონდა სოფელ ურიათუბანში(ვაზისუბანი) მისთვის დაებრუნებინათ.[30]

რაც შეეხება სიღნაღის მაზრას, საარქივო მასალების შინაარსის მიხედვით,ამ მაზრაში სოფლებიდან საბჭოთა ხელსიუფლებისთვის მიუღებ-

[26] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.
[27] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 10.
[28] ვანო სტურუა 1922-1924 წლებში საქართველოს სსრ მინათმოქმედების სახალხო კომისარი, შემდეგ საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პარტკოლეგიის საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე.
[29] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 58.
[30] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 11, გვ. 58.

ელი პირების გაძევებას თან ახლდა საშინელი სისასტიკე, რაც გამოიხატა ადამიანების ფიზიკურ ანგარიშსწორებაში და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მათ დახოცვაში. ფაქტობრივად ეს იყო ადამიანების ე.წ. „ლინჩის წესით გასამართლება“, ანუ ბრბოს მიერ ჩადენილი მკვლელობა.

ამას ადასტურებენ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული სხვადასხვა სახის დოკუმენტები.სიღნაღის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის, 1925 წლის 12 თებერვლით დათარიღებული სხდომის ოქმის მიხედვით,განუხილიათ: „განდევნილ თავად-აზნაურთა შესახებ საბჭოების მიერ გამოტანილი დადგენილებები (ოქმები)“.[31]

სხდომაზე დაუდგენიათ, რომ: „აღნიშნული ოქმები დადასტურდეს და წარედგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად“.[32]

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის ამ სხდომაზე, განსახილველადშესული ყოფილა,1924 წლის ოქტომბრის დასაწყისით შემდეგი სასოფლო საბჭოების მიერ დაწერილი ოქმები: ახაშენ-ჩუმლაყის, ბაკურციხის, კარდენახის, კოლაგ-ვეჯინის, ვაქირის, ბოდბისხევის, გურჯაანის და ტიბაანის.[33] 1925 წლის 12 თებერვლით დათარიღებული სხდომის ამ ოქმში ვკითხულობთ: „აღნიშნული ოქმებიდან ჩანს, რომ ადგილობრივ გლეხთა მოსახლეობის სურვილის თანახმად, საბჭოების მიერ დადგენილებათა მიხედვით განდევნილ არიან“.[34]

ამ ტექსტს მოსდევს, განდევნილი პირების ჩამონათვალი სოფლების მიხედვით. მაგალითად, ახაშენ-ჩუმლაყის სასოფლო საბჭოში შემავალი ამ სოფლებიდან გაუდევნიათ: „ყოფილი მღვდელი ისიდორე ვაჩეიშვილი ოჯახობით, კოლა ალექსანდრეს ძე მაჭავარიანი ცოლით, ქვრივი სონა გიჟიმყრელი შვილით, კოლა მიხეილის ძე გიჟიმყრელი, ილიკო კონსტანტინეს ძე გიჟიმყრელი, ნიკო ზაალის ძე წინამძღვრიშვილი შვილებით, დახვრეტილი გიორგი წინამძღვრიშვილის ოჯახი, ელენე დავითის ასული ჯორჯაძისა“ და კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი.[35]

სოფელ ბაკურციხიდან გადევნილ ყოფილან შემდეგი პირები: „გიორგი ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე, ჩაქვავებული გიორგი სოლომონის ძე ვაჩნაძის ოჯახობაშვილებით, ჩაქვავებული მიხეილ ზაქარიას ძე ვაჩნაძის

[31]საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1.
[32]საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1.
[33]საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1.
[34]საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1.
[35] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1-3.

ოჯახობა – ორი ვაჟი, დახვრეტილი მიხეილ ზაქარიას ძე ვაჩნაძის ოჯახობა – ცოლი იულია ორი შვილით, ადამ იოსების ძე ვაჩნაძის – ჩაქვავებულის ოჯახობა, ჩაქვავებული ნიკო დიმიტრის ძის ვაჩნაძის ოჯახობა – ძმა ექიმი გიორგი ვაჩნაძე ოჯახობით, ირაკლი და ილიკო აფხაზები ჩაქვავებული ხალხის მიერ, ჩაქვავებული ხალხის მიერ სიკო(სიმონ) რევაზის ძე ვაჩნაძის ოჯახის შემადგენლობა“ და სხვები.[36]

ამ ჩამონათვალში მყოფ ადამიანთა შორის გამოვყოფთ დავით ვაძნაძეს, რომელზეცსოფლიდან გადევნილების ამ სიაში ასე წერია, „დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე გაქცეულია, მისი დედა ელენე“. ანუ სოფელ ბაკურციხიდან 1924 წლის აგვისტოში განდევნეს, გაასახლეს შემდგომში ემიგრაციაში წასული, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის დავით ვაძნაძის დედა.[37]

სოფელ ბაკურციხის საბჭოს, 1924 წლის 3 ოქტომბრის სხდომის ოქმში უფრო „სრულყოფილად“ არის ასახული დავით ვაჩნაძის „დაუსწრებლად“ სოფლიდან გაძევების მიზეზი:„დავით ვლადიმერის ძე ვაჩნაძე – გაქცეულია ქაქუცა ჩოლოყაშვილთან. დედა მისი ელენე მომხრეა მისი მოქმედების და ქაქუცას გამარჯვების ტრფიალია“ (დოკუმენტი № 4).[38]

სოფელ კარდენახიდან გაძევებული ადამიანების ჩამონათვალში ვკითხულობთ: „ჩაქვავებული დათა ალექსანდრეს ძე იგივე ილარიონის ძე ფორაქიშვილი ოჯახობით – ცოლით, შვილებით და რძლით, ჩაქვავებული ივანე ვაჩნაძის ცოლშვილი, დახვრეტილი ვიქტორ (ვახტანგ) გიორგის ძის ვაჩნაძის ოჯახი დედა და და, დახვრეტილი ლევან სამადაშვილის ცოლშვილი“ და სხვები.[39]

სხვადასხვა სოფლებიდან განდევნილი პირების გვარებს, მინაწერები აქვთ, თუ რატომ გააძევეს ისინი. მაგალითად, ერთ-ერთი პირის შესახებ წერია: „ქვრივი სოფიო ჩოლოყაშვილისა. ქაქუცამ ამ ქვრივთან სამჯერ იქეიფა, რომლისთვის გაძევებულ სოფიოს შვილი დაუხვრიტეს, რის შემდეგ შურისძიებით იყო გაჟღენთილი გლეხკაცობისადმი აღნიშნული სოფიო ჩოლოყაშვილი“.[40]

---

[36] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1-3.
[37] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 1.
[38] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 40. დავით (დათა) ვლადიმერის ძე ვაჩნაძე იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. მისი მამა – პოლკოვნიკი ვლადიმერ ვაჩნაძე სოფელ ბაკურციხიდან იყო, სადაც 1919 ოქტომბერში გარდაიცვალა. დედა – ელენე მაჩაბელი სოფელ დიდი ლილოდან გახლდათ.
[39] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 41, 45.
[40] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 41.

როგორც უკვე ვახსენეთ, ზემომოყვანილ დოკუმენტებში დასახელებულ პირებს მიწერილი აქვთ – დახვრეტილი, ჩაქვავებული და სხვა. დახვრეტილში იგულისხმება 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯილი ადამიანები. რაც შეეხება „ჩაქვავებული“ – ეს იყოუსასტიკესი ანგარიშსწორება, ყოვლად უდანაშაულო ადამიანების ქვებით და კეტებით მოკვლა. როგორც ჩვენს მიერ მოძიებული მასალებიდან ირკვევა, გაძევების პროცესის დროს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ წაქეზებულ გლეხებს,ზოგიერთ სოფელში ასეთნაირადდაუხოციათ რამოდენიმე ათეული უდანაშაულო ადამიანი.

სოფლებიდან განდევნილებზე და დახოცილებზე, შედარებითვრცელი ინფორმაციებიდაცულია,სიღნაღის მაზრის სოფლების – ბაკურციხის და კარდენახისსასოფლო საბჭოების,1924 წლის ოქტომბრის დასაწყისში გამართულ სხდომების ოქმებში. 1924 წლის 3 ოქტომბერს გამართულ სოფელ ბაკურციხისსასოფლო საბჭოს სხდომას დასწრებიან, „სიღნაღის სამაზრო პარტიული კომიტეტის წარმომადგენელი ბადოშვილი, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, მაზრის ინსტრუქტორი მხეიძე, სამაზრო მილიციის უფროსის მოადგილე აბულაძე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბეჟაშვილი, საბჭოს ექვსი წევრი“.[41] (დოკუმენტი № 2)

სხდომაზე განუხილიათ – „აჯანყების სამზადისის მიმხრობისთვის და სხვა და სხვა ანტი-რევოლუციური მოძრაობისთვის სოფელ ბაკურციხიდან გაძევებულ თავად-აზნაურთა თავიანთ ოჯახებში დაბრუნების შესახებ“. როგორც დოკუმენტში წერია: „კრებამ ბევრი კამათის შემდეგ დაადგინა: სოფელ ბაკურციხიდან სამუდამოდ ოჯახობით და საშვილიშვილოდ განდევნილ-გაძევებული იქნენ ქვემორე ჩამოთვლილი ბაკურციხის მცხოვრებლები ბრწყინვალე წოდებიდან სხვადასხვა დანაშაულებებისათვის, გლეხკაცობის ჩაგვრა-წვალებისათვის და მოდგმით მტრობისთვის და მოუსვენრობისთვის, ყოველგვარი მოძრავ-უძრავი ქონების კონფისკაციით და, რაზედაც ეთხოვოს ს.ს. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს“.[42]

აქვე არის გაძევებული ადამიანების ჩამონათვალი:

- „ჩაქვავებული გიორგი სოლომონის ძე ვაჩნაძის ოჯახობა, ტასო

[41] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 41.
[42] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 41.

ვაჩნაძისა შვილებით, კონტრ-რევოლუციონერი, მუშურ-გლეხური მთავრობის დაუძინებელი მტერი, პროვოკატორი და ჩუმი მოღალატე.

• ჩაქვავებული მიხეილ სოლომონის ძე ვაჩნაძის ოჯახობა, რომელშიც იგულისხმება მხოლოდ ორი ვაჟი: კოლა და შაშო. გაიძვერას გზაზე მდგომნი, შურის მაძიებელნი და მომავალი გლეხთა მოსახლეობის შიშიანობის მომგვრელნი.

• ადამ იოსების ძე ვაჩნძის უკვე ჩაქვავებულის გლეხკაცობის მიერ, ოჯახობა დაუძინებელი მტერი გლეხკაცობისა. ემუქრებოდა გლეხებს, რომ სადაც არის ისევ ტყავს გაგაძრობენო, „ქაქუცა თავისი ბანდით მუსრს გაგავლებთო“. ეს ოჯახი ბოროტ მოუსვენარი იყო გლეხთა წრეში მამულების მითვისების საქმეში.

• ჩაქვავებული ხალხის მიერ სიკო (სიმონ) რევაზის ძე ვაჩნაძის ოჯახის შემადგენლობა – მთელი მონარქიული წესწყობილების მომხრე გასაბჭოების დროს მთელი ოჯახი და ჩაქვავებული, ყოფილი ნიკოლოზის დროის პოლკოვნიკი.თავდაუზოგავად ეძებდნენ საშუალებას წითელი არმიის საწინააღმდეგოდ და დაჩაგრული გლეხ-კაცობის შესამუსრავად, ქაქუცას საუკეთესო მასპინძელი და ხარჯის მიმწდომი, რომლისთვის ერთი შვილი სიკო რევაზის ძე დაიხვრიტა“.[43]

სია საკმაოდ დიდია და მასში, როგორც უკვე ზემოთ ვახსენეთ – „ადამ იოსების ძე ვაჩნაძის უკვე ჩაქვავებულის გლეხკაცობის მიერ“ მსგავსად, სოფელ ბაკურციხეში გლეხების მიერ „ლინჩის წესით“ დახოცილი – „ჩაქვავებული“ სხვა ადამიანების გვარ-სახელებიცაა შეტანილი.[44] (დოკუმენტები № 3, 4)

აღსანიშნავია, რომ ამ ტექსტს მოსდევს კრების თავმჯდომარის და ბაკურციხის სასოფლო საბჭოს წევრების ხელმოწერებიც. თუმცა აქვე წერია: „კრების თავმჯდომარე ნ.ბ. რადგან ხელმოწერა არ იცის მის მაგივრად ხელს აწერს ზ.ა.“**(არ ვწერთ სრულად გვარ სახლებს. თ.ს.)** საბჭოს წევრების გვარ-სახელების ჩამონათვალში, სამი პირის გასწვრივ ხელმოწერის ადგილზეც წერია, რომ მათ მაგივრად ხელს სხვა პირი აწერს.[45]

საარქივო მასალებში ასევე დაცულია, 1924 წლის 5 ოქტომბერს, სიღნაღის მაზრის სოფელ კარდენახშიშემდგარი კარდენახის სასოფლო

[43] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 39-40.
[44] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 39-40.
[45] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 40.

საბჭოს სხდომის ოქმები.[46] ამ სხდომას რომელსაც დასწრებია ოცამდე ადამიანი, ასევე მაზრის ინსტრუქტორი და მაზრის მილიციის წარმომადგენელი განუხილავთ: „1924 წლის აგვისტო-სექტემბერში შეთქმულების და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ აჯანყების სამზადისის მომხრეობისთვის გაძევებული სოფელ კარდენახიდან, თავადაზნაურებისა და მათი ოჯახობების ისევ თავ-თავიანთ სახლში დაბრუნებისშესახებ“ საკითხი.[47]

დოკუმენტში წერია: „კრებამ გაითვალისწინა რა ქვემორე აღნიშნული მათი დანაშაულებანი სოფლის მშრომელთა ხალხის საზიანოდ, ნიადაგ მათის მეოხებით მოსუსვენრობა აუტანელი ჩაგვრა-ვაგლახი და სხვა დადგინა: ქვემორე ჩამოთვლილი სოფელ კარდენახის მცხოვრებნი გლეხთა მყუდრო ცხოვრების მავნე პირები, თავ-თავიანთ ოჯახობით, განდევნილ-გაძევებული იქმნენ სოფელ კარდენახის სოფლის მოსახლეობის წრიდანუძრავი ქონების კონფიკაციით, რომელზედაც ეთხოვოს ს.ს. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს“.[48] (დოკუმენტი № 5)

ამ ტექსტს მოსდევს სოფლიდან განდევნილი ადამიანების ჩამონათვალი:

• „ჩაქვავებული დათა ალექსანდრეს ძე იგივე ილარიონის ძია, ფორაქიშვილის ოჯახობა, თაკო ფორაქაშვილისა, შვილებით და რძლებით, დათა ფორაქიშვილი იყო ძველი ფეოდალი გლეხების შემავიწროებელი, ამაყი და მუშურ-გლეხური მთავრობის სასტიკი მოწინაადმეგე. ოჯახობა ცუდი ხმების გამავრცელებელი და პროვოკაცია, ყოველგვარი ფორმით. მათი ნუგეშის მომგვრელი იყო. უყვარდათ გლეხების მამულების წართმევა;

• ჩაქვავებული დავით ალექსანდრეს ძე ვაძნაძე, ამ უმაღლეს კონტრ-რევოლუციონერს და პრავაკატორს მემკვიდრე არავინ დარჩენია, მხოლოდ მისი მოძრავ-უძრავი ქონება გადაირიცხოს, როგორც სხვა თითოეული გაძევებულისა სააღმშენებლო სახლის ფონდში.

• ჩაქვავებული იასე ვაჩნაძის ოჯახობა – ცოლშვილი არასაიმედო და მოუსვენარი, მტერი გლეხ-კაცობისა, კონტრევოლუციონერები.

• დახვრეტილი ვიქტორ (ვახტანგ) გიორგის ძე ვაჩნაძის ოჯახი,მისი და, ასევე დედა. ეს ოჯახი მუშურ-გლეხურ საწინაღმდეგო თავყრილობე-

[46] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 42-45.
[47] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 42.
[48] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 42.

ბის ბუდე იყო და შემჩნეული ქაქუცასთან კავშირში. გლეხებს უდიერად ეყრდნობიოდნენ და ემუქრებოდნენ.

• ნენე იაგორას ასული ვაჩნაძე – ჭორიკანა გლეხკაცობის დედაკაცთა შორის, ყოველგვარი ბოროტების მთესველი. ფეოდალური პრინციპების გულმხურვალე დამცველი და ქაქუცას თაყვანისმცემელი.

• ვარო სოლომონის ასული ვაჩნაძე – სახლი ტყეში განაპირა ალაგას ჰქონდა და ქაქუცას თეთრეულს უკერავდა. მენშევიკებს ხელს უწყობდა.

• ასიკო (სიკო) ვაჩნაძე, ყოფილი ოფიცერი ნიკოლოზის დროის, შვილები ერთი ჟორდანიას გაყვა. მეორე ეხლახანს გაიქცა. სასიშარი მოქალაქეები არიან, კონტრევოლუციის მოღვაწენი და სხვა.

• ეხლახანს შეთქმულებისთვის დახვრეტილი ლევან სამადაშვილის ცოლ-შვილი, როგორც ქმრის მომხრე და მუშურ გლეხური მთავრობის დაუძინებელი მტერი. პროვოკატორი და ბოროტების გამავრცელებელი.

სიმონ სამადაშვილი – ქაქუცას ხელისშემწყობი და თვალსაჩინო მოღვაწე ძველი“.[49](დოკუმენტები № 6, 7)

ამ სიაშიც რამოდენიმე ათეული ადამიანია შეტანილი.აღსანიშნავია, რომ სხდომის ოქმზე ხელმომწერ პირებს შორის რამდენიმე მათგანის სახელის დაგვარის გასწვრივაქაც აღნიშნულია, რომ არ იციან წერა-კითხვა და მათ მაგივრად ხელს სხვა პირი აწერს.[50]

ასეთივე შინაარსის, 1924 წლის ოქტომბრის დასაწყისით დათარიღებული სოფლის საბჭოების სხდომების ოქმები ბევრია და ჩვენი კვლევისთვის საინტერესო, თუმცა მათ განხილვა-გაანალიზებას აქ არ მოვახდენთ, რადგან სტატიის ფორმატი არ იძლევა ამის საშუალებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სიღნაღის მაზრის კოლაგ-ვეჯინის სასოფლო

[49] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 42-45. ოფიციალურად სიღნაღის მაზრაში დაუხვრეტიათ 65 ადამიანი, მათ შორის ზემოთ დასახელებული ლევან სამადაშვილი. მასზე 1924 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულ სიღნაღის მაზრის „საგანგებო სამეულის“ დადგენილებაზე მიბმულ დახვრეტილთა სიაში წერია: „სამადაშვილი ლევან გიორგის ძე. 44 წლის. აქტიური მენშევიკი, მაზრის პარიტეტული კომიტეტის წევრი მენშევიკებიდან“ (შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 12. აღწერა 1. საქმე 10, გვ. 252). ამ დოკუმენტს ხელს აწერენ სიღნაღის მაზრის „საგანგებო სამეულის“ წევრები: სიღნაღის მაზრის კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელი მდივანი მ. ვარამაშვილი, სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე აივაზოვი და სიღნაღის მაზრის „პოლიტიკური ბიუროს“ ხელმძღვანელი გეგეჭკორი. აღსანიშნავია, რომ მ. ვარამაშვილი 1937 წლის 12 ივლისს დახვრიტეს.

[50] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 45.

საბჭოს კრების 1924 წლის 3 ოქტომბრის ოქმში, დაცულია ინფორმაცია ელიზბარ ვაჩნაძის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ახლო თანამებრძოლის, 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილის მამის – გიგა ვაჩნაძის სოფლიდან გაძევების შესახებ ინფორმაცია: „გიგა ნიკოლოზის ძე ვაჩნაძე – ქაქუცა ჩოლოყაშვილთან გავარდნილი ელიზბარ ვაჩნაძის მამა, რომელიც განუწყვეტლივ ხელს უწყობდა ქაქუცას და ვაჟის ელიზბარის ბოროტმოქმედებას. სახლი სოფლის განაპირას ჰქონდა ტყეების მახლობლად და აი სწორედ ამ სახლშიეწყობოდა ხოლმე ქაქუცას და ელიზბარის ჯგუფის შეთქმულებანი მკვლელობის განზრახვით. ადგილობრივი ხელისუფლების მუშაკებისა და მშრომელი გლეხკაცობის ჩხრეკის დროს, ბევრჯელ აღმოაჩინეს ამ სახლში ბომბები და სხვა იარაღი“.[51]

აღსანიშნავია, რომ ზემონახსენები კოლაგ-ვეჯინის სასოფლო საბჭოს კრების ოქმში არაა საუბარი ადამიანების „ჩაქოლვაზე“. როგორც იმ დროს სიღნაღის მაზრის ერთ-ერთი თანამშრომლის – სიღნაღის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის გიორგი მირიანაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ მოგონებებიდან ირკვევა, სოფელ კოლაგში, სავარაუდოდ ვეჯინშიც მცხოვრებიმამამაკაცები გაქცეულან და გლეხებს ვერ მოუსწრიათ მათი დახოცვა. გ. მირიანაშვილი წერს: „კოლაგში მისვლისას გამოირკვა, რომ თავად მამაკაცებს ადრე უგვრძნიათ და მახლობელ ტყეებში გაქცეულან, ხოლო ქალები და ბავშვები გამოერეკათ სოფლის ბოლოს და მსჯელობდნენ კიდევ როგორ დაესაჯათ“.[52]

გიორგი მირიანაშვილი ასევე ეხება სოფელ ბაკურციხეში დატრიალებულ ტრაგედიას.მის მოგონებაში წერია, რომ მისთვის შეუტყობინებიათ: „სოფლის საბჭოს თავმჯდომარე თხოულობს მომეშველეთ ჩქარა, სოფელი აჯანყდა, სოფლიდან დროშა გაიტაცეს, შედიან თავადების სახლებში, ხოცავენო“.[53]ამ ამბის თვითმხილველ პირს გ. მირიანაშვილისთვის უთქვამს: „ხალხი ზემო ბაკურციხეშია ეკლესიის ზემოთ. სოფლის „პრიგავორს“ ადგენენ მათი ცოლების და შვილების დასახოცად რომლებიც იქვე დამწყვდეულები ყავთ მახლობელ გომურებში და არ მირჩევდა მათთან

[51] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 35.

[52] საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი. გიორგი მირიანაშვილი.რჩეულ მოგონებათა კრებული. გვ. 113. გ. მირიანაშვილის მოგონებები მოგვაწოდა დავით ხვადაგიანმა.

[53] საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი. გიორგი მირიანაშვილი. რჩეულ მოგონებათა კრებული, გვ. 105.

მისვლას: ბევრი მათგანი მთვრალები არიან, შენც არაფერი აგიტეხონო“.[54]

გ. მირიანაშვილი მაინც მისულა სოფელ ბაკურციხეში: „ადგილზე მისვლისას ვნახე, რომ ხუთი თუ ექვსი კაცი მართლა ეყარნენ კეტებით და ცივი იარაღებით ჩახოცილები. ბრბო-ხალხი ყოფილ ნადუქნარის გრძელ საჩიხესთან ბუზებივით ირეოდნენ. დაუსრულებელი ხმაურ-ღრიანცელით და ერთმანეთს იწვევდნენ „პროგავორზე“ ხელის მოსაწერად“.[55]

იგივე საშინელება უნახავს მას სოფელ კარდენახში: „კარდენახის საბჭოში მისვლისას გამოირკვა, რომ მართლა გამოსულიყო თავადების წინააღმდეგ ამდგარი თითქმის მთელი სოფელი. ოთხი უკვე მოეკლათ კეტებით და ქვებით დაეჩეჩქვათ. ერთი-ორი მათგანისთვის სახლებიც დაეწვათ და შურისძიებით აღვსილი ბრბო ახლა სხვა მიმართულებით წასულიყო“.[56]

გიორგი მირიანაშვილის შესახებ, 1924 წლის 3 ოქტომბრის გაზეთ „კომუნისტში“ თავის მხრივ წერს ლევან ღოღობერიძე: „მეორე შემთხვევას, არანაკლებ დამახასიათებელს ადგილი ჰქონდა ბაკურციხეში. იქ ამხ. მირიანაშვილი, რომელიც დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს გლეხებს შორის, შეეცადა დაემშვიდებინა აღშფოთებული გლეხობა, მაგრამ მას განუცხადეს: „ჩვენ, გლეხები კარგად გიცნობთ შენ, გვიყვარხარ და არ გვინდა შენთან აყალ-მაყლის ატეხა, მაგრამ შენ თუ ჩაერევი ჩვენს სამართლიან, წმინდა საქმეში და დაიცავ თავადებს, ჩვენ იძულებული ვიქნებით მკაცრად მოგექცეთო“.[57]

1924 წლის სექტემბერში,კახეთის სოფლებში მომხდარ ამ მოვლენებზე ინფორმაციებს ვხვდებით სხვა თანამედროვეების მოგონებებში. მაგალითად, იმ დროს თელავის მაზრაში შემავალი, ამჟამად ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხოდაშენის მკვიდრის ძველი ბოლშევიკი თ. ბაინდურაშვილისპირად არქივში დაცულ, დღემდე გამოუქვეყნებელმის მოგონებაშივკითხულობთ: „1924 წლის შემოდგომაზე სოფლების გლეხობამ თვითონ ჩამოართვა თავად-აზნაურობას მთელი ქონება, დარჩენილი

[54] საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი. გიორგი მირიანაშვილი. რჩეულ მოგონებათა კრებული, გვ. 105.
[55] საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი. გიორგი მირიანაშვილი. რჩეულ მოგონებათა კრებული, გვ. 105.
[56] საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივი. გიორგი მირიანაშვილი. რჩეულ მოგონებათა კრებული, გვ. 105.
[57] გაზეთი „კომუნისტი“. 1924 წელი, 3 ოქტომბერი.

მიწები და განდევნა ისინი სოფლებიდან“.[58]

ჩვენს კვლევაში, ზემოთ მოყვანილ საარქივო მასალაში არსებული ინფორმაციები საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებული იყო და ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდათ ადამიანებს. მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოდან დაიწყო შედარებით ღიად საუბარი, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სასტიკ რეპრესიებზე და თავისი ასახვა ჰპოვა სხვადასხვა პუბლიცისტურ წერილებში. ამის მაგალითია, ჟურნალ „კლდეკარში“ დაბეჭდილი იმ ამბების თვითმხილველის ნინო აბაშიძის სტატია – „დრო და სასჯელი“, სადაც დეტალურადაა აღწერილი კახეთის სოფლიდან განდევნილი და დახოცილი ადამიანების შთამომავლების მეხსიერებაში შემორჩენილი ტრაგიკული ისტორიები.[59]

ავტორი დეტალურად ყვება, ზემოთ მოყვანილი დარბევების ისტორიას. საინტერესოა, რომ ამ სტატიაში დასტურდება, რომ რამოდენიმე ადამიანმა შეძლო თავის გადარჩენა. ზოგი გაუფრთხილებიათ და სახლებიდან წასულა, სანამ დაარბევდნენ,ზოგიც სხვა ხერხით გადაურჩენიათ. მაგალითად, ახალგაზრდა 18 წლის ზურაბ აბაშიძესშემდეგნაირად დაუღწევია თავი: „მისთვის ძველი ტანსაცმელი გადაუცმევიათ, ხელში სახრე მიუციათ და სისხამ დილით გაუპარებიათ სახლიდან“.[60]

როგორც სტატიიდან ჩანს,მოსახლეობის დარბევების დაწყებამდე საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს, სოფელ ბაკურციხეში რამოდენიმე სოფლის მოსახლეობა შეუკრებიათ დაჩაუტარებიათ მიტინგი, სადაცმიუყვანიათ ადგილობრივ მცხოვრები თავად-აზნაურებიც. მიტინგის შემდეგ დაუწყიათ მათი დევნა და სახლების რბევა. ავტორი აღწერს თავადური წარმოშობისინვალიდის – ყრუ-მუნჯი პირის,გვარად ვაჩნაძის საშინელ ბედს: „ყრუ-მუნჯი ვაჩნაძე გაძალიანდა, დასაჯელად არ მიყვებოდა... ვიდრე ქვებმა და ლოდებმა სამუდამოდ არ დააწყნარა“.[61]სტატიაში აღწერილია სისხლიანი ანგარიშსწორების სხვა დეტალები,აღწერს იმ ადამიანების ტრაგიკული ბედს, ვინც გადაურჩა ადგილზე დახოცვას – შემოსავლის გარეშე დარჩენილი, საკუთარი სახლებიდან და მამულებიდან განდევნილი ამ ადამიანების ნაწილი საშინელ გა-

[58] თ. ბაინდურაშვილი პირადი არქივის მასალები. კახეთის რეგიონალური არქივი: ახმეტის რაიონი. ავტობიოგრაფია. ფონდი 192. აღწერა 1. საქმე 35, გვერდები 1-322.
[59] ნ. აბაშიძე. „დრო და სასჯელი“. ჟურნ. „კლდეკარი“. 1997. №2 (11), გვ. 124-144. აღნიშნული მასალა მოგვაწოდა ქალბატონმა ქეთევან ლომიძემ.
[60] ნ. აბაშიძე. „დრო და სასჯელი“, გვ. 124-144.
[61] ნ. აბაშიძე. „დრო და სასჯელი“, გვ. 124-144.

ჭირვებაში შიმშილით გარდაცვლილა.[62]

საინტერესოა, რომ ავტორი ასევე წერს, რომდარბევების შემსწრე ერთ „პარტიულს“ სოფელ ახაშენიდანპარტიაც კი დაუტოვებია პროტესტის ნიშნად და სოფლიდან წასულა. დარბევის უშუალო მონაწილე გლეხს კი სახლში მისვლისას, თავადის სახლიდან წაღებული ნივთი მამამ სახლში არ შეატანინა,ერთმა გლეხის ღარიბმა ქალმა კი თავისი ძველი ფეხსაცმელი ჩააცვა თურმე გაძარცულ მოხუცს.[63]

სავარაუდოდ, ზემოდასახელებულ სოფელ ახაშენში მცხოვრები „პარტიულის“ ისტორია გარკვეულწილად რეალობასთან ახლოსაა, რადგან ლევან ღოღობერიძის სიტყვებით: „როგორც რაიონის და მაზრის ხელისუფლება, ისე კომუნარები და კომკავშირლები ყველგან, სადაც შეეძლოთ და ასწრებდნენ მისვლას აქტიურად გამოდიოდნენ განდევნილი თავად-აზნაურების დასაცავად და ამ ნიადაგზე ზოგიერთ ადგილებში კინაღამ მოხდა შეტაკება ადგილობრივ ხელისუფლებასა და გლეხობას შორის. ასე, მაგალითად სოფელ ახაშენში, სიღნაღის მაზრა, როდესაც რაიონული აღმასკომის თავმჯდომარემ და რაიონული პარტკომის მდივანმა გაიგეს დაწყებული მღელვარება შვიდი ცხენოსანი კომუნარისგან შემდგარი რაზმით გაემგზავრნენ იქ, რათა შეეჩერებინათ მოძრაობა“.[64]

ამავე თემას ეხება, 1990 წლის „ქართული გაზეთის“ ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში – „ბარბარე ვაჩნაძის ბედის წიგნი“, გადმოცემული შემზარავი ისტორია. ეს არის იმ ამბების თანამედროვის, ბარბარე ვაჩნაძის მონათხრობი, სადაციგისიღნაღის მაზრაში 1924 წლის სექტემბრის დასაწყისში დატრიალებულამ ტრაგედიასაციხსენებს. ბარბარე ვაჩნაძის სიტყვებით, მისი უმცროსი ძმა – ს. ვაჩნაძე უშუალოდ შესწრებია ამ ამბებს: „მაშინ ისეთი დრო იყო, ყველგან შეიძლებოდა ხიფათი შეგმთხვეოდა. ვერც მისი ძმა გადარჩა – ტოსიას შვილთან თანატოლ არჩილთან ერთად თოკით დააბეს და აიძულეს ეყურებინა, თუ როგორ ჩაქოლეს ცოცხლად ილიკო. გამეტებით უშენდნენ თურმე ქვებს“.[65]

ასევე იმ ამბების თანამედროვის, სოფიო ჩიჯავაძე-კედიას მოგონებების წიგნში „ნასმენ-ნახული“,აღწერილია აღნიშნულ პერიოდში სოფელ კისისხევიდან, თუ როგორ მოხდა მოსახლეობის გაძევება. გაძევებულებს შორის ყოფილა იმ დროს სახელგანთქმული თამადა კოტე ბახუტაშვილი,

[62] ნ. აბაშიძე. „დრო და სასჯელი“, გვ. 124-144.
[63] ნ. აბაშიძე. „დრო და სასჯელი“, გვ. 124-144.
[64] გაზ.„კომუნისტი“, 1924 წელი, 3 ოქტომბერი.
[65] ქართული გაზეთი. 1990 წელი, ოქტომბერი. მასალა მოგვაწოდა კოკი ფერაძემ.

რომელსაც უსახლკაროდ დარჩენილს, თელავში მდებარე „ღვთაების“ ეკლესიის ეზოში მდებარე ფარდულისთვის შეუფარებია თავი: „კოტე ბახუტაშვილი, ეს მაზრის ცნობილი თამადა თავისი პურმარილით თელავის ვაჭრებმა შეინახეს და იმ გაჭირვების დროს მას საჭმელ-სასმელს არ აკლებდნენ.. სიკვდილამდე ღვთაების ეკლესიის გალავანში იცხოვრა“.[66]

სოფიო ჩიჯავაძე იხსენებს არა მარტო თელავის მაზრის, არამედ სიღნაღის მაზრის სოფლებიდან გაძევებული ადამიანების ტრაგიკულ და საზარელ ისტორიებს, მათ შორის ქალებზე ძალადობის შემთხვევებს.[67]

თუმცა, სოფლებიდან გაძევებების შესახებ ასევე წერს, რომ 1924 წლის სექტემბერში, თელავის მაზრის სოფელ კისისხევში,სწორედ გლეხის ოჯახს შეუფარებია მისი ოჯახის წევრი ქალბატონები: „დედა და ძალუა საშა კი, მაშინათვე მეზობელ გლეხკაცის ოჯახში გადასულან და იქ გაუტარებიათ მთელი ღამე. ერთ-ერთი ახალგაზრდა შვილი ამ ორ მათთან შეხიზნულთ თურმე ასე ანუგეშებდა: „ნუგეშინიათ, ქალბატონო, თქვენს თავს არავის მოვაკვლევინებო“.[68] როგორც ირკვევა ქალებს სოფელი მაინც დაუტოვებიათ, რადგან: „მეორე დღეს სოფლის კომისარი ამოსულა და დედისთვის უთქვამს: „უნდა წაბრძანდეთ, ძალიან ატეხილები არიან თელავიდან ჩამოსული სომხის ბიჭები. ბევრ ურიგობას ჩაიდენენ.. ყოველი უბედურების თავიდან ასაცდენად სჯობია, აქაურობას თავი გაარიდოთო“.[69]

1924 წლის სექტემბრის დასაწყისში, სოფელ იყალთოდან მოსახლეობის გაძევების დროს მომხდარი შემზარავი ფაქტები,ასევე ასახულია ქალბატონ ზაირა არსენიშვილის გახმაურებულ რომანში „ვა, სოფელო... კახური ქრონიკები“.[70]

საარქივო მასალებში დაცულია დოკუმენტები, სადაც მოსახლეობის დარბევების შემდგომ პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებებზეა საუბარი.ასეთია მაგალითად – „სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი“-ს მიერ, 1925 წლის 11 თებერვლით დათარიღებული წერილი – „სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის“ სახელზე. ამ წერილის ასლი ეგზავნება „თავად-

[66] ს. ჩიჯავაძე. „ნასმენ-ნახული“. პარიზი. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. 2002, გვ. 379.
[67] ს. ჩიჯავაძე. „ნასმენ-ნახული“, გვ. 379-381.
[68] ს. ჩიჯავაძე. „ნასმენ-ნახული“, გვ. 379.
[69] ს. ჩიჯავაძე. „ნასმენ-ნახული“, გვ. 379-381.
[70] ზ. არსენიშვილი. „ვა, სოფელო... კახური ქრონიკები“. თბ. 2019.

აზნაურთა განდევნის შესახებ საჩივრების განმხილველ კომისიას“.[71]

წერილის ავტორი, სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე „საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“ წერს, რომ „მათი 1924 წლის 15 დეკემბრის მოწერილობის გამო“, გაემგზავრა სიღნაღის მაზრის სოფლების საბჭოებში და მოიწვია გლეხები. მათთან ერთად განიხილა „თავად-აზნაურთა განდევნის შესახებ საჩივრები“. საუბარია განდევნილი ადამიანების განცხადებებზე. სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სიტყვებით: „თითოეულ მათგანზე დეტალურად საქმის ვითარების გამორკვევის შემდეგ გამოტანილ იქნა შესაფერისი დადგენილებანი, რომლებიც უკვე შესრულებულია. სახელდობრ: 1. სოფელ ვეჯინის მცხოვრებ მარიამ აბაშიძეს დაუბრუნდა საქონელი, სარკიანი შკაფი და სავენახე ადგილი სოფელ გურჯაანში. 2. სოფელ ბაკურციხის მცხოვრებ გიორგი სიმონის ძე ვაჩნაძეს დაუბრუნდა გადარჩენილი საოჯახო ნივთებიდან ყველაფერი, გარდა სამი სკამისა და ერთი მაგიდისა. ამის გარდა, მას ჩაბარდება საოჯახო ნივთების ის ნაწილი, რომელიც ჩაბარებული ჰქონია მას სოფელ ბაკურციხის მცხოვრებ საშა ქუმსიაშვილთან. სახლი კი, რადგანაც იგი აღმოჩნდა გაყიდული, ვერ ჩაბარდა ვაჩნაძეს 3. სოფელ ბაკურციხის მცხოვრებ კონსტანტინე ლუარსაბის ძე ვაჩნაძეს და ქვრივ მარია მიხეილის ასილ ვაჩნაძეს ვერავითარი ქონება ვერ ჩაბარდა, რადგან ამ ქონებიდან გადარჩენილი არაფერი აღმოჩნდა 4. სოფელ კარდენახის მცხოვრებ მარგალიტა აფხაზს ვერ ჩაბარდა ვენახის მოსავალი, რადგან ასეთი აღმოჩნდა გაყიდული 5. სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებს შაქრო ნაცვლიშვილს ნება დაერთო სოფელში ცხოვრებისა და მიეცა ერთი ოთახი, ერთი წისქვილი, ბაღი ხეხილის და ავეჯი 6. სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებ კოტე ნაცვლიშვილს უარი ეთქვა სოფელში დაბრუნებაზე და მისთვის ქონების დაბრუნებაზე 7. სოფელ ბაკურციხის მცხოვრებ ქვრივ ელენე ვახტანგის ასულ ვაჩნაძის ქონება, მიბარებული ყოფილა ყოფილ ბაკურციხის საბჭოს თავმჯდომარესთან ბაწაშვილთან, რომელიც ახლა დაპატიმრებულია გამასწორებელ სახლში. მიღებულია ზომები ამ მიბარებული ქონების ვაჩნაძისთვის ჩასაბარებლად. ვენახის მოსავლის (ღვინის) დაბრუნებაზე კი, რადგან იგი იმყოფება სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში და მას სჭირდება, ამ უკანასკნელმა უარი უთხრა ვაჩნაძეს“.[72] (დოკუმენტი № 8)

[71] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 4-6.
[72] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 4-6.

ამ სიაში სხვა ადამიანებზეც არის საუბარი, ვისაც ასევე არ უბრუნებენ ქონებას: „სოფელ კოლაგის მცხოვრებ თამარა კონსტანტინეს ასულ ვაჩნაძეს ვერჩაბარდა ვერავითარი ქონება,რადგან ამ ქონებიდან გადარჩენილი არაფერი აღმოჩნდა“.[73] არ აბრუნებენ სოფელში საცხოვრებლადასვე მღვდელს: „ყოფილ ახაშენის მღვდელ ისიდორე ვაჩეიშვილის საჩივარზე, რომელიც იმყოფება წარმოებაში აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის თანამშემწესთან, მისი სოფელში დაბრუნება სოფლის საზოგადოების ნახევარს სურს და ნახევარს არ სურს“.[74]

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის გარემოება რომ „სიღნაღის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი“-ს მიერ, 1925 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ ზემომოყვანილწერილში, საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით, თუ რეალურად ვინ წყვეტდა სოფლებში განდევნილი პირების დაბრუნების საკითხებს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამის გარდა სიღნაღის მაზრის ინფორმაციულპუნქტთან არსებულმა საგანგებო სამეულმა განიხილა სხვადასხვა განდევნილ პირთა შესახებ საჩივრები, რომლებზეც გამოტანილი დადგენილებების ასლი ამასთანავე ერთვის: დანართი: 1. მარიამ ვაძნაძის 2. გიორგი სოლომოინის ძე ვაჩნაძის 3. კონსტანტინე ლუარსაბის ძე ვაჩნაძის, მარია მიხეილის ასული ვაჩნაძის და მისი ქალის ელენე ნაცვლიშვილის 4. მარგალიტა აფხაზის 5. ელენე ვახტანგის ასული ვაჩნაძის“ და ჩამოთვლილია ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დასახელებული სხვადასხვა სოფლებიდან განდევნილი სხვა პირებიც.[75]

ამ დოკუმენტს მიწერილი აქვს: „ასლი სიღნაღის მაზრის ინფორმაციულ პუნქტთან არსებული საგანგებო სამეულის“.[76]

„საარქივო მასალებში დაცულია, სოფლებიდან განდევნილი ადამიანების ტრაგიკული ისტორიის ამსახველი საჩივრები, განცხადებები „საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის“ თავმჯდომარის სახელზე. მაგალითად, ზემონახსენები სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებლების – შაქრო და კოტე ნაცვლიშვილების სახელით,1924 წლის 14 ოქტომბერს გაგზავნილ განცხადებაში, რომელსაც ან-

[73] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ.6.
[74] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 4.
[75] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 4-6.
[76] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 6. სავარაუდოდ, საუბარია ზემოდასახელებული სიღნაღის მაზრის „საგანგებო სამეულზე“ – ვარამაშვილის, აივაზოვის, გეგეჭკორის შემადგენლობით. ის ორგანო იყო, რომელსაც 1924 წლის აგვისტოს შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებული პირებისთვის საიკვდილო განაჩენები გამოჰქონდა.

ერია „თხოვნა“ ვკითხულობთ: „ამანლის აგვისტოს დამლევს მომხდარი არეულობის გამო ჩვენ ორივ ძმა გამოგვაძევეს სახლიდან 12 სექტემბერს, მოძრავი ქონების განადგურების, ხოლო უძრავ და ცოცხლის ჩამორთმევის შემდეგ. შემდეგ ისევ დაგვიბრუნეს და უკანასკნელი ხელმეორედ ჩამოგვართვეს. მართალია ჩვენი მამა-პაპა იყო სამღვდელო პირი, მაგრამ ჩვენი ჩამომავლობის სათავედ გლეხობა ითვლება, რაშიც დარწმუნება შეიძლება ჩვენივე მოგვარეების დაკითხვით და ჩვენ თავადაზნაურობასთან არავითარი დამოკიდებულება არ გვაქვს, ვინაიდან ქიზიყში ისინი ისტორიულად არ არსებობდა“.[77]წერილის ავტორების სიტყვებით, რომლებიც ასაკით 80 და 70 წლის ყოფილან, ისინი ყოველთვის შორს იდგენენ პოლიტიკისგან.[78]

ავტორები ასევე წერენ: „ჩვენს სოფელში თუ რაიმე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე დაწყებულა, ჩვენ მის სათავეში ვმდგარვართ ყოველთვის და ჩვენი ცოდნა და უნარი არ დაგვიშურებია ჩვენი სოფლის და მის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ. ჩვენი ინიციატივა-მეოხებით იყო მოწყობილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, აშენებული სათეატრო დარბაზი, სასწავლებლის შენობა, წყლის გამოყვანა, კოოპერატიული მაღაზია, წარმოდგენის გამართა და სხვა“.[79]

მასალებში ასევე დაცულია, 1924 წლის 3 ნოემბერს ზაქარია ნაცვლიშვილის მიერ გაგზავნილი განცხადება, სადაც ავტორი აღწერს მისი ოჯახის თავზე დატეხილ უბედურებას: „ჩემი წარსული – პატარა საზოგადოებრივი საქმიანობა, თავდები იყო იმისა, რომ მე ხელს არავინ მახლებდა წელს სექტემბერში, როცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიწყეს თავადაზნაურების გამოდევნა სოფლებიდან... მიუხედავად ამისა მე და ჩემი ოჯახი ვერ გადავრჩით თავად-აზნაურების საერთო ხვედრს და მეც ჩემი ოჯახით გამოდენილი ვარ დღეს იქიდან... მე ამჟამად ქონება სულ ჩამორთმეული მაქვს და სახლი ჩალეწილია, მე მოხუცებული ადამიანი მშიერი დავდივარ ოჯახობით სიღნაღში. როგორც ირკვევა ჩემი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მამაჩემი მღვდელი იყო და ჩვენ კიდევ მათი ჩამომავლობა“.[80]

ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულ განცხადებებზე პასუხი,ჩვენს მიერზემოთ მოყვანილ დოკუმენტშია მოცემული–შაქრო ნაცვლიშვილს

[77] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 14.
[78] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 14.
[79] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 14.
[80] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვერდი 15.

ნება დაერთო სოფელში ცხოვრებისა და დაუბრუნდაგარკვეული ხოლო მის ძმას – კოტე ნაცვლიშვილს უარი ეთქვა ქონების მიცემაზე და სოფელში დაბრუნებაზე.[81]


აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტენდენცია გრძელდებოდა შემდგომ პერიოდშიც. მაგალითად, 1928 წლით დათარიღებულ ქალაქ თელავის ამომრჩევლების ე.წ. „ხმაჩამორთმეულების" სიებში ჩამოთვლილ,სხვადასხვა სოციალური წარმოშობის და მდგომარეობის მქონე პირების გვერდით, მოხსენიებული არიან სოფლებიდან გაძევებული ადამიანები, როგორც „გაძევებულები".[82]

ჩვენ ვეცადეთ სიღრმისეული ანალიზის გარეშე, ნეიტრალური პოზიციიდან გადმოგვეცა 1924 წლის აგვისტოში კახეთში – თელავის და სიღნაღის მაზრებში დატრიალებული საბჭოთა რეპრესიების შესახებ ინფორმაციები ისე, რომ მკითხველს ჰქონდეს საშუალება, თვითონ გამოეტანა დასკვნები აღნიშნული მოვლენების შესახებ.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენი აზრით,1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყების პერიოდში, სოფლებიდან მოსახლეობის განდევნის პროცესი არ იყო სტიქიური მოვლენა – იგი მართული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. მათ ერთის მხრივ, შეძლეს სოფლებში მცხოვრები გლეხების მეშვეობით,საბჭოთა ხელისუფლების მონინააღმდეგედ მიჩნეული ადამიანების დატერორება და დაშინება, მეორეს მხრივ, კახეთის სოფლებიდან მოსახლეობის აქტიური განდევნა ემსახურებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრებისთვის სოფლებში დასაყრდენის, ასევე პროდუქტებით მომარაგების გზების მოსპობას.

საარქივო მასალებში დაცულია სხვა დოკუმენტებიც, რომელთა შინაარსის ერთ სტატიაში სრულად გაშუქება და გაანალიზება შეუძლებელია. იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნული მასალები საკმაოდ სასტიკი და საზარელი ინფორმაციების შემცველია,ვფიქრობთ, საბჭოთა რეპრესიების სხვადასხვა ფორმების გამომჟღავნების მიზნით,მომავალში აუცილებელია აღნიშნულ თემაზე კვლევების გაგრძელება.

[81] საქართველოს ეროვნული არქივი. ფონდი 284. ანაწერი 3. საქმე 42, გვ. 5.
[82] კახეთის რეგიონალური არქივი, თელავის რაიაღმასკომი, საერთო განმყოფილება. საქმე 5, გვ. 1-20.



1

ო ქ მ ი

სოფელ ხარბედის სასკოლო საბჭოს სხდომისა 20 ოქტომბერი 1924 წელი.

დესწრებენ: სასკოლო წევრები, გლეხები და მშრომელი მეზობელი კომისია, გლეხების მიერ განცხადებული ადგილობრივების საკითხის გამოსარკვევად.

დღის წესრიგი: განხილვა განცხადებულ ადგილ-მამულების საქმისა.


მ ო ს ა ზ რ ე ბ ე ლ ნ ი :	დ ა ა დ გ ი ნ ე ს :
1. ამირეჯიბაშვილი კოტე	დაბრუნდეს სოფელში სამკვიდრებლად, რადგან პატიმრობაში მყოფი მისი ცოლი და ორი ბავშვი ბოლომდე არ მიეძალოს მეზობელ-გლეხებისას.
2. ამირეჯიბაშვილი დავით	ი გ ი ვ ე .
3. ამყვარელიძე ილო	ი გ ი ვ ე .
4. ფქიანიშვილი ფანე	ი გ ი ვ ე .
5. ფქიანიშვილი კოკეშა	ი გ ი ვ ე .
6. ამყვარელიძე მიშა	ი გ ი ვ ე .
7. ამყვარელიძე ვანო	დაბასტურებულ იქნეს სოფლის დადგენილება, რადგან ძალიან ცოტა აქვს გამოკვებული ყოფილა სოფელში. გლეხები აღნიშნავენ, რომ ხსენებული პირი ინახავდა ქალებს წიგნაკების ბანდას, იყო აქტიური მოთანამშრომე მის ბანდის მოქმედებისა, ამ დამამძიმებელია და არ მეეწერება ავის დამნიშვნელებას, რადგან სხვებსაც ხელი მიუწვდებათ მტერი. გლეხები საჭიროდ სცნობენ ხსენებული პირი იქნეს მოხსნილი ჩამოწერილთაგან.
8. მახათელიშვილი ნაზი	დაბასტურებულ იქნეს სოფლის დადგენილება, რადგან ძალიან ცოტა აქვს გამოკვებული ყოფილა სოფელში. გლეხები აღნიშნავენ, რომ ხსენებული მახათელიშვილმა რუსეთის დროს მოქმედა ყაზახები სოფელში, დაახლოებით გლეხები, ბევრი გააგდებინა ციმბირში და ამ დამამძიმებელ მას ჰსურს ქალაქიდან გლეხებში წაყვანა მეზობლებისა და ლოკალურ-საბრალებელი პირი დაბრუნდეს სოფლად სამკვიდრებლად.


დედანს ხელს აწერენ: თავმჯ. ა ნ ა ნ ე ნ ა ძ ე ვილი


მდივანი-მ ე ზ ო ბ ე ლ ი


კომისიის წევრები: ა. ქ ა ფ ა ნ ა ძ ე, ე. მ ა ზ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი


ასლი დედანის სწორია:

















8

4

4

№4658

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის.

ახალი ავგან-აწყურის განყენების შესახებ ხალხურის განმარტება კომისიის.

Tengiz Simashvili
Professor,
Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

SOVIET REPRESSIONS IN THE VILLAGES OF TELAVI AND SIGNAGI DISTRICTS IN SEPTEMBER 1924 (BASED ON ARCHIVAL MATERIALS)

Summary

In August 1924, a hundred years had passed since the anti-Soviet armed uprising of August. An analysis of archival materials reveals that the outcomes of the August 1924 uprising were highly tragic throughout Georgia, including the districts of Telavi and Signagi. The Soviet authorities' repressive structures demonstrated horrifying brutality. In the Kakheti region, numerous individuals were arrested on charges of participating in the August 1924 uprising. Many were executed without trial, while others faced the ultimate punishment by firing squad based on the verdicts issued by local "Special troika".

The Soviet authorities also used other forms of repression. Specifically, alongside the arrests and executions of the population, in early September 1924, as in other regions of Georgia, a campaign began in the villages of Telavi and Signagi districts to persecute members of the nobility, clergy, intelligentsia, and generally those imbued with a national spirit. This persecution involved the expulsion of these individuals from their places of residence and, in some cases, their physical elimination.

As revealed by the content of archival materials, the instigators of these processes were individuals dispatched from district centers to villages by Soviet authorities – representatives of local branches of the Soviet State Security Service, "Cheka", and other district-level officials.

In early September 1924, with encouragement from Soviet authorities, part of the rural population – primarily poor peasants who had been given large quantities of alcohol – began expelling completely innocent people from villages, destroying their property, stealing it, and taking it to their own homes.

These processes, in turn, were reflected in the Soviet press of that time, where the expulsion of nobility and intelligentsia representatives from the villages by peasants was portrayed as the initiative of the latter.

The collections of the National Archives of Georgia hold materials from the "Central Executive Committee of All-Georgia" of the Georgian SSR, preserving documents concerning the Soviet repressions that took place in September 1924.

Among these are the minutes from village assemblies held in the villages of Telavi and Signagi districts in October 1924. It appears that in early October 1924, representatives of local authorities visited various villages in Kakheti and organized meetings concerning the expulsion of residents, specifically regarding the issue of "the expulsion of the nobility from the villages". The Soviet authorities aimed to grant these repressive actions a "legal" appearance through such measues.

The protocol from the October 5, 1924, meeting of the village councils of Napareuli, Saniore, and Artana in Telavi district documents the number of individuals designated for expulsion from these villages. The list of expelled persons primarily includes noblemen, most of whom are men. However, several women were also expelled.Similar gatherings were held in other villages of Telavi district, where, in addition to nobles, members of the intelligentsia – doctors, teachers – who had been expelled from the villages and had their homes and other property confiscated, were also settled.

According to the archival materials, the eviction of individuals deemed unacceptable to Soviet authorities from the villages of Signagi district was accompanied by extreme brutality, manifesting in physical retribution and the extrajudicial killing of these individuals. Essentially, this amounted to a so-called "lynching", or mob-committed murder, carried out without any form of judicial process.

This is confirmed by documents preserved in the National Archives of Georgia – protocols from community assemblies held in villages in October 1924. In these records, the names of individuals expelled from various villages are annotated with notes such as "family of the executed", "lynched", "widow", and others.

The word "executed" refers to individuals who were arrested for participating in the armed uprising of August 1924 and executed without any trial. As for "lynched", this was the most brutal form of retribution, resulting

from "Lynch-style" executions – the killing of completely innocent people with stones and clubs. As indicated in the materials, during the process of deportation, in some villages, peasants incited by the Soviet authorities killed several dozen innocent people in this manner.

The information regarding this matter is contained in the minutes of the meetings held in October 1924 by the village councils of Bakurtsikhe and Kardenakhi in Signagi district. It is evident that the repression of individuals expelled from these villages continued in subsequent years.

It is worth noting that, in addition to archival materials, the physical retribution against innocent people is also confirmed by the recollections of contemporaries who worked in the Soviet governmental bodies of Telavi and Signagi districts during that period.

The information contained in the aforementioned archival materials was taboo during the Soviet period and was transmitted orally among individuals. It was only in the late 1980s that discussions began to take place openly regarding the brutal repressions carried out by the Soviet authorities, and this topic began to be reflected in various journalistic writings.

In conclusion, it should be noted that the process of expelling the population from the villages during the anti-Soviet armed uprising of August 1924 was not a spontaneous occurrence; it was managed by the Soviet authorities.

The Soviet government, on one hand, managed to create a division between the peasants living in the villages and, on the other hand, individuals from social groups that were unacceptable to them. Additionally, the active expulsion of the population from the villages of Kakheti served to eliminate social support for the partisans led by Kakutsa Cholokashvili and to disrupt supply routes for goods, which was effectively implemented.

We believe that future research in this area is necessary to further illuminate the aforementioned issues as well as other forms of Soviet repression.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

მიხეილ ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართვა ევროპელი კოლეგებისადმი 1926 წელს

პოლონეთის სახელმწიფოს „სადაზვერვო აპარატის სტრუქტურაში მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდნენ სამხედრო ატაშეები.[1]“ თურქეთში, ჯერ კონსტანტინოპოლში ხოლო შემდეგ ანკარაში მოღვაწე სამხედრო ატაშეს „დავალებული ჰქონდა თვალყურის დევნება სსრკ-ს სამხრეთ ტერიტორიებზე, კავკასიის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამის გარდა, პოლონელი სამხედრო ატაშე თურქეთის დედაქალაქში თვალს ადევნებდა „საბჭოების კამპანიას ახლო აღმოსავლეთში“ და ასევე, მოქმედებდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის განმათავისუფლებელი მოძრაობების საკოორდინაციოდ“. უფრო მეტიც, სამხედრო ატაშეს კონსტანტინოპოლში პირდაპირ ევალებოდა სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზება სამხრეთ კავკასიაში[2]. საინტერესოა, რომ სამხედრო ატაშე კონსტანტინოპოლში უფრო მეტად იყო ინფორმირებული კავკასიაში მიმდინარე მოვლების შესახებ, ვიდრე პოლონეთის სამხედრო ატაშე მოსკოვში. საბჭოთა კავშირში შემავალ კავკასიას, ისევე როგორ სამხრეთ უკრაინასა და თურქესტანს სწორედ თურქეთში მყოფი სამხედრო ატაშე კურირებდა[3].

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში, „Arciwum Akt Nowych“ არის სამხედრო ატაშეების ფონდი (1191). ამ ფონდში, სხვა საბუთებთან ერთად, ინახება თურქეთში პოლონეთის სახელმწიფო ატაშეს არქივის ნაწილიც.

ბუნებრივია პოლონეთის სამხედრო ატაშე თურქეთში კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში არსებული ვითარების შესახებ. გარდა

[1] A. Peplonski. Wywiad Polski na ZSRR 1921-1939. Warszawa, გვ. 66-68.

[2] A. Peplonski. Wywiad Polski na ZSRR 1921-1939, გვ. 99.

[3] R. Majzner. AttachatywojskoweDrugiejRzeczypospolitej 1919-1945. Częstochowa. 2014, გვ. 343

ამისა, ატაშეს აქტიური ურთიერთობა ქონდა თურქეთსა თუ პოლონეთში მყოფ ემიგრანტ ქართველ სამხედრო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ხშირად, არა მარტო ემიგრაციაში მყოფი ქართველები, არამედ საქართველოში დარჩენილები და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩართულებიც პოლონეთის ატაშეს მეშვეობით ცდილობდნენ ინფორმაციის გავრცელებას ევროპაში.

ამის კარგი მაგალითია ჩვენს მიერ დასახელებულ ფონდში არსებულ ერთ საქმეში (A II 33), დაცული დოკუმენტი. დოკუმენტი წარმოადგენს პოლონურად დაბეჭდილ სამ გვერდს და ეხება საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოში განხორციელებულ რეპრესიულ პოლიტიკას. თავად დოკუმენტს თარიღი არ უზის, მაგრამ ტექსტში აღნიშნულია, რომ წერილში აღწერილი ამბები მოხდა 1926 წელს.

სანამ ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტს განვიხილავთ, მოკლედ გვინდა შევეხოთ 1921 წლის მარტის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ რეპრესიებს.

1921 წლის 25 თებერვლიდან მალევე საბჭოთა ხელისუფლებამ და მის მიერვე შექმნილმა სადამსჯელო ორგანოებმა დაიწყეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის წევრების დევნა. მარტ-აპრილში დაპატიმრებები ერთეულ შემთხვევებს არ სცდებოდა. აპრილში გამართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესის შემდეგ კი დაპატიმრებები გახშირდა, 26 მაისის მოახლოებამ ეს პროცესი დააჩქარა. „ჩეკას“ მიერ წარმოებული დევნისა და დაპატიმრებების კამპანია განსაკუთრებით მასშტაბური გახდა. ივლისში თბილისში, ნაძალადევის მუშათა კლუბში მყოფი იოსებ სტალინისთვის მოწყობილი ობსტრუქციის გამო დააპატიმრეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებლები ისიდორე რამიშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე, ასევე მათი ათობით თანაპარტიელი. ამ პროცესის გაგრძელება იყო რეპრესიების წამოწყება სოციალ-დემოკრატ მუშების მიმართ. 1921 წლის ზაფხულში მუშებმა საერთაშორისო ინტერნაციონალს და პროფკავშირებს მიმართეს და მოითხოვეს მხარდაჭერა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში.[4]

დრო და დრო ემიგრაციაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა ცნობები, რომ საბჭოთა საქართველოს ციხეები და ჩეკას სარდა-

[4] ჟურნ. თავისუფალი საქართველო. 1921 წლის 31 აგვისტო, №7.

ფები სავსე იყო პოლიტიკური პატიმრებით.[5] ამ პროცესს მალე მძიმე მსხვერპლიც მოჰყვა, ციხეებში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო რამდენიმე მუშა გარდაიცვალა. ოქტომბრის დასაწყისში ციხეში მძიმედ დასნეულებული პოლიტ პატიმარი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ნიკოლოზ (პარმენ) ჭიჭინაძე გარდაიცვალა. მისი დაკრძალვა 1921 წლის 9 ოქტომბერს თბილისში დიდ ანტისაბჭოთა მიტინგად გადაიქცა.[6] 1921 წლის მიწურულს კიდევ უფრო გამკაცრდა საბჭოთა რეჟიმის ტერორი მუშათა მიმართა, დააკავეს ასობით მუშა, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ და გმობდნენ ტერორსა და ძალმომრეობას, ასევე მოითხოვდნენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას და თავისუფალი პროფკავშირების დაშვებას.[7] დამძიმდა მდგომარეობა მეტეხისა და სხვა საპყრობილეებში და კიდევ უფრო გამკაცრდა ჩეკას სარდაფებში დაკითხვის მეთოდების სისასტიკე. ციხეებიდან ფარულად გაგზავნილ წერილებში დეტალურადაა აღწერილი საბჭოთა ჩეკისა და სასამართლოს სინქრონული და სასტიკი მოქმედებები პოლიტპატიმართა მიმართ. ჩეკა აქტიურად იყენებდა წამების უმძიმეს მეთოდებს, რომლის შედეგად უდანაშაულო მოქალაქეები სიცოცხლის გადარჩენის მიზნით თანხმდებოდნენ ჩეკისტების შედგენილ დაკითხვის ოქმებს.[8]

1921 წლის 20 დეკემბერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შედგენილი სპეციალური სიის მიხედვით მხოლოდ მეტეხის ციხეში 221 პოლიტიკური პატიმარი იყო გამომწყვდეული, მათ შორის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე, დამფუძნებელი კრების ვიცესპიკერი ალექსანდრე ლომთათიძე, დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 15-ზე მეტი წევრი, პროფკავშირებისა და ერობების ლიდერები.[9]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი 1923 წელს ევროპელ სოციალისტებსა და მშრომელებს ვრცელ მიმართვას უგზავნიდა, რომელიც ამგვარად სრულდებოდა: „ჩვენ ვაცნობებთ ევროპის მუშათა კლასს და მთელ განათლებულ კაცობრიობას ოკ-

[5] ჟურნ. თავისუფალი საქართველო. 1921 წლის 15 ოქტომბერი. №11.
[6] ჟურნ. თავისუფალი საქართველო. 1921 წლის 30 ნოემბერი. №13.
[7] ჟურნ. თავისუფალი საქართველო. 1921 წლის 20 დეკემბერი. №14.
[8] საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 41, ფურცელი 10-12.
[9] სცსა. ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 41, ფურც 1-4.

უპანტების საგმირო საქმეებს. დეე გაიგოს ყველამ, რომ ისინი ვინც დღეს ერთი-ორი კომუნისტის დაჭერის გამო ევროპაში მთელ განგაშს სტეხენ. აქ, დაპყრობილ საქართველოში ცეცხლითა და მახვილით დადიან ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, რომ ციხეებსა და ჩეკის ჯურღმულებში, ათასობით აწვალებენ მებრძოლი ხალხის შვილებს, ხვრეტენ, იჭერენ და ასახლებენ: რომ მათ ჩვენში აღადგინეს საშუალო საუკუნეების წამების უსაშინლესი სისტემა. დეე გაიგოს და დაინახოს ეს ქვეყანა,!

ზიზღი ჯალათებს! სირცხვილი მათ ვინც კიდევ მათთან არის!

მედგარი ბრძოლა თავისუფლებისათვის!

ძირს ველურობა!

ძირს კომუნისტური ჯალათები!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალიზს!

საქ. სოც-დემ. მუშათა პარტიის ცეკა.

მარტი, 1923 წ.“[10]

მიმართვის მიზანი გასაგებია რაც იყო. საჭირო იყო რათა საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესებულიყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულთა ბედით. ეგებ ზეგავლენა მოეხდინა და ამით შეემსუბუქებინა პატიმართა მდგომარეობა.

ევროპელი მემარცხენეების დელეგაციები მუდმივად ჩამოდიოდნენ საქართველოში ადგილზე სიტუაციის შესასწავლად, ხშირად ბოლშევიკები მათ ე.წ. „პოტიომკინის სოფლების“ მსგავს სურათს ახვედრებდნენ, ამასთან არ ხერხდებოდა პარტიათა წარმომადგენლებთან შეხვედრები და მით უფრო პოლიტიკურ პატიმრებთან. ამგვარი მისია 1923 წელს ლეიბორისტული პარტიის წევრმა არტურ ჰენდერსონმაც შეასრულა, რომლის მიერ მომზადებული ანგარიში დიდწილად ნაკლოვანი და არასრულყოფილი იყო, მასში წარმოდგენილი იყო ყოფილი სოციალ-დემოკრატების მოსაზრებები, თუმცა ფაქტობრივად მიზერული იყო პოლიტიკურ პატიმართა და დევნილ პოლიტიკოსთა შესახებ ამბები. ჰენდერსონი წერდა, თითქოს ოპოზიციამ არ ისურვა მასთან შეხვედრა.[11]

1924 წლის აჯანყების შემდეგ ინგლისურ პრესაში გაჩნდა წერილები, რომლებიც თითქოს გამართლებას უძებნიდნენ საბჭოთა რეჟიმის ტერორს საქართველოში. მათ შორის აქტიურობდა „მანჩესტერ გარდიანი“,

[10] სცსა. ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 110, ფურცელი 16.

[11] სცსა. ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 146, ფურცელი 1-30.

სადაც ლეიბორისტული პარტიის რადიკალი მემარცხენე წევრები აქვეყნებდნენ სტატიებს. ემიგრაციაში მყოფი მთავრობისა და კრების წევრები კი მუდმივად ახდენდნენ რეაგირებას და საპასუხო წერილებს აქვეყნებდნენ ან პროსაბჭოური წერილების ავტორებს თავადვე სწერდნენ საპასუხო წერილებს და თავიანთი სტატიების უარყოფას სთხოვდნენ.[12]

1925 წლის დასაწყისში ოკუპირებულ საქართველოში გაჩნდა ცნობა, რომ აჯანყების შემდგომ არსებული მდგომარეობის შესასწავლად საქართველოს ეწვეოდა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიისა და პროფკავშირების ერთიანი დელეგაცია, თბილისიდან ლეიბორისტულ პარტიას და ტრედიუნიონებს ერთობლივი წერილით მიმართეს არალეგალურმა პროფკავშირებმა და სოციალ-დემოკრატების ცენტრალურმა კომიტეტმა, წერილის პათოსი იმედებითაა გამსჭვალული, ქართველ სოციალისტებს სჯერათ რომ ბრიტანელი მემარცხენეები დეტალურად შეისწავლიან იმ მძიმე მდგომაროებას რაც 1921 წლის შემდეგ და განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყების შემდგომ შეიქმნა საქართველოში. წერილში აღწერილია ის სისასტიკე და რეპრესიები რომელიც შეეხო ათასობით სოციალ-დემოკრატს და რიგით მუშას, დახვრეტები, ცეკაში წამებები და გადასახლებები.[13]

1924 წლის აჯანყების შემდგომ საქართველოს ეწვია ბელგიისა და საფრანგეთის ერთიანი სოციალისტური დელეგაცია, კომუნისტებმა დელეგაცია დიდი პატივით მიიღეს, მოატარეს ქარხნები და სხვა დაწესებულებები, თუმცა დელეგაციის წევრებს კვლავ არაფერი „გაუგიათ“ 1921 წლის ოკუპაციისა და 1924 წლის აჯანყების შედეგად დახვრეტილ და რეპრესირებულ პოლიტიკურ მოღვაწეების, მუშებისა და რიგითი მოქალაქეების შესახებ. 1925 წლის აგვისტოში ქართველ მუშათა არალეგალური პროფკავშირების სამდივნომ და სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართეს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს და ამსტერდამში მოქმედ სოციალისტურ ინტერნაციონალს. მიმართვაში გააკრიტიკეს საფრანგეთ-ბელგიის სოციალისტური დელეგაციის ანგარიში, ახსნეს თუ რატომ არ ჰქონდათ მათ წარმოდგენა ჩეკას ჯურღმულების შესახებ, მიმართვის ბოლოს კი გერმანიის სოციალ-დემოკრატებისა და ინტერნაციონალის ბიუროსგან მოითხოვეს ახალი დელეგაციის გამოგზავნა ჭეშმარიტების გამორკვევისთვის. ამავე პერი-

[12] სცსა. ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 146, ფურცელი 32-37.
[13] სცსა. ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 191, ფურცელი 12-19.

ოდში პროფკავშირების არალეგალურმა ბიურომ მიმართა გერმანელ მშრომელებს რათა ადგილზე ჩამოსულიყვნენ და ენახათ ის კატასტროფული მდგომარეობა რომელშიც ქართველი მუშები იმყოფებოდნენ.[14]

პოლიტიკური პატიმრები 1920-იანი წლების მეორე ნახევარშიც აქვეყნებდნენ მიმართვებსა და წერილებს ევროპელ სოციალისტ პოლიტიკოსებისადმი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკიდან თუ ჩეკას ჯურღმულებიდან.[15]

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტი სწორედ საბჭოთა რეპრესიებს, საქართველოში ჩამოსულ ევროპელ მემარცხენეთა ვიზიტებს და მათთან ბოლშევიკური ხელისუფლების მუშაობის მეთოდებს ეხება.

დოკუმენტი შეადგინა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქართველოში არსებულმა არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა. ადრესატად წერია „ძვირფასო მეგობრებო!“ თუმცა შემდეგ წერილში აღნიშნული, რომ ეს არის მიმართვა ევროპელი სოციალისტებისადმი.

რატომ არის დაწერილი წერილი პოლონურად? იყო შემთხვევები, როდესაც სამხედრო ატაშეს ქართველები უგზავნიდნენ რუსულად დაწერილ ტექსტს და შემდეგ ხდებოდა ამ ტექსტის თარგმნა პოლონურად. ამის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი ვნახეთ როგორც პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში, ასევე პოლონეთის ცენტრალურ სამხედრო არქივში (Centralne Archiwum Wojskowe) არსებულ სამხედრო ატაშეს ფონდების შესწავლისას. ამჯერადაც ასე უნდა ყოფილიყო.

დოკუმენტის დასაწყისში ნათქვამია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო კომუნისტური ინტერნაციონალის[16] ინიციატივით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი დელეგაციების ჩამოყვანა. მიზანია, რომ ამ დელეგაციებმა ნახონ საბჭოთა კავშირში არსებული ვითარება და შემდეგ ყველაფერი გააცნონ ევროპის საზოგადოებას. მაგრამ უკან დაბრუნების შემდეგ ეს დელეგაციები რა აწვდიან საზოგადოებას რეალურ ინფორმა-

[14] სცსა, ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 192, ფურცელი 1-10.

[15] სცსა, ფონდი 2117. ანაწერი 1. საქმე 223, ფურცელი 1-16.

[16] კომუნისტური ინტერნაციონალი შეიქმნა 1919 წელს ლენინის ინიციატივით. ორგანიზაცია აერთიანებდა სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებულ კომუნისტურ პარტიებს. სსრკ-ს ხელმძღვანელობა საკუთარ ინტერესებში აქტიურად იყენებდა ამ ორგანიზაციის სტრუქტურებსა და წევრებს. ორგანიზაცია ოფიციალურად გაუქმდა 1943 წელს.

ციას. დოკუმენტში წერია, „მთელმა მსოფლიო იცის რომ ეს „დელეგაციები“. ორგანიზებული კომინტერნის მიერ. ასევე არავისთვისაა საიდუმლო, რომ მათ წინასწარ შემუშავებული განზრახვა აქვთ, უკან დაბრუნებისას შეაქონ ბოლშევიკური ორგანიზაციები და ხელმძღვანელობა ... დელეგაციების მიღება მიმდინარებს დადგენილი შაბლონური პროგრამით. კერძოდ, ვიზიტები: საბჭოთა სახელისუფლებო და ადმინისტრაციული ორგანოებში, ელექტროსადგურებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე, სარკინიგზო სახელოსნოებში, თამბაქოს ფაბრიკაში და თბილისში მეტეხის ციხის საპატიმროში. თუ დელეგაციები ჩამოდიან ზაფხულში მაშინ ასევე გათვალისწინებული ვიზიტი კოჯორში და ბორჯომში, ორ სახელგანთქმულ კურორტზე. მაგრამ თუ პირდაპირ ვიტყვით, ბანკეტები, საუზმე და სადილები და სხვა სახის გართობებში, წარმოადგენ მთელ სამუშაოს ამ დელეგაციებისა, რომლებიც უკან დაბრუნებისას ამ სახით უკვე ფრიად გარკვეული არიან საქართველოს საკითხსა და მის შინაურ ცხოვრებაში. ამ ღონისძიებების დადგენილი პროგრამა ასევე ითვალისწინებს უკან მიმავალი დელეგაციების მქუხარე გამოსვლებს, რომლებიც არასდროს უცრუებენ იმედს ხელისუფლებას. დელეგაციები ხოტბას ასხამენ საბჭოთა წყობას და პირობას დებენ, რომ უკან დაბრუნებისას გაფანტავენ „ბურჟუაზიისა და მენშევიკების“ მიერ გავრცელებულ სიცრუეს“.

ჩამოსული დელეგაციების პროგრამაში შედიოდა თბილისში, მეტეხის ციხეში მყოფი პოლიტიკური პატიმრების მონახულება, მათთან გასაუბრება, მათი პირობების დათვალიერება. წერილში ხაზგასმულია და ეს არის კიდეც ამ დოკუმენტი მთავარი აზრი, რომ ეს დელეგაციები არ აწვდიან საზოგადოებას მართებულ ინფორმაცია და ალამაზებენ პატიმართა მდგომარეობას.

როდესაც პატიმრები შეხვდნენ პირველად ჩამოსულ დელეგაციას გერმანიიდან და ყველაფერი გულწრფელად უამბეს, ამას შედეგად მოყვა მათი პირობების გაუარესება. კომუნისტურმა პრესამ კი სრულიად შეცვლილად წარმოაჩინა მათი საუბარი.

შემდეგ ჩამოვიდა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიიდან. წინა დელეგაციასთან მიღებული გამოცდილების გამო პატიმრებმა უარი განაცხადეს მათთან საუბარზე. დელეგაციის წევრებმა პირობა დადეს რომ ყველაფერს ზუსტად აღწერდნენ და გააცნობდნენ საზოგადოებას. პატიმრები დათანხმდნენ და შეხვედრა რვა საათი გაგრძელდა. სამწუხაროდ ამ დელეგაციის წევრებიც წინამორბედების მსგავსად მოიქცნენ.

ილია აბულაძემ მიაკვლია პალიმფსესტურ ხელნაწერში (A-737) „ქრისტინეს წამების" ხანმეტურ ტექსტს. მას განზრახული ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის მიერ A-737-დან მანამდე გამოცემული ტექსტები ხელახლა გამოეცა გაუშიფრავი გვერდების დამატებით, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.[26] ილია აბულაძის მიერ პალიმფსესტებიდან გადმოწერილი ტექსტები ინახება მის პირად არქივში,[27] ასევე, როგორც ქართული პალიმფსესტების კატალოგშია აღნიშნული, დაცულია პალიმფსესტურ ხელნაწერებთან ერთად თანდართული ფურცლების სახით.[28]

A-737 ხელნაწერზე მუშაობა ლამარა ქაჯაიამ გააგრძელა და გადმოწერა კიდეც „ქრისტინეს წამების" 16-ვე გვერდი. ბირმინგემის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს ნევილ ბერძოლმა ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ვენა) დაცულ ქართულ პალიმფსესტურ ხელნაწერში Cod. Vind. georg. 2 მიაკვლია „ქრისტინეს წამების" ხანმეტურ ტექსტს. როგორც შემდგომ ერთობლივი მუშაობით დადგინდა, ორივე პალიმფსესტი ერთი და იმავე დედნის ფრაგმენტებს წარმოადგენდა.[29]

1970-იან წლებში, როდესაც ჯეიმს ნევილ ბერძოლი Cod. Vind. georg. 2-ზე მუშაობდა,[30] ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაღებული ჰქონდა პალიმფსესტის ულტრაიისფერი ნეგატივები ვინმე ბატონი იანდერკას

[24] ხანმეტი ტექსტები. ნაკვეთი I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბ. 1984.

[25] საბაწმინდური ოთხთავი. პალიმფსესტი. ტექსტი ამოიკითხა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი სიტყვა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბ. 2014.

[26] ლ. ქაჯაია. ქრისტინას წამების ხანმეტი რედაქცია. ჟურნ. „მრავალთავი". 21. თბ. 2005. გვ. 15.

[27] ილია აბულაძის პირადი არქივი: №242, 244ა, 287ა, 293ა.

[28] ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გვ. 8.

[29] ლ. ქაჯაია. ქრისტინას წამების ხანმეტი რედაქცია, გვ. 15-16.

[30] J. Neville Birdsall, A Georgian Palimpsest in Vienna. Oriens Christianus 53. 1969, გვ. 108-112; A second Georgian recension of the Protoevangelium Jacobi. Le Muséon 83. 1970, გვ. 49-72; Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2. Oriens Christianus 55. 1971, გვ. 62-89; Palimpsest fragments of a Khanmeti Georgian version of I. Esdras. Le Muséon 85. 1972, გვ. 97-105; MS Vindob. Georg. 2: a progress report. Oriens Christianus 58. 1974, გვ. 39-44.

(Herr Janderka) მიერ, რომლებიც ბერძოლმა თავისი გამოცემებისთვის გამოიყენა.[31]

1997 წელს ზურაბ სარჯველაძისა და იოსტ გიპერტის ინიციატივით გადაწყდა TITUS-ზე სრულად გამოქვეყნება Cod. Vind. georg. 2-ის ქვედა ფენის იმ ტექსტებისა, რომლებიც ასომთავრულით იყო გადაწერილი.[32] მეცნიერები მიუბრუნდნენ ჯეიმს ნევილ ბერძოლის გაკაფულ გზას. უკვე არსებული ულტრაიისფერი ნეგატივების გაციფრულების საფუძველზე 4 ხანმეტი ტექსტი (სახარების, I ეზრას, იაკობის პროტოევანგელესა და ქრისტინესა და კჯპრიანეს წამების ფრაგმენტები) გაასწორეს და 1998 წელს გადაწყვეტილება სისრულეშიც მოიყვანეს.[33]

რომ შევაჯამოთ, საბჭოთა პერიოდში საქართველოში დაცული ქართული პალიმფსესტების კვლევის ისტორიამ გამოტოვა ის ეტაპი, როდესაც იმდროინდელ ევროპაში ხელნაწერების ულტრაიისფერითა და ინფრაწითლით ფოტოგადაღება ხდებოდა. საქართველოში დადასტურებულად ჩანს მხოლოდ სამედიცინო დანიშნულების ულტრაიისფერი განათების აპარატის გამოყენება უშუალოდ პალიმფსესტების კითხვის პროცესში.

III. მულტისპექტრული გადაღების სისტემა (MuSIS)

ქართულ პალიმფსესტურ ხელნაწერებზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ უცხოელი ქართველოლოგები: რობერტ ბლეიკი, იოსებ მოლიტორი, მიშელ ვან ესბროკი, ჯეიმს ნევილ ბერძოლი, ბერნარ უტიე და იოსტ გიპერტი. მათ მიერ გამოცემული ცალკეული სტატიების განხილვას აქ არ შევუდგებით[34], ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ პალიმფსესტების შესწავ-

[31] J. Neville Birdsall. A Georgian Palimpsest in Vienna. Oriens Christianus 53, 1969, 108; MS Vindob. Georg. 2: a progress report, Oriens Christianus 58, 1974, გვ. 39.

[32] J. Gippert, The application of multispectral imaging in the study of Caucasian palimpsests, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences / საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. 175. 2007, გვ. 168-179.

[33] https://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcc/cauc/ageo/xanmeti/vienna/vienn.htm; აღსანიშნავია, რომ პირველი გამოქვეყნების შემდგომ, 1998-2007 წლებში, Cod. Vind. georg. 2-ის ქვედა ფენის ტექსტების გამოცემა გაუმჯობესდა, ეტაპობრივად დაემეტა მანამდე ამოუკითხავი მასალა.

[34] სრული ბიბლიოგრაფიის ნახვა შესაძლებელია კატალოგში: ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გვ. 795-801. სია დაზუსტებულია ბერნარ უტიეს მიერ სტატიაში: Bernard Outtier, Georgian Palimpsests in Tbilisi, Digital Kartvelology. I. Tb. 2022, გვ. 8

ლის ახალი ეტაპი, რომელიც გერმანელი ქართველოლოგის, იოსტ გიპერტის, სახელთან არის დაკავშირებული. ქართული პალიმფსესტების შესწავლის ახალი ერა XXI საუკუნის დასაწყისში პალიმფსესტური ფურცლების მულტისპექტრული გადაღებით იწყება. სწორედ იოსტ გიპერტი იყო პირველი, ვინც პირველი თაობის მულტისპექტრული აპარატით, MuSIS-ის (Multi-Spectral Imaging System) სისტემით,[35] 2004 წელს ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული Cod. Vind. georg. 2 გადაიღო.[36] Cod. Vind. georg. 2-ის ქვედა ფენა 14 სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებს შეიცავს, რომელთაგან 6 ხანმეტია. სწორედ მულტისპექტრული ფოტოების საშუალებით შესაძლებელი გახდა ტექსტების ამოკითხვა და ქართული პალიმფსესტების კვლევის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის გამოცემის მომზადება, რომელიც 2007 წელს დაიბეჭდა.[37]

Cod. Vind. georg. 2-ის გარდა, იოსტ გიპერტმა MuSIS-ის იმავე კამერით გადაიღო კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა (S-3902 და A-89) და სვანეთის ისტორიისა და ეთ-

(https://adh.ge/digital-kartvelology-volume-i-ge/).

[35] MuSIS სისტემა შექმნილია Forth Photonics-ის მიერ ათენში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მათ შორის, ხელნაწერების გადასაღებად. იგი, ერთი მხრივ, გაცილებით მაღალი გარჩევადობის ხელნაწერთა ფოტოების, მეორე მხრივ კი, ფართო სპექტრული დიაპაზონის სურათების გადაღებას გულისხმობს. მისი მგრძნობიარე დეტექტორი არ საჭიროებს მაღალი სიმძლავრის განათებას, რაც ამცირებს ხელნაწერის დაზიანების რისკს. MuSIS-ის ციფრული კამერა იღებს ფოტოებს სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე 370-დან 1000 ნმ-მდე. სხვადასხვა სპექტრის ფოტოების ციფრული მანიპულაციებით შეიძლება გამკვეთრდეს ქვედა ფენის ტექსტი ეტრატის ფერთან მიმართებით, ხელნაწერის ის ადგილები, რომლებიც ძნელად ჩანს, ან საერთოდ არ ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ან შემცირდეს ზედა ფენის სიმკვეთრე. უფრო დეტალურად მულტისპექტრული გადაღების სისტემის შესახებ იხ.: J. Gippert. The application of multispectral imaging in the study of Caucasian palimpsests, Bulletin of the Georgian National Academy of Sciences / საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე 175. 2007, გვ. 168-179; C. Balas, et al., A novel hyper-spectral imaging apparatus for the non-destructive analysis of objects of artistic and historic value, Journal of Cultural Heritage 4, 2003, გვ. 330-337.

[36] MuSIS-ის სისტემა შეიძინეს, აგრეთვე, Cod. Vind. georg. 2 გადაიღეს და შეისწავლეს ფოლკსვაგენის ფონდის (Volkswagen Stiftung) მიერ დაფინანსებული პროექტის „კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტური ხელნაწერების მეცნიერული დამუშავების ახალი გზები" ("Neue Wege zur wissenschaftlichen Bearbeitung von Palimpsesthandschriften kaukasischer Provenienz") ფარგლებში, რომელიც იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით 2004-2008 წლებში განხორციელდა. პარტნიორები: ზაზა ალექსიძე, ჟან პიერ მაე და ვოლფგანგ შულცე. პროექტის ფარგლებში, ასევე, გადაიღეს და შეისწავლეს კავკასიის ალბანური პალიმფსესტებიც.

[37] The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobonensis georgicus 2. Monumenta Palaeographica Medii Aevi. Series Ibero-Caucasica. Vol. I, edited by J. Gippert in co-operation with Z. Sarjveladze and L. Kajaia. Brepols. 2007.

ნოგრაფიის მუზეუმში (SMHE nos. 13 (1) (k-4), 487 (k-5), 481 (k-3)) დაცული ქართული პალიმფსესტები, ასევე, სვანეთში დაცული ქურაშის ოთხთავი;[38] ხოლო MuSIS-ის ახალი კამერით კი[39] – ათონის ივერთა მონასტერსა (Ivir. georg. 47, 59 and 86)[40] და პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (BnF, géorg. 5) დაცული ქართული პალიმფსესტები. ამ პალიმფსესტთა უმეტესი ნაწილი შესწავლილი და გამოქვეყნებულია.[41]

[38] MuSIS-ის სისტემა საჩუქრად გადაეცა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ფოლკსვაგენის ფონდის (Volkswagen Stiftung) მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ მიმდინარეობისას. პროექტი 2010-2013 წლებში იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით განხორციელდა. პარტნიორები: დავით ლორთქიფანიძე, დარეჯან თვალთვაძე, მანანა თანდაშვილი.

[39] მეორე კამერა შეძენილ იქნა 2011-2014 წლებში ჰესენის მეცნიერებისა და კვლევების, ხელოვნებისა და კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებები, ჰესენი – ტექსტებზე დაფუძნებული კორპუსების ინტეგრირებული მომზადება და შეფასება“ („Digital Humanities Hessen – Integrierte Aufbereitung und Auswertung textbasierter Corpora“) ფარგლებში. კამერა ამჟამად ჰამბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელ ცენტრში (CSMC) ინახება.

[40] სამი პალიმფსესტური ხელნაწერი Ivir. georg. 47, 59 და 86 იოსტ გიპერტმა MUSIS-ის კამერით გადაიღო 2016-19 წლებში ივირონის ქართულ ხელნაწერთა კატალოგზე მუშაობისას: Catalogue of the Georgian Manuscripts. Jost Gippert, Bernard Outtier, Sergey Kim, in cooperation with Ketevan Asatiani, Manana Dolakidze, Lali Jghamaia, Maia Karanadze, Mikheil Kavtaria, Lili Khevsuriani, Lia Kiknadze, Tinatin Tseradze, Tsitsino Guledani, Tinatin Jikurashvili, Eka Kvirkvelia, Giorgi Lomsadze, Sopio Sarjveladze, Mzekala Shanidze, Darejan Tvaltvadze, and Georgios Boudalis. Mount Athos: Holy Monastery of Iviron, 2022.

[41] **S-3902:** J. Gippert. A Homily Attributed to John Chrysostom (CPG 4640) in a Georgian Palimpsest, In: Barone, Francesca P. / Macé, Caroline / Ubierna, Pablo A. (Hrsg. / ed.), Philologie, herméneutique et histoire des textes entre Orient et Occident. Mélanges en hommage à Sever J. Voicu (Instrumenta Patristica et Medievalia, 73). Turnhout: Brepols. 2017, გვ. 895-927. **SMHE 13 (1) (k-4), 487 (k-5), 481 (k-3):** E. Kvirkvelia, M. Kamarauli, Further Insights into New Witnesses of the Jerusalem-Rite Lectionary Preserved in Georgian Palimpsests. To appear in Proceedings of the 2nd International Scientific Conference "Georgian Manuscript Heritage". Tbilisi. June 28-30, 2023. **ქურაშის ოთხთავი:** J. Gippert, The Gospel Manuscript of Kurashi. A preliminary account. Le Muséon 126. Louvain-la-Neuve: Peeters 2013, გვ. 83-160. **Ivir. georg. 47, 59:** E. Kvirkvelia, New Witnesses of the Jerusalem-Rite Lectionary: Georgian Palimpsests Ivir. georg. 47 and Ivir. georg. 59. In: Jost Gippert, José Maksimczuk, Hasmik Sargsyan (eds.): Palimpsests and Related Phenomena across Languages and Cultures. Berlin / Boston: de Gruyter (Studies in Manuscript Cultures. 42). 2025, გვ. 309-329. **Ivir. georg. 86:** J. Gippert, Palimpsests from the Caucasus: Two Case Studies. In: Jost Gippert, José Maksimczuk, Hasmik Sargsyan (eds.): Palimpsests and Related Phenomena across Languages and Cultures. Berlin / Boston: de Gruyter (Studies in Manuscript Cultures, 42). 2025, გვ. 253-281; **BnF, géorg. 5:** E. Kvirkvelia, M. Kamarauli, A Preliminary Analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging. To appear in Mravaltavi 29. Tbilisi: Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts; E. Kvirkvelia, M. Kamarauli, Further Insights into New Witnesses of the Jerusalem-Rite Lectionary Preserved in Georgian Palimpsests. To appear in Proceedings of the 2nd international scientific conference "Georgian manuscript heritage", Tbilisi, June 28-30, 2023.

IV. მეგა ვიჟენის (MegaVision) სისტემა

ქართული პალიმფსესტების შესწავლის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია 2022-27 წლებში მიმდინარე სამეცნიერო პროექტთან *„მწიგნობრობის განვითარება კავკასიის ტერიტორიებზე (DeLiCaTe)“*. ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) მიერ დაფინანსებული პროექტი იოსტ გიპერტის ხელმძღვანელობით ჰამბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრის (CSMC) ბაზაზე ხორციელდება და მისი მიზანია ქართული, სომხური და კავკასიის ალბანური მწიგნობრობის განვითარების შესწავლა პირველ ათასწლეულში.[42] საქართველოს მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლები ჩვენამდე მოღწეულია ან ეპიგრაფიკული ძეგლების, ანდა პალიმფსესტური ხელნაწერების სახით. პროექტის მიზანია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართული უძველესი პალიმფსესტური ხელნაწერების გადმოწერა, შესწავლა და გამოქვეყნება (ბეჭდურად და ონლაინ), რათა ისინი ხელმისაწვდომი გახდეს სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრისათვის.

ჰამბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრი (CSMC) ხელნაწერების შესწავლის თვალსაზრისით ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრია.[43] მის კუთვნილებაშია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიები, სადაც ხელნაწერთა კვლევა სხვადასხვა მიმართულებით არის შესაძლებელი, მაგალითად, რენტგენოფლუორესცენცია (X-ray Fluorescence) და რამანის სპექტროსკოპია (Raman Spectroscopy) ხელნაწერში გამოყენებული პიგმენტებისა და მელნის იდენტიფიკაციისა და მისი შედგენილობის დასადგენად; რენტგენოტომოგრაფია (X-ray tomography) ხელნაწერის აკინძვის სტრუქტურის გამოსავლენად; მეგავიჟენის სისტემით მულტისპექტრული ფოტოგადაღება (MSI – Multispectral Imaging) პალიმფსესტების შესასწავლად, გადარეცხილი ან გადაფხეკილი ქვედა ფენის წასაკითხად. გარდა ამისა, შექმნილია ნიმუ-

[42] პროექტის წევრები არიან: ანაჰიტ ავაგიანი, ემილიო ბონფილიო, ეკა კვირკველია, ჰასმიკ სარქისიანი და მარიამ ყამარაული.

[43] ცენტრი დაფინანსებულია Deutsche Forschungsgemeinschaft-ის (გერმანული სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოება) მიერ გერმანიის ბრწყინვალების სტრატეგიის – EXC 2176 „წერილობითი არტეფაქტების გაგება: მასალა, ურთიერთქმედება და გადაცემა ხელნაწერთა კულტურებში“ – ფარგლებში (პროექტის №390893796).

შის ანალიზის პროგრამული ინსტრუმენტების ნაკრები (Pattern Analysis Software Tools – PAST), კერძოდ, ვიზუალური მსგავსების ანოტაციის ინსტრუმენტი (Visual Similarity Annotation Tool – V-SAT), ხელნაწერების სტრიქონების ავტომატური გამომთვლელი (Text-Lines Counter – TLC) და ა.შ.[44] ასევე, აღსანიშნავია ბოლოდროინდელი მიღწევები გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სფეროში, რომელიც პალიმფსესტების ქვედა ფენის გამკვეთრებას ისახავს მიზნად გენერაციული გაცხოველების (generative inpainting) გზით.[45]

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ მეგავიჟენის მულტისპექტრული გადაღების სისტემაზე, რომელიც დღესდღეობით პალიმფსესტების შესწავლისთვის საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.[46] მულტისპექტრული გადაღების დროს ხელნაწერი განათებულია ულტრაიისფერი, ხილული და ინფრაწითელი შუქის (ultraviolet, visible and infrared light) გამოყენებით, რაც შეუიარაღებელი თვალით შეუმჩნეველი დეტალების დანახვას შესაძლებელს ხდის. მეგავიჟენის სისტემის დეტალური ფუნქციონირების შესახებ უკვე არაერთი სამეცნიერო სტატიაა შექმნილი ცალკეული შემთხვევების ანალიზთან ერთად.[47] მულტისპექტრული სისტემის ელემენტების (ლინზა, განათება, ფილტრები) დახვეწის პროცესი მუდმივად გრძელდება.

მულტისპექტრული ფოტოების დასამუშავებლად, წაშლილი და დაზიანებული ნაწერის აღსადგენად, კიტ ნოქსის (Keith Knox) მიერ შექმნილია Java-ზე დაფუძნებული პროგრამული პაკეტი Hoku.[48]

[44] https://www.csmc.uni-hamburg.de/publications/software.html

[45] H. Mohammed, M. Jampour, J. Gippert. Inpainting with Generative AI: A Significant Step towards Automatically Deciphering Palimpsests. In: Palimpsests and Related Phenomena across Languages and Cultures. Berlin / Boston: de Gruyter (Studies in Manuscript Cultures, 42). 2025, გვ. 535-545.

[46] https://archive.mega-vision.com/about.html

[47] R. L. Easton, D. Kelbe, Statistical Processing of Spectral Imagery to Recover Writings from Erased or damaged Manuscripts. Manuscript Cultures 7. 2014. Hamburg | Centre for the Study of Manuscript Cultures, გვ. 35-46; C. Jones, C. Duffy, A. Gibson, M. Terras. Understanding multispectral imaging of cultural heritage: Determining best practice in MSI analysis of historical artefacts. Journal of Cultural Heritage 45. September-October 2020, გვ.. 339-350; H. Davies, A. J. Zawacki. Making Light Work: Manuscripts and Multispectral Imaging, Journal of the Early Book Society. 2019, გვ. 183-199; A. J. Zawacki, K. A. Huskin, H. Davies, T. Kleynhans, D. Messinger, G. Heyworth. Fragments under the Lens: A Case Study of Multispectral versus Hyperspectral Imaging for Manuscript Recovery. Digital Philology: A Journal of Medieval Cultures. Johns Hopkins University Press. Volume 12. Number 1. Spring 2023, გვ. 123-143, 10.1353/dph.2023.0004

[48] Hoku არის უფასო გამოყენების პროგრამა. მიმდინარე ვერსია (2.1) გამოშვებულია 2024 წლის 27 მაისს. იხ. ბოლო რელიზი: https://www.cis.rit.edu/~ktkpci/Hoku.html;
ასევე: Keith Knox, HOKU Software, 11 September 2017,

ქართული პალიმფსესტების შესწავლის კუთხით ცალკე აღნიშვნის ღირსია სინას პალიმფსესტების პროექტი.[49] ადრეული ხელნაწერების ელექტრონული ბიბლიოთეკის (EMEL The Early Manuscripts Electronic Library)[50] პროექტის ფარგლებში MSI სისტემით გადაიღეს სხვადასხვაენოვანი 160-ზე მეტი პალიმფსესტური ხელნაწერი, მათ შორის, 9 ქართული (Sin. georg. 10, 34, 49; NF 7, 59, 61, 84, 90; CPA NF 16).[51] მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ფარგლებში გადაღებული ყველა ხელნაწერის ფოტო თავისუფალი წვდომით დევს პროექტის ვებგვერდზე და მათი დათვალიერება შესაძლებელია IIIF-ს[52] სტანდარტის გამოსახულებებისა და აღწერილობების დათვალიერების ხელსაწყოს Mirador-ის[53] საშუალებით. მუშაობის დროს მკვლევრებს შეუძლიათ მათთვის ხელსაყრელი და კითხვადი ფერის ფოტოს შერჩევა, ორიგინალის ან ფსევდოფერის, ასევე, ხელნაწერების მეტამონაცემების, კოდიკოლოგიური აღწერილობის გაცნობა ზედა და ქვედა ფენების რაობის შესახებ.[54]

მეგავიჟენის სისტემით არის გადაღებული მესროპ მაშტოცის სახე-

http://www.cis.rit.edu/~ktkpci/Hoku_Software.pdf.

[49] Sinai Palimpsest Project: http://sinaipalimpsests.org/; https://sinai.library.ucla.edu/.

[50] http://emel-library.org/

[51] ქართული პალიმფსესტური ხელნაწერების იდენტიფიცირებასა და აღწერაზე იოსტ გიპერტმა და ბერნარ უტიემ იმუშავეს. ზოგიერთი მათგანი უკვე შესწავლილი და გამოცემულია: **Sin. georg. 10:** E. Kvirkvelia, M. Kamarauli, Further Insights into New Witnesses of the Jerusalem-Rite Lectionary Preserved in Georgian Palimpsests. To appear in Proceedings of the 2nd international scientific conference "Georgian manuscript heritage", Tbilisi, June 28-30, 2023. **Sin. georg. 84, 90:** J. Gippert, B. Outtier, The Oldest Georgian Psalter – a Preliminary Account, Mravaltavi, 27, 2021, გვ. 41-65; J. Gippert, Palimpsests from the Caucasus: Two Case Studies. In Jost Gippert, José Maksimczuk, Hasmik Sargsyan (eds.): Palimpsests and Related Phenomena across Languages and Cultures. Berlin / Boston: de Gruyter (Studies in Manuscript Cultures, 42). 2025, გვ. 253-281; M. Kamarauli, The Oldest Georgian Witness of the Martyrdom of St Febronia. In Jost Gippert, José Maksimczuk, Hasmik Sargsyan (eds.): Palimpsests and Related Phenomena across Languages and Cultures. Berlin / Boston: de Gruyter (Studies in Manuscript Cultures, 42). 2025, გვ. 283-308; M. Kamarauli, Digital Methods of Comparative Manuscript Research: the Martyrdom of St Febronia, Millennium. The Bilingual Scientific Online Journal of the Academy for Digital Humanities for young researchers, 2. 2024. გვ. 45-65.

[52] International Image Interoperability Framework (IIIF) არის ღია სტანდარტების ნაკრები, რომელიც მაღალი ხარისხის გამოსახულებების მიმოცვლას გულისხმობს საავტორო უფლებების დაცვით. იგი მხარდაჭერილია კულტურის წამყვანი ინსტიტუციების კონსორციუმის მიერ: https://iiif.io/

[53] ხელნაწერებზე სამუშაოდ Mirador უზრუნველყოფს მოქნილ და მარტივ წვდომას მაღალი გარჩევადობის სურათებზე. ასევე, შესაძლებელია სინქრონული სამუშაო სივრცეების შექმნა: https://projectmirador.org/

[54] H. Davies, A. J. Zawacki, Making Light Work: Manuscripts and Multispectral Imaging, Journal of the Early Book Society, 2019, pp. 186-187.

ლობის უძველეს ხელნაწერთა ინსტიტუტში (მატენადარანში) დაცული ქართული პალიმფსესტები (MM 1071, MM 6141, MM 6705, Fragm. VP–37), მათ შორის, ზოგიერთი შესწავლილი და გამოქვეყნებულია.[55]

VI. კონკრეტული შემთხვევების ანალიზი

DeLiCaTe-ის ფარგლებში ქართულ პალიმფსესტებზე მუშაობისას უკვე გამოვცადეთ განსხვავება სხვადასხვა თაობის სისტემებით გადაღებულ ფოტოებს შორის. ერთ-ერთი პირველი ხელნაწერი, რომელზე მუშაობასაც შევუდექით, იყო BnF, géorg. 5. ხელთ გვქონდა იოსტ გიპერტისა და ბერნარ უტიეს მიერ 2013 წელს MuSIS-ის სისტემით გადაღებული ფოტოები. პალიმფსესტის მნიშვნელობიდან გამომდინარე 2023 წლის სექტემბერში მეგავიჟენის სისტემით ახალი ფოტოები გადავიღეთ, სადაც უფრო მკვეთრად გამოჩნდა გადარეცხილი ან გადაფხეკილი ადგილები. შესაბამისად, შევძელით უფრო მეტი ტექსტის ამოკითხვა და ზოგიერთ ადგილას ახალი ტექსტის იდენტიფიცირებაც.

MuSIS-ის სისტემით გადაღებულ ფოტოებზე მუშაობისას უკვე გარკვეული გვქონდა,[56] რომ ქვედა ფენაში 3 განსხვავებული წარმომავლობის ხელნაწერის ფრაგმენტები იყო დაცული: ორი შეიცავს იერუსალიმურ ლექციონარს, ერთი ასომთავრულით არის გადაწერილი (Ms. III, ფფ. 223-239, 246, 249-292), ხოლო მეორე – ნუსხურით (Ms. I, ფფ. 217-222). რაც შეეხება მესამეს Ms. II (ფფ. 241-244), მასში დაცულია ნუსხურით გადაწერილი ჰიმნოგრაფიული ტექსტი. MSI სისტემით გადაღებულმა ფოტოებმა ქვედა ფენაში გამოაჩინა კიდევ ორი სხვა ხელნაწერის ფრაგმენტები, Ms. IV (ფ. 247), და Ms. V (ფფ. 240 + 245). Ms. IV (ფ. 247) მრავალთავის ტექსტს შეიცავს, კერძოდ კი, იოანე ოქროპირის ჰომილიას ნათლისღებისათვის (CPG 4571, გაბიძაშვილით 1008[57]). ვინაიდან ხელნაწერის ეს ფურცელი მანამდე თითქმის არ იკითხებოდა, მიკუთვნებული გვქონდა ლექციონარს


[55] **MM 1071:** E. Kvirkvelia, M. Kamarauli, Further Insights into New Witnesses of the Jerusalem-Rite Lectionary Preserved in Georgian Palimpsests. To appear in Proceedings of the 2nd international scientific conference "Georgian manuscript heritage", Tbilisi, June 28-30, 2023.

[56] E. Kvirkvelia, M. Kamarauli. A Preliminary Analysis of the Georgian Palimpsest Paris. BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging. To appear in Mravaltavi 29. Tbilisi. Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts.

[57] ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია) №3, ჰომილეტიკა, 2009, გვ. 296.


(Ms. III), ხოლო Ms. V (ფფ. 240 + 245) მიჩნეული გვქონდა Ms. I ნაწილად. ამ უკანასკნელის ასოთა პალეოგრაფიულმა მოხაზულობამ დაგვარწმუნა, რომ ის სხვა ხელნაწერის ნაწილი უნდა იყოს. ერთადერთ ამოკითხვად სტრიქონზე ჩანს *ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბაჲ იოვანეს თ(ავ)ი(საჲ)* (240rb), რაც გვაფიქრებინებს, რომ ისიც ლექციონარი უნდა იყოს.[58]

BnF, géorg. 5-ის შემთხვევა ცხადყოფს, რომ MSI სისტემის მუდამ განახლების ეპოქაში უკვე შესწავლილი პალიმფსესტების შემთხვევაშიც სიახლეებს უნდა ველოდოთ.



სურ. I: Paris, BnF, géorg. 5, 247v, 440ნმ ტალღის სიგრძის ფოტო

[58] E. Kvirkvelia, M. Kamarauli. Further Insights into New Witnesses of the Jerusalem-Rite Lectionary Preserved in Georgian Palimpsests. To appear in Proceedings of the 2nd international scientific conference "Georgian manuscript heritage". Tbilisi. June 28-30. 2023.



სურ. II: Paris, BnF, géorg. 5, 247v, ფსევდოფერადი ფოტო, დამუშავებული HOKU-ს პროგრამული უზრუნველყოფით მულტისპექტრული ფოტოების საფუძველზე ივან შევჩუკისა და კაილ ანნ ჰუსკინის მიერ

VII. პალიმფსესტებში დაცული ტექსტები

ოლო კვლევებმა, განსაკუთრებით კი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პალიმფსესტების კატალოგის გამოცემამ, გააფართოვა ჩვენი ცოდნა ქართული ხელნაწერების ქვედა ფენაში დაცული ტექსტების შესახებ.[59] პალიმფსესტების ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ ხელნაწერთა პალიმფსესტებად ქცევის მიზეზიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა იყო. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ პალიმფსესტად ქცევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ასომთავრულად დაწერილი ხელნაწერები, რომლებიც

[59] ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გვ. 805-806.

ნუსხურის ეპოქაში გამოუსადეგარი ხდებოდა.[60]

აღნიშნულ საკითხს შეეხო ბერნარ უტიეც, მან პალიმფსესტად ქცევის ორი ძირითადი მიზეზი დაასახელა: პირველი, ქართული ენის ლინგვისტური ცვლილება – სანნარევობის პერიოდში ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები უმეტესად მეორეულ ფურცლებად იქცა.[61] აქ, ჩვენი მხრიდან, შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ სხვადასხვა საუკუნეში სისტემატურად ხდებოდა უკვე თარგმნილი ბიბლიური წიგნების რევიზია, რედაქტირება ან ზოგჯერ ხელახლა თარგმნაც კი (იგივე შეიძლება ითქვას ცალკეულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტზეც). პირველთარგმანები და ძველი რედაქციები პალიმფსესტურმა ფურცლებმა შემოგვინახა უმეტესად ხანმეტური ფორმით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლოდროინდელი აღმოჩენა – მაჰაჩყალას ოთხთავი, რომელიც ადიშური რედაქციის ლუკას სახარების სწორედ იმ მონაკვეთს შეიცავს (ლუკა 6:8–9:42), რომელიც არცერთი სხვა წყაროთი ჩვენამდე არ მოღწეულა.[62]

რაც შეეხება მეორე მიზეზს, ბერნარ უტიეს აზრით, ეს XI საუკუნეში ლიტურგიკული პრაქტიკის ცვლილებით – იერუსალიმურიდან ბიზანტიურზე – უნდა იყოს განპირობებული.[63] ამის გამოა, რომ ქვედა ფენებში ძალიან ხშირად იერუსალიმური ლექციონარის, იადგარის, მრავალთავის, კურთხევანისა თუ ჟამნის ტექსტებია დაცული. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ არა მხოლოდ ეს ძირეული ცვლილება ლიტურგიკულ პრაქტიკაში, არამედ ცალკეული კრებულების, პარაკლიტონის, თუენისა და სხვა ჰიმნოგრაფიული კრებულის განვითარება, განვრცობილ საეკლესიო კა-

[60] ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. ქართული პალეოგრაფია. დამატება მეორე. თბ. 1949, გვ. 113-114, 304.

[61] B. Outtier, Georgian Palimpsests in Tbilisi, Digital Kartvelology. I. Tbilisi. 2022, გვ. 9-10 (https://adh.ge/digital-kartvelology-volume-i-ge/).

[62] ი. გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები დაღესტანში და ახლად გამოვლენილი ხანმეტი პალიმფსესტი (წინასწარი ცნობა). ფილოლოგიური პარალელები. სამეცნიერო შრომების კრებული. 8. 2016, გვ. 63-75; 2. Т. И. Гванцеладзе, Г. Т. Гванцеладзе, Ш. М. Хапизов, Грузино-арабский палимпсест из Дагестана (краткое сообщение). История, археология и этнография Кавказа. 14 (4). 2018, გვ. 8-12; http://dx.doi.org//10.32653/CH1448–12; 3. J. Gippert. A New Treasure of Khanmeti Forms, in D. Kolbaia (ed.). Caucasica Antiqua et Christiana. Warsaw: Faculty of Oriental Studies, University of Warsaw. 2021, გვ. 97-113; 4. დ. ჩიტუნაშვილი. ხანმეტი ოთხთავის უცნობი ხელნაწერი, კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. II. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. მიძღვნა ზაზა ალექსიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი. 2021, გვ. 320-333.

[63] B. Outtier, Georgian Palimpsests in Tbilisi, Digital Kartvelology. I. Tbilisi. 2022, გვ. 9-10 (https://adh.ge/digital-kartvelology-volume-i-ge/).

ლენდარზე გადალაგება, ახალი დღესასწაულებისა და წმინდანთა ხსოვნის დღეების დამატება ყოველ ძველ ხელნაწერს გამოუსადეგარს ხდიდა. ამიტომაც არის, რომ თითოეული ლიტურგიკული პალიმფსესტური ხელნაწერი ძვირფასია ძველი ქართული ლიტურგიკული პრაქტიკის დიაქრონიული შესწავლისა და რეკონსტრუქციისათვის.

უნდა აღინიშნოს პალიმფსესტად ქცევის კიდევ ერთი მიზეზი. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ტექსტი დასტურდება ზედა და ქვედა ფენაში, რაც კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა აიხსნას. ამგვარი მაგალითი გვაქვს ლაიფციგის ქართული კოლექციის №1096 ხელნაწერში, სადაც იოანე ზოსიმემ იგივე, როგორც ჩანს, უფრო „სანდო“ ტექსტი გადააწერა სხვა ხელით დაწერილ ქვედა ფენას.[64]

VIII. დასკვნა და სამომავლო პერსპექტივები

ქართული პალიმფსესტების კვლევის ისტორია უკვე საუკუნეს ითვლის. ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩაყრილი ფუნდამენტი არა მხოლოდ ხელნაწერთა ქვედა ფენაში დაცული ტექსტების შესწავლას, არამედ მათ მნიშვნელობას ეხება ქართული პალეოგრაფიის დარგის განვითარებისათვის. მან ხომ პალიმფსესტების კვლევა-ძიება VII საუკუნემდე ასომთავრული ბანის თავშეკრულობის დასასაბუთებლად დაიწყო. თანამედროვე ტექნოლოგიები ძალიან კარგ შესაძლებლობას იძლევა ამ მიმართულებით კვლევის განსახორციელებლად. პალიმფსესტებში დაცული ქართული ასომთავრულის ფუნდამენტურად შესწავლა პალეოგრაფიული თვალსაზრისით აუცილებელი მნიშვნელობის საგნად მიგვაჩნია.

საზღვარგარეთ დაცული ქართული პალიმფსესტების კვლევა იმ სტანდარტის მიხედვით მიმდინარეობს, რაც ამ დროისათვის არსებობს ევროპასა თუ ამერიკაში. იმის მიუხედავად, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პალიმფსესტური ფურცლები აღიწერა, ისინი ჯერ კიდევ არ გადაღებულა MSI სისტემით. დარწმუნებული ვართ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები არაერთ მეცნიერულ სიახლეს მოჰფენს ნათელს.

[64] J. Gippert. New Perspectives of (Multi-)Spectral Manuscript Analysis, in Brockmann, Christian / Deckers, Daniel / Koch, Lutz / Valente, Stefano (eds.), Handschriften-und Textforschung heute. Zur Überlieferung der griechischen Literatur. Festschrift für Dieter Harlfinger aus Anlass seines 70. Geburtstages, Wiesbaden 2014 (Serta Graeca, 30), გვ. 165–176 and [331–350].

შემოკლებები:

BnF = Bibliothèque nationale de France
CPG = Maurits Geerard, *Clavis Patrum Graecorum*, II: Ab Athanasio ad Chrysostomum, Turnhout 1974
SMHE = Svaneti Museum of History and Ethnography (Mestia, Georgia)
TITUS = Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien https://titus.uni-frankfurt.de
NCM = Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

Eka Kvirkvelia
Centre for the Study of Manuscript Cultures
(CSMC), Hamburg University

THE HISTORY OF GEORGIAN PALIMPSEST RESEARCH: PAST AND PRESENT*

Summary

The article examines the history of Georgian palimpsest studies from the 1920s to the present, outlining the methodologies employed at various stages. The beginning of studying palimpsests is attributed to Ivane Javakhishvili, who was the first to use a chemical treatment method to enhance the readability of the lower layer of two manuscripts (NCM A-89 and A-844). He presented a report on the study's results on February 10, 1923, at the Georgian Historical and Ethnographic Society meeting. According to his account, Iovel Kutateladze, acting under his instructions, chemically treated the parchment in such a way that neither the color of the parchment nor the upper layer of writing was affected, while the Asomtavruli letters on the lower layer became noticeably readable.

Akaki Shanidze made an invaluable contribution to the scientific study and publication of Georgian palimpsests. Like Ivane Javakhishvili, he applied the same chemical treatment method to examine the *khanmeti* Lectionary (H-1329), presenting his findings on October 23, 1923. In an article published in 1927, Akaki Shanidze reported using the same method again while working on the *khanmeti mravaltavi* (S-3902).

The chemical treatment of palimpsests was not unfamiliar to Europe, as it had been applied since the early 19th century. This method was used on numerous Greek, Latin, Syriac, Armenian, and other manuscripts. However,

* This publication is part of a project that has received funding from the European Research Council under the European Union's Horizon 2020 research and innovation programme (Grant agreement No. 101019006) and from the Deutsche Forschungsgemeinschaft (German Research Foundation) under Germany's Excellence Strategy – EXC 2176 'Understanding Written Artefacts: Material, Interaction and Transmission in Manuscript Cultures', project no. 390893796. The research was conducted within the scope of the Centre for the Study of Manuscript Cultures at Universität Hamburg under the leadership of Prof. Dr. Jost Gippert.

assessing the extent of damage caused by the chemical experiments conducted by Ivane Javakhishvili and Akaki Shanidze on specific manuscripts is challenging, as their original condition remains unknown. One thing is certain: this method of reading palimpsests was abandoned in Europe at the beginning of the 20th century due to the damage to the manuscripts. Since the 1890s, photography has been used instead to highlight the lower layers of palimpsests.

The use of ultraviolet light as a method for reading Georgian palimpsests can be considered the next stage in their study. In the 1960s, at the newly established Institute of Manuscripts in Tbilisi, a systematic cataloguing of palimpsests was initiated under the guidance of Ilia Abuladze. This effort resulted in the documentation of 5,000 items and the creation of an internal-use list. This work, which began in the 20th century, came to its end in 2017 with the publication of the 808-page book *Georgian Palimpsests at the National Center of Manuscripts (Catalogue, Texts, Album)*, Tbilisi, 2017.

The introduction to the catalog mentions that ultraviolet lighting was used when working on palimpsests, but no additional details are provided about the device's specifications. It appears that the ultraviolet lighting used in this case was not specifically designed for reading palimpsests but rather had its primary purpose in medicine. While the device significantly aided scientists in making many palimpsest pages more readable, it cannot be considered a technological innovation in palimpsest studies. It is worth noting that, during the Soviet period, the study of Georgian palimpsests preserved in Georgia bypassed the stage of ultraviolet and infrared photography of manuscripts, which was being developed and utilized in Europe at that time.

The next stage in the study of Georgian palimpsests is associated with the name of the German Kartvelologist Jost Gippert, who, in 2004, became the first to photograph *Cod. Vind. georg. 2*, preserved in the Austrian National Library (Vienna), using the Multi-Spectral Imaging System (MuSIS). In 2007, he published a book about the 14 different manuscript fragments preserved in the lower layer.

The subsequent step in the study of Georgian palimpsests is connected to the ongoing scientific project "Development of Literacy in the Caucasus Territories (DeLiCaTe)," which is being carried out at the Center for the Study of Manuscript Cultures (CSMC) of the University of Hamburg under the leadership of Jost Gippert from 2022 to 2027. The project aims to study the development of Georgian, Armenian, and Caucasian Albanian literacy in the

first millennium. Within the framework of the project, Georgian manuscripts preserved abroad are being photographed using Multispectral Imaging (MSI), currently regarded as the best practice worldwide for studying palimpsests. We hope that the same practice will soon be shared in Georgia for the study of palimpsests stored at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

გიორგი ქართველიშვილი
თსუ

„გლობალური ჩინეთი“ და მისი გავლენა საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგიაზე

1. შესავალი: თანამედროვე ჩინეთის „გლობალური აღზევება“ და ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები

ჩინეთის ე.წ. გლობალური „აღზევება“ (*the Rise of China*) უახლესი ისტორიული პროცესია, რომელსაც შესამჩნევი გავლენა აქვს, ერთი მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებსა და მათ ეკონომიკებზე, პოლიტიკასა და საზოგადოებებზე, ხოლო მეორე მხრივ, ზოგადად გლობალურ წესრიგსა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე.[1]

ჩინეთის გლობალური მნიშვნელობის ძალად ჩამოყალიბება მისი ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეგვიძლია ავხსნათ. თუ 1978 წელს, საბაზრო რეფორმების (*gǎigé kāifàng*) დაწყებისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 149,54 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2022 წლის მონაცემებით ის 17,96 ტრილიონი აშშ დოლარია. 1990 წლიდან 2022 წლამდე ჩინეთის მშპ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (მუპ) მიხედვით 30-ჯერ, 1,11 ტრილიონი აშშ დოლარიდან 30,33 ტრილიონამდე გაიზარდა. ჩინეთი დღეს, მშპ-ის (მუპ) მიხედვით მსოფლიოს უდიდესი, ხოლო ნომინალური მშპ-ის მი-

[1] მაგ. იხ. X. Yan. Zhongguo jue qi ji qi zhan lue [The Rise of China and its Strategy]. Peking University Press. 2005; D. Shambaugh. Power Shift: China and Asia's New Dynamics. University of California Press. 2006; M. Li. The Rise of China and the Demise of the Capitalist World Economy. Pluto Press. 2008; G. J. Ikenberry. The Rise of China and the Future of the West: Can the Liberal System Survive? Foreign Affairs, 87(1), 2008, გვ. 23–37; J. Yue. China's Rise in the Age of Globalization: Myth or Reality? Palgrave Macmillan. 2018.

ხედვით მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკაა.[2] იმავდროულად, 1960-2022 წლებში ჩინეთის მოსახლეობა 667 მილიონიდან 1,41 მილიარდამდე გაიზარდა, ხოლო სიღარიბიდან ამოვიდა 800 მილიონზე მეტი ადამიანი.[3]

ჩინეთის ეკონომიკისა და საზოგადოების ამ მასშტაბურ რაოდენობრივ ტრანსფორმაციას თან ახლავს გლობალური ეკონომიკური გავლენის ხარისხობრივი ზრდაც, განსაკუთრებით კი 2010-იანი წლებიდან. 21-ე საუკუნეში ჩინეთი კაპიტალდეფიციტური და კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნიდან, კაპიტალის ექსპორტიორ ეკონომიკად იქცა[4]. მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლანდშაფტზე ჩინეთის ამბიციურ სტრატეგიებსა და გეგმებს, როგორებიცაა „სარტყლისა და გზის“, „გლობალური განვითარების“ და „გლობალური უსაფრთხოების“ ინიციატივები. ამ პროცესში განსაკუთრებით საინტერესოა განვითარებადი ქვეყნები, სადაც ჩინეთი განსაკუთრებით აქტიურია. აქ, პირველ რიგში, გლობალურ სამხრეთი იგულისხმება, ხოლო დღეს უკვე პოსტ-საბჭოთა სივრცეც, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით.

მრავლისმეტყველია საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობების ბოლოდროინდელი დინამიკაც. 2017 წელს საქართველომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და გახდა პირველი ქვეყანა, რომელსაც ეს შეთანხმება ერთდროულად ჩინეთთან და ევროკავშირთან აქვს დადებული. 2023 წლის აპრილში პეკინსა და თბილისს შორის დადებულმა სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებამ ჩინეთის სამხრეთ კავკასიისადმი მიდგომის ახალი ეტაპი მონიშნა. დოკუმენტში მკაფიოდ აღინიშნა, რომ საქართველო, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს „სარტყლისა და გზის ინიციატივაში“ („სგი“) და მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ „გლობალური განვითარების“ და „გლობალური უსაფრთხოების“ ინიციატივებს. გარდა ამისა, მხარეები აცხადებენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ

[2] World Bank. World Development Indicators: China. 2022. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://data.worldbank.org/country/china

[3] World Bank. World Development Indicators: The World Bank In China. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.worldbank.org/en/country/china/overview

[4] H. Hung. The Tapestry of Chinese Capital in the Global South. Palgrave Communications, 4(1), 2018.

თანამშრომლობას ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა, და პირველ რიგში, „შუა დერეფნის“ ინფრასტრუქტურული ჯაჭვის განვითარების მიმართულებით[5]. საქართველო, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოეკონომიკური პოზიციის გათვალისწინებით, „შუა დერეფნის“ - აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი სახმელეთო მარშრუტის, მნიშვნელოვანი რგოლია. თავის მხრივ, პეკინისთვის „შუა დერეფანი“ ერთერთი ყველაზე პრიორიტეტული სატრანზიტო დერეფანია მისი მასშტაბური „სგი“-ს ევრაზიული სტრატეგიის ქვეშ.

არსებული ლიტერატურის მიხედვით იკვეთება რამდენიმე ძირითადი მოტივი, რომლებიც ჩინეთის გლობალურ ეკონომიკურ სტრატეგიასა და ჩინური კაპიტალის მსოფლიოში გადინებას უდევს საფუძვლად.

პირველი, ესაა ჩინეთის ეკონომიკაში არსებული ჭარბინვესტიციისა და ჭარბწარმოების პრობლემა. ამ გამოწვევის პასუხად, კაპიტალის მასშტაბური გადინება შესაძლებელი გახადა 30 წლის განმავლობაში სწრაფად მზარდმა, ექსპორტზე დამყარებულმა ეკონომიკამ და მის შედეგად გაჩენილმა უზარმაზარმა საგარეო სავალუტო რეზერვებმა.[6]

მეორე, ახალი ღირებულებითი და მიწოდების ჯაჭვების შექმნა და არსებულის გაუმჯობესებაა, ჩინეთის ეკონომიკის უფრო ეფექტურად დასაკავშირებლად მთელს მსოფლიოსთან და განსაკუთრებით, დასავლეთის ქვეყნებთან. „სგი“ დიდწილად, ამ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, მიზანი ჩინეთის ‘ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება’ და მათი გლობალურ, ‘ჰოლისტურ განვითარების პროგრამაში ინტეგრაციაა’.[7] მეორე მხრივ, ამ მასშტაბური ინიციატივის ამ-

[5] Embassy of the People's Republic of China in Georgia. Full Text: Joint Statement of the People's Republic of China and Georgia on Establishing a Strategic Partnership. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია:
http://ge.china-embassy.gov.cn/eng/xwdt/202308/t20230807_11123383.htm

[6] იხ. H. Hung. The Tapestry of Chinese Capital in the Global South. Palgrave Communications, 4(1). 2018, გვ 2. და S. Kaplan. Globalizing Patient Capital: The Political Economy of Chinese Finance in the Americas. Cambridge: University Press. 2021, გვ. 108.

[7] C. K. Johnson. President Xi Jinping's "Belt and Road" Initiative: A practical assessment of the Chinese Communist Party's roadmap for China's global resurgence. Center for Strategic & International Studies (CSIS). 2016, გვ. v.

ოცანაა როგორც ახალი ბაზრების და ამასთან, დამატებითი მოთხოვნის გაჩენა ჩინური საექსპორტო საქონლისათვის, ასევე შესაბამისი გლობალური ინფრასტრუქტურული ჯაჭვების მშენებლობა მზარდი საერთაშორისო ვაჭრობისთვის.[8]

მესამე მიზეზი გულისხმობს წვდომას ჩინეთის ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებზე,[9] რაც, პირველ რიგში, ენერგო და სამთომოპოვებით სექტორებს აქცევს ჩინური კაპიტალის ძირითად სამიზნეებად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის „გლობალური აღზევების" ფენომენი და მისი პოლიტეკონომიური ასპექტები კარგადაა შესაწავლილი სხვადასხვა პრიზმითა თუ სხვადასხვა რეგიონულ კონტექსტში, ჩინეთის აქტივობისა და გავლენების უახლესი ისტორიული ტენდენციები და მისი შედეგები სამხრეთ კავკასიასა თუ საქართველოში ჯერ კიდევ ახალი და ნაკლებად შესწავლილი საკითხებია.

ჩინეთის „გლობალური აღზევების" კონტექსტის ფონზე, და საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგიის მაგალითზე (ოფიციალურად, „ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია"), ეს სტატია ეხმიანება შემდეგ საკითხებს: რა პოლიტეკონომიური ლოგიკა და ინტერესები უდევს საფუძვლად ჩინეთის „გლობალურ აღზევებას", და რა გავლენა აქვს ამ ფენომენს ქვეყნების ქცევაზე, კერძოდ კი, მათი განვითარების პოლიტიკაზე? ხოლო სტატიის კონკრეტული მიზანია ჩინეთის სამხრეთ კავკასიაში რეგიონული პოლიტეკონომიური ინტერესების პრიზმით, უპასუხოს შემდეგ საკვლევ შეკითხვებს:

- რა გავლენა აქვს ჩინეთის ინტერესებს საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგია - „ხედვა 2030"-ზე?
- რომელ სფეროებში იკვეთება თანხვედრა ჩინეთის ინტერესებსა და საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგიას შორის?

„ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგიის" თვი-

[8] T. Vien, K. Yan, R. Blackburn. The Grand Design of China's New Trade Routes. Stratfor. 2015. ონლაინ ხელმისაწვდომია:
https://worldview.stratfor.com/article/grand-design-chinas-new-trade-routes

[9] S. Kaplan. Globalizing Patient Capital: The Political Economy of Chinese Finance in the Americas. Cambridge: University Press. 2021, გვ. 107.

სებრივი ანალიზი, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022 წელს, ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ საქართველო ცდილობს უახლესი გეოპოლიტიკური და პოლიტეკონომიური პროცესებისადმი ადაპტაციას და საკუთარი განვითარების სტრატეგიის მორგებას ჩინეთის ინტერესებზე რეგიონში. „ხედვა 2030“-ის ანალიზის შედეგად იკვეთება ჩინეთის გლობალური სტრატეგიის როგორც პირდაპირი გავლენა, ასევე ორი ქვეყნის პოლიტიკებს შორის ინტერესთა თანხვედრა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. საქართველოს განვითარების სტრატეგიის ანალიზი ჩინეთის გლობალური და რეგიონული ეკონომიკური ინტერესების ჭრილში იძლევა არამხოლოდ არსებული ისტორიული პროცესის, არამედ მისი სამომავლო მიმართულების გამოკვეთის შესაძლებლობასაც.

2. ლიტერატურის მიმოხილვა: “გლობალური ჩინეთის“ პოლიტეკონომია და მისი გადაკვეთა საქართველოსთან

„ჩინეთის აღზევების“ პოლიტეკონომიური, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ასპექტები ვრცლადაა გამოკვლეული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, სადაც ურთიერთსაპირისპირო შეფასებებსაც ვაწყდებით. ზოგიერთი ავტორის პროგნოზით, ჩინეთის აღზევება არსებული მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური ცვლილების საწინდარია, მთელი რიგი სტრუქტურული მიზეზების გამო.[10] სხვა ავტორები, ჩინეთის აღმასვლასა და არსებულ ეკონომიკურ წესრიგს შორის მსგავს რადიკალურ წინააღმდეგობას გამორიცხავენ.[11] ზოგიც ამტკიცებს, რომ ჩინეთის გავლენის შედეგად ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საკითხი ჯერ კიდევ ღიაა[12].

ასევე, მდიდარია ჩინეთის ეკონომიკური აღზევების კვლევები კონკრეტული რეგიონების ჭრილში. აქ კი, პირველ რიგში, გლობალური სამხრეთი – აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზიის ზოგიერთი რე-

[10] ამ პოზიციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია „მსოფლიო-სისტემის“ თეორიის მიმდევარი ჩინელი ეკონომისტი მინცი ლი. იხ. M. Li. The Rise of China and the Demise of the Capitalist World Economy. Pluto Press. 2008.

[11] მაგ. იხ. L. Panitch, S. Gindin. The Integration of China into Global Capitalism. International Critical Thought, 3(2). 2013, გვ. 146–158; ასევე J. Yue. China's Rise in the Age of Globalization: Myth or Reality? Palgrave Macmillan. 2018.

[12] მაგ. F. Nicolas. China and the Global Economic Order. China Perspectives, 2016(2). 2016, გვ. 7 14.

გიონი მოიაზრება. ჩინური კაპიტალის გლობალური მოძრაობისა და თავისებურებების ანალიზი გვეხმარება უკეთ გავიგოთ, თუ რა გეოპოლიტიკური თუ პოლიტეკონომიური ინტერესები დგას მის უკან. ამის აუცილებლობას საგარეო სესხების თანამედროვე ისტორიაც გვიჩვენებს, რამდენადაც, როგორც მკვლევრები გვეუბნებიან, ბილატერალური და მულტილატერალური სესხების პოლიტიკა გავლენიანი აქტორების სტრატეგიულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე დგას.[13] ჩინური მსხვილი სახელმწიფო, ე.წ. 'პოლისი ბანკები' – „ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი" (Exim Bank), „ჩინეთის განვითარების ბანკი" (CDB) და „ჩინეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ბანკი" (ADBC), ამის კარგი მაგალითებია, რომლებიც 1994 წელს ფინანსური სექტორის რეფორმირებისას შეიქმნა. რეალურად, ეს ბანკები წარმოადგენენ სახელმწიფოს სტრატეგიულ ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.[14] ეს პროცესი კიდევ უფრო აშკარა ხდება 1999 წლიდან, როდესაც პეკინი ჩინური კაპიტალის ქვეყნის საზღვრებს „გარეთ გასვლის" სტრატეგიის აქტიურად დანერგვას იწყებს.[15]

ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს საერთაშორისო კრედიტორად ჩამოყალიბება საგარეო სესხების გლობალურ სურათსაც ცვლის. პირველ რიგში, დასავლურ აქტორებს უჩნდებათ სერიოზული კონკურენტი ჩინეთის სახით. განვითარებად ქვეყნებში, რაოდენობრივად, ჩინურ სესხებს მხოლოდ მსოფლიო ბანკი თუ შეედრება, რამდენადაც ის გაცილებით აღემატება სხვა ნებისმიერი ბილატერალური კრედიტორე-

[13] ბილატერალური საერთაშორისო სესხების ანალიზისათვის იხ. A. Alesina, D. Dollar. Who Gives Foreign Aid to Whom and Why? Journal of Economic Growth, 5(1). 2000, გვ. 33-63; A. Dreher, P. Nunnenkamp, R. Thiele. Are "New" Donors Different? Comparing the Allocation of Bilateral Aid between NonDAC and DAC Donor Countries.World Development, 39(11). 2011, გვ. 1950-1968. მულტილატერალური საერთაშორისო სესხების ანალიზისათვის იხ. A. Dreher, J.-E. Sturm, J. R. Vreeland. Politics and IMF Conditionality. Journal of Conflict Resolution, 59(1). 2015, გვ. 120-148, ან R. W. Stone. Controlling Institutions: International Organizations and the Global Economy. Cambridge University Press. 2011; ასევე იხ. D. Y. M. Lim, J. R. Vreeland. Regional Organizations and International Politics: Japanese Influence Over the Asian Development Bank and the UN Security Council. World Politics 65, no. 1 (January 2013). 2013, გვ. 34-72.

[14] N. Lardy. China's Unfinished Economic Revolution. Washington, DC: Brookings Institution Press. 1998.

[15] A. Dreher, A. Fuchs, B. Parks, A. Strange, M. J. Tierney. Banking on Beijing: The Aims and Impacts of China's Overseas Development Program. Cambridge: University Press. 2022, გვ. 3-4.

ბის მიერ გაცემული სესხების მოცულობას.[16] ამასთან, განვითარებად ქვეყნებს ამ ახალ, მეტნაკლებად მრავალფეროვან საკრედიტო ლანდშაფტში (რომელსაც „არჩევანის ეპოქასაც“ კი უწოდებენ) მეტი არჩევანის საშუალება და შესაბამისად, შედარებითი ავტონომიურობა უჩნდებათ.[17] ეს საქართველოს შემთხვევაშიც აქტუალურია, მითუმეტეს, რომ 2023 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის გაფორმებულ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაში ჩინეთის მხრიდან საქართველოში სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაკრედიტების საკითხი ცალკე პუნქტადაა ჩადებული.[18]

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოსა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა ჩინეთის „სგი“-ის და მისი ერთ-ერთი ქვე-მარშრუტის, ე.წ. „შუა დერეფნის“ კონტექსტში. „სგი“ 2013 წელს, ჯერ კიდევ „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ სახელით დაიწყო, როდესაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა და ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ მშენებლობის სტრატეგია საჯაროდ გააჟღერა. „სგი“ ჩინეთის კომუნისტური პარტიის საგარეო დოქტრინის ფუნდამენტურ ნაწილად ჩამოყალიბდა[19], რაზედაც მისი მასშტაბებიც მეტყველებს. 2021 წელს, ინიციატივის ფარგლებში ჩინეთს ხელი მოწერილი ჰქონდა 205 თანამშრომლობის დოკუმენტზე 140 ქვეყანასთან და 31 საერთაშორისო ორგანიზაციასთან[20]. ინიციატივის გა-

[16] S. Morris, B. Parks, A. Gardner. Chinese and World Bank Lending Terms: A Systematic Comparison Across 157 Countries and 15 Years. CGD Policy Paper 170. Washington, DC: Center for Global Development. 2020. https://www.cgdev.org/publication/chinese-and-world-bank-lending-terms-systematic-comparison

